ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა

“გამოყენებითი ეკოლოგია”

მარინა ჩიჩუა

საზოგადოების როლი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში

ეკოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ლია მაჭავარიანი, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თბილისი

2024

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Exact and Natural Sciences

Doctoral Program “Applied Ecology”

Marina Chichua

Public Role in the Environmental Decision Making Process

The thesis work is performed to obtain a PhD academic degree in Ecology

Scientific Supervisor:
Lia Matchavariani – Doctor of Geographical Sciences, Professor

Tbilisi
2024

ვუძღვნი დედას, ნათელა ფაღავას,

რომელმაც მასწავლა ცხოვრებაში

ყველაზე მთავარი -

დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა

„ჩვენი საზოგადოების ყველაზე დიდი ნაკლია მოქალაქეობრივი ინიციატივების არ არსებობა, ანუ სახელმწიფო ვერ გრძნობს რომ იდეა მოდის ქვემოდან და საზოგადოება ვერ გრძნობს, რომ თუ დღეს არ დავრგეთ მილიონი ხე, ხვალ სუნთქვა შეუძლებელი იქნება“
ქეთი ჩიჩუა

„გზშ დოკუმენტის მომზადების ხარისხი არის კულტურის ნაწილი - ანუ დეველოპერი თვითონ უნდა იყოს დაინტერესებული რომ მაღალი დონის დოკუმენტი მოამზადოს, და ამისათვის უნდა დახარჯოს ბევრი ფინანსები“
კობა ყალიჩავა

„საზოგადოების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ფილოსოფიურია“
თეა ბარბაქაძე

„ჩვენი მხრიდან მზაობა არის არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობის“
ხატია წილოსანი

„ორივე სექტორი - არასამთავრობო და სამთავრობო, უნდა შეიცვალოს, გახდეს ადექვატური, თუ გვინდა რომ წარმატებული მონაწილეობა გვქონდეს გადაწყვეტილების მიღების პროცესში“
მარი მიქოიანი

„რომ არ იყვნენ არასამთვრობო ორგანიზაციები სივრცე ნაცრისფერი იქნება“
სალომე ჟვანია

„2012-2013 წლებში ჯერ კიდევ არსებობდა საშუალო ფენა, როდესაც ვაკის პარკის თემებზე იყო აქტიურად საუბრები, სწორედ ამ ფენებისაგან შეიქმნა აქტივისტების ჯგუფი, საზღვარგარეთ მიღებული განათლებით, რომელთა დახმარებით და უშუალო მონაწილეობით მოგვარდა ვაკის პარკის პრობლემა“
ნატა ფერაძე

„სახელმწიფო არ არის მზად რომ საზოგადოების სრული ჩართულობა უზრუნველყოს გადაწყვეტიელების მიღების პროცესში, ხოლო არასამთავრობო სექტორს არ ჰყოფნის პროფესიონალიზმი“
მედგარ ჭელიძე

„არ არსებობს სამოქალაქო საზოგადოება და ნდობა გარემოსდაცვითი ენჯეობის მიმართ, სუფევს ეგზისტენციალური ვაკუუმი“
ნინო ჭელიძე

„ეკოლოგია იდეოლოგიის დონეზე უნდა იყოს აყვანილი“
ანა გაბრიაძე

„გარემოსდაცვის პრობლემები ქვეყნისათვის არ არის პრიორიტეტული, რაც დაფინანსებების წყაროების სინაკლებეშიც გამოიხატება უცხოური დონორების მხრიდან. თუმცა დაფინანსების გარეშეც უნდა მიიღონ გარემოსდაცვითმა ორგანიზაციებმა გადაწყვეტიოლების მიღების პროცესში მონაწილეობა“
ნინო ჩხობაძე

საკანონმდებლო ბაზა ძალიან მოძველებულია, “ქვის ხანის” არის და არა აქვს ბერკეტები
რამაზ გოხელაშვილი

სარჩევი

შესავალი.....1

თემის აქტუალობა.....3

მიზანი და ამოცანები.....4

კვლევის მეცნიერული სიახლე.....5

თავი 1. კვლევის დიზაინი და მეთოდები 7

1.1. კვლევის დიზაინი.....7

1.2. მონაცემთა შეგროვება.....8

1.2.1. კითხვარი.....8

1.2.2. ინტერვიუ.....8

1.2.3. რესპოდენტთა შერჩევა.....9

1.2.4. მეორადი მონაცემები.....10

1.2.5. კვლევის ვალიდობა.....11

1.2.6. კვლევის მონაცემების ანალიზის მეთოდი.....11

1.2.7. კვლევის შეზღუდვები.....12

თავი 2. საზოგადოების მონაწილეობა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში – ძირითადი ცნებები და მიდგომები 13

2.1. ძირითადი ცნებები.....13

2.2. გარემოსდაცვითი სამართლის ევოლუცია რიო-დან ორჰუსამდე.....14

2.3. ორჰუსის კონვენცია როგორც საზოგადოების მონაწილეობის გარანტია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში.....16

2.4. საზოგადოების მონაწილეობა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში – დადებითი და უარყოფითი მხარეები.....20

თავი 3. საზოგადოების მონაწილეობა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ევროპაში და განვითარებად ქვეყნებში 24

3.1. საზოგადოების მონაწილეობა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში 2016-2023 წლებში აღმოსავლეთ, ცენტრალურ, დასავლეთ ევროპის, ყოფილი სსრკ და ზოგიერთ განვითარებად ქვეყნებში....24

3.2. ორჰუსის კონვენციის განხორციელების ანგარიში – როგორც საზოგადოების მონაწილეობის შეფასების დოკუმენტი....28

3.2.1. ორჰუსის კონვენციის განხორცილების მეექვსე ციკლის ანალიზი....30

3.2.2. სამომავლო რეკომენდაციები ორჰუსის კონვენციის განხორცილებისათვის საზოგადოების ჩართულობის კუთხით....34

3.3. "მწვანე" არჩევნები ევროპაში....34

თავი 4. ეროვნული და საერთაშორისო საკანონმდებლო ბაზა საზოგადოების მონაწილეობისათვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში საქართველოში....36

4.1. ეროვნული საკანონმდებლო ბაზა საზოგადოების მონაწილეობისათვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში....36

4.1.1. საზოგადოების მონაწილეობის კონსტიტუციური უფლება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში....36

4.1.2. საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ და მოქალაქეთა უფლება-მოვალეობები....37

4.1.3. საქართველოს კანონი "გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი" და საზოგადოების მონაწილეობის საკითხები გადაწყვეტილების მიღების პროცესში....38

4.2. საერთაშორისო საკანონმდებლო ბაზა საზოგადოების მონაწილეობისათვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში....40

4.2.1. ორჰუსის კონვენციის მეექვსე ეროვნული ანგარიში და საზოგადოების მონაწილეობა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში – საქართველოში არსებული სიტუაციის ანალიზი....41

4.3. საკანონმდებლო ინსტრუმენტები საზოგადოების მონაწილეობისათვის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში 2016-2023 წლებში....47

4.3.1. საპარლამენტო ფაზა....47

4.3.1.1. კანონპროექტის განხილვის სტადიები....50

4.3.2. საკანონმდებლო ინიციატივა, წინადადება და პეტიცია....51

4.3.3. გადაწყვეტილების მიღების პროცესზე ზემოქმედების შესაძლებლობა – ლობირების მექანიზმი....53

4.4. პარლამენტის გარემოსდაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის კომიტეტის ახალი ინიციატივა.....54

თავი 5. საზოგადოების მონაწილეობა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საქართველოში.....56

5.1. შესავალი.....56

5.2. საზოგადოების მონაწილეობა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პროცესში 2016-2023 წლებში.....58

თავი 6. კვლევის პრეზენტაცია და შედეგების ანალიზი.....68

6.1. კითხვარი და ინტერვიუები.....68

6.1.1. კითხვარი და მონაწილე მხარეები.....68

6.1.2. ინტერვიუ.....69

6.2. კვლევის პრეზენტაცია და ანალიზი.....70

6.2.1. ზოგადი ინფორმაცია.....71

6.2.2. ფინანსური ინფორმაცია.....77

6.2.2.1. კვლევაში მონაწილე გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ფინანსური მდგომარეობა.....77

6.2.2.2. ინფორმაცია დაფინანსების წყაროების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.....79

6.2.3. სხვადასხვა მიდგომები გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესზე.....83

6.3. ჰიპოთეზების შეფასება.....101

დასკვნა.....112

რეკომენდაციები.....115

გამოყენებული ლიტერატურა.....118

სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში გამოქვეყნებული პუბლიკაციები.....124

დანართი.....125

დანართი 1.....125

დანართი 2.....153

დანართი 3.....192

აბსტრაქტი

საჯაროობამ, დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობამ და საერთაშორისო სამართლის განვითარებამ ცხადყო, რომ სახელმწიფოს ვალდებულებაა მიაწოდოს საზოგადოებას ნებისმიერი სრულყოფილი ინფორმაცია, რომელიც საზოგადოების ინტერესს იწვევს, მით უმეტეს, თუ ინფორმაციის არ მიღებამ შესაძლებელია რისკი შეუქმნას ადამიანისა და გარემოს ჯანმრთელობას.

1998 წელს მიღებული ორჰუსის კონვენციის თანახმად, გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის ბუნებრივი ხასიათის, ან ადამიანთა ქმედებებით გამოწვეული რაიმე საფრთხის მოახლოების შემთხვევაში, ხელისუფლების ორგანებმა დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდონ მოსახლეობას მათ განკარგულებაში არსებული ინფორმაცია, რომელიც შესაძლოა მათ ეხებოდეს. ამით მოსახლეობას საშუალება ეძლევა მიიღოს ზომები მავნე ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად, ან ამ ზეგავლენის შესამცირებლად.

სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა არის მთავარი მიზანი მდგრადი განვითარებისა და გარემოსდაცვითი მიზნების მისაღწევად. მთავრობას მარტო არ შეუძლია გარემოს დაცვითი მიზნების შემუშავება – მას საზოგადოების მხარდაჭერა სჭირდება. საზოგადოების მონაწილეობა ზრდის მოქალაქეების პასუხისმგებლობას – ისინი აქტიურად მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში და უზრუნველყოფენ გადაწყვეტილების მიღების პროცესს ღირებული ინფორმაციით (განსაკუთრებით ადგილობრივ დონეზე). საზოგადოების მონაწილეობა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღებაში ნიშნავს როგორც მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ასევე მოქალაქეთა მობილიზებას. გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა უნდა დააბანდონ რესურსები საზოგადოების მონაწილეობაში – უზრუნველყონ გადაწყვეტილების მიღების პროცესის როგორც გამჭვირვალობა, ისე ლეგიტიმაცია.

გადაწყვეტილების მიმღებ პირთა უნარი გააუმჯობესონ საზოგადოების მიერ პრობლემების გადაჭრის პროცესების გაგება, ხელს შეუწყობს საზოგადოების ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა ხელს უწყობს ასევე მდგრადი გადაწყვეტილებების პოვნას. თუმცა, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების

პროცესში საზოგადოების ჩართულობა თავისთავად არ იძლევა იმის გარანტიას, რომ მონაწილეობა იქნება ეფექტური. არსებობს მრავალი ბარიერი, რაც ხელს უშლის საზოგადოების ეფექტურ და წარმატებულ ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

წინამდებარე კვლევა ეძღვნება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობასთან დაკავშირებულ პრობლემებს და მათი გადაჭრის გზებს. საქართველოში არსებული გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების შესწავლით რამდენიმე პრობლემა გამოვლინდა, რაც ხელს უშლის საზოგადოების ეფექტურ მონაწილეობას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ყველა საჭირო ინფორმაცია შეგროვდა ინტერვიუებისა და კითხვარების საშუალებით. კვლევა განიხილავს ამ საკითხებთან მიმართებაში არსებულ საკანონმდებლო ბაზას და მიზნად ისახავს პრობლემების გადაჭრის გზების მოძიებას. კვლევის პროცესში ფორმულირდა ოთხი ჰიპოთეზა. ჰიპოთეზა I: თვითდაფინანსება ეხმარება გარემოსდაცვით არასამთავრობო ორგანიზაციებს გააუმჯობესონ ფინანსური მდგომარეობა და გაზარდონ ჩართულობა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ჰიპოთეზა II: გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმატებული მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში პირდაპირ კავშირშია გარემოსდაცვითი საკანონმდებლო სისტემის განვითარებასთან. ჰიპოთეზა III: მჭიდრო კოლაბორაცია ორგანიზაციებს შორის არის საუკეთესი გზა არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეფექტური მონაწილეობისათვის. ჰიპოთეზა IV: გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალობა ხელს უწყობს საზოგადოების წარმატებულ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

საბჭოთა რეჟიმმა გამოიწვია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობის მიდგომების არარსებობა. ამჟამად საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობის რამდენიმე ძირითადი მიდგომა არსებობს: ა) ქვეყანაში „დემოკრატიის მშენებლობის“ გაგრძელება, ბ) ევროკავშირის რეფორმების გატარება, გ) უცხოური ინვესტიციების მოზიდვა საქართველოს გეო-პოლიტიკური ლოკაციიდან გამომდინარე

(აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის მდებარეობა) და საქართველოში დიდი, საერთაშორისო ფართომასშტაბიანი პროექტების გარემოსდაცვითი სტანდარტების (“environmentally friendly”) დაცვით განხორციელება.

საზოგადოების, განსაკუთრებით არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში საკვანძო და გადამწყვეტი ელემენტია, რადგანაც ფართომასშტაბიანი პროექტების განხორციელებას ყოველთვის თან ახლავს დამატებითი გარემოსდაცვითი პრობლემები, ხოლო საზოგადოების ჩართულობა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში უზრუნველყოფს გარემოს დაზიანების თავიდან აცილებას და პროექტების განხორციელებას მგდრადი განვითარების პრინციპების დაცვით. კვლევა მოიცავს ასევე რეკომენდაციებს, რომლებიც სამომავლოდ ხელს შეუწყობენ საზოგადოების ეფექტურ ჩართულობას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

Abstract

Publicity, building a democratic society, and the development of international law have made it clear that the state should provide the public with any complete information that is of public interest, especially if not receiving the information could pose a risk to human and environmental health.

According to the Aarhus Convention, adopted in 1998, in the event of any imminent threat to human health or the environment, whether caused by human activities or natural causes, all information that could enable the public to take measures to prevent or mitigate harm arising from the threat and is held by a public authority is disseminated immediately and without delay to members of the public who may be affected.

Civil society engagement is a key objective in achieving sustainable development and environmental goals. Government alone cannot develop environmental goals - it needs public support. Public participation increases the responsibility of citizens – they actively participate in the decision-making process and provide the decision-making process with valuable information (especially at the local level). Community participation in environmental decision-making means both participation in the decision-making process and the mobilization of citizens. Decision-makers must invest resources in public participation – ensuring both transparency and legitimacy in the decision-making process.

The research presents the results of the scientific research and gives the ways to solve the problems dedicated to PP (public participation) in the process of EDM (environmental decision-making) in Georgia. Several obstacles were found, by studying the environmental non-governmental organizations (NGOs) in Georgia. All necessary information was collected through interviews and questionnaires. The study discusses the existing legislation on this issue and aims to find answers to these obstacles. Four hypotheses were developed - transparency in the decision-making process promotes successful public participation, effective cooperation with one another is a better way for NGOs to participate in the environmental decision-making process, Georgian NGO's successful participation in the process of DM (decision-making) was related to the development of an environmental

legal system, self-financing helps the Environmental NGOs in Georgia to improve their financial status and increase their flexibility in the EDM process.

The Soviet regime caused the nonexistence of PP approaches in EDM. Currently, there are several main approaches to promoting civil society development in Georgia: a) to continue "building the democracy" in the country, b) to come up with the EU reforms, c) to attract foreign investors in the geographical and political locality of Georgia (between East and West) and guarantee the "environmentally friendly" implementation of large, international and trans-boundary projects, that taking place and will be completed shortly in Georgia.

The participation of the public, especially non-governmental organizations is a key point and crucial element in decision-making as most of these developments entail additional environmental problems to prevent damage to the environment and foster sustainable development when such projects are completed. The research gives key provisions that require improvement to increase the effectiveness of PP in the EDM process.

შესავალი

კვლევის მთავარი მიზანია შეფასდეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის არსებული მდგომარეობა.

წინამდებარე კვლევა მოიცავს როგორც გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების, ასევე საქართველოს არასამთვრობო სექტორის შესახებ ინფორმაციას, კერძოდ, მათ ისტორიას, არსებულ მდგომარეობას, პრობლემებსა და სამთავრობო/კერძო ინსტიტუტებთან ურთიერთობას. კვლევაში ასევე მოიძიება ინფორმაციები საზოგადოების მონაწილეობის შესახებ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ევროპის, ყოფილი სსრკ და სხვადასხვა განვითარებად ქვეყანაში არსებულ ეროვნულ და საერთაშორისო საკანონმდებლო ბაზაზე და ინსტრუმენტებზე, რომელებიც უზრუნველყოფენ საზოგადოების ჩართულობას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საქართველოში.

საქართველოს გარემოსდაცვითი ტრადიციების დიდი ისტორია არ აქვს. „მწვანეთა მოძრაობა“ საქართველოში საბჭოთა რეჟიმის დაშლის შემდეგ დაიწყო. დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი ქვეყნის განვითარებაში იყო არასამთავრობო სექტორის სწრაფი ზრდა. გარდა იმისა რომ სექტორი პოპულარულია საქართველოში, ამავე დროს ის არის სამოქალაქო საზოგადოების ყველაზე აქტიური ნაწილი (Nodia, 1997). დღეისათვის საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციების რაოდენობა არც ისე მაღალია (CSO Meter, 2021), თუმცა, არასამთავრობო გარემოსდაცვითმა ორგანიზაციებმა საქართველოში გადამწყვეტი როლი ითამაშეს გარემოსდაცვითი პოტენციალის შენარჩუნებასა და განვითარებაში (Martus, 2023). დღეს გარემოსდაცვითი ორგანიზაციები მრავალ პრობლემას აწყდებიან, რომელთაგან ერთ-ერთია მათი არაეფექტური მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

საქართველოში გარემოს დაცვის სფეროში არსებული პრობლემების მზარდი რაოდენობა მასში არასამთავრობო სექტორის სწრაფ ჩართვას მოითხოვს. საზოგადოების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, განსაკუთრებით გარემოს დაცვის სფეროში, სრულიად ახალი მიდგომაა ქართული საზოგადოებისათვის. ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების დღევანდელი

მდგომარეობიდან გამომდინარე, ჩნდება კითხვა, რამდენად შეიძლება მიღწეული იყოს საზოგადოების წარმატებული მონაწილეობა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და რა როლი და მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს არასამთავრობო ორგანიზაციებს ამ პროცესში. Moreno (1998) ვარაუდობს, რომ დასავლური გამოცდილების ადაპტირება დაეხმარება არასამთვრობო სექტორს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში წარმატებული მონაწილეობის მიღწევაში. არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის თვითდაფინანსების აქტივობების განვითარება კიდევ ერთი შესაძლო გამოსავალია (Mikeladze, 2021), ხოლო პარლამენტარი ხატია წილოსანის თქმით გარემოსდაცვის საპარლამენტო კომიტეტი მზადაა სექტორთან თანამშრომლობისათვის (ინტერვიუ #38, დანართი 2). კვლევის პერიოდში ფორმულირდა და შეფასდა ოთხი ჰიპოთეზა თუ როგორ უნდა შეძლონ არასამთავრობო ორგანიზაციებმა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში წარმატებული მონაწილეობა.

პირველი ჰიპოთეზა ამტკიცებს, რომ თვითდაფინანსება ეხმარება გარემოსდაცვით არასამთავრობო ორგანიზაციებს გააუმჯობესონ ფინანსური მდგომარეობა და გაზარდონ ჩართულობა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში; მეორე ჰიპოთეზაში ნათქვამია, რომ გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმატებული მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში პირდაპირ კავშირშია გარემოსდაცვითი საკანონმდებლო სისტემის განვითარებასთან; მესამე ჰიპოთეზა ამტკიცებს, რომ მჭიდრო კოლაბორაცია ორგანიზაციებს შორის არის საუკეთესი გზა არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეფექტური მონაწილეობისათვის; და ბოლო ჰიპოთეზაში ნათქვამია, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალობა ხელს უწყობს საზოგადოების წარმატებულ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ყველა საჭირო ინფორმაცია შეგროვდა ინტერვიუებისა და კითხვარების საშუალებით. გასაუბრების პროცესთან დაკავშირებით არანაირი პრობლემა არ ყოფილა. ინტერვიუები ჩატარდა და ყველა კითხვარი გავრცელდა როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში. ამ მხრივ სრულყოფილი სურათი გვაქვს გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობის გარემოსდაცვითი

გადაწყვეტილების მიღების პროცესში საქართველოში. კვლევა მოიცავს ასევე ქართული და საერთაშორისო საზოგადოების სხვადასხვა ნაწილის, ინდივიდების მოსაზრებებს და მათ სამომავლო რეკომენდაციებს საქართველოში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ეფექტური მონაწილეობისათვის.

თემის აქტუალობა

გამოყენებითი ეკოლოგია არის ეკოლოგიის ქვედარგი, რომელიც განიხილავს ეკოლოგიური მეცნიერების გამოყენებას რეალურ სამყაროში და ბევრ სხადასხვა მიმართულებებთან ერთად, გარემოსდაცვითი მენეჯმენტისა და პოლიტიკის საკითხებს მოიცავს (Hastings *et al.,* 2012). იგი აყალიბებს ცნებებსა და იდეებს ეკოლოგიის მეცნიერებიდან გარემოსდაცვითი პოლიტიკის შემუშავებამდე, გადაწყვეტილების მიღებასა და პრაქტიკაში დანერგვაზე საზოგადოების უშუალო ჩართულობით (Encyclopedia of Ecology, 2019). გამოყენებითი ეკოლოგია შეიძლება გამოყენებულ იქნას გარემოსდაცვითი პოლიტიკის მიმართულებით, რადგანაც ეკოლოგია სექტორთშორისი და ინტერდისციპლინარული ხასაითისაა (Goodland *et al.,* 1990) და მნიშვნელოვანია ჩვენი პლანეტის მდგრადი მომავლის შესაქმნელად. მკვლევარები თანამშრომლობენ ფართო საზოგადოებასთან ეფექტური გადაწყვეტილებების მისაღებად გამოყენებითი ეკოლოგიის სხვადასხვა მიმართულებით (McKenney, 2023).

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და მენეჯმენტის ნაზავს და არის საქართველოში პირველი და მოკრძალებული მცდელობა გამოყენებითი ეკოლოგიის მიდგომებში აისახოს ეს მიმართულებები და საკვლევი თემა.

საკვლევი თემის აქტუალობა პირდაპირ კავშირშია საქართველოს გეოპოლიტიკურ მდებარეობასთან. ამჟამად, საქართველოში მრავალი საერთაშორისო და ტრანსსასაზღვრო პროექტი მიმდინარეობს და უახლოეს მომავალშიც განხორციელდება. საზოგადოების, განსაკუთრებით გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში საკვანძო და გადამწყვეტი ელემენტია, რადგანაც ფართომასშტაბიანი

პროექტების განხორციელებას ყოველთვის თან ახლავს დამატებითი გარემოსდაცვითი პრობლემები, ხოლო საზოგადოების ჩართულობა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში უზრუნველყოფს გარემოს დაზიანების თავიდან აცილებას და პროექტების განხორციელებას მგდრადი განვითარების პრინციპების დაცვით. კვლევა მოიცავს ასევე რეკომენდაციებს, რომლებიც სამომავლოდ ხელს შეუწყობენ საზოგადოების ეფექტურ ჩართულობას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

მოძიებულ ლიტერატურ წყაროებზე დაყრდნობით, წინამდებარე კვლევის ჩატარების აუცილებლობა განპირობებული იყო იმ ფაქტით, რომ 2016-2023 წლებში და არც დამოუკიდებლი საქართველოს პერიოდში, არ ყოფილა შესწავლილი ქართული გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციები და მათი როლი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. საქართველოში, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის შესახებ ლიტერატურა და კვლევებიც მწირია.

მიზანი და ამოცანები

კვლევის ძირითადი მიზანია შევაფასოთ საზოგადოების როლი და მნიშვნელობა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საქართველოში და იმ პრობლების გამოაშკარავება, რომელიც ხელს უშლის საზოგადოების წარმატებულ მონაწილეობას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად, დასახული იქნა შემდეგი ამოცანები:

- გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების როლის შესწავლა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ევროპისა და ყოფილი სსკ ქვეყნებში;
- არსებული ეროვნული და საერთაშორისო საკანონმდებლო ბაზის შესწავლა საზოგადოების მონაწილეობისათვის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- კვლევის მეთოდისა და ინსტრუმენტების შერჩევა (კითხვარი და ინტერვიუ);
- კითხვარების შედგენა;
- ინტერვიუებისათვის კითხვების მომზადება;

- არასამთავრობო გარემოსდაცვითი ორგანიზაციების შერჩევა კითხვარების საშუალებით;
- რესპოდენტთა შერჩევა ინტერვიუებისათვის;
- კვლევის პროცესში მიღებული ძირითადი და მეორადი მონაცემების შეგროვება;
- კვლევის მონაცემების ანალიზის მეთოდის შერჩევა;
- კვლევის მონაცემების ანალიზის საფუძველზე ჰიპოთეზების ფორმულირება, შეფასება და რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის მეცნიერული სიახლე

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 12 არასამთავრობო გარემოსდაცვითმა ორგანიზაციამ და 50 როგორც ქართველმა, ისე საერთაშორისო ექსპერტმა საზოგადოების სხვადასხვა ფენებიდან, კერძოდ სამთავრობო – გარემოსდაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, გარემოსდაცვისა და ბუნებრივი რესურსების საპარლამენტო კომიტეტის წარმომადგენლებმა, აკადემიური ინსტიტუციების წარმომადგენლებმა, გარემოსდაცვის როგორც ეროვნულმა, ისე საერთაშორისო ექსპერტებმა, გარემოსდაცვის სპეციალისტებმა, აქტივისტებმა, გარემოსდაცვის არასამთვრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, ფინანასისტებმა, ჟურნალისტებმა და ზოგადად სამოქალაქო საზოგადოების გამორჩეულმა წევრებმა. კვლევაში ჩართულები იყვნენ როგორც თბილისის, ისე რეგიონალური ორგანიზაციები და ექსპერტები. მსგავსი მასშტაბური კვლევა, სადაც გარემოსდაცვითი ორგანიზაციების გარდა, მონაწილეობა მიეღოთ საზოგადოების სხვადასხვა ფენებს, დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის პერიოდში არ ჩატარებულა. კვლევის მეთოდად შერჩეული იქნა კვლევის ყველაზე ინტელექტუალური მეთოდი – თვისებრივი მეთოდი, რომელიც მკვლევარისგან მოითხოვს კვლევის სპეციფიკაციების, ღრმა ანალიზის უნარს და ინტელექტს.

კვლევის შედეგად შემუშავებული დასკვების საფუძველზე შემუშავებული იყო რვა რეკომენდაცია არა მარტო გარემოსდაცვითი არასამთვრობო სექტორისათვის, არამედ სამთავრობო და ბიზნესს სექტორებისთვისაც და საქართველოში მოქმედი უცხოური ფონდებისთვის.

წინამდებარე დისერტაციის განხორციელებისათვის მადლობას მოვახსენებ ჩემს ხელმძღვანელს ***ლია მაჭავარიანს*** კვლევის პროცესში მეცნიერული მიდგომების ჩამოყალიბებისას გაწეული დახმარებისათვის, ***რუსუდან ინწკირველს*** და ***ნაირა ნარიმანიძეს*** ტექნიკური პრობლემების მოგვარებისას დახმარებისათვის.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადაუხადო გარემოსდაცვით ექსპერტებს, მეცნიერებს, გარემოსდაცვითი არასამთავრობო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს, აქტივისტებს – ***ირაკლი შავგულიძეს, მანანა ქოჩლაძეს, ნინო ჩხობაძეს, რეზო გეთიაშვილს, თინათინ მაღედანს, ქეთი ცხკაიას, იზოლდა მაჭუტაძეს, ზაზა გოხელაშვილს, ხათუნა სიჭინავას, ჯონდო ადუაშვილს, თინათინ არველაძეს, ელენე შატბერაშვილს, ნუგზარ მელაძეს, ანა გაბრიაძეს, ანა ტრაპაიძეს, ქეთი წერეთელს, ნანა მეფარიშვილს, ილია ოსეფაშვილს, ლადო კურდღელაშვილს, ირაკლი მაჭარაშვილს, გიორგი ძამუკაშვილს, რამაზ გოხელაშვილს, ნინო ჭელიძეს, თამარ მთვარელიძეს, ნატო კირვალიძეს, მედგარ ჭელიძეს, ნატა ფერაძეს, ალექსანდრე რუსეცკის, ასლან ჭანიძეს, გია ანდღულაძეს, სალომე ჟვანიას, მარი მიქოიანს, თამარ თაველიძეს, კოტო ერისთავს, თეა ბარბაქაძეს, მარიამ მიროტაძეს, ბარბარე ბენაშვილს, ლევან ბუთხუზს, ბესო აბაშიძეს, თამარ ცირეკიძეს, მერაბ ბარბაქაძეს და კობა ყალიჩავას, უცხოელ კოლეგებს – მადგა დოტს და ალტინაი ვალიხანოვას,*** გარემოსდაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავჯდომარეს ***მაია ბითაძეს,*** კომიტეტის თავჯდომარის მოადგილეს – ***ხათუნა წილოსანს*** და ამავე კომიტეტის წევრს – ***სალომე სამადაშვილს***, გარემოს-დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამშრომლებს – ***ნინო გოხელაშვილს*** და ***ლიკა ფხოველაშვილს***, რადგანაც მათი თანადგომის და გულისხმიერების გარეშე კვლევა ვერ ჩატარდებოდა. მხარდაჭერისათვის დიდი მადლობა ჩემს მეგობრებს – ***თამრიკო ასათიანს, გია მუხაშავრიას, მაია სიგუას, მანანა სურაძეს, მაკა ბედინეიშვილს, თინიკო ერისთავს, ნანა ხატიაშვილს*** და ***მაია ჯალაბაძეს;***

და ბოლოს ჩემს ოჯახს – ***დედას, ქეთის, მარას*** და ჩემს შვილს – ***დათის***.

თავი 1. კვლევის დიზაინი და მეთოდები

1.1. კვლევის დიზაინი

კვლევის დიზაინი მოიცავს იმ ძირითად ასპექტებს, რომელთა საშუალებითაც ხდება კვლევის მიზნებისა და დასახული ამოცანების განხორციელება.

კვლევა მოიცავს მკაცრად განსაზღვრულ დიზაინს, რომელიც შემდეგი ეპატებისაგან შედგება:

- პრობლემის განსაზღვრა
- კვლევის მიზანი და ამოცანების ჩამოყალიბება
- ლიტერატურის გაცნობა
- კვლევის მეთოდის შერჩევა
- მონაცემთა შეგროვება
- მონაცემთა დამუშავება/ანალიზი

მოძიებულ ლიტერატურ წყაროებზე დაყრდნობით, წინამდებარე ***კვლევის ჩატარების აუცილებლობა*** განპირობებული იყო იმ ფაქტით, რომ 2016-2023 წლებში (და არც 10-20 წლების განმავლობაში) არ ყოფილა შესწავლილი ქართული გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციები და მათი როლი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

კვლევის ძირითადი მიზანია შევაფასოთ საზოგადოების როლი და მნიშვ-ნელობა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საქართველოში გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების შესწავლით არსებული საკანონმდებლო ბაზის ფონზე და სხვადასხვა სამიზნე/დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით. ***კვლევის ამოცანები*** იყო იმ პრობლების გამოაშკარავება, რომელიც ხელს უშლის საზოგადოებას წარმატებულ მონაწილეობას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. კვლევის მონაცემების ანალიზის საფუძველზე მოხდა ჰიპოთეზების ფორმულირება, შეფასება და რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის მეთოდად შერჩეული იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდი, რადგანაც თვისებრივი კვლევის დიზაინი კვლევის პროცესში იხვეწება და მოდიფიკაციას განიცდის. ამ მიზეზით, თვისებრივი კვლევის დიზაინს „ინტერაქციულსაც“ უწოდებენ (Maxwell, 2013). ეს მეთოდი საშუალებას იძლევა ბუნებრივ გარემოში,

უშუალო კონტაქტის გზით, ადამიანების სრული და სიღრმისეული მიდგომების დაფიქსირება მათი რწმენის, გამოცდილებისა და მოვლენებისადმი დამოკიდებულებების მიხედვით (წულაძე, 2020). Miles &Huberman`s (1994) აზრით, თვისებრივი კვლევის მეთოდი ყველაზე უპრიანია თეზისებისათვის. და ბოლოს, როგორც თქვა ამერიკელმა სოციოლოგმა დონალდ კენპბელმა "ნებისმიერ კვლევას, საბოლოო ჯამში, თვისებრივი საფუძველი აქვს".

1.2. მონაცემთა შეგროვება

მონაცემთა შესაგროვებლად, კვლევის ინსტუმეტებად შერჩეული იქნა ორი ფორმა: კითხვარი და ინტერვიუ.

1.2.1. კითხვარი

კითხვარი, კვლევის დროს, ეხმარება მკვლევარს მუდმივად ახსოვდეს ის საკითხი, რასაც სწავლობს და რა მიმართულებაზე აკეთებს აქცენტს (სოციოლოგიური კვლევა თვითმმართველობის საზოგადოებასთან სიახლოვის მონიტორინგი, 2018). კითხავარი გამოყენებული იქნა გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების შესასწავლად – ზუსტი და კონკრეტული პასუხების მისაღებად.

არასამთავრო გარემოსდაცვითი ორგანიზაციების შესარჩევად გამოყენებული იყო 2 კითხვარი. პირველი კითხვარის შევსებაში მონაწილეობა მიიღო 20 ორგანიზაციამ. პირველი კითხვარით შეირჩა ის 12 არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელმაც მოგვიანებით მიიღო მონაწილეობა კვლევაში. კითხვარები და მონაწილეთა შესახებ სრული ინფორმაცია იხილეთ დანართი 1-ში.

1.2.2. ინტერვიუ

რაც შეეხება ინტერვიუეს, რომელიც, გარდა იმისა, რომ თვისებრივი კვლევის ყველაზე გავრცელებული და ფართოდ გამოყენებადი მეთოდია, არის ასევე ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილიც. ჩვენ ხომ გამუდმებით ვეკითხებით ჩვენს ირგვლივ მყოფ ადამიანებს, მეგობრებს, ჩვენი ოჯახის თუ სამსახურის წევრებს სხვადასხვა საკითხებს მათ შესახებ და რაც, ფაქტობრივად, არაფორმალური ინტერვიუს ჩატარებას გულისხმობს. ინტერვიუს აღების დროს,

ყველაზე მნიშვნელოვანია რესპონდენტის ნდობის მოპოვება და გულწრფელობის „გამომწვევი“ გარემოს შექმნა (წულაძე, 2018). აღიარებული ფაქტია, რომ ინტერვიუებში მონაწილეებისაგან მიღებული ინფორმაცია ზოგჯერ უფრო მნიშვნელოვანი და ღირებულია, ვიდრე ლიტერატურული ან დოუმენტური მასალა. 1870 წელს პირველად ბრიტანელმა მეცნიერმა სერ ფრანსის გალტონმა გამოიყენა სტრუქტურირებული და არასტრუქტურირებული ინტერვიუს ტიპები. მოგვიანებით მკვლევარებმა (გრეშამი და ლოპეზი, 1996) ნახევრად სტრუქტურირებული ინტევიუს ტიპიც დანერგეს.

წინამდებარე კვლევისათვის შერჩეულ იქნა ნახევრად სტრუქტურირებული ტიპი, რადგან ის უფრო მოქნილია, და აძლევს მკვლევარს საშუალებას ადგილზე ამოიღოს, დაამატოს, შეცვალოს შეკითხვა, ჩაეკითხოს რესპოდენტს ან გადაუხვიოს მთავარი კითხვიდან, რათა მკვლევარის სპეციფიკური ინტერესებიდან გამომდინარე მიიღოს დამაკმაყოფილებელი პასუხი (Berg & Lune, 2012). ინტერვიუს აღების დროს, ყოველთვის არსებობს იმის საშიშროება, რომ რესპოდენტის მხრიდან ადგილი ჰქონდეს მიკერძოებას, ტენდენციურობას, შეკითხვაზე თავის არიდებას, საკითხისადმი სუბიექტურ მიდგომას, საკუთარი შეხედულებების თავს მოხვევას და სხვა (Shensul, Schensul, & LeCompte, 1999). სწორედ ეს მხარე იქნა გამოყენებული ჩვენს მიერ მიზნისა და დაბალანსებული შედეგის მისაღწევად, აგრეთვე შეძლებისდაგვარად მიღებული მონაცემებით ძირითადი არგუმენტების მხარდასაჭერად.

1.2.3. რესპოდენტთა შერჩევა

რადგანაც ჩვენი კვლევა იყო თვისებრივი, რესპოდენტების შერჩევა მიზანმიმართულად ხდებოდა, ანუ შერჩევის დომინანტურ ფორმად მიზნობრივი შერჩევა იყო არჩეული (Berg&Lune, 2012). სწორედ მიზნობრივად მოხდა რესპონდენტების შერჩევა, რადგანაც ზუსტად მათი მოსაზრებები გვაინტერესებდა. თვისებრივ მეთოდში რესპოდენტის შერჩევის კიდევ ერთი საკმაოდ გავრცელებული ტიპი, რომელიც ჯერ კიდევ ჩიკაგოს სკოლის კვლევებიდან იღებს სათავეს, „თოვლის გუნდის მეთოდია“, რომელსაც მეცნიერთა ერთი ნაწილი მიზნობრივი შერჩევის ნაირსახეობად მიიჩნევს (Patton, 2002), ხოლო მეორე ნაწილი შერჩევის

დამოუკიდებელ მეთოდად (Bernard, 2006). „თოვლის გუნდის მეთოდი“ გამოიყენება „რთულად ხელმისაწვდომი“ ჯგუფების/ინდივიდების საკვლევად, როდესაც ერთი რესპოდენტი გაკავშირებს მეორე რესპოდენტს, მეორე მესამეს და ასე შემდეგ. მეთოდს თავისი ნაკლიც აქვს, კერძოდ, რესპონდენტები მკვლევარს მათივე ან მსგავსი შეხედულებების მქონე ჯგუფებთან/ინდივიდებთან აკავშირებენ, თუმცა მოცემულ ჯგუფს მიღმა სამიზნე ჯგუფის წევრების წვდომა საკმაოდ რთულია. ეს მეთოდი გამოყენებულ იქნა პარლამენტისა და სამინისტროების წევრებთან, უცხოელ ექსპერტებთან ინტერვიუების დაგეგმვის დროს.

კვლევის დროს 50 ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ ჩატარდა. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 50-მა რესპონდენტმა სამთავრობო, არასამთავრობო, სამეცნიერო, საექსპერტო და სხვა სფეროს წარმომადგენლებმა. ინტერვიუებისათვის კითხვები წინასწარ მომზადდა რესპოდენტთა გამოცდილების შესაბამისად. ინტერვიებში მონაწილეთა სია და ინტერვიუს კითხვები მოცემულია დანართ 1 და 2.

ყველა ინტერვიუ ჩატარდა თბილისში. რეგიონალური ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და უცხოელ ექსპერთებთან ჩატარდა ელექტრონული ინტერვიუები WhatsApp, Messanger და Zoom პლატფორმების საშუალებით, რადგანაც კვლევის ჩასატარებლად ვერ იქნა მოპოვებული დაფინანსების წყაროები.

რესპოდენტების სურვილის შესაბამისად, ინტერვიურების დროს არ იყო გამოყენებული ჩამწერი მოწყობილობა, ელექტრონული ინტერვიურების დროსაც კი. ინტერვიუების ხანგრძლივობა მერყეობდა 45 წუთიდან 1.5 საათამდე და ამ პროცესს თვით რესპოდენტი და მისი სურვილი განსაზღვრავდა. გარდა უცხოელ რესპოდენტებთან ინტერვიუსი, ყველა დანარჩენი ინტერვიუ ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. უცხოელ რესპოდენტებთან ინტერვიუ ინგლისურ ენაზე მიმდინარეობდა, რომელიც შემდეგ ქართულ ენაზე ითარგმნებოდა (ინტერვიუების სრული ტექსტები იხილეთ დანართ 2).

1.2.4. მეორადი მონაცემები

კვლევის პროცესში მიღებული ძირითადი მონაცემების გარდა აუცილებელი გახდა მეორადი მონაცემების მოძიება. თსუ და საჯარო ბიბლიოთეკაში მოძიებული წიგნების გარდა, მოძიებული იყო ელექტრონული რესურსები – სამეცნიერო

სტატიები, ელ.-წიგნები, კონფერენციის მასალები, საკანონმდებლო აქტები და მთავრობის ბრძანებები, ბროშურები, გზამკვლევები, კვლევის ანგარიშები და ინტერნეტში არსებული ფოტო და ვიდეო მასალები.

მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოწოდება მოხდა რესპოდენტების მხიდანაც, რომელებიც ფლობდნენ ისეთ ინფორმაციას, რომელის მოძიებაც ზემოთ ხსენებული წყაროებიდან ვერ მოხერხდა. ეს ინფორმაცია იყო ძველი - სსრკ დროინდელი, ახალი ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი ან ნაკლებად ცნობილი მასალები.

1.2.5. კვლევის ვალიდობა

ვინაიდან მკვლევარი თავად არჩევს კვლევის ვალიდობის მექანიზმს, ჩვენს მიერ გამოყენებული იყო, ჯერ კიდევ 1923 წელს Ogden და Richards მიერ შექმნილი მონაცემთა ვალიდობის მეთოდი, რომელსაც ტრიანგულაციის მეთოდი ეწოდება. ეს მეთოდი დღესაც აქტიურად გამოყენება თვისებრივი კვლევის დროს (Maxwell, 2009). ტრიანგულაციის მეთოდის თანახმად სხვადასხვა წყაროდან მიღებული მონაცემების/ ინფორმაციის ჯვარედინი გადამოწმება ხდება, რათა მეტი ვალიდობა/ნდობა მიეცეს კვლევის შედეგებს და არგუმენტებს. კონკრეტულად, ინტერვიუებიდან მიღებულ მონაცემებს/ინფორმაციას/ფაქტებს ხშირად ვადარებდით დოკუმენტირებულ/ლიტერატურულ/არსებულ მონაცემებს და პირიქით. მეთოდი უტყუარია, მაგრამ დროში გახანგრძლივებული.

1.2.6. კვლევის მონაცემების ანალიზის მეთოდი

მონაცემების ანალიზი მოიცავს მასალის კლასიფიცირებას, შედარებას და კომბინირებას გარკვეული კანონზომიერებების გამოსავლენად, რომელიც ერთ ლოგიკურ ნარატივად ერთიანდება შესაბამისი დასკვნების გამოტანისას.

სოციოლოგები მონაცემების ანალიზის რამდენიმე ტიპს განიხილავენ და მკვლევარის გადასაწყვეტია, თუ კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ანალიზის რომელ ტიპზე შეაჩერებს არჩევანს. როგორც რობერტ უეისი აღნიშნავს, მონაცემების ანალიზი შესაძლოა იყოს ზოგადი ან კონკრეტული, ფოკუსიდან გამომდინარე კი – პრობლემაზე ან შემთხვევაზე ორიენტირებული. ამ ოთხი მახასიათებლის კომბინაციით შესაძლოა მივიღოთ ანალიზის სხვადასხვა ტიპი, თუმცა უნდა

გვახსოვდეს, რომ ანალიზი, საბოლოო ჯამში, პრობლემაზე ფოკუსირდება და ნაკლებად – კონკრეტულ შემთხვევაზე. მეცნიერები ძირითადად პრობლემაზე ფოკუსირებულ ზოგად ანალიზს იყენებენ, შემთხვევაზე ფოკუსირებულ კონკრეტულ ანალიზს კი უფრო ხშრად ჟურნალისტები (Weiss, 1994).

მონაცემების ანალიზი, ძირითადად, ოთხ ეტაპს მოიცავს: კოდირება, კატეგორიზაცია, ლოკალური ინტეგრაცია და ინკლუზიური ინტეგრაცია.

მონაცემების კოდირება ინტერვიუს მასალიდან საკვანძო ცნებების და იდეების ამოღებას და მათ მოკლე შეჯამებას გულისხმობს. ***მონაცემების კატეგორიზაცია*** კი იმ ინფორმაციის შეკრებას გულისხმობს, რასაც რესპონდენტები ამ ცნებებისა და საკითხების შესახებ აღნიშნავენ. ანალიზის მომდევნო ეტაპი უფრო სიღრმისეული ხასიათისაა და თავდაპირველად მონაცემების ***ლოკალურ ინტეგრაციას*** ახდენს, ანუ თითოეული კოდის ქვეშ თავმოყრილი ინფორმაციის ანალიზსა და ინტერპრეტაციას, ხოლო შემდეგ – ***ინკლუზიურ ინტეგრაციას,*** ანუ ინფორმაციის ცალკეული ამონარიდის ერთმანეთთან მიმართებაში ანალიზს, ინტერპრეტაციას და ერთ ლოგიკურ ნარატივად გაერთიანებას (წულაძე, 2018). წინამდებარე კვლევაში, მონაცემთა ანალიზისათვის, ზემოთ აღწერილი მოთოდია გამოყენებული.

1.2.7. კვლევის შეზღუდვები

მთავარ შეზღუდვად საერთაშორისო მივლინენებების არარსებობა შეიძლება მოიაზრებოდეს. თსუ და საჯარო ბიბლიოთეკების წიგნსაცავები, სამწუხაროდ, არ გამოირჩევიან უახლესი გარემოსდაცვითი ლიტერატურის სიჭარბით. მეტი ინფორმაციის მოძიების მიზნით, საერთაშორისო მივლინების დროს, საინტერესო იქნებოდა სამეცნიერო წრეებთან და პრაქტიკოსებთან შეხვედრებიც.

მეორე შეზღუდვად შეიძლება რეგიონალური შეხვედრები ჩაითვალოს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ადგილობრივ არასამთავრობო, სახელმწიფო თუ უბრალოდ საზოგადოების წარმომადგენლებთან, მაგალითად, ნამახვანის ჰიდროელექტრო სადგურის მშენებელობასთან დაკავშირებით მოკვლევის ჩატარება ადგილზე.

თავი 2. საზოგადოების მონაწილეობა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში – ცნებები და მიდგომები

2.1. ძირითადი ცნებები და მიდგომები

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის მთავარი მიზანია უზრუნველყოს სამთავრობო უწყებების, კერძო ორგანიზაციების, საზოგადოებრივი ინტერესების ჯგუფებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაცემების, ინფორმაციების და მიდგომების პროდუქტიული გამოყენება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესის გაუმჯობესების მიზნით. „საზოგადოება ნიშნავს ერთ ან მეტ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს და ეროვნული კანონმდებლობის ან პრაქტიკის შესაბამისად, მათ ასოციაციებს, ორგანიზაციებს ან ჯგუფებს“ (Aarhus Convention, 1998).

„დაინტერესებული საზოგადოება“ ნიშნავს საზოგადოებას, რომელსაც ეხება ან შესაძლოა შეეხოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღება, ან რომელიც დაინტერესებულია გარემოს დაცვის სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობით; არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ხელს უწყობენ გარემოს დაცვასა და პასუხობენ ეროვნული კანონმდებლობის ყველა მოთხოვნას, განიხილებიან როგორც დაინტერესებული სუბიექტები (Aarhus Convention, 1998).

„საზოგადოების მონაწილეობა“ შეიძლება განისაზღვროს, როგორც უწყვეტი, ორმხრივი კომუნიკაციის პროცესი, რომელიც გულისხმობს საზოგადოების მიერ პროცესების და მექანიზმების სრულ გაგებას, რომლის საშუალებითაც გადაწყვეტილების მიმღები ორგანოები წყვეტენ გარემოსდაცვით პრობლემებს. ეს პროცესი მოიცავს – საზოგადოების სრულ ინფორმირებას პროექტის, გეგმის, პროგრამის ან პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მიმდინარეობის და შეფასების მდგომარეობის შესახებ (ბითაძე, 2021). ეს პროცესი მოიცავს ასევე ყველა დაინტერესებული მოქალაქისგან მოსაზრებების, პრეფერენციების/ალტერნატიული განვითარების ან მართვის სტრატეგიებთან ნებისმიერი სხვა ინფორმაციის შეგროვებას; და ასევე საზოგადოების სხვადასხვა კატეგორიების ჩართულობას. „საზოგადოების მონაწილეობა“, როგორც ორმხრივი კომუნიკაციის პროცესი, მოიცავს როგორც ინფორმაციის მიწოდებას, ასევე უკუკავშირს. პირველი ნიშნავს, რომ

ინფორმაცია მიედინება გადაწყვეტილების მიმღები პირებიდან საზოგადოებაში და მეორე, საზოგადოება უზრუნველყოფს ინფორმაციით გადაწყვეტილების მიმღებ პირებს (Carter, 1995).

გარემოსდაცვით გადაწყვეტილების მიღებაში საზოგადოების მონაწილეობის უფლებები ეფუძნება სხვადასხვა კონსტიტუციურ უფლებებს, კონკრეტულ გარემოსდაცვით კანონებს, მათ შორის გარემოზე ზემოქმედების შეფასებას (გზშ), ლიცენზირებას, ნებართვას, მიწათსარგებლობის დაგეგმვას ან ადმინისტრაციულ კანონებსა და კოდექსებს და სხვ. (Wiesner, 1995).

საზოგადოების მონაწილეობა პროგრამის დაგეგმვისას გადამწყვეტი ელემენტია და პირდაპირ კავშირშია საზოგადოების მონაწილეობის ტექნიკის შერჩევასთან. არსებობს ათზე მეტი სხვადასხვა ტექნიკა საზოგადოების ინფორმირებისა და განათლების ან/და ინდივიდუალური კვლევის შესახებ ინფორმაციის მისაღებად. ყველაზე ხშირად გამოყენებული ტექნიკა არის საჯარო შეხვედრები, საჯარო მოსმენები (public hearings), საინფორმაციო ბროშურები, საკონსულტაციო შეხვედრები, მედია კონტენტის ანალიზი, საჯარო გამოსვლები და საინფორმაციო გადაცემები (ტელევიზია, რადიო და სხვა) .

საზოგადოების მონაწილეობის მიზნები შეიძლება იყოს ზოგადი და კონკრეტული. ძირითადად გამოყოფენ სამ ზოგად მიზანს: საზოგადოებასთან ურთიერთობა, საზოგადოების ინფორმირება და კონფლიქტების დარეგულირება (Carter, 1995).

საზოგადოების მონაწილეობა ხელს უწყობს გარემოსდაცვითი პრობლემის გადასაჭრელად მდგრადი გადაწყვეტილების მიღებას, მაგრამ ის მაინც ასოცირდება ხელისუფლების გარკვეულ რისკებთან და ხარჯებთან (Roberts, 1980).

2.2. გარემოსდაცვითი სამართლის ევოლუცია რიო-დან ორჰუსამდე

საჯაროობამ, დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობამ და საერთაშორისო სამართლის განვითარებამ ცხადყო, რომ სახელმწიფოს ვალდებულებაა მიაწოდოს საზოგადოებას ნებისმიერი სრულყოფილი ინფორმაცია, რომელიც საზოგადოების ინტერესს იწვევს, მით უმეტეს, თუ ინფორმაციის არ მიღებამ შესაძლებელია რისკი შეუქმნას ადამიანისა და გარემოს ჯანმრთელობას. რიო-დე-ჟანეიროს 1992 წლის

დეკლარაციის ძირითადი პრინციპები მოიცავს გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობას და ჯანსაღ გარემოში ცხოვრებას. მე-10 პრინციპის გარდა, დეკლარაცია მოიცავს დებულებების მთელ რიგს, სადაც გათვალისწინებულია საზოგადოების სხვადასხვა ტიპის ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში (Rio Declaration, 1992).

რიოს კონფერენციაზე მიღებული მდგრადი განვითარების პრინციპების შესახებ „21-ე საუკუნის დღის წესრიგის“ პრეამბულაში ასევე ჩადებულია სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. კერძოდ: „მდგრადი განვითარების მისაღწევად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა საზოგადოების ფართო წრეების აქტიური მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ამასთანავე, უშუალოდ მდგრად განვითარებასა და გარემოს დაცვას შორის ურთიერთკავშირმა დღის წესრიგში დააყენა საზოგადოების გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის ახალი ფორმების ჩამოყალიბება. ეს გულისხმობს ინდივიდების, ინდივიდთა ჯგუფებისა და ორგანიზაციების მონაწილეობას გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში, კერძოდ, მათი საცხოვრებელი და სამუშაო გარემოს ექსპლოატაციისას. აღნიშნული პირები შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოების მიერ უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ მათთვის საინტერესო ნებისმიერი ინფორმაციით, რომელიც შეეხება გარემოზე ზემოქმედებას და ზოგადად გარემოსდაცვით ღონისძიებებს“.

1997 წლის ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ანგარიშის თანახმად, ადამიანის ჯანმრთელობაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა გარემოებები – ეკოლოგიური ფაქტორების მავნე ზემოქმედება, კლიმატის ცვლილება და წყალმომარაგება. მავნე ზემოქმედება კი გამოირჩევა მაღალი მდგრადობით, რაც განსაკუთრებულ საშიშროებას წარმოადგენს. საბედნიეროდ, ბოლო წლებში პოზიტიური ტენდენცია შეიმჩნევა როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ დონეზე და გამოიხატება:

- საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაში;
- გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობაში;
- შესაძლო საფრთხის შესახებ ინფორმაციით უზრუნველყოფაში;

- ურთიერთთანამშრომლობაში სახელმწიფოს მხრიდან გარემოსა და ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის სფეროში მთელი საზოგადოების, კერძო და არასამთავრობო სექტორის მაქსიმალურად ჩართულობაში.

ჩართულობა მოიცავს ადამიანის საცხოვრებელი და სამუშაო გარემოს შესახებ სრული, დროული და ობიექტური ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

არსებობს ასევე სამართლებრივი ვალდებულებებიც, რომლებიც მოიცავს ინფორმაციის შეგროვების, გავრცელებისა და გაცვლის შესახებ დიალოგის დაწყებას სხვადასხვა სუბიექტებს შორის, რაც საზოგადოების გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობას და ზიანის ანაზღაურების ადეკვატური მექანიზმების დანერგვას უყრის საფუძველს.

1998 წელს ქალაქ ორჰუსში (დანია) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური კომისიის ეგიდით მიღებულია კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ. კონვენცია 40-მდე სახელმწიფომ, მათ შორის საქართველომ აღიარა და განსაზღვრა ადამიანის ეკოლოგიური უფლებების სამართლებრივი მნიშვნელობა.

ორჰუსის კონვენცია ადგენს: „გარემოსათვის ან ადამიანთა ჯანმრთელობისათვის ბუნებრივი ხასიათის, ან ადამიანთა ქმედებებით გამოწვეული რაიმე საფრთხის მოახლოების შემთხვევაში, ხელისუფლების ორგანოებმა თავიანთ განკარგულებაში არსებული მთელი ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდონ მოსახლეობას, რომელსაც შეიძლება ეს შეეხოს, რაც მას საშუალებას მისცემს მიიღოს ზომები მავნე ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად ან ზეგავლენის შესამცირებლად“ (ბითაძე, 2021).

2.3. ორჰუსის კონვენცია როგორც საზოგადოების მონაწილეობის გარანტია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში

1995 წელს სოფიაში ევროპის გარემოს დაცვის მინისტრთა მეოთხე კონფერენციაზე გადაწყდა კონვენციის შექმნა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და გარემოსდაცვით საკითხებში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შესახებ

(შემდგომში – კონვენცია). კონვენციის პროექტი მოამზადეს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, სახელწოდებით "არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიცია" (Coalition of NGOs).

კონვენციის ტექსტის მომზადების ორწლიანი პერიოდის ამოწურვის შემდეგ, ტექსტი ხელმოსაწერად წარედგინა მეოთხე პენ-ევროპულ გარემოსდაცვითი მინისტრების კონფერენციას, რომელიც 1998 წლის 23-25 ივნისს ქალაქ ორჰუსში, დანია, ჩატარდა. გარემოსდაცვითი პოლიტიკის კომიტეტმა (Environmental Policy Committee) სპეციალურ მოსამზადებელ სამუშაო ჯგუფთან (Special Preparatory Working Group) ერთად წარადგინა კონვენცია.

კონფერენციას 54 ქვეყნის დელეგაცია ესწრებოდა, საერთაშორისო ორგანიზა-ციები (მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციები), ბიზნესის, მასმედიის წარმომადგენლები და სხვ. კონვენციას ხელი მოაწერა 36 ქვეყანამ და ევროკომისიამ (Hyman-Hoffmeeister, 1999).

ორჰუსის კონვენცია ადგენს მოქალაქეთა მინიმალურ უფლებებს შემდეგ სამ სფეროში (ყალიჩავა, 2018):

უფლება ინფორმაციის ხელმისაწვდომაბაზე - კონვენციის თანახმად, მთავრობა უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი ინფორმაციის შეგროვებას და გავრცელებას; ყველა მოქალაქეს აქვს უფლება მოითხოვოს და მიიღოს ასეთი ინფორმაცია.

უფლება გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობაზე - საზოგადოების წარმომადგენლებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ გარემოსდაცვით საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ანუ, ნებისმიერი ქმედება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გარემოს მდგომარეობის გაუარესება, ექვემდებარება საჯარო განხილვას და საზოგადოების მონაწილეობას.

უფლება მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაზე - კონვენცია უფლებას აძლევს მოქალაქეებს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მიმართონ ადმინისტრაციულ ორგანოებს და სასამართლოს.

ნახ. 1. *ორჰუსის კონვენციის უფლებები*

კონვენციის მოკლე შინაარსი:

ორჰუსის კონვენცია, ყველაზე ახალი საერთაშორისო დოკუმენტია, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადიებისა და გარემოსდაცვითი ორგანიზაციების როლს მომავალი თაობებისათვის ჯანსაღი გარემოს შესანარჩუნებლად (ბითაძე, 2021)

ა. კონვენცია შექმნილია იმისთვის, რომ დაიცვას დღევანდელი, მომავალი თაობის და თითოეული ადამიანის უფლება იცხოვროს ჯანმრთელ გარემოში. ის ითვალისწინებს ქმედებებს სამი მიმართულებით:

- საჯარო ხელისუფლების ხელთარსებული ინფორმაციისადმი საზოგადოების ხელმისაწვდომობის უფლებას;
- საზოგადოების მონაწილეობის ხელშეწყობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის პირობების გაფართოებას.

ბ. კონვენცია „საზოგადოება“-ს განმარტავს როგორც ერთ ან ერთზე მეტ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს და, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, მათ ასოციაციებს, ორგანიზაციებს ან ჯგუფებს.

გ. კონვენციის მხარეები იღებენ ვალდებულებას გამოიყენონ ჩამოთვლილი დებულებები და, შესაბამისად, უნდა:

- მიიღონ აუცილებელი საკანონმდებლო, მარეგულირებელი და სხვა ღონისძიებები;
- ხელი შეუწყონ საზოგადოების გარემოსდაცვითი განათლებისა და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას;
- უზრუნველყონ გარემოს დაცვის ხელშემწყობი ასოციაციების, ორგანიზაციების ან ჯგუფების აღიარება და მხარდაჭერა.

დ. კონვენცია ადგენს ზუსტ უფლებებსა და მოვალეობებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, მათ შორის ინფორმაციის მიწოდების ვადები და საფუძვლები, თუ ხელისუფლებამ უარი თქვა გარკვეული სახის ინფორმაციის წვდომაზე.

ე. ინფორმაციის მიწოდებაზე უარის თქმა შეიძლება სამ შემთხვევაში:

- საჯარო ორგანო არ ფლობს მოთხოვნილ ინფორმაციას;
- მოთხოვნა აშკარად არაგონივრული ან ზედმეტად ზოგადი ფორმით არის ფორმულირებული;
- მოთხოვნა ეხება დასრულების პროცესში მყოფ მასალას.

ვ. მოთხოვნებზე ასევე შეიძლება უარი თქვას ხელისუფლების წარმოების კონფიდენციალურობის, ეროვნული თავდაცვისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების შენარჩუნების, მართლმსაჯულების განხორციელების ან კომერციული და სამრეწველო ინფორმაციის, ინტელექტუალური საკუთრების უფლებებისა და პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით. თუმცა უარის ყველა ეს საფუძველი უნდა იქნას განმარტებული, ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებული საჯარო ინტერესების გათვალისწინებით. უარის თქმის შემთხვევაში უნდა იყოს მითითებული უარის თქმის მიზეზები და უნდა იყოს მიუთითებული გასაჩივრების რა ფორმები არის ხელმისაწვდომი.

ზ. ხელისუფლების ორგანოები უნდა ფლობდნენ და ანახლებდნენ მათ კომპეტენციაში არსებულ გარემოსდაცვით ინფორმაციას; უნდა შეიქმნას საჯაროდ ხელმისაწვდომი სიები, რეესტრები და ფაილები. ხელი უნდა შეეწყოს ელექტრონული ბაზების გამოყენებას, რომელიც შეიცავს ანგარიშებს გარემოს მდგომარეობის, კანონმდებლობის, ეროვნული გეგმებისა და პოლიტიკის და საერთაშორისო კონვენციების შესახებ.

თ. კონვენციის მეორე ნაწილი ეხება საზოგადოების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ეს უზრუნველყოფილია კონვენციაში ჩამოთვლილი გარკვეული კონკრეტული საქმიანობების (ძირითადად სამრეწველო ხასიათის) ავტორიზაციის პროცედურის მეშვეობით. საზოგადოების აზრი საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული.

ი. საზოგადოებას უნდა ეცნობოს გადაწყვეტილების მიღების პროცედურის დასაწყისში შემდეგი:

ა) შემოთავაზებული საქმიანობა და განაცხადი, რომელზეც იქნება მიღებული გადაწყვეტილება;

ბ) შესაძლებელი გადაწყვეტილებების ხასიათი ან გადაწყვეტილების პროექტი;

გ) ხელისუფლების ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია გადაწყვეტილების მიღებაზე;

დ) გათვალისწინებული პროცედურა იმის ჩათვლით, თუ როდის და როგორ იქნება ეს ინფორმაცია მოწოდებული;

ე) პროცედურული ვადები უნდა იყოს გონივრული და უზრუნველყოფდეს საზოგადოების მონაწილეობას.

კ. შეიქმნას გამარტივებული პროცედურა გარემოსდაცვითი გეგმების, პროგრამებისა და პოლიტიკის შემუშავებისთვის.

ლ. კონვენცია ასევე მოუწოდებს მხარეებს ხელი შეუწყონ საზოგადოების მონაწილეობას აღმასრულებელი რეგულაციებისა და ზოგადად მოქმედი იურიდიულად სავალდებულო ნორმატიული ინსტრუმენტების მომზადების პროცესში, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ გარემოზე.

მ. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, ყველა პირს, რომელიც გრძნობს, რომ ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე უფლება დაირღვა (მათი მოთხოვნა ინფორმაციის იგნორირებაზე, არასწორად უარყოფილ ან არაადეკვატურ პასუხზე) აქვს უფლება მოითხოვოს ინფორმაცია ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად ან მიმართოს სასამართლოს.

ნ. მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა ასევე დაშვებულია კერძო პირების და ხელისუფლების ქმედებებთან ან უმოქმედობასთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტისთვის, რომლებიც ეწინააღმდეგება გარემოსთან დაკავშირებული ეროვნული კანონმდებლობის დებულებებს (Aarhus Convention, 1998).

„ორჰუსის კონვენციას შეუძლია დაიწყოს ახალი კულტურის შექმნა, რომელიც დაფუძნებულია გამჭვირვალობაზე, ღია დებატებზე და მოქალაქეების პასუხიმგებლობლობის გაზრდაზე დემოკრატიული ღირებულებების დასაცავად“ (Hontelez, 1998).

2.4. საზოგადოების მონაწილეობა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში – დადებითი და უარყოფითი მხარეები

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა დაკავშირებულია როგორც დადებით ასევე უარყოფით მხარეებთან.

დადებითი მხარეები

საზოგადოების აქტიურმა მონაწილეობამ შეიძლება გამოიწვიოს პირდაპირი, კოლექტიური ქმედება და გარემოს უკეთ დაცვა. საზოგადოების მონაწილეობა ასევე ლეგიტიმაციას უწევს კოლექტიურ ქცევას. სხვადასხვა ჯგუფების ჩართულობა

განაპირობებს მეტ რესურსს გადაწყვეტილების მიღების პროცესში და გადაწყვეტილების პროცესიც ეფექტურად ხორციელება. საზოგადოების ჩართულობას გარემოსდაცვითი რესურსების მართვაში ეწოდება თანამმართველობა. არსებობს მთელი რიგი საერთაშორისო ინიციატივები, რომლებიც ფოკუსირებულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის გაზრდაზე. ბევრი აქტივობა ფოკუსირებულია ინსტიტუტების რეფორმირებაზე, რათა უფრო ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელი იყვნენ საზოგადოების წინაშე. ინიციატივები ასევე ფოკუსირებულია საზოგადოების პასუხისმგებლობის გაზრდასა და განვითარებაზე (Bryden, 1997).

არსებობს საზოგადოების მონაწილეობის რამდენიმე სახეობა, რომელსაც შეუძლია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესის ინიცირება (Bryden, 1997):

- საზოგადოებრივი აზრის დაფიქსირება;
- საზოგადოების ინტერესებზე მორგებული სამოქმედო პროგრამების შექმნა;
- უფლებამოსილების დეცენტრალიზაცია – მიზნად ისახავს გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაზარებული ადამიანების აზრის მაქსიმალურად გათვალისწინებას;
- საზოგადოების მონაწილეობის გაზრდა – მიზნად ისახავს გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალობას და ყველა იმ ადამიანის ჩართულობას, რომელსაც ეხება მოცემული გადაწყვეტილება;
- ლოკალური პრობლემის ცოდნა და სტრატეგიის შემუშავება – რადგანაც ადგილობრივებმა უკეთ იციან პრობლემის არსი და უკეთესად შეუძლიათ სტრატეგიის შემუშავება.

საზოგადოების წარმატებულმა მონაწილეობამ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადამიანებს საშუალება მისცა მონაწილეობა მიიღონ მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ეს ასევე არის იმ ადამიანების ლეგიტიმური ხმა, რომლებსაც ხშირად არ აქვთ პოლიტიკური ძალაუფლება, მაგრამ შეუძლიათ აიღონ პასუხისმგებლობა ლოკალურ თუ გლობალურ დონეებზე და ეფექტურად იმოქმედონ (Bryden, 1997).

გადაწყვეტილების მიღების პროცესებში საზოგადოების გარკვეული ჩართულობა ეხმარება გადაწყვეტილების მიმღებ პირებს რომ თავიდან აიცილონ უამრავი პრობლემა. საზოგადოების მონაწილეობა და კონსულტაციები შეიძლება დაეხმაროს პროექტის დაგეგმვას, გადაწყვეტილების მიღების გაუმჯობესებას და ასევე საზოგადოებაში წარმოქმნილი პრობლემების მოგვარებას. საზოგადოების ჩართულობას ასევე შეუძლია უზრუნველყოს პროექტის უფრო ეფექტური დაგეგმვა და ასევე პროექტთან დაკავშირებული წინააღმდეგობების მოგვარება (გაუთვალისწინებელი და ძვირადღირებული კომპენსაციები, პროექტის დაგვიანებით შესრულება, პროექტის გაუქმების ალბათობა და სხვა). საზოგადოების მონაწილეობას შეუძლია ხალხის ინფორმირება და განათლება შემოთავაზებული პროექტებისა და მათი პოტენციური შედეგების შესახებ. საზოგადოების მონაწილეობას ასევე შეუძლია შექმნას ღია, გულწრფელი და ორმხრივი კომუნიკაცია, რომელიც თავიდან აიცილებს დაპირისპირებას. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის სწორად შემუშავებულ და განხორციელებულ პროცედურას შეუძლია აამაღლოს საზოგადოების ნდობა პროექტისადმი და პოზიტიური ზემოქმედება იქონიოს (Roberts, 1980).

უარყოფითი მხარეები

რაც შეეხება უარყოფით მხარეებს, ბრაიდენი (Bryden, 1997) ასახელებს ორს. პირველი არის ის, რომ საზოგადოების მონაწილეობა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში შეიძლება იყოს იმედგაცრუებული და პოლიტიკურად საზიანოც კი, თუ ადამიანებს გადაწყვეტილების მიღების პასუხისმგებლობა დაეკისრებათ გადაწყვეტილების განხორციელების შესაბამისი უფლებამოსილების გარეშე.

ანალოგიურად, საზოგადოების ჩართულობის პროცესი შეიძლება წარიმართოს, თუ ადამიანებს მიეცემათ არაადეკვატური ინფორმაცია, მაგრამ გადაწყვეტილების მიღების პასუხისმგებლობა. მეორეც, საზოგადოება "არასდროს არის ჰომოგენური" და ექვემდებარება იგივე კლასობრივ, რასობრივ, სქესობრივ და სხვა ჯგუფებს. ამიტომ საზოგადოება არ უნდა იყოს შეცდომაში შეყვანილი და არ

უნდა ეგონოს, რომ საზოგადოების მონაწილეობის გაზრდით აუცილებლად იზრდება დემოკრატიული მონაწილეობა გარემოს დაცვის სფეროში.

საზოგადოების მონაწილეობის კიდევ ერთი მინუსი არის „საკითხების დაბნეულობის პოტენციალი“, რადგან შეიძლება ბევრი ახალი პერსპექტივა გამოჩნდეს. შესაძლებელია მცდარი ინფორმაციის მიღება, რომელიც გამოწვეულია მონაწილეთა ცოდნის ნაკლებობით. დამატებითი უარყოფითი მხარეები მოიცავს პროცესის შედეგების გაურკვევლობას, ასევე პროექტის პოტენციურ დაგვიანებას და პროექტის ხარჯების გაზრდას (Gundling, 1980).

თუმცა, „საზოგადოების მონაწილეობის სწორად დაგეგმილმა პროგრამამ არ უნდა გამოიწვიოს გადაწყვეტილების მიღების პროცესის დიდი შეფერხება (Canter, 1995). გარდა ამისა, მას შეუძლია მნიშვნელოვანი სარგებელი მოუტანოს როგორც მომხრეებს, ასევე დაზარალებულებს (Wood, 1995).

თავი 3. საზოგადოების მონაწილეობა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ევროპაში და განვითარებად ქვეყნებში

მთლიანად საზოგადოების ან ცალკეული პირების ან არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესის დაწყებისთანავე უზრუნველყოფს საზოგადოების სრულფასოვან მონაწილეობას და ასევე ხელს უწყობს გარემოს უკეთესს მენეჯმენტს და მდგრად განვითარებას (Porter & Brown, 1991).

3.1. საზოგადოების მონაწილეობა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში 2016-2023 წლებში აღმოსავლეთ, ცენტრალურ, დასავლეთ ევროპის, ყოფილი სსრკ და ზოგიერთ განვითარებად ქვეყნებში

გადაწყვეტილების მიმღებ პირთა უნარი გააუმჯობესონ მოქალაქეების მიერ პრობლემების გადაჭრის პროცესების გაგება, დაფიქსირება და მათი გადაწყვეტა, ხელს უწყობს საზოგადოების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა ამარტივებს გადაწყვეტილების მიღებას და უზრუნველყოფს მდგრადი გადაწყვეტილებების პოვნას. მოქალაქეთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და მოქალაქეთა მობილიზაცია არის საზოგადოების მონაწილეობის ნაწილი გადაწყვეტილების მიღების პროცესში (Chichua & Matchavariani, 2024).

სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა პოლიტიკის შემუშავებაში, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობა, არის ევროპაში მონაწილეობითი დემოკრატიის ძირითადი ელემენტი. ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის პრეამბულაში აღნიშნულია, რომ „მოქალაქეების უფლება მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ საქმეთა წარმართვაში არის ერთ-ერთი დემოკრატიული პრინციპი, რომელსაც იზიარებს ევროპის საბჭოს ყველა წევრი სახელმწიფო“ (Golubovich, 2021). თუმცა, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა თავისთავად არ იძლევა იმის გარანტიას, რომ მონაწილეობა

შედგება/განხორციელდება ან იქნება მნიშვნელოვანი. არსებობს მრავალი ბარიერი ეფექტური და წარმატებული საზოგადოების მონაწილეობისათვის (Chichua, 2023).

სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა არის მთავარი მიზანი მდგრადი განვითარებისა და გარემოსდაცვითი მიზნების მისაღწევად. მთავრობას მარტო არ შეუძლია გარემოს დაცვითი მიზნების შემუშავება – მას საზოგადოების მხარდაჭერა სჭირდება. საზოგადოების მონაწილეობა ზრდის მოქალაქეების პასუხისმგებლობას – ისინი აქტიურად მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში და უზრუნველყოფენ გადაწყვეტილების მიღების პროცესს ღირებული ინფორმაციით (განსაკუთრებით ადგილობრივ დონეზე). საზოგადოების მონაწილეობა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღებაში ნიშნავს როგორც მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ისე მოქალაქეთა მობილიზებას. გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა უნდა დააბანდონ რესურსები საზოგადოების მონაწილეობაში – უზრუნველყონ გადაწყვეტილების მიღების პროცესის როგორც გამჭვირვალობა, ისე ლეგიტიმაცია (Berry *et al.,* 2019).

ევროპული ინსტიტუტებისადმი მოქალაქეების დაბალი ნდობა განპირობებულია მოქალაქეების მონაწილეობის დაბალი დონით და გადაწყვეტილების მიღების პროცესის არაგამჭირვალობით. აუცილებელია მოქალაქეთა მონაწილეობისა და გამჭვირვალობის გაუმჯობესება ევროკავშირის დონეზე, რათა აღარ იყოს უნდობლობა ევროკავშირსა ერთი მხრივ, და მოქალაქეებსა და წარმომადგენლობით ორგანიზაციებს შორის, მეორე მხრივ. ამ უნდობლობის აღმოფხვრა შესაძლებელია მოქალაქეების მონაწილეობით ევროკავშირის პოლიტიკურ ცხოვრებაში, რაც პოლიტიკის დოკუმენტების შექმნასა და იმ „პოლიტიკაზეა“ დამოკიდებული, რომელსაც ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესისა და მრავალდონიანი დემოკრატიისკენ მივყავართ (Citizens' participation, 2016).

2020 წელს შეწყვიტა ფუნქციონირება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონარულმა გარემოსდაცვითმა ცენტრმა (Regional Environmental Center - REC) (ინტერვიუ #42, დანართი 2). იგი 1990 წელს დაარსდა შეერთებული შტატების, ევროკომისიის და უნგრეთის მიერ. REC იყო საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის მისია იყო დახმარება გაეწია: გარემოსდაცვითი საკითხების მოგვარებაში სამთავრობო, არასამთავრობო, ბიზნესის და სხვა გარემოსდაცვითი საკითხებით დაინტერესებული

ორგანიზაციებისათვის; მხარეებს შორის ინფორმაციის თავისუფალ გაცვლას და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის მხარდაჭერას. ცენტრმა 30 წელზე მეტი იარსება და ფასდაუდებელი სამსახური გაუწია კომუნისტური რეჟიმის შემდეგ აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის, ასევე ყოფილი სსრკ ქვეყნებს – სისტემატიურად ამზადებდა რა ანგარიშებს, კვლევებს, აწყობდა შეხვედრებს საზოგადოების მონაწილეობის შესახებ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

უახლესი სტატიები საზოგადოების მონაწილეობის შესახებ, მოიცავს ევროპის ომბუდსმენის საჯარო კონსულტაციებს გარემოს დაცვის საკითხებზე, სადაც სამოქალაქო საზოგადოებისა და ინდუსტრიის წარმომადგენლებთან დაბალანსებულ ურთიერთქმედებაზეა საუბარი (European Ombutsman, 2023), ასევე შედარებით ანალიზს აშშ-ს გარემოსდაცვითი კანონების, ერთიანი ევროკავშირისა და კონკრეტულად ნიდერლანდების კანონებს შორის. როგორც ჩანს, აშშ-ს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა უფრო ხშირად აძლევს საზოგადოებას უფლებას მონაწილეობა მიიღოს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებებში, ვიდრე ევროკავშირისა და ნიდერლანდების (Akerboom & Craig, 2022).

არასამთავრობო ორგანიზაციების კოორდინაციისა და თანამშრომლობის ერთ-ერთი მაგალითი შეიძლება იყოს, როდესაც არასამთავრობო ორგანიზაციები ერთობლივად რეაგირებენ ეკოლოგიურ კატასტროფებზე და ახორციელებენ სამაშველო ოპერაციებს (Sohrabizadeh *et al.,* 2023).

ჩინეთში, არასამთავრობო ორგანიზაციებმა შექმნეს მონაწილეობის ახალი სისტემა, რომელიც შესაბამისობაშია სახელმწიფო განვითარების სტრატეგიებთან (Wang & Lo, 2022)

ყაზახეთში, აგროეკოტურიზმის წარმატებული და მდგრადი განვითარება, განაპირობა საზოგადოების ჩართულობამ და თანამშრომლობამ დაინტერესებულ მხარეებს შორის (Ostapenko & Bryantsev, 2023).

წარმატებული მაგალითები საზოგადოების მონაწილეობისა გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოიცავს საზოგადოების ჩართულობას სხვადასხვა აღმასრულებელ დონეზე (Adams *et al.,* 2021), გარემოსდაცვით მართლმსაჯულებაში (Finewood *et al.,* 2023) და ინფორმაციის შეგროვებას

დაზარალებული საზოგადოებისაგან გადაწყვეტილებების მისაღების დასაგეგმად (Muller 2022; Tiwari 2023).

უცხოელი ინვესტორების მიერ განხორციელებული მიწის ფართომასშტაბიანი პროექტები დაეხმარა განვითარებად ქვეყნებს, როგორიცაა ტანზანია, მიეღწიათ ეკონომიკური განვითარებისათვის სწორედაც რომ საზოგადოების მონაწილეობით გადაწყვეტილების მიღების პროცესში (Nkansah-Dwamena, 2021).

გერმანიაში მოქალაქეებს, ბიზნესს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და სხვა ინიციატივებს შესაძლებლობა ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ დაგეგმვის პროცესში ადრეულ ეტაპზე. დისკუსია და სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა ონლაინ რეჟიმში, სადაც გამოიკვეთა პრობლემები და მათი გადაჭრის გზები. ამ გზით სენატის ადმინისტრაციასა და მოქალაქეობას შორის შედგა დიალოგი (A Guide to Environmental, 2019).

პორტუგალიაში, საზოგადოების მონაწილეობით გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხდება ამ ინფორმაციით უზრუნველყოფა რითაც გადაწყვეტილების მიმღები პირები აქტიურად სარგებლობენ (Environmental Implementation, 2019).

ორი მეცნიერი (Chompunth, 2016; Matchavariani, 2020) ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებაში საზოგადოების მონაწილეობის იგნორირებამ შეიძლება გარემოსდაცვითი პრობლემები შექმნას და ეჭვქვეშ დააყენოს შემოთავაზებული პროექტის განხორციელება და მდგრადობა.

„საქმეში გრიმკოვსკაია უკრაინის წინააღმდეგ (2012 წლის შემთხვევა), სასამართლომ ორჰუსის კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა დაადგინა ხელისუფლების მხრიდან მომჩივნისა და საზოგადოების ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის უზრუნველყოფის განუხორციელებლობის გამო. სასამართლომ, პირველ რიგში, აღნიშნა, რომ ქალაქში საავტომობილო გზის დაგეგმვას წინ არ უძღოდა ადეკვატური კვლევები, რომლებიც შეაფასებდა გარემოსდაცვით სტანდარტებს და დაინტერესებულ პირებს საშუალებას მისცემდა, დაეცვათ თავიანთი ინტერესები. სასამართლომ ასევე გააკრიტიკა ინფორმაციაზე საზოგადოების ხელმისაწვდომობის შეზღუდვა, რომელიც უზრუნველყოფდა საზოგადოების ინფორმირებულ, კვალიფიციურ მონაწილეობას“ (ყალიჩავა, 2018)

სრულყოფილი გარემოსდაცვითი კანონმდებლობა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასთან პოზიტიურ კავშირშია (Stef & Ashta, 2023).

Antidze (2013) და Chompunth (2020) აღწერენ არაეფექტურ თანამშრომლობას საზოგადოებასა და სამთავრობო ორგანოებს შორის და გარემოსდაცვითი ცნობიერებისა და განათლების დაბალ დონეს, როგორც ბარიერებს საზოგადოების ეფექტური მონაწილეობისათვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ადგილობრივი ხელისუფლების ბიუჯეტებზე მზარდი ზეწოლა განიხილება, როგორც ინოვაციური დაფინანსების ფორმა, რომელიც ხელს უწყობს გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესებას (Miyagawa *et al.,* 2021). არასამთავრობო ორგანიზაციების ეფექტურობა, გრძელვადიანი სტაბილურობა და საზოგადოებაში კარგი რეპუტაცია პირდაპირ კავშირშია არასამთავრობო ორგანიზაციების ფინანსურ მდგრადობასთან (Mikeladze, 2021). თუმცა, თანამედროვე პროფესიულ არასამთავრობო ორგანიზაციებში ჰყავთ ძირითადად ანაზღაურებადი პერსონალი და არა მოხალისეები და მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებული დონორებზე (Paturyan, 2023).

2023 წლის 21 ოქტომბერს ბელარუსში ძალაში შევიდა ცვლილებები კანონში "ადგილობრივი თვითმმართველობისა და თვითმმართველობის შესახებ", რომელმაც კანონმდებლობით განსაზღვრა ადგილობრივ დონეზე სამოქალაქო ინიციატივების სახელმწიფო მხარდაჭერის მექანიზმი (CSO Meter Info, 2023).

3.2. ორჰუსის კონვენციის განხორციელების ანგარიში – როგორც საზოგადოების მონაწილეობის შეფასების დოკუმენტი

საბედნიეროდ, 1998 წელს მიღებული ორჰუსის კონვენციის განხორცილების ანგარიშები ყველაზე სრულფასოვანი და ზუსტი ინფორმაცია აღმოჩნდა საზოგადოების მონაწილეობის შესახებ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში აღმოსავლეთი და დასავლეთი ევროპის, ასევე ყოფილი სსრკ ქვეყნებში (და არა მარტო).

როგორც გაეროს ყოფილი გენერალური მდივანი კოფი ანანი წერდა, „ორჰუსის კონვენცია არის ყველაზე ამბიციური წამოწყება გარემოსდაცვითი დემოკრატიის სფეროში, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით განხორციელდა. მისი მიღება მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო

საერთაშორისო სამართლის განვითარებაში, რადგან ის ეხება მონაწილეობით დემოკრატიას და მოქალაქეთა გარემოსდაცვით უფლებებს. მისი ძალაში შესვლა დღეს, მისი მიღებიდან მხოლოდ სამი წლის შემდეგ, კიდევ ერთი მტკიცებულებაა ხელმომწერი მხარეების მიერ იმ ვალდებულებების შესრულების აუცილებლობაში – მათ შორის აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოების, რომელთა როლი ამ პროცესში ნათლად აჩვენებს, რომ გარემოსდაცვითი უფლებები არ არის მხოლოდ მდიდარი ქვეყნების ფუფუნების საგანი“ (UNECE, 2011).

ორჰუსის კონვენცია არ არის მხოლოდ გარემოსდაცვითი შეთანხმება, ის ასევე არის კონვენცია მთავრობის ანგარიშვალდებულების, გამჭვირვალობისა და რეაგირების შესახებ. იგი ანიჭებს მხარეებს არა მარტო უფლებებს, ასევე აკისრებს ვალდებულებებს და პასუხიმგებლობებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, საზოგადოების მონაწილეობისა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შესახებ ადგილობრივ, ეროვნულ და ტრანსსასაზღვრო გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე. უფრო მეტიც, ორჰუსის კონვენცია ასევე აყალიბებს ახალ პროცესს საზოგადოების მონაწილეობისთვის მოლაპარაკებებში და საერთაშორისო ხელშეკრულებების განხორციელებაში (UNECE, 1998).

ორჰუსის კონვენციის პრინციპების ქმედებაში მოყვანის მიზნით, ეუთოს ეკონომიკური და გარემოსდაცვითი საქმიანობის კოორდინაციის ოფისმა (OSCE Economic and Environmental Activities (OCEEA)) 2002 წელს დაიწყო ორჰუსის ცენტრების შექმნა. პირველი ორჰუსის ცენტრი ერევანში, სომხეთში დაარსდა. დღეს ორჰუსის 50 ცენტრი 15 ქვეყანაში და ოთხ რეგიონში მდებარეობს:

- სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა: ალბანეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, მონტე-ნეგრო, ჩრდილოეთ მაკედონია და სერბეთი;
- აღმოსავლეთ ევროპა: ბელარუსი, მოლდოვა და უკრაინა;
- სამხრეთ კავკასია: სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო;
- ცენტრალური აზია: ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი და თურქმენეთი (Aarhus Centers, 2022).

ამჟამად ორჰუსის კონვენციას 47 მხარე ჰყავს. ორჰუსის კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად, მხარეები კონვენციის განხორციელების ეროვნულ ანგარიშებს ამზადებენ. ეროვნულ ანგარიშებზე დაყრდნობით მზადდება სინთეზური ანგარიში.

სულ მომზადდა ექვსი ციკლი: 2005, 2008, 2011, 2014, 2017 და 2021 წლებში (UNECE, 2005).

მხარეები გაყოფილი არიან სამ ქვერეგიონებად:

- აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, კავკასია და ცენტრალური აზია;
- ევროკავშირის ქვეყნები, ისლანდია, ნორვეგია, შვეიცარია და დიდი ბრიტანეთი;
- სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა.

3.2.1. ორჰუსის კონვენციის განხორციელების მეექვსე ციკლის ანალიზი

2021 წლის ანგარიში აჯამებს 38 ეროვნულ ანგარიშს (47-დან) კონვენციის განხორციელების მეექვსე საანგარიშგებო ციკლში (2017–2020) (Synthesis Report on the Status of Implementation of the Convention, 2021).

2021 წლის ანგარიშის მიხედვით, ორჰუსის კონვენციის მხარეებმა (მოგვიანებით მხარეები) განაცხადეს, რომ ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და საზოგადოების მონაწილეობასთან დაკავშირებით უმეტეს ასპექტებს არეგულირებდნენ. ამავდროულად, მხარეები განაგრძობენ მუშაობას მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობასა და საზოგადოების მონაწილეობასთან დაკავშირებით. ზოგადი დაბრკოლებები, რომლებიც ხშირად აფერხებენ კონვენციის სრულ და ეფექტურ განხორციელებას, მოიცავს საჯარო ინსტიტუტების ნაკლებად ინფორმირებულობას, ფინანსურ შეზღუდვებს, ადამიანური და ტექნიკური რესურსების ნაკლოვანებას, ან ამ რესურსების დაბალ ხარისხს; ასევე აღნიშნავენ სხვადასხვა გარემოსდაცვით ორგანოებს, სამთავრობო ორგანოებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საზოგადოებას შორის კოორდინაციის ნაკლებობას.

ეროვნულ ანგარიშებზე დაყრდნობით, ყველა მხარემ თავისი ძალისხმევა აჩვენა კონვენციის განსახორციელებლად (აღმოსავლეთ ევროპის, ალბანეთი, ბოსნია და ჰერცოგოვინა, სერბია, ჩრ. მაკედონია, კავკასიის ქვეყნები). ზოგიერთმა ქვეყანამ (ნორვეგია) განახორციელა არაერთი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილება ეროვნულ კანონმდებლობაში კონვენციის დებულებების შესაბამისად.

აღმოსავლეთ ევროპის, ცენტრალური აზიისა და კავკასიის ქვეყნებში ბევრი გაკეთდა ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ინფორმაციის გავრცელებისათვის. მხარეების ნახევარმა ეტაპობრივად აღწერა ის ძალისხმევა, რაც საკანონმდებლო

პროცედურების გაუმჯობესებას საზოგადოების მონაწილეობის შესახებ მოხმარდა. თუმცა, მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა ბევრ ქვეყანაში სერიოზულ პრობლემად რჩება.

კონვენციის იმპლემენტაცია ევროკავშირში, ისლანდიაში, ნორვეგიაში, შვეიცარიასა და გაერთიანებულ სამეფოში საკმაოდ წარმატებულად მიმდინარეობს. სამწუხაროდ, მხოლოდ რამდენიმე ქვეყანამ განახორციელა საკანონმდებლო ცვლილებები საზოგადოების მონაწილეობის შესახებ (საქართველო, ბელარუსი, სომხეთი, უნგრეთი, გერმანია, რუმინეთი, კვიპროსი). სამხრეთ ევროპის ყველა ქვეყნის ანგარიშში აღნიშნულია განსაკუთრებული აქტიურობა ამ მიმართულებით. მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის შესახებ საკანონმდებლო ცვლილება არ განუხორციელებია ალბანეთს, თუმცა აღნიშნავს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გარემოსდაცვის საკითხებზე სასამართლო პროცესების დაწყებას. მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა სერიოზულ გამოწვევად რჩება ბელარუსში, ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთისა (სერბია, მაკედონია, ბოსნია და ჰერცოგოვინა) და ცენტრალური აზიის ქვეყნებში (ყაზახეთი, ყირგიზეთი). თუმცა პროგრესი შეიმჩნევა, რაც გამოიხატება ეროვნული საკანონმდებლო ბაზის კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანაში, ასევე შესაბამისი ინსტიტუციური და პრაქტიკული ღონისძიებების გატარებაში (ავსტრია, ჩეხეთი, ესტონეთი, გერმანია და სლოვენია).

კონვენციის საზოგადოების მონაწილეობის დებულებების განხორციელებასთან დაკავშირებით აღმოსავლეთ ევროპის, სამხრეთ კავკასიის, ცენტრალური აზიისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებში არაერთი საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა ამ მიმართულებით. ეს ცვლილებები მოხდა რამდენიმე მიმართულებით, როგორიცაა გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესი, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროცესი და გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემა. მიუხედავად ამისა, კონვენციის მხარეები აღნიშნავენ დაბრკოლებებს პრაქტიკაში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

კონვენციის მხარეები ევროკავშირიდან, ისლანდიიდან, ნორვეგიიდან, შვეიცარიიდან და გაერთიანებული სამეფოდან აგრძელებენ საზოგადოების მონაწილეობის პროცედურების სრულყოფას კონკრეტულ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, და ამავდროულად, აფართოებენ გადაწყვეტილებების მიღების

სფეროს და გადაწყვეტილების მიღების ეტაპებს, სადაც საზოგადოების ჩართულობა აუცილებელია. სულ უფრო მეტი კონვენციის მხარეები უზრუნველოფენ საზოგადოების მონაწილეობას გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურებში - სკრინინგის და სკოპინგის ეტაპებზე და ასევე გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის დოკუმენტის მიღებამდე. მხარეები (საქართველო, ბელარუსი, უნგრეთი, კვიპროსი, გერმანია, რუმინეთი) ცდილობდნენ უზრუნველყონ საზოგადოების მონაწილეობა:

- სამშენებლო და დაგეგმვის გადაწყვეტილებებში;
- ინტეგრირებულ გარემოს ნებართვები/ავტორიზაციებში;
- გადაწყვეტილებები გარემოს დაცვის ღონისძიებების შესახებ;
- გადაწყვეტილებები პროექტების ავტორიზაციის დროს;
- ბუნებისა და ლანდშაფტის დაცვის შესახებ;
- გადაწყვეტილებები ტყის მართვაზე;
- ბუნებრივი რესურსების ლიცენზირება;
- გადაწყვეტილებები სიცოცხლის გახანგრძლივების შესახებ;
- რადიოაქტიური ნარჩენების მენეჯმენტთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები.

ორჰუსის კონვენციის განხორციელების ეროვნული ანგარიშები აჩვენებენ, რომ ინტერსესიული პერიოდის განმავლობაში, განსაკუთრებით წინ წაიწია კონვენციის მე-7 მუხლის[1] განხორციელებამ. მხარეები ევროკავშირიდან, ისლანდიიდან, ნორვეგიიდან, შვეიცარიიდან და გაერთიანებული სამეფოდან აქტიურად მუშაობდნენ საზოგადოების მონაწილეობის პროცედურების სრულყოფაზე, და ამავდროულად პრაქტიკაში ამ პროცედურების განხორციელების გაუმჯობესებაზე როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ დონეზე. მთლიანობაში, გამოჩნდნენ მხარეები სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპიდან, რომლებმაც მიაღწიეს პროგრესს ამ მუხლის

[1] **მუხლი 7: საზოგადოების მონაწილეობა იმ გეგმებში, პროგრამებსა და პოლიტიკაში, რომელიც გარემოსთან არის დაკავშირებული.** ყოველი მხარე ვალდებულია მიიღოს შესაბამისი პრაქტიკული და/ან სხვა ზომები იმისათვის, რათა საზოგადოებამ გამჭვირვალე და სამართლიან ჩარჩოებში მიიღოს მონაწილეობა გარემოსთან დაკავშირებული გეგმების და პროგრამების შემუშავებაში და მიაწოდოს საზოგადოებას საჭირო ინფორმაცია. ამ ჩარჩოებში გამოიყენება მე-6 მუხლის მე-3, მე-4 და მე-8 პარაგრაფები. მონაწილე საზოგადოება მოზიდული უნდა იყოს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიერ, წინამდებარე კონვენციის ამოცანების გათვალისწინებით. მხარეებმა, შესაძლებლობის ფარგლებში, ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა საშუალება მისცენ საზოგადოებას, მონაწილეობა მიიღოს გარემოს დაცვასთან დაკავშირებული პოლიტიკის შემუშავებაში.

განხორციელებაში. აღმოსავლეთი ევროპისა და კავკასიის ქვეყნებშიც გვაქვს პოზიტიური მაგალითები მე-7 მუხლის განხორციელებასთან დაკავშირებით, თუმცა მკაფიო საკანონმდებლო და პროცედურული ნორმები აკლია ბევრ მხარეს (აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის, სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში). ამრიგად, საზოგადოების მონაწილეობის პროცედურები ჯერ კიდევ არ არის სისტემურად დანერგილი.

საერთო პროგრესი აღინიშნა კონვენციის მე-8 მუხლის[2] განხორციელებაში ევროკავშირში, ისლანდიაში, ნორვეგიაში, შვეიცარიასა და გაერთიანებული სამეფოს რეგიონში, ძირითადად პრაქტიკული ღონისძიებებით და არა საკანონმდებლო ინიციატივებით. უმრავლესი მხარეები აღმოსავლეთ ევროპიდან და კავკასიიდან აღნიშნავენ რომ საზოგადოებრივი კონსულტაციები მე-8 მუხლის მიხედვით მიმდინარეობს. თუმცა, გასხვავებული პრაქტიკული მიდგომები აღინიშნება.

2017-2020 წლებში გაიზარდა იმ მხარეების რაოდენობა, რომლებიც ხელს უწყობენ საზოგადოების მონაწილეობას საერთაშორისო მოლაპარაკებებში, არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობას ოფიციალურ დელეგაციებში, საზოგადოების აზრის დაფიქსირებას ოფიციალურ ღონისზიებებზე, სამინისტროების და სხვა ოფიციალურ ვებგვერდებზე ინფორმაციების განთავსებას საერთაშორისო გადაწყვეტილებების შესახებ.

მეექვსე ციკლის განმავლობაში კონვენციის იმპლემენტაციაზე გავლენა მოახდინა COVID-19 პანდემიამ. მხოლოდ ერთმა მხარემ (სომხეთი) აღნიშნა COVID-19 პანდემია, როგორც დაბრკოლება ეროვნული ანგარიშის მომზადებისას და საზოგადოების მონაწილეობისას ანგარიშის განხილვის დროს. COVID-19-ის

---

[2] **მუხლი 8: საზოგადოების მონაწილეობა აღმასრულებელი დებულებების და/ან საყოველთაოდ მისაღები სამართლებრივად სავალდებულო ნორმატიული დოკუმენტების შემუშავების პროცესში.** ყოველი მხარე ეცდება ხელი შეუწყოს საზოგადოების ეფექტურ მონაწილეობას გარკვეულ საფეხურზე, სანამ არჩევანის გაკეთება დაშვებულია სახელმწიფო ორგანოების მიერ იმ სავალდებულო ძალის მქონე აღმასრულებელი დებულებების და სხვა საზოგადოებისათვის მისაღები მასალების მომზადების პროცესში, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლიათ გარემოზე. ამისათვის აუცილებელია შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:

ა) ეფექტური მონაწილეობისათვის დადგენილი უნდა იქნეს საჭირო ვადები;

ბ) საჭიროა გამოქვეყნდეს ან სხვაგვარად გახდეს საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი კანონების პროექტები;

გ) საზოგადოებას უნდა მიეცეს შენიშვნების გაკეთების შესაძლებლობა უშუალოდ ან წარმომად-გენლობითი საკონსულტაციო ორგანოების მეშვეობით. საზოგადოების მონაწილეობის შედეგი შეძლებისდაგვარად იქნება მიღებული მხედველობაში.

პანდემიის დროს საჯარო განხილვები დისტანციურად ტარდებოდა, შენიშვნების შეგროვება წერილობით ან ელექტრონლად ხდებოდა.

3.2.2. სამომავლო რეკომენდაციები ორჰუსის კონვენციის განხორციელებისათვის საზოგადოების მონაწილეობის კუთხით

ორჰუსის კონვენციის 2017-2020 წლების ანგარიშმა გამოავლინა ხარვეზები, რომლის საფუძველზეც შემუშავდა სამომავლო რეკომენდაციები:

საზოგადოების მონაწილეობა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში:

1. საზოგადოების ადრეული, ინკლუზიური და ეფექტური მონაწილეობის უზრუნველყოფა, დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობა, დროული ინფორმირება და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისათვის გონივრული ვადების დაწესება;

2. ინსტიტუციური ან ორგანიზაციული ღონისძიებების გატარება საზოგადოების მონაწილეობის გასაუმჯობესებლად – საზოგადოების კომენტარები სრულად უნდა იყოს დაფიქსირებული საბოლოო გადაწყვეტილებაში, ასევე უნდა იყოს ასახული ის მიზეზებიც თუ რატომ იქნა მიღებული ეს გადაწყვეტილება, და ბოლოს საზოგადოებას უნდა ეცნობოს თუ როგორ იქნა მათი კომენტარები გათვალისწინებული;

3. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის სახეობებისა და ეტაპების გაფართოება (Synthesis Report on the Status of Implementation of the Convention, 2021).

კვლევის პერიოდში გამოაშკარავდა, რომ ვერც ორჰუსის კონვენციის ანგარიშებმა და ვერც ბოლო პუბლიკაციებმა ვერ შეძლეს ზუსტი და ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის შესახებ. ზოგიერთი ავტორი ურჩევს მკვლევარებს სამომავლოდ გააფართოონ კვლევის რადიოსი, რათა ერთობლივად მოხდეს პრობლემების გადაჭრა ევროპის (სამხრეთ ევროპის ქვეყნების ჩათვლით) ქვეყნებში (Suškevičs *et al.,* 2023).

3.3. „მწვანე“ არჩევნები ევროპაში

ბოლო საპარლამენტო არჩევნებზე გერმანიაში „მწვანეებმა“ მიაღწიეს ყველაზე დიდ წარმატებას. არჩევნებში, სადაც დომინირებდა კლიმატის ცვლილების საკითხები, პირველად „მწვანეთა“ კანდიდატი პირდაპირ იყო არჩეული ბავარიის წარმომადგენლად ფედერალურ პარლამენტში. „მწვანეებმა“ხმების 14.8% მოიპოვეს ქვეყნის მასშტაბით.

მწვანეთა პარტიებმა გაზარდეს ხმების წილი ევროპის 13 ქვეყანაში ბოლო ეროვნულ არჩევნებზე. მათგან ექვს ქვეყანაში (ავსტრია, ბელგია, ფინეთი, ირლანდია, ლუქსემბურგი და შვედეთი) მწვანე პარტიებს ძალაუფლება აქვთ კოალიციურ მთავრობებში.

ყველა ამ შემთხვევაში, „მწვანეები“ აიძულებენ თავიანთ პარტნიორებს მიიღონ უფრო ამბიციური გეგმები ნახშირბადის ემისიების შესამცირებლად. ამსტერდამისა და ბუდაპეშტის „მწვანე“ მერები მიზნად ისახავენ ნახშირბადის ნეიტრალიტეტს 2050 და 2030 წლისთვის შესაბამისად – დააბალანსონ სათბურის გაზები, რომლებიც გამოიყოფა და „შეიწოვება“ მათი ქალაქების მიერ.

შოტლანდიაში მწვანეთა პარტია ახორციელებს 33 მილიარდი ფუნტის (45 მილიარდი აშშ დოლარი) გეგმას დეკარბონიზაციისთვის.

სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, მწვანე პარტიების მხარდაჭერა ფრაგმენტულია ან არ არსებობს. კვლევები აჩვენებს, რომ კლიმატის ცვლილება შორს არის მთავარი პრიორიტეტისაგან პოსტკომუნისტურ/სსრკ ქვეყნებში, როგორიცაა პოლონეთი, ჩეხეთი და ლიტვა. ამომრჩევლები და პოლიტიკური პარტიები იქ, ზოგადად, უფრო მეტად არიან შეშფოთებული ეკონომიკური განვითარების ან მიგრაციის გამო, გარემოსდაცვით საკითხებს კი სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებს უტოვებენ.

ყოფილი საბჭოთა ბლოკის მრავალი სხვა სახელმწიფოსაგან განსხვავებით, მწვანე პარტიებმა უნგრეთში შეაღწიეს. მწვანე პარტიამ ზედიზედ სამ ეროვნულ არჩევნებში მოიპოვა მანდატები 2010 წლიდან. 2019 წელს ბუდაპეშტმა „მწვანე მერი“ აირჩია.

„მწვანე“ პოლიტიკა ევროპაში სულ უფრო ფართოვდება და ძლიერდება და იმედია გაიზრდება უახლოეს წლებშიც. ნიშანდობლივია, რომ დღეს ევროპის მწვანე

პარტიების მხარდაჭერა არის „მცოცავი და მზარდი“ სიმბოლო უნგრეთიდან ფინეთამდე (Nevett, 2021).

თუმცა, სლოვენიის ახალი მთავრობა ზღუდავს გარემოსდაცვითი ჯგუფების უფლებებს – გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ხელმისაწვდომობას მართმსაჯულებაზე (Petkovic, 2020).

თავი 4. ეროვნული და საერთაშორისო საკანონმდებლო ბაზა საზოგადოების მონაწილეობისათვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში

4.1. ეროვნული საკანონმდებლო ბაზა საზოგადოების მონაწილეობისათვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში საქართველოში

ლიტერატურული წყაროები მიუთითებენ, რომ უმეტეს შემთხვევაში, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, კანონმდებლობა გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ არის საზოგადოების მონაწილეობის საზომი. თუმცა, საზოგადოების ჩართულობის დონე, რომელიც ეჭვებს აჩენს ასეთი გადაწყვეტილებების სანდოობასა და მართებულობასთან დაკავშირებით განსხვავდება ქვეყნიდან ქვეყანაში. გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ისტორიული ჩართულობის ნაკლებობა და საკანონმდებლო “სისუსტეების რაოდენობა” კვლავ სერიოზულ გამოწვევად რჩება ახლად წარმოქმნილი დემოკრატიული სახელმწიფოების უმეტესობისათვის, როდესაც ძლიერი დემოკრატიული ღირებულებების მქონე ქვეყნები ამ კუთხით ბევრად დაწინაურებული არიან (Antidze, 2013).

4.1.1. საზოგადოების მონაწილეობის კონსტიტუციური უფლება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში

საქართველოს კონსტიტუციაში იყო უშუალოდ გარემოსთან დაკავშირებული უფლებები. 1995 წელს, საქართველოს „მწვანეთა მოძრაობის“ დიდი ძალისხმევით, საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლს დაემატა სამი პუნქტი (#3, #4 და #5).

საქართველოს კონსტიტუციაში, 2020 წლის ვარიანტის მიხედვით, კონსტიტუციის 29-ე მუხლით, საზოგადოებას გარანტირებული აქვს მონაწილეობა

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ ცხრილ 1.

ცხრილი 1. საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლი: გარემოს დაცვის უფლება, (საქართველოს კონსტიტუცია (1995), ვერსია 2020 წ.)

მუხლი 29.1.	ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი და საჯარო სივრცით. ყველას აქვს უფლება დროულად მიიღოს სრული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ. ყველას აქვს უფლება ზრუნავდეს გარემოს დაცვაზე. გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლება უზრუნველყოფილია კანონით.
მუხლი 29.2.	ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობა უზრუნველყოფილია კანონით

4.1.2. საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ და მოქალაქეთა უფლება-მოვალეობები

საქართველოს კანონი გარემოსდაცვის შესახებ 1996 წელს იქნა მიღებული. ეს არის პირველი გარემოსდაცვითი კანონი რომელიც დამოუკიდებელმა საქართველომ მიიღო სსრკ დაშლის შემდეგ. თავის დროზე ამ კანონზე აქტიურად მუშაობდა ქართული არასამავრობო გარემოსდაცვითი სექტორი და მათ შორის მეც – ამ კვლევის ავტორი.

მოქალაქეთა უფლებები და ვალდებულებები თავმოყრილია კანონის მესამე თავში, კერძოდ #6 და #7 მუხლებში. კანონის მეექვსე მუხლით მოქალაქეებს აქვთ უფლება იცხოვრონ ჯანმრთელ გარემოში, სარგებლობდნენ ბუნებრივი გარემოთი, მიიღონ დროული და სრული ინფორმაცია იმ გარემოს შესახებ, სადაც ცხოვრობენ და შრომობენ, გაერთიანდნენ გარემოსდაცვით ორგანიზაციებში და მიიღონ მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. გარდა ამისა, მოქალაქეებს შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს გარემისდაცვის საკითხებზე და მიიღონ კონპენსაციები.

კანონის მეშვიდე მუხლი ითვალისწინებს მოქალაქეთა ვალდებულებებს დაიცვას გარემო, გაუფრთხილდეს მას, იზრუნოს გარემოს დაცვაზე და გარემოს დაზიანების შემთხვევაში, მიმართოს კომპეტენტურ ორგანოებს.

4.1.3. საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ და საზოგადოების მონაწილეობის საკითხები გადაწყვეტილების მიღების პროცესში

1996 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „გარემოსდაცვითი ნებართვების შესახებ“, რომელშიც საქართველოში გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურა პირველად გაჩნდა და რომელიც ითვალისწინებდა ამ სფეროში ევროპული სამართლის ოცწლიან გამოცდილებას. 2007 წლიდან ეს კანონი გაუქმდა და ჩაანაცვლა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსმა“, რომელიც ძალაში 2017 წელს შევიდა. კოდექსი ასოცირების შეთანხმების გავლენით და ორჰუსის კონვენციასთან შესაბამისობაში შეიქმნა.

ახალი კოდექსი არეგულირებს სახელმწიფო ან კერძო საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომელთაგან ხორციელება შესაძლო მავნე ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე, ადამიანის სიცოცხლეზე და ჯანმრთელობაზე. კოდექსი მოიცავს გარემოზე ზემოქმედების შეფასების მომზადების პროცედურებს, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის საკითხს, ასევე ზუსტად და დეტალურადაა ჩამოყალიბებული სკოპინგისა (მუხლი #9) და სკრინინგის (მუხლი #7) პროცედურები და სხვა (ყალიჩავა, 2018). კოდექსი 8 თავს მოიცავს (ნახაზი 2).



ნახ. 2. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შემადგენელი თავები

საზოგადოებას უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში (მუხლი #30). ადმინისტრაციული ორგანო/ცენტრი ვალდებულია უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობა

ადრეულ ეტაპზე, საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობის შესახებ ინფორმაციის დროულად, ეფექტიანი და ადეკვატური საშუალებებით მიწოდება, უზრუნველყოს საზოგადოებისთვის დოკუმენტაციაზე ხელმისაწვდომობა, საჯარო განხილვაში საზოგადოების მონაწილეობა და მის მიერ მოსაზრებებისა და შენიშვნების წარდგენის შესაძლებლობა, საზოგადოების მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების, აგრეთვე საჯარო განხილვის შედეგების მხედველობაში მიღება, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და საზოგადოებისთვის მიწოდება (მუხლი #31). ინფორმაციის გავრცელება უნდა ხდებოდეს ადმინისტრაციული ორგანოს ოფიციალურ ვებგვერდზე, გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომ საინფორმაციო დაფაზე, გაზეთში, ვებგვერდზე და სხვადასხვა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, საჯარო განხილვები უნდა ხდებოდეს უახლოეს საჯარო ადგილას, ყველა დაინტერესებულ პირს აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა საჯარო განხილვებში და გამოთქვას მოსაზრება (მუხლი #32). კოდექსი უზრუნველყოფს ასევე ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას – საზოგადოების ეფექტიანი ინფორმირებისთვის საჭირო ინფორმაციის ფარგლებს, უზრუნველყოფს აღნიშნული ინფორმაციის გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე განთავსებას და ნაბეჭდი ეგზემპლარის ხელმისაწვდომობას (მუხლი #33). მოსაზრებებისა და შენიშვნების წარდგენას წერილობით, ზეპირად, საჯარო განხილვის დროს, ელექტრონული საშუალებით და სხვ., საზოგადოებას უნდა მიეწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია საჯარო განხილვის ჩატარების მიზნის, დროის, ადგილისა და წესის და საჭირო დოკუმენტაციის მიღების შესაძლებლობის შესახებ (მუხლი #34). საზოგადოების მონაწილეობის შედეგების გათვალისწინება სავალდებულოა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ (მუხლი 35), საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს უფლება აქვს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ამ კოდექსის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილება (მუხლი #36). გარდა ამისა (მუხლი #12) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება მოიცავს საზოგადოებისა და უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოების მონაწილეობას და საზოგადოებას უფლება აქვს, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე წარადგინოს მოსაზრებები და

შენიშვნები გზშ-ის ანგარიშთან, დაგეგმილ საქმიანობასა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გასათვალისწინებელ პირობებთან დაკავშირებით. და ბოლოს სააგენტო ვალდებულია გადაწყვეტილების გაცემის დროს ასახოს საზოგადოების მონაწილეობის პროცედურების განხორციელებისა და მის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების შესახებ (მუხლი #13) (Chichua & Matchavariani, 2024).

4.2. საერთაშორისო საკანონმდებლო ბაზა საზოგადოების მონაწილეობისათვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში

დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან, საქართველო არის საერთაშორისო გარემოსდაცვითი ხელშეკრულებების მხარე და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეროვნული პოლიტიკის ფორმულირების პროცესში. საქართველო არის გლობალური და რეგიონული გარემოსდაცვითი შეთანხმების, მათ შორის 19 კონვენციის, მათი ოქმების, დამატებების და შეთანხმებების მხარე (ცხრილი 2). ერთ-ერთი ასეთი ხელშეკრულება არის ორჰუსის კონვენცია. კონვენცია გავლენას ახდენს ეროვნულ დონეზე გარემოსდაცვით მმართველობაზე, ხელს უწყობს საქართველოში უკეთესი გარემოსდაცვითი დემოკრატიის განვითარებას, იცავს მოსახლეობის გარემოსდაცვით უფლებებს და წარმოადგენს გარემოსდაცვითი მმართველობის გაუმჯობესების სამომავლო გარანტიას (საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა, 2017-2021).

ცხრილი 2. კონვენციები, რომელთა მხარეც არის საქართველო

#	დასახელება	რატიფიცირების თარიღი
1	კონვენცია შავი ზღვის დაბინძურებისგან დაცვის შესახებ	1993
2	კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ	1994
3	გაეროს კლიმატის ცვლილების შესახებ ჩარჩო კონვენცია	1994
4	ოზონის შრის დაცვის შესახებ კონვენცია	1995
5	კონვენცია გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობათა საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ	1996
6	კონვენცია საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი ტერიტორიების შესახებ	1996
7	კონვენცია შორ მანძილებზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ	1999
8	ბაზელის კონვენცია სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო	1999

	გადაზიდვასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ	
9	გაეროს კონვენცია გაუდაბნოებასთან ბრძოლის შესახებ	1999
10	კონვენცია ველური ცხოველების მიგრირებადი სახეობების დაცვის შესახებ	2000
11	კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ (ორჰუსის კონვენცია)	2000
12	სტოკჰოლმის კონვენცია მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების შესახებ	2006
13	როტერდამის კონვენცია ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერე-ბებითა და პესტიციდებით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში წინასწარი დასაბუთებული თანხმობის პროცედურის შესახებ	2006
14	ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენცია	2008
15	ევროპის ლანდშაფტების კონვენცია	2010
16	შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკისა და ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით გარატიების გამოყენების თაობაზე	2003
17	კონვენცია ბირთვული ნივთიერებების ფიზიკური დაცვის შესახებ	2006
18	გაერთიანებული კონვენცია გამოყენებულ საწვავთან მოპყრობის უსაფრთხოებისა და რადიოაქტიურ ნარჩენებთან მოპყრობის უსაფრთხოების შესახებ	2009
19	კონვენცია ბირთვული ავარიის შემთხვევაში ადრეული შეტყობინების შესახებ	2010

წყარო: საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა, 2017-2021

4.2.1. ორჰუსის კონვენციის მეექვსე ეროვნული ანგარიში და საზოგადოების მონაწილეობა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საქართველოში-არსებული სიტუაციის ანალიზი

კონვენციის რატიფიცირება საქართველოს პარლამენტმა 2000 წელს მოახდინა. იგი სამ უფლებას მოიცავს, და მათ შორის საზოგადოების მონაწილეობის უფლებას გადაწყვეტიების მიღების პროცესში (იხ. თავი 1). რატიფიცირების შემდეგ, საქართველომ ექვსი ანგარიში მოამზადა. ორჰუსის კონვენციის განხორციელების მეექვსე ეროვნული ანგარიში მოამზადა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ (2021).

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ფუნდამენტურად გაუმჯობესებული სისტემა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანი მექანიზმები დანერგილია „საქართველოს

კანონი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად. შეიცვალა აქტივობები, რომლებიც ექვემდებარებოდა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას (გზშ), დაინერგა სკრინინგის და სკოპინგის პროცედურები, ასევე შეიქმნა მექანიზმები საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად სკრინინგში, სკოპინგის, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღებაში და სტრატეგიულ დოკუმენტებთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავებაში; სახელმწიფო ვალდებულია მიაწოდოს საზოგადოებას ინფორმაცია და მოაწყოს საჯარო განხილვები და ა.შ. (Chichua, 2023).

წლების განმავლობაში გავრცელებული იყო ინვესტორებთან ხელშეკრულებების გაფორმების „ტრადიცია“ ენერგეტიკულ პროექტებთან დაკავშირებით მემორანდუმების გაფორმების გზით. უმეტესწილად, სახელმწიფოს მიერ ინვესტორებთან გაფორმებული მემორანდმები განიხილებოდა სრულ ან ნაწილობრივ კომერციულ საიდუმლოდ, რომელიც არ აკმაყოფილებდა ინფორმაციისა და მონაცემთა გამჭვირვალობის სტანდარტებს.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ ამოქმედებიდან მაინც არის ზოგიერთი პრობლემა გადაუჭრელი და რეგულაციების ეფექტური აღსრულება კვლავ გამოწვევად რჩება. ეს განსაკუთრებით ეხება მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, რადგან ადამიანის უფლებების დარღვევის რისკი ყოველთვის მაღალია ასეთ პროექტებთან მიმართებაში და ამიტომაც ძალიან მნიშვნელოვანია მოქალაქეების ჩართულობის უზრუნველყოფა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ, როგორც წესი, მსხვილ პროექტებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს ახლავს ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური პროტესტი და სახელმწიფოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისადმი ნდობის ნაკლებობა. პრაქტიკა აჩვენებს, რომ მიუხედავად გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტების არსებობისა და საჯარო განხილვების ორგანიზებისა, უმეტესწილად, ლეგიტიმური კითხვები რჩება უპასუხოდ მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექ-ტებთან დაკავშირებით, კერძოდ, პროექტების ცალკეულ ასპექტებთან ან მათი განხორციელების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. საზოგადოება ჩვეულებრივ ეჭვქვეშ აყენებს ჩატარებული შეფასების სრულყოფილებასა და კვალიფიკაციას. პრობლემური საკითხების უმეტესობა მიუთითებს იმაზე, რომ მიუხედავად

არსებული საკანონმდებლო რეგულაციებისა, მთავარ გამოწვევად რჩება მოქალაქეებთან კომუნიკაცია დაგეგმილ ღონისძიებებთან დაკავშირებით ადრეულ ეტაპზე, საზოგადოებისათვის ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება და მათი ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

მაგალითად, ნამახვანის ჰესების კასკადის პროექტმა საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება 2020 წელს მიიპყრო. მოსახლეობა გასული წლის განმავლობაში აქტიურად და განუწყვეტლივ აპროტესტებდა პროექტის დაგეგმილ განხორციელებას. გარდა იმისა, რომ საწყის ეტაპზე პრობლემურია სათანადო ინფორმაციის მიწოდება და მოქალაქეების ჩართულობა, სამწუხაროდ სახელმწიფო დიდი ხნის განმავლობაში არ რეაგირებდა საპროტესტო აქციებზე, არ ატარებდა უწყვეტ, შედეგზე ორიენტირებულ, სიღრმისეულ ან ყოვლისმომცველი დიალოგი მოქალაქეებთან ან დაინტერესებულ მხარეებთან. ამგვარმა მიდგომამ გააფართოვა კრიზისი.

ამ შემთხვევამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ სახელმწიფო უწყებების გადაწყვეტილებები წლების განმავლობაში ვერ პასუხობდა საზოგადოების ლეგიტიმურ კითხვებს. როგორც წესი, საჯარო განხილვები მნიშვნელოვან საკითხებზე მოქალაქეთა შეკითხვებზე ამომწურავ ან დასაბუთებულ პასუხებს ვერ იძლევა. ეს კი, თავის მხრივ, გამოწვეულია გზშ დოკუმენტების ხარისხისა და ჩატარებული პროცედურებისადმი უნდობლობით. მნიშვნელოვანია სახელმწიფომ, პროცედურული მოთხოვნების დაცვით, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მოქალაქეების რეალურ მონაწილეობას და გამოიყენოს მათთან კომუნიკაციის ყველა ეფექტური საშუალება.

ნახ. 3. ნამახვანის ჰესის მშენებლობის ადგილი
წყარო: https://georgiatoday.ge/the-namakhvani-hpp-govt-and-enka-ready-for-constructive-talks-with-protesters/

ნახ. 4. საზოგადოების საპროტესტო აქცია ნამახვანის ჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით თბილისში
წყარო: https://agenda.ge/en/news/2021/1391

ნახ. 5. საზოგადოების საპროტესტო აქცია ნამახვანის ჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით საქართველოს სხვადასხვა ქალაქში
წყარო: https://oc-media.org/in_pictures/in-pictures-anti-dam-protesters-gather-in-kutaisi/

გზშ ანგარიშების ხარისხთან დაკავშირებული გამოწვევები ასევე პრობლემატურია ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. დაგეგმილი პროექტის მოსალოდნელი ზემოქმედების უსაფრთხოება და მასშტაბები, ალტერნატიული ვარიანტები და ადგილობრივი მაცხოვრებლების საკუთრებაზე ზემოქმედების ასპექტები, ძირითადად, მოსახლეობის და პროფესიონალების შეშფოთების საგანია. როგორც წესი, ძირითადი კითხვები ჩნდება იმიტომ, რომ აღნიშნული საკითხები არასწორად არის ასახული ან საერთოდ არ არის ასახული გზშ დოკუმენტებში; გარდა ამისა, ერთ-ერთი მთავარი კითხვა, რომელსაც, როგორც წესი, არ პასუხობს გზშ-ის დოკუმენტები, არის პროექტის ეკონომიურობა და შესაბამისად პროექტის განხორციელების მიზანშეწონილობა. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ გზშ ვერ აგვარებს რიგ მნიშვნელოვან საკითხს, ცხადია, რომ შეუძლებელია ამ მექანიზმით საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნის მიღწევა.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ ითვალისწინებს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებული აქტივობების ჩამონათვალს, რომლებიც წარმოდგენილია ორ დანართში, გარემოზე ზემოქმედების რისკებისა და ხარისხის გათვალისწინებით. დანართ 1-ში ჩამოთვლილი აქტივობები ექვემდებარება გზშ-ს გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების გამო; მე-2 დანართში ჩამოთვლილი აქტივობები ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას, რომელიც განსაზღვრავს გარემოზე ზემოქმედების მასშტაბის შეფასებით, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი აქტივობები გზშ-ს.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მიღება აახლოებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების საქმიანობას საერთაშორისო სტანდარტებთან, მაგრამ პრაქტიკა აჩვენებს, რომ გარემოსდაცვითი შეფასებას დაქვემდებარებული საქმიანობების ჩამონათვალი გადახედვას საჭიროებს. ზემოაღნიშნულ დანართებში განსაზღვრული საქმიანობის ზღვრული კრიტერიუმები რიგ შემთხვევებში საჭიროებს დახვეწას საქართველოს სპეციფიკისა და რეალობის გათვალისწინებით.

კიდევ ერთი მაგალითი, ურბანული განვითარების პროექტებისთვის 10 ჰექტარი ზღვრის დაწესება განაშენიანების ფართობით გაუმართლებელია; გასათვალისწინებელია, რომ დირექტივა 2011/92/EU საერთოდ არ აკონკრეტებს ურბანული განვითარების პროექტების ფართობს და ასევე საერთოდ არ აკონკრეტებს ტერიტორიას ურბანული განვითარების პროექტებისთვის.

გასათვალისწინებელია, რომ სკრინინგი არ ვრცელდება ქვიშა-ხრეშის მოპოვების სამუშაოებზე, რაც დაუშვებელია დადგენილი წესების დარღვევით ქვიშა-ხრეშის მოპოვებასთან დაკავშირებული რისკების გათვალისწინებით, ამასთან, ეწინააღმდეგება დირექტივის 2011/92/EU მოთხოვნას, რომელიც ითვალისწინებს სამშენებლო მასალების, მათ შორის ქვიშისა და ხრეშის ღია მოპოვების გზშ-ს საჭიროების შეფასების ვალდებულებას. ეს საკითხი საკმაოდ პრობლემურია საქართველოსთვის, რადგან მდინარეებიდან ინერტული მასალების მოპოვება ერთ-ერთი ინტენსიური საქმიანობაა და ზოგჯერ სრულიად უკანონოდ, გარემოზე ზემოქმედების შეფასების გარეშე ხორციელდება.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სკრინინგის პროცედურასთან დაკავშირებული რეგულაციებიც უნდა დაიხვეწოს, რადგან სკრინინგი არის ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი, რომელიც განსაზღვრავს გზშ-ს საჭიროებას, რაც თავის მხრივ დაკავშირებულია ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და საზოგადოების ჩართულობის რიგ მექანიზმებთან. ამჟამად კოდექსი ადგენს სკრინინგის პროცედურების ზოგად კრიტერიუმებს, მაგრამ არ ადგენს პროცედურებს სკრინინგის განაცხადების განხილვისა და გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს მიერ. სამწუხაროდ, ეს პროცედურები არ ითვალისწინებს წარმოდგენილი ინფორმაციის გადამოწმების აუცილებლობას. ეს, თავის მხრივ, ქმნის სკრინინგთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესის ფორმალური წარმართვის საფრთხეს. სკრინინგის პროცედურა ფოკუსირებული უნდა იყოს ოპერატორის მიერ მოწოდებული ინფორმაციის გადამოწმებაზე და ზემოაღნიშნულის სავალდებულო გახადოს საკანონმდებლო დონეზე, რათა საზოგადოებამ შეძლოს მონაწილეობა მიიღოს ყველა გადაწყვეტილებაში, რომელიც ეხება პროექტებს, რომლებიც პოტენციურად დაკავშირებულია მათ ლეგიტიმურ ინტერესებთან (Public Defender, 2021).

საქართველოში, საზოგადოების მონაწილეობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ენერგეტიკულ პროექტებთან მიმართებაში. გარდა ზემოაღნიშნული გამოწვევისა, აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს არ გააჩნია გრძელვადიანი სახელმწიფო ენერგეტიკული სტრატეგია. ენერგეტიკის დაგეგმვისა და განვითარებისთვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია შესაბამისი გრძელვადიანი პოლიტიკის შემუშავება. საერთაშორისო ვალდებულებებისა და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკის 10-წლიანი დოკუმენტი, რომელიც ჯერ არ მომზადებულა. ეს ვითარება, პირდაპირ კავშირშია ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან და გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭირვალობასთან.

ჯერ კიდევ გაურკვეველია, რა სარგებელს იღებს/მიღებს სახელმწიფო განხორციელებული პროექტებიდან და ბუნებრივია, როგორც წესი, განსაკუთრებით მწვავეა კითხვები ენერგეტიკულ პროექტებთან მიმართებაში, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ენერგეტიკის მშენებლობის უარყოფითი შედეგები და პროექტები, როგორც წესი, ფართომასშტაბიანია (ინტერვიუ #34, დანართი 2).

და ბოლოს, კოდექსმა უნდა შეცვალოს ზღვრული ინდიკატორები გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის I და II დანართებით გათვალისწინებული საქმიანობისთვის, ქვეყნის ტერიტორიისა და სხვა სპეციფიკის გათვალისწინებით, მათ შორის, ურბანული განვითარების პროექტებთან დაკავშირებული ინდიკატორის შემცირება/ გაუქმება, აგრეთვე ქვიშისა და ხრეშის მოპოვების საქმიანობასთან დაკავშირებით სკრინინგის პროცედურის დანერგვა.

გარდა ამისა, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში უნდა დაინერგოს პასუხისმგებლობა ყველა მუნიციპალიტეტში მტვრის წარმომქმნელი მასალების განთავსების, ტრანსპორტირების ან გადამუშავების წესების დარღვევისთვის.

რაც შეეხება ჰესების პროექტებს, პარლამენტის შესაბამისმა კომიტეტმა უნდა გააგრძელოს და განახორციელოს აქტიური და ეფექტური ზედამხედველობა ნამახვანჰესზე, მათ შორის, ნამახვანჰესის პროექტთან დაკავშირებით სამთავრობო უწყებების საქმიანობის შესწავლით და შესაბამისი დასკვნის გამოტანით. თითოეული შემთხვევისათვის უზრუნველყოს გზშ სისტემასთან დაკავშირებული რეგულაციების

ეფექტიანი აღსრულება და გზშ-ს ანგარიშების ხარისხთან დაკავშირებული გამოწვევების შესწავლა და საუკეთესო ეფექტიანი ღონისძიებების იდენტიფიცირება და მათ განსახორციელებლად ყველა საჭირო აქტივობის განხორციელება ხარისხის გაუმჯობესებისა და კონტროლის უზრუნველსაყოფად.

კონვენციის მე-7 მუხლის შესაბამისად უნდა შემუშავდეს საქართველოს კანონი „ენერგეტიკის შესახებ“ და ჩატარდეს ყველა საჭირო პროცედურა პარლამენტის მიერ მის დასამტკიცებლად (Public Defender, 2021).

4.3. საკანონმდებლო ინსტრუმენტები საზოგადოების მონაწილეობისათვის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში 2016-2023 წლებში

4.3.1. საპარლამენტო ფაზა

საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობის მთავარი მომწესრიგებელი აქტი არის საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი (2004). მას კანონის ძალა აქვს, განსაზღვრავს პარლამენტის უფლებამოსილებას, სტრუქტურასა და მუშაობის წესს.

რეგლამენტი ასევე მოიცავს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის მრავალ მექანიზს, მაგალითად ინფორმაციის მიწოდებას, დიალოგს და პარტნიორობას. თუმცა არა გააჩნია მოქნილი პლატფორმები კონსულტაციებისათვის.

საქართველოს პარლამენტში, მოქალაქეთა ჩართულობის მიმართულებით გადამწყვეტ როლს ასრულებენ კომიტეტები, მათი საქმიანობა რეგლამენტით არის განსაზღვრული და კომიტეტის საქმიანობის საჯაროობასა და გამჭვირვალობას მოიცავს, რაც საერთაშორისო პრაქტიკის კრიტერიუმებს აკმაყოფილებს. მაგალითად, კომიტეტის საჯარო სხდომები გადაიცემა პირდაპირი ტრანსლაციით, პარლამენტს გააჩნია ვებ-გვერდი და მედიის წარმომადგენლებს/მედია ორგანიზაციებს უფლება აქვთ დაესწრონ და გააშუქონ სხდომები.

სამწუხაროდ, სხდომებზე დასწრება არ არის საკმარისი, რადგანაც სიტყვის უფლება აქვთ მხოლოდ კომიტეტის თავჯდომარის ნებართვით. რეგლამენტი ასევე არ ითვალისწინებს საჯარო მოსმენების გამართვის შესაძლებლობას. კანონმდებლები

არ არიან ვალდებულნი, მოისმინონ მოქალაქეთა აზრი კენჭისყრის პროცედურის ჩატარებამდე, განიხილონ კომენტარები და აწარმოონ კონსულტაციები.

რეგლამენტი ასევე არ ითვალისწინებს მოქალაქეთა მიერ წერილობით წარდგენილი მოსაზრებების განხილვისა და მათზე უკუკავშირის ვალდებულებას, გარდა ერთი გამონაკლისისა (107-ე მუხლის მე-3 პუნქტი), როცა პარლამენტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ კანონპროექტთან/ცალკეულ მუხლებთან დაკავშირებით მოსაზრება/ შენიშვნა წარედგინება წამყვანი კომიტეტის თავმჯდომარეს, რომელიც „საჭიროების შემთხვევაში“ (გაურკვეველია ტერმინი – „საჭიროების შემთხვევაში, სამართლებრივად გაუგებარია, რატომ წყვეტდს კომიტეტის თავმჯდომარე, არ არსებობს ამ კომენტარების განხილვის ვალდებულება რეგლამენტში, არ არსებობს ამ კომენტარებზე უკუკავშირის ვალდებულება) კანონპროექტის კომიტეტის სხდომაზე განხილვისას გააცნობს მას კომიტეტის წევრებს. ვებ-გვერდზე კომენტარების წარდგენის სისტემა გაუმართავია, რაც განპირობებულია სამართლებრივი ნორმების არასრულყოფილებით და ვებ-გვერდის დაბალი ხარისხით (თავისუფლად შესაძლე-ბელია, მომხმარებელმა ის საერთოდ ვერ შეამჩნიოს).

წერილობით, ფურცელზე ან ზეპირსიტყვიერად მიწოდებულ კომენტარების კენჭისყრაზე დასაყენებლად, აუცილებელია, იგი წარდგენილი იყოს ალტერნატიული წინადადების სახით, რაც ზღუდავს მოქალაქეთა შესაძლებლობას მიიღოს მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. სამწუხაროდ, რეგლამენტი კანონიერად მხოლოდ შიდასტრუქტურულ მოსაზრებებს ცნობს (მუხლი 107, პუნქტი 11).

რეგლამენტი, ასევე არ ითვალისწინებს კომიტეტის სხდომაზე დამსწრე პირების სიტყვით გამოსვლის უფლების, მისი ხანგძლივობისა და პროცედურის რეგლამენტირებას, ელ-ფორმატში ან ინტერნეტ არხების გამოყენებით საკუთარი მოსაზრებების წარდგენას, მსჯელობას სხვათა კომენტარებზე და დისკუსიებს კანონმდებლებთან/დაინტერესებულ ჯგუფებთან.

რეგლამენტი ითვალისწინებს ისეთ ძალზედ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიცაა გასვლითი სხდომები. ასეთი სხდომების ჩატარების უფლება აქვთ საპარლამენტო კომიტეტებს, თუმცა გასვლითი სხდომები იშვიათად ტარდება, არ არსებობს ამის ინსტიტუციური გამოცდილება და გასამართია მექანიზმი.

რეგლამენტი შესაძლებლობას იძლევა შეიქმნას კომიტეტის სამუშაო, კომიტეტის სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შესაძლებელია შედიოდნენ პარლამენტის წევრები და შესაბამისი დარგის სპეციალისტები. ეს პროცესი იძლება დიალოგის საშუალებას საპარლამენტო კომიტეტებსა და საზოგადოებას შორის. იგივე შეიძლება ითქვას სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს შესახებაც.

რეგლამენტის 84-ე მუხლის თანახმად, პარლამენტის მუშაობის გაცნობის მიზნით, პლენარული სხდომის მიმდინარეობისას განსაზღვრული დროით, სხდომათა დარბაზში, სხდომის თავმჯდომარის თანხმობით დაიშვებიან საზოგადოების წარმომადგენლები. საქართველოს პარლამენტის საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფისათვის ასევე მნიშვნელოვანია მოქალაქეთა პარლამენტის სხდომაზე დასწრება და განხილვის პროცესზე წვდომის შესაძლებლობა.

საყურადღებოა კანონმდებლების მოქალაქეებთან კომუნიკაციის სტრატეგიის არარსებობაც. ცალკეული პარლამენტარი საკუთარი ინიციატივით ქმნის ოფიციალურ ვებ-გვერდებს, იყენებს სოციალურ ქსელებს, საკუთარი ხარჯებით ქირაობს საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტს ან ასაქმებს ასეთ ადამიანებს საკუთარ აპარატში, რათა წარმართონ კომუნიკაციები საზოგადოებასთან (მხეიძე, 2020).

4.3.1.1. კანონპროექტის განხილვის სტადიები

კანონშემოქმედებითი პროცესის უკეთ აღსაქმელად, ნახაზ 6-ში მოცემულია პარლამენტის მიერ კანონპროექტის განხილვის სტადიების სქემა.



ნახ. 6. კანონპროექტის განხილვის სტადიები
წყარო: https://idfi.ge/ge/guide/guide/

4.3.2. საკანონმდებლო ინიციატივა, წინადადება და პეტიცია

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი ითვალისწინებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის უფლებას საკანონმდებლო ინიციატივის, საკანონმდებლო წინადადებისა და პეტიციის წარდგენისას.

საქართველოს პარლამენტს აქვს შექმნილი სპეციალური ვებ-გვერდი – https://esignature.parliament.ge, სადაც საზოგადოების წარმომადგენლებს/მოქალაქეებს შეუძლიათ ელექტრონულად მოაწერონ ხელი საკანონმდებლო ინიციატივას ან წარადგინონ პეტიციები. საკანონმდებლო ინიციატივაზე ხელის მოწერა ასევე შესაძლებელია პირადად, სპეციალურად დადგენილი ფორმების საშუალებით (ინტერვიუ #39).

საკანონმდებლო ინიციატივა უნდა იყოს წარმოდგენილი როგორც კანონპროექტის (რეგლამენტის 127-ე მუხლი) სახით საინიციატივო ჯგუფის (არანაკლებ 5 წევრის შემადგენლობით) მიერ. ეს ჯგუფი უნდა დარეგისტრირდეს პარლამენტში, წარადგინოს სასურველი კანონპროექტი და მხოლოდ ამის შემდეგ პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი გადასცემს საინიციატივო ჯგუფს სარეგისტრაციო მოწმობას. მხოლოდ ამის შემდეგ კანონპროექტი პარლამენტის ვებ-გვერდზე განთავსდება. პარლამენტი არანაკლებ 25 000 ამომრჩევლის ინიციატივით წარდგენილ კანონპროექტს განიხილავს კანონპროექტის განხილვისათვის რეგლამენტით დადგენილი წესით (ინტერვიუ #39).

საკანონმდებლო წინადადების წარდგენის უფლება აქვთ: საქართველოს მოქალაქეებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, კანონით დადგენილი წესით საქართველოში რეგისტრირებულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ გაერთიანებებს, სხვა იურიდიულ პირებს. „საკანონმდებლო წინადადების წარდგენის ინსტიტუტი ძალზედ პროგრესული და დემოკრატიული ინსტრუმენტია გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობისათვის. იგი შესაძლებლობას იძლევა ნებისმიერმა მოქალაქემ, თუ დაინტერესებულმა ჯგუფმა პარლამენტს გაუზიაროს საკუთარი ხედვა საკანონმდებლო ცვლილებებისა თუ ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტის შესახებ. მეტიც, წინადადება განიხილება პარლამენტის ბიუროს სხდომაზე და მასზე მსჯელობენ საპარლამენტო კომიტეტები. თუ წინადადება ცნობილი იქნება მიზანშეწონილად, ის თავისუფლად შესაძლებელია იქცეს კანონად“ (მხეიძე, 2020)

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი მოქალაქეთა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართვისა და მონაწილეობითი დემოკრატიისათვის არის პარლამენტისათვის ***პეტიციის წარდგენის უფლება.*** პეტიციის განაცხადი წერილობით

ან/და ელექტრონულად წარედგინება პარლამენტის თავმჯდომარეს. პეტიციის ელექტრონულად წარსადგენად პირი ავსებს და კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ადასტურებს პარლამენტის ვებ-გვერდზე განთავსებულ, ელექტრონული პეტიციის ფორმას. პეტიციის ინსტრუმენტი სამართლებრივად საკმაოდ გამართულია (მხეიძე, 2020).

4.3.3. გადაწყვეტილების მიღების პროცესზე ზემოქმედების შესაძლებლობა – ლობირების მექანიზმი

საქართველოს აქვს კანონი ლობისტური საქმიანობის შესახებ. ის არეგულირებს ლობირებას, აწესებს ლობისტების რეგისტრაციის პროცედურებს, უფლებებსა და მოვალეობებს. ყველას, საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს აქვს უფლება დარეგისტრირდეს ლობისტად (გარდა საჯარო თანამდებობების, პარლამენტის წევრების, ნასამართლევი და დანაშაულის ჩამდენი პირებისა). პარლამენტში რეგისტრაციის შემდეგ, ლობისტებს შეუძლიათ თავისუფლად შევიდნენ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ადმინისტრაციულ შენობაში, შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ კანონპროექტის განხილვაში როგორც ღია, ასევე დახურულ (გარდა კანონით განსაზღვრული ცალკეული შემთხვევებისა) სხდომაზე, აქვთ სიტყვის უფლება კომიტეტის სხდომებზე, პირადად ხვდებიან საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენლებს.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების (სსო) წარმომადგენლები ძირითადად არ რეგისტრირდებიან ლობისტად და უპირატესობას ანიჭებენ ტრადიციულ საკანონმდებლო ადვოკატირებას. „მიუხედავად საკანონმდებლო წახალისებისა, ლობირებისა და ლობისტად დარეგისტრირებისა, სტატუსი ძირითადად უმოქმედოა, რადგან საქართველოს კანონმდებლობა იძლევა სხვა გარანტიებს (სამუშაო ჯგუფის საპარლამენტო მოსმენებში მონაწილეობა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და ა.შ.), რომლებიც გვთავაზობენ მსგავს ჩართულობას ამ სტატუსის გარეშე, ამიტომ ადამიანები ამჯობინებენ უშუალოდ ჩაერთონ საკანონმდებლო ადვოკატირებაში ლობისტის სტატუსის გარეშე. ადვოკატირება ცალსახად განსხვავდება ლობირებისგან და სსო-ებს აქვთ

თავისუფლება, არსებითად ჩაერთონ საკანონმდებლო ადვოკატირებაში ლობისტად რეგისტრაციის გარეშე“ (CSO Meter, 2021).

4.4. პარლამენტის გარემოსდაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის კომიტეტის ახალი ინიციატივა

პარლამენტის გარემოსდაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის კომიტეტი 2023 წლიდან აქტიურად მუშაობს კლიმატის ცვლილების კანონის მიღებაზე. შეიქმნა მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო. ამ პროცესების ჩარჩოში, კომიტეტმა პირველად დაიწყო კანონშემოქმედებითი პროცესის ახალი მიდგომის განხორციელება, რაც მოიცავდა „მწვანე და თეთრი წიგნების“ შემუშავების მექანიზმების დანერგვას.

მაია ბითაძემ, გარემოსდაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავჯდომარემ, ინტერვიუში განაცხადა (ინტერვიუ #45, დანართი 2), რომ კომიტეტმა წლის დასაწყისში საჯაროდ გამოაქვეყნა კლიმატის ცვლილების კანონის მწვანე წიგნი, რომელიც წარმოადგენდა ერთგვარ საკონსულტაციო დოკუმენტს, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფისგან შეხედულებებისა და მოსაზრებების წარდგენის მიზნით. ამავდროულად, გაიმართა ფართო საკონსულტაციო შეხვედრები თელავში, ქუთაისსა და თბილისში. საბოლოოდ, საჯარო კონსულტაციების შედეგად მიღებული პოზიციების ანალიზისა და შეჯერების საფუძველზე შეიმუშავეს თეთრი წიგნი, რომელშიც გათვალისწინებულია სამოქალაქო საზოგადოების მიერ წარმოდგენილი წინადადებები.

თეთრი წიგნი კლიმატთან დაკავშირებულ თითოეულ მნიშვნელოვან საკითხზე გვთავაზობს წინადადებას კანონში გასათვალისწინებლად და მოიცავს იმ პრინციპებს, რომელთა საფუძველზეც კლიმატის ცვლილების კანონი უნდა შემუშავდეს. კანონპროექტის საბოლოო ვარიანტის შემუშავებამდე კი გაიმართება თეთრი წიგნის საჯარო განხილვები, რათა საბოლოოდ იმ პრინციპებზე მოხდეს შეჯერება, რომლებიც კლიმატის ცვლილების კანონში უნდა აისახოს (ნახ. 7, 8).

ნახ. 7. საქართველოს კლიმატის ცვლილების თეთრი წიგნი
წყარო: ინტერვიუ #45, დანართი 2.



ნახ. 8. მწვანე და თეთრი წიგნების შემუშავების მექანიზმი
წყარო: ინტერვიუ #45, დანართი 2.

თავი 5. საზოგადოების მონაწილეობა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საქართველოში

5.1. შესავალი

1985-91 წლებში, სსრკ-ს ახალი ხელმძღვანელობის მიერ "პერესტროიკისა" და "გლასნოსტის" პოლიტიკის ლიბერალიზაციის შემდეგ, საქართველოში აქტიურად განვითარდა ეროვნული მოძრაობა, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა კავშირისგან საქართველოს გამოყოფას და კომუნისტური პოლიტიკური სისტემის განადგურებას. 1991 წლის 9 აპრილს, საქართველოს უზენაესმა საბჭომ, 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტზე დაყრდნობით, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა. ახალი საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა და განვითარების დემოკრატიულ პრინციპებს მისდევს, რაც გულისხმობს სამთავრობო, ბიზნეს და არასამთავრობო სექტორის მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში (Nodia, 1997).

საზოგადოების ეფექტური მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალი დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული განვითარების ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი იყო. საბჭოთა რეჟიმის ხანგრძლივმა პერიოდმა გამოიწვია ქვეყანაში საზოგადოების მონაწილეობის ტრადიციის არ არსებობა. საზოგადოების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, განსაკუთრებით გარემოსდაცვით პროცესში, იყო ახალი მიდგომა ქართული საზოგადოებისათვის. ქვეყანაში ახალი დემოკრატიული მიდგომების დამკვიდრება იყო საქართველოში არასამთავრობო სექტორის სწრაფი ზრდის მთავარი მიზეზი. მაშინ საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციების რაოდენობა დიდი იყო და მათი დიდი ნაწილი ეკოლოგიურ საკითხებს უკავშირდებოდა. გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების უმრავლესობას უამრავი პრობლემა შეექმნა, რომელთაგან ერთ-ერთი იყო არაეფექტური მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. საჭირო იყო არასამთავრობო სექტორის გადაუდებელი ჩართულობა საქართველოში გარემოსდაცვითი გამოწვევების მზარდი რაოდენობის გადასაჭრელად. ამ მიზნით, სასარგებლო და საინტერესო იყო ამ პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობის წახალისების ახალი გზების მოძიება (Chichua & Matchavariani, 2024).

1990-იან წლებში საქართველოში ახალი გარემოსდაცვითი კანონმდებლობა ითვალისწინებდა და ახალისებდა საზოგადოების მონაწილეობას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, მაგრამ არსებითი ხარვეზები მაინც იყო. კანონები არ ითვალისწინებდნენ დეტალურ პროცედურას და საზოგადოების მოსაზრებათა გათვალისწინება სავალდებულო არ იყო. ქვეყნის მომავალი განვითარება პირდაპირ კავშირში იყო რამდენიმე საერთაშორისო პროექტის განხორციელებასთან, რომელიც გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) პროცესს მოითხოვდა. იმ პერიოდში კანონმდებლობა გარკვეულ დებულებებს შეიცავდა გზშ-ში საზოგადოების მონაწილეობის შესახებ, მაგრამ საჭირო იყო ცალკე კანონის მიღება გზშ-ის შესახებ, განსაკუთრებული აქცენტით საზოგადოების მონაწილეობის პროცედურაზე.

ახალმა ათასწლეულმა გამჭვირვალობის დაბალი დონე მოიტანა საპარლამენტო და აღმასრულებელ ფაზებში. ქვეყანაში დემოკრატიის ნაკლებობასთან ერთად საზოგადოებას არ სურდა თანამშრომლობა გადაწყვეტილების მიმღებებთან (მთავრობა, ხელისუფლება და ა.შ.) და ასევე ერთმანეთთან გარემოსდაცვითი პრობლემების გადასაჭრელად, რასაც წარმატებული მონაწილეობის მხოლოდ რამდენიმე მაგალითი მოჰყვა. საქართველოში არსებული ეკონომიკური, სოციალური და სხვა ფაქტორები ხელს უშლიდა საზოგადოების მონაწილეობის პროცესის განვითარებას, თუმცა საგადასახადო სისტემა გარკვეულწილად ხელს უწყობდა არასამთავრობო ორგანიზაციებს. გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების უმეტესობა უცხოური შემოწირულობებით ირჩენდა თავს და საჭირო იყო არასამთავრობო ორგანიზაციებს ეზრუნათ რომ ჰქონოდათ მდგრადი, სტაბილური ფინანსური მდგომარეობა. ზოგიერთი გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაცია ცდილობდა გაეკონტროლებინა საქართველოში არსებული გარემოსდაცვითი სიტუაცია გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის გზით.

“რეფორმები უნდა გატარდეს არა საზოგადიების მონაწილეობის შემცირების ხარჯზე, არამედ პირიქით, ხელს უნდა უწყობდეს და აუმჯობესებდეს საზოგადოების მონაწილეობის ხარისხს გადაწყვეტილების მიღების პროცესში” (ბარბაქაძე, 2006).

5.2. საზოგადოების მონაწილეობა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პროცესში 2016-2023 წლებში

ამჟამად საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობის რამდენიმე ძირითადი მიდგომა არსებობს:

- ქვეყანაში „დემოკრატიის მშენებლობის“ გაგრძელება,
- ევროკავშირის რეფორმების გატარება,
- უცხოური ინვესტიციების მოზიდვა საქართველოს გეო-პოლიტიკური ლოკაციიდან გამომდინარე (აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის მდებარეობა) და საქართველოში დიდი, საერთაშორისო ფართომაშტაბიანი პროექტების გარემოსდაცვითი სტანდარტების (“environmentally friendly”) დაცვით განხორციელება (ნახ. 9, 10).

დღეს საქართველოში მსოფლიო ბანკის დაფინანასებით მიმდინარეობს „პროექტი სოფლის მეურნეობის, ირიგაციის და მიწის მართვის გასაუმჯობესებლად“ და „საგზაო პროექტი კახეთის რეგიონში“ (2022-2027). შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის პროექტი – მომზადების სტადიაშია, ძალაშია ნამახვანის პროექტის განხორციელებაც, მიმდინარე პროექტია – ჩინური მაგისტრალი რიკოთზე. სამომავლო პროექტები მოიცავს რკინიგზის ხაზის მოდერნიზაციას, ახალი საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობას თბილისში, ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის პროექტის დასრულებას (დროებით შეჩერებულია). საქართველოს მთავრობა ასევე გეგმავს ანაკლიის პორტის მშენებლობას, რომლის 51% თვითონ დააფინანასებს, ხოლო დანარჩენზე გამოცხადდება ტენდერი (Business Insider Today, 2023).

საქართველო სამხრეთ კავკასიაში მდებარეობს, შავ და კასპიის ზღვებს შორის, მისი ტერიტორია 69 700 კმ^2 შეადგენს. საქართველოს მოსახლეობა დაახლოებით 3 მილიონს შეადგენს, ნახევარი მილიონი კი დევნილებია აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან (ნახაზი 9, 10, 11).

საქართველოს სამოქალაქო სექტორის მდგომარეობა ყოველწლიურად ფასდება. შემფასებელთა შორისაა USAID, რომელიც 20 წელიწადზე მეტია აქვეყნებს „არასამთავრობო ორგანიზაციების მდგრადობის ინდექსს“. ეს ინდექსი არასამთავრობო ორგანიზაციის მდგრადობას აფასებს შვიდი კრიტერიუმის

მიხედვით, შვიდქულიან სკალაზე, სადაც 1 განვითარების ყველაზე მაღალ დონეს ნიშნავს, ხოლო 7 – განვითარების ყველაზე დაბალ დონეს (ცხრილი 3). 2012–2020 წლებში საქართველოს ქულები მნიშვნელოვნად არ შეცვლილა და 2021 წლისათვის 4.0-ის ტოლია (Civil Society Organization Sustainabily Index, 2019; Civil Society Organization Sustainabily Index, 2020; Civil Society Organization Sustainabily Index, 2021).

ნახ. 9. საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა,
წყარო: https://stock.adobe.com

ნახ. 10. საქართველოს ფიზიკური რუკა,

წყარო: https://www.freeworldmaps.net/asia/georgia/map.html

ცხრილი 3. არასამთავრობო ორგანიზაციების მდგრადობის ინდექსი, შეფასებული შვიდქულიანი სკალით

კრიტერიუმი/წელი	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
არასამთავრობო ორგანიზაციების მდგრადი განვითარება	4.2	4.1	4.1	4.1	4.1	4.1	4.0	4.0	4.0

გასაღები: 1=განვითარების ყველაზე მაღალი დონე; 7=განვითარების ყველაზე დაბალი დონე.

ძირითადი მონაცემები

მოსახლეობა: 3,728,600 (2021)[7] | **მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე:** 4,255.7 აშშ დოლარი (2020)[8] | **სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ოდენობა**: რეგისტრირებული ორგანიზაციები 29,040; აქტიური ორგანიზაციები 1,247[9] | **სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ოდენობა 10.000 სულ მოსახლეზე**: 3 | **საზოგადოებრივი ორგანიზაციის რეგისტრირების საფასური**: 100 ლარი (დაახ. 30 ევრო) ან 200 ლარი (დაახ. 60 ევრო) დაჩქარებული პროცედურის შემთხვევაში. | **თავისუფლების ინდექსი მსოფლიოში**: Partly Free (58/100)[10] | **პრესის თავისუფლების მსოფლიო ინდექსი**: 28.64 (60 out of 180 countries, 2021)[11]

ქვეყნის ქულა:	4.7
კანონმდებლობა:	5.2
პრაქტიკა:	4.3

შეფასება მერყეობს 1-დან 7 ქულამდე ფარგლებში, სადაც 1 ასახავს ყველაზე დაბალ შესაძლო ქულას (უკიდურესად არახელსაყრელი - ავტორიტარული გარემო), ხოლო 7 ნიშნავს მაქსიმალურ ქულას (უკიდურესად ხელსაყრელი გარემო.)

ნახ. 11. ძირითადი მონაცემები საქართველოს შესახებ,
წყარო: CSO Meter, 2021

კვლევაში „საარსებო გარემო აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, საქართველოს მაგალითზე“ (CSO Meter, 2021) აღნიშნულია, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, საზოგადოების მონაწილეობის მიმართულებით, მდგომარეობა გაუმჯობესდა – ჯამური ქულა 4.8/7, კანონმდებლობა 5.2/7 და პრაქტიკა 4.3/7.

ინდივიდუალური პირებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისათვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობისთვის

სხვადასხვა მექანიზმი გამოიყენება. გადაწყვეტილების მიღების პროცესი ნაწილობრივ ინსტიტუციონალიზებულია, თუმცა, ხშირად მონაწილეობა ხდება „ad-hoc“. როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ დონეზე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს და სხვა პირებს აქვთ წვდომა მონაწილეობისთვის მნიშვნელოვან ინსტრუმენტებზე, როგორიცაა: პეტიციის უფლება, კანონპროექტებზე კომენტარის წარდგენა, საბიუჯეტო პროცესში მონაწილეობა და ა.შ. თუმცა, მრავალი კანონი, პოლიტიკისა თუ სტრატეგიული დოკუმენტი მიიღება კონსულტაციების გარეშე. მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ასევე მოქალაქეების და სსო-ების წარმომადგენლების მხრიდან დაბალი ინტერესი მონაწილეობაში.

საქართველოს მთავრობის მიერ 2020 წლის იანვარში გამოიცა დადგენილება „რეგულირების ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების“ შესახებ. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისა და იუსტიციის სამინისტროს ერთობლივი ინიციატივა საქართველოს „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონში ცვლილებების განხორციელების თაობაზე წარმატებით დასრულდა. აღნიშნული ცვლილებები „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონში 2020 წლის იანვრიდან შევიდა ძალაში. აღნიშნული ცვლილებების მიხედვით, საქართველოს მთავრობა ვალდებულია ცალკეული ტიპის საკანონმდებლო აქტების ინიცირებისას წარადგინოს რეგულირების ზეგავლენის შეფასების ამსახველი კვლევა. ახალი სისტემის მიხედვით, გადაწყვეტილებების მიღება მოხდება მდგომარეობის ანალიზისა და წინასწარი შეფასების საფუძველზე.

გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობასთან დაკავშირებული პროგრესი ასევე უკავშირდება მუნიციპალურ დონეზე მონაწილეობითი ბიუჯეტირების მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებს. მონაწილეობითი ბიუჯეტირება, როგორც მოსახლეობის ადგილობრივ მმართველობაში ჩართვის ერთ-ერთი საშუალება, თანდათან მეტ დაინტერესებას იწვევს. აღნიშნული მექანიზმი რეგულირდება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით, რომელიც მისი არსებობისა და ფუნქციონირების სამართლებრივ ჩარჩოს განსაზღვრავს.

აღნიშნული საკითხი საქართველოს მთავრობის 2020-2025 წლების დეცენტრალიზაციის სტრატეგიის პრიორიტეტად დასახელდა. პრაქტიკული თვალსაზრისით, პარტნიორი მუნიციპალიტეტების რიცხვი ყოველწლიურად

იზრდება. მონაწილეობითი ბიუჯეტის თაობაზე თანამშრომლობა გულისხმობს სამოქალაქო ბიუჯეტის მოდელის შემუშავებას ადგილობრივი ექსპერტების ჩართულობითა და ადგილობრივი ადამიანური რესურსის გამოყენებით; შესაძლებლობების გაზრდას და მართვის პროცესში დახმარების გაწევას; საინფორმაციო კამპანიის მხარდაჭერას სპეციფიკური საგრანტო კონკურსის დროს. სამოქალაქო ბიუჯეტის პრინციპები და სტანდარტები შემუშავებულ იქნა სსო-ების, ექსპერტებისა და საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ. აღნიშნული სტანდარტები და პრინციპები მიესადაგება მონაწილეობითი ბიუჯეტირების განხორციელების პროცესებს.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში რიგი რეგულაციები საქართველოს პარლამენტმა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა და აქტივისტების ჩართულობის გარეშე მიიღო. კრიტიკული მოსაზრებები გამოითქვა საქართველოს ტყის ახალი კოდექსის აღნიშნული მექნიზმის გამოყენების გარეშე მიღების თაობაზე (CSO Meter, 2021).

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობის დაფინანსება სხვადსხვა წყაროებიდან ხდება, როგორიცაა შემოწირულობა, გრანტები, საქველმოქმედო შემოსავლები და სხვა. ამ მიმართულებით, ბოლო წლებში ცვლილებები არ შეიმჩნევა. სსო-ებს თავისუფლად შეუძლიათ მოიძიონ, მიიღონ და გამოიყენონ ფინანსური და მატერიალური წყაროები საერთაშორისო და ეროვნული დონორებისგან. საერთაშორისო დონორები კვლავაც რჩებიან სამოქალაქო სექტორის საქმიანობის დაფინანსების ძირითად წყაროდ. სამწუხაროდ სახელმწიფო მხარდაჭერა არასაკმარისია და არაგამჭვირვალეა (CSO Meter, 2021).

ღია ბიუჯეტის კვლევის (Open Budget Survey, 2021) მიხედვით, საქართველოს აქვს საზოგადოების მონაწილეობის 44 ქულა 100-დან (საკმარისი ქულა არის 61).

ამ ეპატზე, საქართველოს არ გააჩნია სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის ერთიანი პლატფორმა და სისტემური ხედვა. 2014 წელს შეიქმნა სსო განვითარების სახელმწიფო კონცეფცია მთავრობა-სსო თანამშრომლობით. სამწუხაროდ დღემდე ჯერ კიდევ არ არის მიღებული ეს კონცეფცია და ღია მმართველობის პარტნიორობა რჩება მთავრობა-სსო თანამშრომლობის ძირითად

ჩარჩოდ. ასევე აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ინსტიტუტები არასრულფასოვნად ახორციელებენ სამოქმედო გეგმებს (CSO Meter, 2021).

2019 წელს ჩატარებული კვლევა „არასამთავრობო ორგანიზაციების სამოქალაქო სექტორის შეფასება“ (აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი, 2019) აჩვენებს:

- არასამთავრობო ორგანიზაციები ხელს უწყობენ საქართველოში დემოკრა-ტიის განვითარებას ადვოკატირებისა და მონიტორინგის გზით;
- პრობლემები სამოქალაქო სექტორში უკავშირდება საზოგადოების მონაწილეობის დაბალ დონეს, რაც იმით აიხსნება, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები ნაკლებად არიან ჩართული საზოგადოებისათვის ისეთი საჭირბოროტო საკითხების მოგვარებაში, როგორიცაა განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, ეკონომიკური განვითარება და სოციალური კეთილდღეობა;
- არასამთავრობო ორგანიზაციების ეფექტიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული დონორი ორგანიზაციების ფინანსურ მხარდაჭერაზე, რადგანაც „გარე დახმარების გარეშე ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა ქმედითი სამოქალაქო საზოგადოების შენარჩუნებას ვერ უზრუნველყოფს“;
- განსაკუთრებით მწვავე პრობლემაა არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის საზოგადოების ნდობის დაბალი დონე, რაც ნაწილობრივ სახელმწიფო და სამოქალაქო ინსტიტუტების მიმართ ნდობის შემცირებით აიხსნება, თუმცა ამაში ბრალი თავად არასამთავრობო ორგანიზაციებსაც მიუძღვით. რესპონდენტების უმრავლესობის აზრით, სამოქალაქო საზოგადოებას აქვს საზოგადოებასთან ეფექტიანი კომუნიკაციის პრობლება – ისინი მცირე დროსა და ძალისხმევას უთმობენ და „ხელისუფლებასა და საერთაშორისო თანამეგობრობაზე მორგებულ ენას იყენებენ“. ნდობის ფაქტორის შემცირება ასევე განაპირობა მთავრობისა და კონსერვატიული ჯგუფების მხრიდან არასამთვრობო სექტორის კრიტიკამ;
- რესპონდენტთა უმრავლესობის აზრით, არასამთავრობო სექტორი მნიშვნელოვ როლს ასრულებს პოლიტიკის ზედამხედველობის კუთხით, მაგალითად ისეთ სფეროებში, როგორიცაა არჩევნები, ადამიანის უფლებები, გენდერული თანასწორობა და კორუფციასთან ბრძოლა;

- არასამთავრობო ორგანიზაციები გავლენას ახდენენ სამთავრობო პოლიტიკაზე ადვოკატირების გზით. თუმცა მათი სტრატეგიები ხშირ შემთხვევაში არაეფექტურია, რადგანაც ფოკუსირებულია „მედიით გამოჩენაზე და არა საზოგადოებასთან უშუალო, პირისპირ ურთიერთობაზე“;
- რესპონდენტების აზრით, პოლიტიკის განხორციელებაში არასამთავრობო ორგანიზაციების როლი მიზერულია. მათ მიაჩნიათ, „რომ მოქმედი ხელისუფლება თანამშრომლობისთვის უფრო ღიაა, ვიდრე წინა ხელისუფლება იყო, მაგრამ მისი მზადყოფნა, გაითვალისწინოს არასამთავრობო ორგანიზაციების მოსაზრებები, ბოლო წლებში შემცირდა“;
- რესპონდენტები ფიქრობენ, პროდუქტიულია საკანონმდებლო ორგანოსა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის თანამშრომლობა, აღმასრულებელ ხელისუფლებასთან თანამშრომლობა კი ძირითადად პიროვნებებზეა დამოკიდებული;
- არასამთავრობო ორგანიზაციების სიცოცხლისუნარიანობა ნეგატიურად შეფასდა და სერიოზულ გამოწვევად მათ აქტივობებში მოსახლეობის დაბალი მონაწილეობა დაასახელეს. აღმოჩნდა, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია მოსახლეობასთან თანამშრომლობის დამყარებას ცოტა დროსა და ძალისხმევას ანდომებს, მცირეა „წევრობაზე დაფუძნებული ქსელები და საზოგადოებასთან რეგულარული კომუნიკაციის არხები“;
- პოზიტიური ტენდენციები შეიმჩნევა ახალი სამოქალაქო მოძრაობების/ სათემო ორგანიზაციების შექმნით, მაგრამ მათ მიმართ დონორების ნდობა მცირეა. მათი არსებობა ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა, მაგრამ მათი გავლენა, აგრეთვე დონორთა მიერ ამ ჯგუფების მხარდაჭერა ჯერჯერობით უმნიშვნელოა;
- არასამთავრო სექტორის ყველაზე მნიშვენლოვან გამოწვევად რჩება ორგანიზაციების ფინანასური მდგრადობა. სტაბილური მდგომარეობა აღმოაჩნდა მხოლოდ რამდენიმე ორგანიზაციას, დანარჩენები მუშაობენ პროექტიდან პროექტამდე და დაფინანსების ამოწურვისთანავე წყვეტენ საქმიანობას;
- ლიდერი არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანიბის მიმართულებებია: ადამიანის უფლებები, მმართველობა, არჩევნები, კანონის უზენაესობა და სხვა.

განათლება, საპენსიო რეფორმა, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური საკითხები, მათი ყურადღების მიღმა რჩება;

- სუსტია ასევე სექტორთაშორისი და სექტორის შიგნით თანამშრომლობაც. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების აზრით, ყველაზე მეტად ბიზნესს სექტორთან თანამშრომლობა უჭირთ, შემდეგ კი – მთავრობასთან. თუმცა ურთიერთობების გაუმჯობესების ტენდენციებიც აღინიშნება. არასამთავრობო ორგანიზაციები ყოველთვის მჭიდროდ თანამშრომლობდნენ მედია და საერთაშორისო პარტნიორებთან და ნაკლებად სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან/ სამოქალაქო ჯგუფებთან, არა და, მჭიდრო ურთიერთობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ამ ურთიერთობების წახალისებაში დონერებმაც უნდა მიიღონ მონაწილეობა, თვლის არასამთავრობო სექტორი.

კორნად ადენაუერის ფონდის მიერ განხორციელებული კვლევა (2018) "სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა", რომელიც საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულებას იკვლევდა არასამთავრობო ორგანიზაციების, ევროკავშირისა და ბიზნესის სექტორის მიმართ, ნათქვამია, რომ საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ ერთი მესამედი ენდობა არასამთვრობო სექტორს, მოსახლეობის მხოლოდ 16% ინფორმირებულია არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ. აშკარაა, რომ საჭიროა არასამთავრობო სექტორის საქმიანობის პოპულარიზაცია და მოსახლეობის გათვითცნობიერების კამპანიის გააქტიურება ამ მიმართულებით. საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 4% ფორმალური გაერთიანების წევრია, ხოლო არაფორმალურ საქმიანობაში, როგორიცაა ხეების დარგვა თუ დასუფთავების კამპანიები, მოსახლეობის მესამედი ღებულობს მონაწილეობას. ანგარიშის მიხედვით, შესაძლებელია არაფორმალური ჩართულობის გამოყენება ფორმალური ჩართულობის გასაძლიერებლად. მითუმეტეს, რომ ახალგაზრდებს ამის სურვილი აქვთ, გაწევრიანდნენ ისეთ ორგანიზაციებში, რომლებიც აქტუალური პრობლემებით იქნებიან დაკავებული, მაგალითად, გარემოს დაცვა(!). კვლევიდან ასევე ჩანს, რომ მოსახლეობის მხოლოდ 16% პოზიტიურად არის გამსჭვალური არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის მიმართ, ესენი არიან ის ადამიანები, რომელბსაც ჰქონდა ამ სექტორთან შეხება. დანარჩენი მოსახლეობა სკეპტიკურად უყურებს არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსების წყაროებს

და ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევად მოიაზრებენ უცხოურ დაფინანსებას. კვლევის შედეგები ასევე აჩვენებენ, რომ ამ სექტორში მომუშავე ადამიანებს, ხშირ შემთხვევაში, მოიაზრებენ როგორც მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე მზრუნველებს, რომლებსაც ქვეყნის პრობლემები ნაკლებად აწუხებთ. მიუხედავად სკეპტიკური დამოკიდებულებისა არასამთავრობო სექტორის მიმართ („არც აკეთებენ და არც აფუჭებენ საქმეებს“) მოსახლეობის 56% თვლის, რომ არასამთავრობო სექტორი გავლენას ახდენს ქვეყნის განვითარებაზე და თუ სექტორი იმუშავებს საჭირბოროტო საკითხებზე, მაგალითად, გარემოს დაცვის პრობლემებზე, მოსახლეობა შემოიკრიბება მათ ირგვლივ. ასევე დაფიქსირდა, რომ არასამთავრობო სექტორის მიმართ ნდობა არც მაღალია და არც დაბალი. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ არასამთავრობო სექტორს კიდევ ბევრი აქვს სამუშაო მოსახლეობასთან და მეორე, რომ ქვეყნის საჭირბოროტო პრობლემად გარემოს დაცვის საკითხები ესახებათ.

გამოწვევები, რომლის წინაშეც დგას ქართული სამოქალაქო საზოგადოება, დაკავშირებულია ფინანსურ მდგრადობასთან, საჯარო იმიჯთან, მოსახლეობის ჩართულობასთან გადაწყვეტილების მიღების პროცესში და გავლენაზე ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებებზე (ზუბაშვილი, 2021).

ბოლო პუბლიკაცია, რომელიც არასამთვრობო სექტორის ფინანსურ მდგომარეობაზე იძლევა ინფორმაციას, 2011 წელს გამოიცა ფონდი „ღია საზოგადოება საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით (OSGF, 2011). პუბლიკაცია შეიძლება ცოტათი მოძველებულია, მაგრამ რამდენიმე საინტერესო მომენტი უნდა აღინიშნოს. ქეთი ხუციშვილი, ფონდის დირექტორი, ხაზს უსვამს, რომ ორგანიზაციების უმეტესობა ვერ ახერხებს არსებობას ადგილობრივი დაფინანასებით და მთლიანად უცხოურ დონორებზე არიან დამოკიდებული. ეკა დათუაშვილი, სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრიდან, თვლის, რომ არასამთვრობო ორგანიზაციებმა უნდა მოახდინონ დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაცია, კერძოდ: საწევროები, სერვისის „გამყიდვლები“, „შემოსავლის მომტანი საქმიანობებიდან“, დაფინანსების წყაროების მოძიება კერძო ბიზნესიდან, სახელმწიფოსგან და მოსახლეობიდან. რობერტ კავალკო, პოლონეთის ფანდრაიზერთა ასოციაციის პრეზიდენტი, ევროპის ფანდრაიზერთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი თვლის, რომ საჭიროა დაფინანასებაზე ყოველდღიური ზრუნვა,

საკუთარი სტრატეგიის შემუშავება და არსებული დონორი ორგანიზაციების „დარწმუნება“, რომ შენი საქმიანობის დაფინანასება მნიშვნელოვანია, პირდაპირი ურთიერთობა მათთან, მიმოწერა, სოციალური ქსელების გამოყენება და სხვა. თამარ ცირეკიძე, კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრიდან, თვლის რომ ორგანიზაციებს უნდა ჰყავდეთ ფანდრაიზერი, რომელიც ორგანიზაციის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიმუშავებს სტრატეგიას. სახელმწიფომ უნდა დახვეწოს არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსების სტრატეგია, უნდა იყოს გამოყენებული „მოხალისეობის ინსტიტუტი“. სწორი სტრატეგიის შემთხვევაში უნდა ჩაერთოს ბიზნესის სექტორიც, ანუ „უნდა იცოდე თუ რაზე მიაკითხო ბიზნესს და რაზე არა“. დრაგან გოლუბოვიჩი, „არაკომერციული სამართლის ევროპული ცენტრის“ უფროსი მრჩეველი სამართლის დარგში უნგრეთიდან, მიიჩნევს, რომ სახელმწიფო დაფინანასების ინსტიტუტი უნდა დაინერგოს და ევროპის რამდენიმე ქვეყნის წარმატებული მაგალითი მოჰყავს. მარია ბალი, სოციოლოგი, პოლონეთის მოხალისეობის პროგრამის კოორდინატორი, კამილა ჩზერვინსკა, მოხალისეობის ექსპერტი და ვოიცეკ რუსტეცკი, სოციალური ინოვაციისა და კვლევის ჯგუფის „SHIPYARD“ გენერალური დირექტორი, მოხალისეთა ინსტიტუტის დანერგვაზე ამახვილებენ ყურადღებას.

საქართველოში, გარემოსდაცვით გადაწყვეტილებებში საზოგადოების მონაწილეობის შესახებ ლიტერატურა და კვლევები მწირია. ამ საკითხთან დაკავშირებით, უახლესი კვლევა 2013 წელს ჩატარდა (Antidze, 2013). თუმცა, არასამთავრობო გარემოსდაცვითმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა საქართველოში გადამწყვეტი როლი ითამაშეს გარემოსდაცვითი პოტენციალის შენარჩუნებასა და განვითარებაში (Martus, 2023).

თავი 6. კვლევის პრეზენტაცია და შედეგების ანალიზი

6.1. კითხვარი და ინტერვიუები

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, რაც საქართველოში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის როლის შეფასებასა და მისი ხელისშემშლელი პროცესების დადგენას გულისხმობდა, გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების, კერძო და სახელმწიფო დაწესებულებების წარმომადგენლებისათვის სპეციალური კითხვარები შემუშავდა და ინტერვიუებიც ჩატარდა. ეს მეთოდი (თავი 1) საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ არსებული სიტუაცია საზოგადოების სხვადასხვა ფენების მონაწილეობით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში და განვსაზღვროთ სამომავლო რეკომენდაციები წარმატებული მონაწილეობისათვის.

6.1.1. კითხვარი და მონაწილე მხარეები

როგორც პირველ თავებში იყო განხილული, ქართული საზოგადოების ყველაზე აქტიური ნაწილის, არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის შეიქმნა ორი სახის კითხვარი. პირველი კითხვარის შევსებაში მონაწილეობა მიიღო ოცმა, რეგისტრირებულმა ორგანიზაციამ[3]. პირველი კითხვარით შეირჩა ის თორმეტი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელსაც მონაწილეობა ჰქონდა მიღებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში. შემდგომ, ამ 12 ორგანიზაციის წარმომადგელებს მე-2 კითხარი დაურიგდათ, რომელიც მიზნად ისახავდა ორგანიზაციების შესახებ დეტალური ინფორმაციის მოპოვებას.

სწორედ ამიტომ, კითხვარი მხოლოდ ერთ შეკითხვას შეიცავდა საზოგა-დოების მონაწილეობის შესახებ და რამდენიმე კითხვას არასამთავრობო ორგანიზაციების ფინანსურ მდგომარეობაზე, მისიის განცხადებაზე, ძირითად საქმიანობაზე და ა.შ. კვლევაში მონაწილე გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციები იყო: *ნაკრესი, მწვანე ალტერნატივა, მდგრადი ენერგია და გარემო, ელკანა, საბუკო, საქართველოს მწვანეები, CENN* (კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელი), *სპექტრი, ტყიბულის რაიონის განვითარების ფონდი, ჭაობი,*

[3] 8 ორგანიზაცია, რომელიც ვერ მოხვდა კვლევაში, მათმა წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს ამ ორგანიზაციების სახელების მოხსენიებაზე.

ლორე და გავიგუდეთ. მათგან, პირველი 7 ორგანიზაცია თბილისში მდებარეობს, დანარჩენი 5 ორგანიზაცია რეგიონებში (ცხრილი 3, 4; კითხვარი 1, 2, დანართი 3).

კითხვარების გადაგზავნა, შევსებული კითხვარების მიღება და კომუნიკაცია რეგიონალური ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ონლაინ, ელ. ფოსტის გამოყენებით მოხდა, რადგანაც მკვლევარმა რეგიონალური მივლინებებისათვის ფინანსური დახმარება ვერ მოიპოვა.

6.1.2. ინტერვიუ

კვლევა ეყრდნობოდა 50 ინტერვიუს (ცხრილი 4, დანართი 1, დანართი 2). ინტერვიუში მონაწილეობა მიიღეს: გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა (12 ინტერვიუ), გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ექსპერტებმა (4 ინტერვიუ), გარემოსდაცვითმა მეცნიერებმა (4 ინტერვიუ), გარემოსდაცვითმა ექსპერტებმა და აქტივისტებმა (7 ინტერვიუ), სამოქალაქო საზოგადოების/არასამთავრობო ორგანოზაციების ექსპერტებმა (7 ინტერვიუ), გარემოსდაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებმა (2 ინტერვიუ), გარემოსდაცვისა და ბუნებრივი რესურსების საპარლამენტო კომიტეტის წარმომადგენლებმა (3 ინტერვიუ), საერთაშორისო/ადგილობრივმა დონორებმა (2 ინტერვიუ), საერთაშორისო გარემოსდაცვითმა ექსპერტებმა (2 ინტერვიუ), გარემოსდაცვითმა ჟურნალისტებმა (2 ინტერვიუ), ადგილობრივი კერძო სექტორის წარმომადგენლებმა (1 ინტერვიუ), გარემოსდაცვითმა იურისტებმა (2 ინტერვიუ), გარემოს ჯანდაცვის ექსპერტებმა (1 ინტერვიუ) და ფინანსურმა ექსპერტებმა (1 ინტერვიუ).

წინასწარ მომზადდა განსხვავებული კითხვარები, რომელიც შემდეგ საკითხებს მოიცავდა: არასამთავრობო ორგანიზაციების როლი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ვინ უნდა უზრუნველყოს საზოგადოების წარმატებული მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, გადაწყვეტილების მიღების პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემები, გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ფინანსური მდგრადობის მექანიზმები, რამდენად სრულყოფილია საკანონმდებლო ბაზა საზოგადოების ჩართულობისათვის და სხვ (დანართი 2).

6.2. კვლევის პრეზენტაცია და ანალიზი

კვლევის ანალიზი სხვადასხვა კატეგორიების მიხედვით განხორციელდა, რამაც შესაძლებლობა მოგვცა შეგვესწავლა კვლევაში ჩართული 12 გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციათა შორის მსგავსება-განსხვავება და მათი შედარებითი ანალიზი მოგვეხდინა. გაანალიზებულია ინტერვიუს შედეგები, რომელიც ცხრილებისა და დიაგრამების სახითაა წარმოდგენილი.

ვინაიდან არასამთავრობო ორგანიზაციების განზოგადება შეუძლებელი იყო, თითოეული არასამთავრობო ორგანიზაცია წარმოდგენილია ცალ-ცალკე შემთხვევად მოღვაწეობის სფეროებით და არეალით. კვლევის გაღრმავების შესაძლებლობას იძლევა ასევე დაფინანსების წყაროების შეფასება და ინტერვიუები.

ცხრილებისა და ნახაზების დახმარებით ფორმულირებულია ოთხი ჰიპოთეზა. კვლევის შედეგების პრეზენტაცია და ანალიზი დაგვეხმარა ამ ჰიპოთეზების შეფასებაშიც.

კვლევის მონაცემები საკმაოდ დიდია. კვლევაში ჩართული გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების მდგომარეობის, მონაწილეობით შესახებ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, დაფინანასების წყაროებისა და ინტერვიუების შედეგები დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად: ზოგადი ინფორმაცია, ფინანსური ინფორმაცია და ინტერვიუების შედეგები.

1) ზოგადი ინფორმაცია, მისიის განცხადებები, ძირითადი აქტივობები (ცხრილი 3) და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში 12 გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციის დაყოფა საქმიანობის სახეების მიხედვით (ცხრილი 6);

2) ფინანსური ინფორმაცია, 12 გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობასთან (ცხრილი 5) და დაფინანასების წყაროებთან დაკავშირებული საკითხები (დიაგრამა 1, ცხრილი 8), და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობის მხარდამჭერი ფონდები (დიაგრამა 2, ცხრილი 9);

3) ინტერვიუების შედეგები (ცხრილი 10-23).

6.2.1. ზოგადი ინფორმაცია

კვლევაში ჩართული თორმეტი გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციის შესახებ ყველა ზოგადი ინფორმაცია, მათ შორის ძირითადი საქმიანობა, მისიის განცხადება, წევრობის რაოდენობა და საკონტაქტო მისამართები მოცემულია ცხრილში 3.

გამოკითხული არასამთავრობო ორგანიზაციების უმრავლესობა ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ შეიქმნა. მათ შორის ორი ორგანიზაცია ყველაზე ძველია (საქართველოს მწვანეები და ნაკრესი). კვლევაში მონაწილე ორგანიზაციების უმეტესობა მცირე ორგანიზაციებია, გარდა საქართველოს მწვანეებისა, რომელსაც 1200 წევრი ჰყავს.

მე-3 ცხრილში წარმოდგენილია კვლევაში ჩართული 12 გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციის მისია. გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების საკითხებზე საქართველოში ხუთი არასამთავრობო ორგანიზაცია ფუნქციონირებს (სპექტრი, საქართველოს მწვანეები, მწვანე ალტერნატივა, ტყიბულის განვითარების ფონდი), ხოლო სამხრეთ კავკასიის მაშტაბით – CENN. სამი არასამთავრობო ორგანიზაციის (ნაკრესი, საბუკო და ჭაობი) მისიაა ველური ბუნების დაცვა, ბიომრავალფეროვნება და კონსერვაცია. სოფლის მეურნეობის და ბიო-მეურნეობების განვითარებაზე 2 ორგანიზაცია მუშაობს (ელკანა და ლორი). ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია (გავიგუდეთ) იცავს ადამიანისა და გარემოს ჯანმრთელობას ქალაქ რუსთავში. მდგრად ენერგო-რესურსებზე და ენერგოეფექტურობის საკითხებზე გამოკითხული არასამთავრობო ორგანიზაციებიდან მხოლოდ ერთი (მდგრადი ენერგია და გარემო) ორგანიზაცია მუშაობს.

კვლევის შედეგების უკეთესად გაანალიზებისათვის, არასამთავრობო ორგანიზაციები, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩათულობის მიმართულებების მიხედვით, სამ ჯგუფად დაიყო:

ჯგუფი I: არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ***გარემოს დაცვის მიმართულებით*** მონაწილეობდნენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში (ნაკრესი, მწვანე ალტერნატივა, ლორე, საბუკო, საქართველოს მწვანეები, ტყიბულის განვითარების ფონდი, სპექტრი, გავიგუდეთ, CENN და ჭაობი);

ჯგუფი II: არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ***გარემოსდაცვითი განათლების მიმართულებით*** მონაწილეობდნენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში (CENN);

ჯგუფი III: არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ***სამართლებრივი საკითხების მიმართულებით*** მონაწილეობდნენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში (CENN, გავიგუდეთ, მდგრადი ენერგია და გარემო);

არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის თვითშეფასება მოცემულია ცხრილში 5, საიდანაც მათი მაღალი აქტიურობა ჩანს: გარემოს დაცვაში (42), გარემოსდაცვით მონიტორინგში (41) და გარემოსდაცვით კამპანიებში (36). საშუალო აქტიურებით არასამთავრობო ორგანიზაციები შემდეგი მიმართულებებით გამოირჩევიან: გარემოსდაცვითი მენეჯმენტი (29), სამართლებრივი საკითხები (29), გარემოსდაცვითი განათლება (27) და გარემოსდაცვითი პუბლიკაციები (26). დაბალი აქტიურობა აღინიშნება: გზშ (17) და კონსერვაცია (12).

ყველაზე აქტიური (H) ორგანიზაციები არიან: CENN (24), გავიგუდეთ (23), ნაკრესი (21), საბუკო (21) და მწვანე ალტერნატივა (21). საშუალო დონის აქტივობის მქონე (M) ორგანიზაციებია: სპექტრი (20), ელკანა (19) და ჭაობი (17). დაბალი (L) დონის აქტივობის ორგანიზაციებია: მდგრადი ენერგია და გარემო (15), საქართველოს მწვანეები (11), ტყიბულის განვითარების ფონდი (9) და ლორე (6) (ცხრილი 3). ცალკე აღნიშვნას უდაოდ იმსახურებს CENN, რომელიც სამივე ჯგუფში მოხვდა მაღალი აქტივობის ინდექსით და ორგანიზაცია გავიგუდეთ(23), რომელიც ორ ჯგუფში მოხვდა.

ცხრილი 5. არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის თვითშეფასება, 2016-2023

# ჯგ.	ორგ-ები	საქმიანობის სფეროები										საერთ. ქულა	აქტივ. დონე
		გარ. დაც.	მედია	გარ. კამპ.	გარ. განათ.	გარ. მენეჯ.	გარ. პუბლ.	გარ. მონ.	გარ. კან.	გზშ	კონს.		
i	ii	iii	iv	v	vi	vii	viii	ix	x	xi	xii	xiii	xiv
I	ნაკრესი	3	1	3	1	0	3	3	3	1	3	21	H
	საქართვ. მწვანეები	3	0	3	0	0	2	3	0	0	0	11	L
	ლორე	3	0	0	0	0	0	3	0	0	0	6	L
	საბუკო	3	3	2	3	0	2	3	2	0	3	21	H
	მწვანე ალტერნატ.	3	0	3	0	3	3	3	3	3	0	21	H
	ტყიბულის განვ-ბის ფონდი	0	0	3	3	0	0	3	0	0	0	9	L
	სპეტრი	3	2	3	3	3	3	2	0	1	0	20	M
	CENN	3	3	3	3	3	3	3	3	0	0	24	H
	ჭაობი	3	0	3	1	3	1	3	0	0	3	17	M
	გავიგუდეთ	3	3	3	2	3	0	3	3	3	0	23	H

II	CENN	3	3	3	3	3	3	3	3	0	0	24	H
III	გავიგუდეთ	3	3	3	2	3	0	3	3	3	0	23	H
	მდგრადი ენერგია და გარემო	3	0	0	0	3	0	3	3	3	0	15	L
	CENN	3	3	3	3	3	3	3	3	3	0	24	H
	ელკანა	3	0	1	3	2	3	0	3	0	3	19	M
	სულ:	42	21	36	27	29	26	41	29	17	12		

გასაღები: **3** = მაღალი; **2** = საშუალო; **1** = დაბალი; **0** = არ არსებობს;
H (მაღალი) = 20–30; **M** (საშუალო) = 15–20; **L** (დაბალი) = 10–15;

გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის მიმართულებები მოცემულია ცხრილში 6.

გარემოს დაცვის საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა მიიღეს I ჯგუფის არასამთავრობო ორგანიზაციებმა (ნაკრესი, საქართველოს მწვანეები, ლორე, საბუკო, მწვანე ალტერნატივა, ტყიბულის განვითრების ფონდი, გავიგუდეთ, სპექტრი, ჭაობი და CENN).

ცხრილი 6. გარემოსდაცვითი არასამთვრობო ორგანიზაციების მიერ გარემოსდაცვით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის მიმართულებები, 2016-2023 წწ.

ჯგ. #	ორგანიზაცია	საქმიანობა (x - აღნიშნავს მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში)									
		გარემოს დაცვა	მედია	გარ. კამპ.	გარ. განათ.	გარ. მენეჯ.	გარ. პუბლიკ.	გარ. მონ	გარ. კან.	გზშ	კონსერვ.
I	ii	iii	iv	v	vi	vii	viii	ix	x	xi	xii
I	ნაკრესი	x									
	საქართველოს მწვანეები	x									
	ლორე	x									
	საბუკო	x									
	მწვანე ალტერნატივა	x									
	ტყიბულის განვითარების ფონდი	x									
	სპეტრი	x									
	CENN	x									
	ჭაობი	x									
	გავიგუდეთ	x									
II	CENN				x						
III	გავიგუდეთ								x		
	მდგრადი ენერგია და გარემო								x		
	CENN								x		
	ელკანა								x		

2017 წელს, **ნაკრესმა,** ევროსაბჭოს დაფინანსებით, „ზურმუხტის ქსელის საიტები“ (სამი საიტი) შეიქმნა. პროექტი რაღაც ეტაპზე შეჩერდა, მაგრამ, პროექტის განხორციელება არასამთავროობო ორგანიზაცია **მწვანე ალტერნატივის** ჩართულობით მოხდა. ეს იყო სამი სხვადასხვა მხარის – სამთავრობო, არასამთვრობო და საერთაშორისო ორგანიზაციის (დაფინანსებით) წარმატებული კოლაბორაცია და მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში (კითხვარი #1 და #2, დანართი 1).

2019 წელს, **საბუკო** ჩართული იყო ორი ქარის სადგურის ადვოკატირების პროცესში, რომელიც კასპის მუნიციპალიტეტში შენდება. სკოპინგის ეტაპიდან, საბუკო საკუთარ კომენტარებსა და მოსაზრებებს უგზავნიდა სამინისტროს, ასევე მონაწილეობდა საჯარო განხილვის პროცესში. საბუკოს ადვოკატირების შედეგად ქარის სადგურის ერთი ტურბინა დააშორეს ფასკუნჯის ბუდეს. „თუმცა ეს საკმარისი არ არის“, განაცხადა თინათინ არველაძემ. საბუკომ საკუთრი სახსრებით ჩაატარა კვლევა და ამ კვლევის საფუძველზე მოხდა მათი ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში (კითხვარი #5, დანართი 1).

2021 წელს ორგანიზაცია **გავიგუდეთ**-ის მიერ საკუთარი ხარჯებით მომზადებული იყო „ქალაქ რუსთავის ატმოსფერული ჰაერის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა“. ორგანიზაცია აგრძელებს ამ გეგმის მიხედვით მონიტორინგს (9 კითხვარი #12, დანართი 1).

2017 წ. **CENN**-ის მიერ შემუშავებული იქნა ნარჩენების მართვის გეგმა ლაგოდეხის დაცული ტერიტორიისათვის, მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება კახეთის, შიდა ქართლისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის და 2021 წ. თბილისის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა. მოხდა მისი დანერგვაც. სამივე პროექტი USAID-მა დააფინანსა. 2022 წელს, შემუშავდა წალკის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი განვითარების სტრატეგია ევროკავშირის დაფინანასებით (კითხვარი #7, დანართი 1).

2003 წ. ორგანიზაცია **სპექტრმა,** შეიმუშავა ქუთაისის გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმა (პროექტი RECC-თან ერთად შემუშავდა), დაამტკიცა ქუთაისის საკრებულომ. გეგმა დღესაც ძალაშია და სპექტრი მისი მონიტორინგის პროცესშია ჩართული, დააფინანსა USAID-მა. 2014 წ. ბოლნისისა და ტყიბულის გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმა შეიქმნა. ორივე გეგმა ადგილობრივმა საკრებულოებმა დაამტკიცა.

ორივე გეგმის მომზადება USAID-მა დააფინანსა. 2018-2022 წ., **სპექტრმა** მოამზადა ქ. ქუთაისის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა, დაამტკიცა ადგილობრივმა საკრებულომ. 2021 წ. საკომპოსტო ცენტრი მოეწყო, პროექტი ქუთაისის მერიასთან ერთად განხორციელდა. ბოლო ორი პროექტი ევროკავშირმა დააფინანსა (კითხვარი #8, დანართი 1).

2014 წ. **ტყიბულის განვითარების ფონდმა** არასამთვრობო ორგანიზაცია „სპექტრთან" ერთად ტყიბულის გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმა შეადგინა, რომელიც ტყიბულის საკრებულომ დაამტკიცა და USAID-მა დააფინანსა, გეგმა ძალაშია და ორგანიზაცია მისი მონიტორინგის პროცესშია ჩართული (კითხვარი #9, დანართი 1).

ორგანიზაცია **ჭაობმა** სანიტარული დაცვის ზონების ორი გეგმა მოამზადა: გომის მთის განაშენიანება (2022წ.) და კურორტ ბეშუმისა გოდერძის უღელტეხილის განაშენიანა (2023). ორივე პროექტი შპს „ნიუ სითი დეველოპმენტმა" დააფინანსა (კითხვარი #9, დანართი 1).

ერთ-ერთი ყველაზე ძველი გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაცია **საქართველოს მწვანეები**, 2019 წელს, შავი არაგვის მდინარეზე მოსახლეობის პროტესტსს შეუერთდა და მთავრობას ჰესის მშენებლობა „გადააფიქრებინეს". პროექტი ორგანიზაციის სახსრებით განხორციელდა.

დმანისის არასათავრობო გარემოსდაცვითი ორგანიზაცია **ლორე** და მისი დირექტორი ჯონდო ადუაშვილი, 2014-18 წლებში მოწვეული იყო დმანისის გამგეობის მრჩეველთა საბჭოს წევრად, სადაც ორგანიზაცია აქტიურად იყო ჩართული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესებში. სამწუხაროდ 2018 წლის მერე ორგანიზაციამ ფუქციონირება შეწყვიტა, მიზეზებზე ქვემოთ იქნება საუბარი (ინტერვიუ #11, დანართი 1).

ჯგუფი II მოიცავს მხოლოდ ერთ, მაგრამ ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ გარემოსდაცვით ორგანიზაციას **CENN**. **გარემისდაცვითი განათლების მიმართულებით,** CENN-მა, 2021 წ., ევროკავშირის დაფინანასებით, ცირკულარული

ეკონომიკის[4] კურსი დანერგვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკის სკოლაში.

ჯგუფი III მოიცავს არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც გადაწყვეტილების მიღების პროცესში **სამართლებრივი საკითხების მიმართულებით** მონაწილეობდნენ.

2020 წელს, ორგანიზაცია **მდგრადი ენერგია და გარემოს,** ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან ერთად მიღებული გვაქვს მონაწილეობა კანონის „ენერგოეფექტურობის შესახებ“ მომზადებაში საკუთარი სახსრებით (კითხვარი #3, დანართი 1).

2019 წლის 5 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტმა განიხილა ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია **ელკანას** მიერ მომზადებული პეტიცია ბიოწარმოების ხელშეწყობის თაობაზე, რომელსაც საქართველოს 1200-მა მოქალაქემ მოაწერა ხელი. კომიტეტის წევრებმა პეტიციის მოთხოვნების მიმართ მხარდაჭერა გამოხატეს და პეტიცია რეაგირებისათვის გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადასცეს. 2019 წელს, **ელკანამ,** კოოპერატივებისა და ფერმერთა ჯგუფების ინტერესების დაცვის მიზნით, სოფლის მეურნეობისა და სოფლად განვითარების ალიანსს (GAARD) მიმართა ინიციატივით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრისათვის გაეგზავნათ მიმართვა. ალიანსმა მხარი დაუჭირა „ელკანას“ წინადადებას, რომ პოლიტიკის დოკუმენტის (**ელკანას** მიერ შემუშავებული) საფუძველზე მოემზადებინათ მინისტრისათვის გასაგზავნი მიმართვა, რომელშიც ასახული იქნებოდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების შემაფერხებელი ყველა ფაქტორი, აგრეთვე, რეკომენდაციები მათ აღმოსაფხვრელად. ერთობლივი მუშაობის შედეგად (განხილვები ონლაინ-რეჟიმში ერთ თვეზე მეტ ხანს გაგრძელდა) ეს დოკუმენტი (რომელსაც36 არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაცია აწერს ხელს) შემუშავდა და წარედგინა მინისტრს. სამინისტროს

[4] ცირკულარული ეკონომიკა ესაა ეკონომიკური სისტემა, რომლის მიზანსაც ნარჩენების აღმოფხვრა და უკვე მოხმარებული რესურსების მუდმივი გამოყენება წარმოადგენს. ცირკულარული სისტემის მთავარი “იარაღებია” : ხელახალი მოხმარება, გადამუშავება, შეკეთება, რეაბილიტაცია და სხვა ისეთი ხერხები, რითიც კონკრეტული ნივთი და მასალა ვარგისი იქნება გამოსაყენებლად https://www.marketer.ge/what-is-circular-economy

საპასუხო წერილში აღნიშნულია, რომ აპირებენ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ კანონში ცვლილებების შეტანას და დაგეგმილი განხილვების დროს მიმართვაში არსებულ რეკომენდაციებს გაითვალისწინებენ (კითხვარი #4, დანართი 1).

2021 წ. საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტთან თანამშრომლობით, **CENN**-მა მოამზადა "მწვანე ბიუჯეტის პროექტი"[5]. ავსტრიის განვითარების სააგენტოს ფინანასური მხარდაჭერით. 2022 წ. **CENN**-ის წარმატებული ადვოკატირების შედეგად, იუსტიციის მინისტრმა ბრძანება გასცა, რომლის მიხედვითაც მერიებს ურჩევენ, არ გასცენ ქონებრივი მოწმობები ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ მართულ ტყეებში მდებარე ტერიტორიებზე ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან წინასწარი კონსულტაციის გარეშე, დონორი – ავსტრიის განვითარების სააგენტო.

2021 წელს, ორგანიზაცია **გავიგუდეთ** ინიცირებით და საკუთრი ხარჯებით, საქართველოს პარლამენტის გარემოსდაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტმა ცვლილებები შეიტანა კანონებში "ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ", „ადნიმინისტრაციული სამართლდარღვევათა კოდექსში" და „გარემოს დაცვის შესახებ".

6.2.2. ფინანსური ინფორმაცია

6.2.2.1. კვლევაში მონაწილე გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ფინანსური მდგომარეობა

კვლევაში მონაწილე 12 გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციის ძირითადი ფინანსური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ ცხრილში 7. ეს ცხრილი შეიცავს 12 გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობისა და წყაროების შესახებ თვითშეფასების მონაცემებს. ინფორმაცია 12 გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის შესახებ

[5] „მწვანე ბიუჯეტის პროექტი" პირველი სახელმძღვანელო დოკუმენტია საქართველოს პარლამენტისთვის, რომელიც აფასებს დარგობრივი და დარგთაშორისი გარემოსდაცვითი სისტემებისა და ახალი საკანონმდებლო ინიციატივების ფისკალურ პოლიტიკას და ადგენს დარგში განხორციელებული საკანონმდებლო და ინსტიტუციური რეფორმების ბიუჯეტირების ეფექტიანობას, https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Komitetebi/garemo/samush-jgufebi/mcvane-biuj/mcvane-biuj-proeqt.pdf

ეფუძნება კითხვარებს (დანართი 1). არასამთავრობო ორგანიზაციების უმეტესობამ შეაფასა ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობა, როგორც არასტაბილური.

ცხრილი 7 ასევე აჩვენებს, რომ 12 არასამთავრობო ორგანიზაციიდან, 2 ორგანიზაცია – **ნაკრესი** და **CENN** კარგ ფინანსურ მდგომარეობას აფიქსირებენ, 3 ორგანიზაცია – **ელკანა**, **მწვანე ალტერნატივა** და **საბუკო** საშუალო ფინანსურ მდგომარეობას, ხოლო დანარჩენი 6 ორგანიზაცია – **საქართველოს მწვანეები**, **სპექტრი**, **ტყიბულის განვითარების ფონდი**, **გავიგუდეთ**, **ჭაობი** და **მდგრადი ენერგია და გარემო** არასტაბილური ფინანსური სტატუსი აქვთ.

ცხრილი 7. კვლევაში მონაწილე გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ფინანსური მონაცემები, 2023 წ

ჯგუფი	ორგანიზაციები	ფინანსური სტატუსი				ფინანსური წყაროები				
#		კარგი	საშ.	არასტაბ.	თვით.	საწევ-რო	უცხოური გრანტები	სამთ. გრანტ.	კერძო შემოწ.	სხვა
i	ii	iii	iv	v	vi	vii	viii	ix	x	
I	ნაკრესი	X					X			
	საქართველოს მწვანეები			X		X	X			
	ლორე	-	-	-	-	-	-	-	-	-
	საბუკო		X				X			
	მწვანე ალტერნატნატივა		X				X			
	ტყიბულის განვითარების ფონდი			X			X			
	სპეტრი			X			X			
	CENN	X					X			
	ჭაობი			X			X			X
	გავიგუდეთ			X			X			
II	CENN	X					X			
III	გავიგუდეთ			X			X			
	მდგრადი ენერგია და გარემო			X			X			
	CENN	X					X			
	ელკანა		X				X			

დმანისის გარემოსდაცვით ორგანიზაცია **ლორეს**, მისი ხელმძღვანელის აზრით, მიუხედავად მისი დიდი მცდელობისა, ძალიან გაუჭირდა დაფინანსების წყაროების მოძიება. ორგანიზაციამ შეძლო და მოახერხა ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვა გარემისდაცვითი კუთხით. სამწუხაროდ ორგანიზაციამ ფუნქციონირება 2018 წელს შეწყვიტა.

ცხრილი 7 ასევე აღწერს არასამთავრობო ორგანიზაციების ფინანსურ წყაროებს. ყველა მათგანმა პროექტები უცხოური გრანტებით განახორციელა. დამატებითი ფინანსური წყაროები აქვთ საქართველოს მწვანეებს - საწევრო გადასახადები (ორგანიზაციას1200 წევრი ჰყავს) და ქობულეთის გარემოსდაცვით ორგანიზაცია ჭაობს – დაკვეთები კერძო სექტორიდან.

6.2.2.2. ინფორმაცია დაფინანსების წყაროების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში

ცხრილში 7 და დიაგრამებზე (დიაგრამა 1, 2), ნაჩვენებია 2003-2023 წლებში[6] გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში გარემოსდაცვითი ორგანიზაციების მონაწილეობით დაფინანსებული აქტივობები. აღმოჩნდა, რომ ამ პერიოდში 12 გარემოსდაცვითმა ორგანიზაციამ 27-ჯერ მიიღო მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში სხვადასხვა მიმართლებით.

როგორც აღმოჩნდა, ყველაზე მეტი (10) მონაწილეობა ორგანიზაციებმა თვითონ დააფინანსეს, ანუ ამისათვის დაფინანსება არ მიუღიათ. 7 პროექტი USAID-მა (აშშ საერთასორისო განვითარების სააგენტო) დააფინანსა, 6 პროექტი EU (ევროკავშირმა) დააფინანსა, 2 პროექტი ADA (ავსტრიის გავნითარების სააგენტომ) და 2 ქართულმა კერძო კომპანიამ შპს ნიუ სითი დეველოპმენთმა (დიაგრამა 1).

[6]2003 წ. და 2014წ. USAID დაფინანსებით განახორციელებული ქუთაისის და ტყიბულის გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმები ძალაშია და სპექტრი და ტყიბულის განვითრების ფორდი ჩართულები არიან მათ მონიტორინგში. .



დიაგრამა 1. ინფორმაცია დაფინანსების წყაროების და რაოდენობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, 2003-2023 წწ.

დიაგრამა 2 გვიჩვენებს თუ როგორ ხდებოდა გარემოსდაცვითი ორგანიზაციების დაფინანსება გადაწყვეტილების მიღების პროცესში ათი წლის განმავლობაში (2003-2023 წწ). დიაგრამიდან ნათლად ჩანს, რომ 2003 და 2014 წლლებში დაფინანასების მხოლოდ ერთი წყარო – USAID იყო, 2017 წელს ევროკავშირი და USAID, 2018 წელს – EU და ADA, 2020-21 წლებში, გარემოსდაცვითი ორგანიზაციები, ძირითადად, თავად აფინანსებდნენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობას, 2021-2022 წელს სამი წყარო იყო დაფინანასების; 2023 წელს, მართალია დაფინანსების მხოლოდ ერთი წყაროა, მაგრამ ადგილობრივი კერძო სექტორი – შპს ნიუ სითი დეველოპმენთი.



დიაგრამა 2. ინფორმაცია დაფინანსების წყაროების და რაოდენობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში წლების მიხედვით

ცხრილები 8 და 9 გვიჩვენებს, თუ რომელმა ორგანიზაციამ რამდენი და რა ტიპის პროექტები განახორციელა და როგორ დაფინანასდა მათი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ბოლო ათი წლის განმავლობაში. ამ პერიოდში, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობისათვის, სულ 27 პროექტი დაფინანსდა. აქედან, ყველაზე მეტი (16) გარემოს დაცვის მიმართულებით იყო; განათლების მიმართულებით მხოლოდ 1 პროექტი დაფინანსდა და საკანონმდებლო მიმართულებით 10 პროექტი. ADA-მ 2 პროექტი დააფინანსა საკანონმდებლო მიმართულებით. USAID-მა 7 პროექტი დააფინანსა გარემოსდაცვის მიმართულებით. ევროკავშირის დაფინანსებით 6 პროექტი გვაქვს, აქედან 5 გარემოსდაცვის და ერთი განათლების მიმართულებით. კერძო კომაპნიის (შპს-ნიუ სითი დეველოპმენთ) დაკვეთით ორი პროექტი განხორციელდა გარემოსდაცვის მიმართულებით, თვითდაფინანსებით 10 პროექტი განხორციელდა, ანუ გარემოსდაცვით ორგანიზაციებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობისათვის დაფინანსება არ მიუღიათ.

ცხრილი 8. გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაფინანსების წყაროებისა და მონაწილეობის ტიპის მიხედვით

#	ორგანიზაცია/დაფინასებული პროექტების ტიპი ორგანიზაცია	დაფინანსების წყაროები					სულ:
		EU	USAID	ADA	შპს ნიუ სითი დეველოპმენთ	თვითდაფინ	
1	ნაკრესი:						1

	1.1. გარემოსდაცვა	X					
2	მწვანე ალტერნატივა“: 2.1. გარემოსდაცვა	X					1
3	მდგრადი ენერგიია და გარემო: 3.1. საკანონმდებლო					X	1
4	„ელკანა“ 4.1. საკანონმდებლო 4.2. საკანონმდებლო					X X	2
5	„საბუკო: 5.1. გარემოსდაცვა					X	1
6	“საქართველოს მწვანეები“: 6.1. გარემოსდაცვა					X	1
7	CENN: 7.1.საკანონმდებლო 7.2. განათლება 7.3.გარემოსდაცვა 7.4. საკანონმდებლო 7.5. გარემოსდაცვა 7.6. გარემოსდაცვა 7.7.გარემოსდაცვა	X X X	X X X	X			7
8	„სპექტრი“: 8.1. გარემოისდაცვა 8.2. გარემოსდაცვა 8.3. გარემოსდაცვა 8.4. გარემოსდაცვა 8.5 გარემოსდაცვა	X X	X X X				5
9	ტყიბულის რაიონის განვითარების ფონდი: 9.1. გარემოსდაცვა		X				1
10	„ჭაობი: 8.1. გარემოსდაცვა 8.2. გარემოსდაცვა				X X		2
11	„ლორე“,					X	1
12	„გავიგუდეთ“: 12. 1. საკანონმდებლო 12.2. საკანონმდებლო 12.3.საკანონმდებლო 12.4 გარემოსდაცვითი					X X X X	4
	სულ:	6	7	2	2	10	27

ცხრილი 9. გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაფინანსებული პროექტების ტიპი და რაოდენობა, 2003-2023 წწ.

#	**დაფინანსების წყაროები**	**გარემოსდაცვითი მიმართულებები** (რიცხვები მიუთითებს პროექტების რაოდენობას)										**სულ**
		გარემ. დაცვა	**მედ.**	**გარ. კამპ.**	**გარ. განათ.**	**გარ. მენეჯ.**	**გარ. პუბ.**	**გარ. მონიტ.**	**გარ. კან.**	**გზშ**	**კონსერვ.**	
I	**II**	**III**	**IV**	**V**	**VI**	**VII**	**VIII**	**IX**	**X**	**XI**	**XII**	**XIII**
1.	ADA								2			2
2.	USAID	7										7
3.	EU	5			1							6

4.	შპს-ნიუ სითი დეველოპმენთ	2			2
5.	თვითდაფინანსება	2		8	10
	სულ	16	1	10	27

6.2.3. სხვადასხვა მიდგომები გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესზე

ქვემოთ მოცემულია ინტერვიუების შედეგების ანალიზი. კვლევაში, საზოგადოების სხვადასხვა ფენებიდან, მონაწილეობა 50 ადამიანმა მიიღო როგორც თბილისიდან, ასევე რეგიონებიდან და საზღვარგარეთიდან (ცხრილი 4, დანართი 1). გამოკითხულები 14 ჯგუფად დაიიყო: 1. გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები (12); 2. გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ექსპერტები (4); 3. გარემოსდაცვითი მეცნიერები (4); 4. გარემოსდაცვითი ექსპერტები და აქტივისტები (7); 5. სამოქალაქო საზოგადოების/არასამთავრობო ორგანიზაციების ექსპერტები (7); 6. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები (2); 7. გარემოსდაცვისა და ბუნებრივი რესურსების საპარლამენტო კომიტეტის წარმომადგენლები (3); 8. საერთაშორისო/ადგილობრივი დონორები (2); 9. საერთაშორისო გარემის დაცვის ექსპერტები (2); 10. გარემოსდაცვითი ჟურნალისტები (2); 11. ადგილობრივი კერძო სექტორის წარმომადგენლები (1), 12. გარემოსდაცვითი იურისტები (2); 13. გარემის ჯანდაცვის ექპერტები (1); 14. ფინანასური ექსპერტები (1).

ძირითადად, სამი შეკითხვა დაისვა: **1.** როგორ შეგიძლიათ შეაფასოთ გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების როლი გადაწყვეტილების მიღების პროცესში? – ა) მნიშვნელოვანი, ბ) სუსტი, გ) უმნიშვნელო; **2.** ვინ უნდა უზრუნველყოს საზოგადოების წარმატებული მონაწილეობა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში? – ა) არასამთავრობო ორგანიზაციამ, ბ) სახელმწიფომ, გ) ერთად; **3.** რა სახის პრობლემები უკავშირდება საქართველოში გადაწყვეტილების მიღების პროცესის განვითარებას? – ა) ფინანსური რესურსების ნაკლებობა, ბ) არასრულყოფილი საკანონმდებლო სისტემა, გ) გამჭვირვალობის დაბალი დონე, დ) სხვა. გარდა ამ შეკითხვებისა ნახევრად სტრუქტურირებულმა ინტერვიუმ იმის საშუალება მოგვცა, რომ სხვა შეკითხვებიც დაგვესვა (დანართი 2).

50 ინტერვიუს გასაანალიზებლად მიდგომები ჯგუფების მიხედვით დაიყო, რაც ასახულია ცხრილებში 10, 11, 12.

ჯგუფი I: გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მიდგომები (ცხრილი 10):

პირველ კატეგორიაში საქართველოს გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები შედიან. რესპოდენტების უმრავლესობას ერთი და იგივე აზრი აქვს ***პირველ კითხვასთან დაკავშირებით.*** მათი აზრით, არასამთავრობო ორგანიზაციების როლი გადაწყვეტილების მიღების პროცესში არის სუსტი. განსხვავებული მოსაზრება აქვს ქეთი ცხაკაიას (ინტერვიუ #8, დაბართი 2), რომელიც თვლის რომ დღეს საზოგადოების როლი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ადრე იყო და საზოგადოება უფრო ძლიერია, ვიდრე ახლად არჩეული საკრებულო. ამ მოსაზრებას არ ეთანხმება ელენე შატბერაშვილი და ჯონდო ადუაშვილი, ისინი თვლიან, რომ საზოგადოების როლი გადაწყვეტილების მიღების პროცესში დღეს უმნიშვნელოა.

მეორე შეკითხვაზეც სექტორი ერთსულოვანია, როცა აღნიშნავს, რომ სახელმწიფო დაინტერესებული უნდა იყოს უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესი. ეს მისი კანონიერი მოვალეობაა. განსხვავებული აზრი დააფიქსირეს ქეთი ცხაკაიამ, ელენე შატბერაშვილმა და ზაზა გოჩელაშვილმა, რომლებმაც აღნიშნეს, რომ გადაწყვეტილების პროცესების უზრუნველყოფა და პასუხიმგებლობა ორივე მხარემ თანაბრად უნდა გაინაწილოს.

ყველაზე მეტი აზრთა სხვადასხვაობა ***მესამე შეკითხვამ*** გამოიწვია. ამ შეკითხვის პირველ ქვეკითხვაზე აბსოლუტურად ერთნაირი მიდგობა აქვს თორმეტივე რესპოდენტს, რომ გადაწყვეილების მიღების პროცესის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლებაა ფინანსური წყაროები. ხათუნა სიჭინავა (ინტევიუ #3), ხაზგასმით აღნიშნავს პიდაპირ კოლერაციას ფინანსებსა და გადაწ-ყვეტილების მიღების პროცესს შორის. თვითოეულ რესპოდენტს თავისი მიდგომა და ხედვა აქვს ამ საკითხთან დაკავშირებით. ყველა რესპოდენტი ერთხმად თვლის, რომ თვითდაფინანსებაზე გადასვლა აუცილებელია და ამისათვის ფინანსური წყაროების დივერსიფიკაციაა საჭირო. ზოგი ფიქრობს, რომ სოციალური საწარმოები, სერვისების „გაყიდვა“, სახელმწიფო თუ პრეზინდენტის ფონდის გრანტები – ფინანსური პრობლემების დაძლევის გზებია. ზაზა გოჩელაშილის (ინტერვიუ #9) აზრით, არასამთავრობო ორგანიზაციების დიდი ნაწილი პროექტიდან პროექტამდე

არსებობს, არასტაბილური ფინანსური გარემო აქვთ, უცხოური გრანტები საკმარისი არ არის გადაწყვეტილების მისაღებ პროცესში მონაწილეობისათვის. არასამთავრობო ორგანიზაცია **ლორეს** ხელმძღვანელის, ჯონდო ადუშვილის აზრით, მისმა ორგანიზაციამ ფუნქციონირება სწორედ ფინანსური პრობლემების გამო შეწყვიტა (ინტერვიუ #11). 2012-2018 წლებში იგი დმანისის საკრებულის მრჩეველთა საბჭოს წევრი იყო და მისი ორაგანიზაცია ჩართული იყო გადაწყვეტილების მიღების პროცესებში რეგიონალურ დონეზე. 2018 წლის შემდებ ორგანიზაცია გამოეთიშა ამ პროცესებს. ელენე შატბერაშვილი მოიაზრებს კერძო შემოწირულობის ინსტიტუტის არსებობას, როგორც თვითდაფინანსების ერთ-ერთი სახეს, ქეთი ცხაკაიაც ერთ-ერთ დაფინანსების წყაროდ არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციების მონაწილეობას სახელმწიფო ტენდერებში ხედავს. მანანა ქოჩლაძე და ქეთი ცხაკაია კერძო სექტორთან თანამშრომლობას მიესალმებიან, ოღონდ თვლიან, რომ უნდა არსებობდეს კანონი „ქველმოქმედების შესახებ“, რომელიც ამ კოოპერირებას სამართლებრივ ჩარჩოებში მოაქცევს და ამასთან კერძო სექტორს სტიმულს მისცემს ითანამშრომლოს არასამთავრობო სექტორთნ. ოთხივე რეგიონალური ორგანიზაციის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ ფინანსების მოზიდვა რეგიონალური ორგანიზაციებს ძალიან უჭირთ.

მესამე შეკითხვის მეორე ქვეკითვაზე 12 რესპოდენტის პასუხი „შუაზე“ გაიყო. ერთი ნაწილი თვლის, რომ საკანონმდებლო ბაზა საზოგადოების ჩართულობისათვის აბსოლუტურად საკმარია, და პრობლემას მის აღსრულებაში უფრო ხედავს. მაგალითად, რეზო გეთიაშვილი აღნიშნავს (ინტერვიუ #7), რომ „ახალი კოდექსი“ საკმარისია ჩართულობისათვის, მაგრამ მისი აღსრულება არ ხდება და გზშ ანგარიშებიც ძალიან დაბალი დონისაა. რესპოდენტების მეორე ნაწილი თვლის, რომ საკანონმდებლო ბაზა საკმარისი არ არის ჩართულობისათვის. ეს ჯგუფი მიიჩნევს რომ უნდა იყოს დეტალურად გაწერილი მონაწილეობის სტადიები, განსაკუთრებულ აქცენტებს აკეთებენ ადრეულ სტადიაზე საზოგადოების ჩართულობის. მაგალითად, მოჰყავთ ნამახვანის ჰესის მშენებლობა, როცა ბევრ სხვადასხვა პრობლემებთან ერთად, არ მოხდა ადგილობრივი მოსახლეობის გათვითცნობიერება და ჩართულობა ადრეულ ეტაპზე. მათი აზრით, სწორედაც რომ ადგილობრივი მოსახლეობის როლის და მნიშვნელობის უგულველყოფამ (მთავრობისა და დეველოპერის მხრიდან)

მიიყვანა პროექტი ჩაშლამდე. და ბოლოს, ირაკლი შავგულიძე (ინტერვიუ #1), ფიქრობს, რომ შესაძლოა ახალმა კანონმა „საზოგადოების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში“ უზრუნველყოს საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობა და წარმატებული გადაწყვეტილების მიღების პროცესი საქართველოში.

მესამე შეკითვის მესამე ქვეკითხვაზე პასუხი 12-დან მხოლოდ 9 რესპოდენტმა გასცა. პასუხი ცალსახაა და აფიქსირებს ამ ჯგუფის რესპოდენტების აზრს იმის თობაზე, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესი გამჭირვალე არ არის. პასუხს რეალური ფაქტების მოყვანით ამტკიცებენ, რომ ხშირ შემთხვევაში, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები გადაწყვეტილებას იღებენ, მისი მიღების შემდეგ, რომ მიუხედავად ახალი „ტყის კოდექსის“ განხილვისა “სრულიად საქართველოს ჩართულობით“, მაინც მიღებული იყო პოლიტიკური გადაწყვეტილება (რეზო გეთიაშვილი, ინტევიუ #7) და არ იყო გათვალისწინებული საზოგადოების აზრი. ირაკლი შავგულიძე (ინტევიუ #1) აღნიშნავს, რომ მიუხედავად გარემოსდაცვითი ორგანიზაციების დიდი ჩართულობისა ახალი კანონის „ბიომრავაფეროვნების“ შესახებ, გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული და დღესაც თაროზეა შემოდებული, ხოლო მიზეზი უცნობია. რეგიონალური გარემოსდაცვითი ორგანიზაციები (ქეთი ცხაკაია) აღნიშნავენ, რომ არასამთვრობო ორეგანიზაციებს ხშირად არა აქვთ წვდომა განსახილველ პროექტებზე, საკრებულოები კი ინფორმაციით საზოგადოებას ვერ უზრუნველყოფენ.

მესამე შეკითხვის მეოთხე ქვეკითხვაზე „სხვა“, საინტერესო ტენდენცია დაფიქსირდა. 12 რესპოდენტიდან 9 ფიქრობს, რომ საზოგადიების ჩართულობის გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ერთ-ერთი შემაფერხებელი მიზეზია არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის დაბალი კოლაბორაცია. ორგანიზაცია **საბუკო** და **მწვანე ალტერნატივა** ძალიან ვიწრო წრეში თანამშომლობენ. რესპოდენტების ეს ჯგუფი ფიქრობს, რომ დღეს არასამთავრობო ორგანიზაციები ერთმანეთში კონკურენტებს ხედავენ. მეორეს მხრივ, ორგანიზაციების უმეტესობა ერთმანეთს არც კი იცნობს. ქეთი ცხაკაია თვლის, რომ რეგიონალური ორგანიზაციები მხოლოდ რეგიონალური მაშტაბით იცნობენ ერთმანეთს. მაგალითად, მოჰყავს ქუთაისის არასამთავრობო ორგანიზაციის პლატფორმა. მან ასევე აღნიშვნა, რომ მისთვის უცნობია, თუ რომელი ორგანიზაციები არიან სხვა რეგიონებში და რა საქმიანობას

ეწევიან. იგივე აზრს იზიარებენ სხვა რეგიონალური ორგანიზაციების წარმომადგენლებიც. ნინო ჩხობაძე (ინტერვიუ #6) ამბობს, რომ გარემოსდაცვით ორგანიზაციებს საერთო ფლატფომები არ აქვთ. ამ მიზნით, მან ყოველგვარი დაფინანსების გარეშე, შექმნა ონლაინ სივრცე „საზოგადოებრივი გუშაგი“, სადაც არასამთავრობო გარემოსდაცვითი ორგანიზაციები ყოველ კვირას იკრიბებიან და მსჯელობენ სხვადასხვა გარემოსდაცვით პრობლემებზე, ხდება აზრთა შეჯერება, ინფორმაციის მიმოცვლა და სხვ.

ცალკე უნდა აღინიშნოს სამი აბსოლუტურად განსხვავებული მიდგომა, რაც გადაწყვეტილების მიღების პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობას აფერხებს. პირველი მიდგომა ნინო ჩხობაძემ დააფიქსირა, რომელმაც აღნიშნა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები დღეს გრიფით “აიპ“ გადიან. მისი აზრით, ასეთივე გრიფი გააჩნიათ სახელმწიფო „აიპ“-საც და მათთან კონკურენციას ვერ ახერხებს არასამთავრობო სექტორი. მან ასევე დაამატა, რომ დღეს მთავრობისათვის გარემოს დაცვა არ არის პრიორიტეტული, რაზეც ის ფაქტიც მეტყველებს, რომ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო ცალკე აღარ არსებობს (ინტევიუ #6). იზოლდა მაჭუტაძე (ინტერვუ #10), აღნიშნავს, რომ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა არ იციან ეკოლოგია, და მისი აზრით, ეს საგანი საბავშვო ბაღიდან უნდა ისწავლებოდეს. ირაკლი შავგულიძე (ინტერვიუ #1) მიიჩნევს, რომ თვით არასამთავრობო ორგანიზაციებს აქვთ შიდა პრობლემები (მენეჯმენტი, ფინანსების არასწორი მართვა და ა.შ.), რაც ასევე აისახება მათ მონაწილეობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ცხრილი 10. გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომაგენლების მიდგომები

#	გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები	არასამთვრობო ორგანიზაციების როლი გადაწყვეტილების მიღების პროცესში			ვინ უნდა უზრუნველყოს დაგაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა			პრობლემები, რომლებიც აფერხებენ საზოგადოების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში			
		მნიშვნ.	სუსტ.	უმნიშ.	არას.	სახ.	ერთ.	ფინან. წყარ.	კანომ.	გამჭ.	სხვა
i	ii	iii	iv	v	vi	vii	viii	ix	x	xi	xii
1	ირაკლი შავგულიძე, „ნაკრესი“		X			X		X	X	X	X
2	მანანა ქოჩლაძე, მწვანე ალტერნატივა, თბილისი		X			X			X		X
3	ხათუნა სიჭინავა, „მდგრადი ენერგიია და გარემო“, თბილისი, თბილისი		X			X			X		X

4	ელენე შატბერაშვილი, „ელკანა“, თბილისი		X		X	X	X	X
5	თინათინ არველაძე, „საბუკო“ , თბილისი		X	X				X
6	ნინო ჩხობაძე, “საქართველოს მწვანეები“, თბილისი		X	X		X	X	X
7	რეზო გეთიაშვილი, CENN, თბილისი		X	X		X	X	X
8	ქეთი ცხაკაია, „სპექტრი“, თბილისი	X			X	X	X	X
9	ზაზა გოჩელაშვილი, ტყიბულის რაიონის განვითარების ფონდი , ტყიბული		X		X	X		
10	იზოლდა მაჭუტაძე, „ჭაობი“, ქობულეთი		X		X	X		
11	ჯონდო ადუაშვილი, „ლორე“, დმანისი		X	X		X		
12	თინათინ მაღედანი, „გავიგუდეთ“		X	X		X	X	X

II ჯგუფი. გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციის ექსპერტების მიდგომები (ცხრილი 11):

ამ ჯგუფის წევრების პასუხებს აბსოლუტურად განსხვავებული მიდგომები აქვთ. ნუგზარ მელაზე (ინტერვიუ #13), არასამთვრობო ორგანიზაცია **მწვანე დედამიწის** ხელმძღვანელი, თვლის, რომ საზოგადოების როლი არის უმნიშვნელო გადაწყვეტილების მიღების პროცესში. იგივე მიდგომა აქვს ანა გაბრიაძეს (ინტევიუ #14), ორგანიზაცია **უსაფრთხო სივრცის** დამფუძნებელს. ნ.მელაძე ასევე თვლის, რომ სახელმწიფო არ არის დაინტერესებული საზოგადოების ჩართულობაში (კანონით ეს მისი პრეროგატივაა). იგივე მოსაზრებას იზიარებს გარემოსდამცველი და აქტივისტი ანა ტრაპაიძე (ინტერვიუ #15). ფინანსების სიმწირეზე საუბრობს 3 რესპოდენტი ოთხიდან. მათი მიდგომით, არასამთვრობო ორგანიზაციებმა უნდა იზრუნონ ფინანსური რესურსების დივერსიფიკაციაზე. ნ. მელაძე თვლის, რომ უნდა არსებობდეს სახელმწიფო გრანტები, როგორც ადრე, რუსთაველის ფონდის ბიუჯეტი ძალინ მცირეა და ვერ ეხმარება არასამთავრობო სექტორს. უცხოურ დონორებს თავიანთი „საყვარელი“ ორგანიზაციები ჰყავთ, რომლებიც სისტემატურად ღებულოენ დაფინანსებას, აღნიშნა ანა ტრაპაიძემ. ქეთი წერეთელი, RECC-ის პროექტების მენეჯერი (ინტევიუ #16) თვლის, რომ „ფინანსები საკმარისი არასდროს არის“. ის ასევე თვლის, რომ საკანონმდებლო სისტემა გამართულია საზოგადოების ჩართულობისათვის, რასაც არასრუყოფილი საკანონმდებლო სისტემა უზრუნველყოფს. მესამე კითხვის ქვეკითხვაზე „სხვა“ ნ. მელაძე თვლის, რომ

კოლაბორაცია ორგანიზაციებს შორის სუსტია, რაც ასევე აფერხებს გადაწყვეტილების პროცესს. ქეთი წერეთელის აზრით, მათ ორგანიზაციას კარგი ურთიერთობა აქვს სამინისტროსთან, რასაც მათი ორგანიზაციის ჩართულობის წარმატებად თვლის. ანა ტრაპაიძე და ანა გაბრიაძე იხსენებნ ასევე სასამართლო დავებს გარემოსდაცვით პრობლემებზე. ა. გაბრიაძემ წარსულში მოიგო საქმე დიღმის ტყესთან დაკავშირებით, რასაც ტყის შენარჩუბება მოჰყვა. ა. მიტოტაძეს, როგორც პიროვნებას, ახლაც სამართლოში აქვს საქმე ნარჩენების მართვის საკითხთან მიმართებაში, სადაც ხის ნარგავების განადგურებას აქვს ადგილი. კითხვაზე, თუ რატომ არ გამოიყენეს ორჰუსის კონვენცია, პასუხი იყო, რომ ორგანიზაციის სახელით, სასამართლო ქმედებები ბევრად რთულია, მიუხედავად იმისა, რომ დღეს კანონმდებლობით ორგანიზაციის დარეგისტრირება პრობლემა არ არის, მაგრამ ორგანიზაციის შენახვა გართულებულია. და ბოლოს, ანა გაბრიაძეს განსაკუთრებული მიდგომა ჰქონდა. ის თვლის, რომ „ეკოლოგია იდეოლოგიის დონეზე უნდა იყოს აყვანილი“.

ცხრილი 11. გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციის ექსპერტების მიდგომები

#	გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ექსპერტები	არასამთავრობო ორგანიზაციების როლი გადაწყვეტილების მიღების პროცესში			ვინ უნდა უზრუნველყოს დაგაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა			პრობლემები, რომლებიც აფერხებენ საზოგადოების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში			
		მნიშვნ.	სუსტ.	უმნიშ.	არას.	სახ.	ერთ.	ფინან. წყარ.	კანომ.	გამჭ.	სხვა
i	ii	iii	iv	v	vi	vii	viii	ix	X	xi	xii
1	ნუგზარ მელაძე, თბილისი			X		X		X	X	X	X
2	ანა გაბრიაძე, თბილისი			X				X			
3	ანა ტრაპაიძე, თბილისი					X		X		X	
4	ქეთი წერეთელი, თბილისი										

ჯგუფი III. გარემოსდაცვითი მეცნიერების მიდგომები (ცხრილი 12):

ამ ჯგუფის წევრების მიდგომა ცალსახაა სახელმწიფოსთან მიმართებაში, რომელმაც უნდა უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესი. საკანონმდებლო ბაზის არასრულყოფილებაზე ორმა რესპოდენტმა აღნიშნა. ი. მაჭარაშვილის აზრით, კანონპროექტების განხილვაში არასამთავრობო ორგანიზციები „სელექციური“ გზით ხვდებიან, საზოგადოების ჩართულობა ადრეულ ეტაპზე არ ხდება, ანდა საზოგადოების აზრის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, დასაბუთებული პასუხი უნდა ჰქონდეთ. ნანა მეფარიშვილი, ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორი (ინტერვიუ #17), აღნიშნავს, რომ სექტორს სერიოზული ფინანსური პრობლემები აქვს. ადგილობრივ დონორებს ფვაორიტები

ჰყავთ, რომლებიც სისტემატიურად ფინანსდებიან. ირაკლი მაჭარაშვილი (ინტერვიუ #20) გამორიცხავს ამ ეტაპზე თვითდაფინანსების სისტემის ამოქმედებას, რაც ქვეყანაში არსებული სიტუაციიდან უტოპიური ეჩვენება. მაგალითად მოჰყავს განვითარებული ქვეყნები, სადაც თვითონ საზოგადოება აფინანსებს არასამთავრობო სექტორს. საერთაშორისო ექსპერტს ენერგეტიკის საკითხებში, დოქტორ ლადო კურდღელაშვილს (ინტერვიუ #19), მაგალითად ნამახვამის ჰესის მშენებლობასთან დაკავშირებული პრობლემები მოჰყავს და აღნიშნავს, რომ მთავრობის მიერ არ მოხდა პროექტის შეფასება და ადგილობრივი მოსახლეობის გათვიცნობიერება პროექტით მიღებული სარგებლის შესახებ. მესამე კითხვის მეოთხე ქვეკითხვაზე „სხვა“, მხოლოდ ნ. მეფარიშვილმა გამოთქვა თავისი მიდგომა, რომელმაც აღნიშნა, რომ არასამთვრობო სექტორს პროფესიონალიზმი აკლია, რაც ასევე ხელშემშლელია გადაწყვეტილების მიღების პროცესისათვის.

ცხრილი 12. გარემოსდაცვითი მეცნიერებების მიდგომები

#	გარემოსდაცვითი მეცნიერები	არასამთვრობო ორგანიზაციების როლი გადაწყვეტილების მიღების პროცესში			ვინ უნდა უზრუნ-ველყოს დაგაწყვე-ტილების მიღების პროცესში საზოგადო-ების მონაწილეობა			პრობლემები, რომლებიც აფერხებენ საზოგადოების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში			
		მნიშვნ.	**სუსტ.**	**უმნიშ.**	**არას.**	**სახ.**	**ერთ.**	**ფინან. წყარ.**	**კანომ.**	**გამჭ.**	**სხვა**
i	ii	iii	iv	v	vi	vii	viii	ix	X	xi	xii
1	ნანა მეფარიშვილი, თბილისი		X			X			X	X	X
2	ილია ოსეფაშვილი, გერმანია					X					
3	ლადო კურდღელაშვილი, აშშ					X					
4	ირაკლი მაჭარაშვილი, თბილისი					X		X	X	X	

ჯგუფი IV. გარემოსდაცვითი ექსპერტების და აქტივისტების მიდგომები (ცხრილი 13):

ამ ჯგუფის აბსოლუტურ უმრავლესობას ერთანაირი მიდგომა აქვს პირველ შეკითხვასათან, მესამე შეკითხვის პირველ (ყველა რესპოდენტი აღნიშნავს რომ ფინანსების დივერსიფიკაცია აუცილებელია), მეორე და მესამე ქვეშეკითხვებთან. შვიდიდან ოთხი რესპოდენტი ფიქრობს, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესი. მესამე შეკითხვის მეოთხე ქვეკითხვაზე “სხვა“, საინტერესო მიდგომები გამოიკვეთა. გ. ძამუკაშვილი (ინტერვიუ #21) და თ. მთვარელიძე (ინტერვიუ #24), შემაფერხებელ ფაქტორად საზოგადოების მონაწილეობის გადაწყვეტილების მიღების პროცესში თვლიან კოლაბორაციის

ნაკლებობას ორგანიზაციებს შორის. რ. გოხელაშვილი (ინტერვიუ #22) და მედგარ ჭელიძე (ინტერვიუ #26), თვლიან, რომ საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა საზოგადოების ნდობა დაკარგეს, რაც ასევე ასუსტებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათ როლს. ნინო ჭელიძე (ინტერვიუ #23) და ნ. ფერაძე (ინტერვიუ #27) აღნიშნავენ, რომ საზოგადოების ეფექტური ჩართულობისათვის მედია უნდა იყოს ჩართული, რათა საზოგადოების სრული ინფორმირება ხდებოდეს გარემოს არსებულ მდგომარეობაზე, საჭიროა ხარისხიანი ტელე-, რადიო-გადაცემები, ფილმები და სხვ.

ცხრილი 13. გარემოსდაცვითი ექსპერტების და აქტივისტების მიდგომების მიდგომები

#	გარემოსდაცვითი ექსპერტები და აქტივისტები	არასამთვრობო ორგანიზაციების როლი გადაწყვეტილების მიღების პროცესში			ვინ უნდა უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა			პრობლემები, რომლებიც აფერხებენ საზოგადოების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში			
		მნიშვნ.	სუსტ.	უმნიშ.	არას.	სახ.	ერთ.	ფინან. წყარ.	კანომ.	გამჭ.	სხვა
i	ii	iii	iv	v	vi	vii	viii	ix	X	xi	xii
1	გიორგი ძამუკაშვილი, თბილისი		X				X	X	X	X	X
2	რამაზ ოხელაშვილი, თბილისი		X					X	X	X	X
3	ნინო ჭელიძე, თბილისი		X			X		X	X	X	X
4	თამარ მთვარელიძე, თბილისი		X			X		X	X	X	X
5	ნატო კირვალიძე, თბილისი		X					X	X	X	X
6	მედგარ ჭელიძე, თბილისი		X			X		X	X	X	X
7	ნატა ფერაძე, თბილისი		X			X		X	X	X	X

ჯგუფი V. სამოქალაქო საზოგადოების/არასამთავრობო ორგანიზაციების ექსპერტების მიდგომები (ცხრილი 14):

გამოკითხული 7 რესპოდენტიდან, 3 თვლის, რომ საზოგადოების როლი მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამისათვის სექტორს მოქნილობაც აქვს და რესურსიც. ა. რუსეცკის (ინტერვიუ #28) აზრით, არასამთავრობო სექტორი უნდა ზრუნავდეს ჩართულობაზე, დანარჩენი 5 რესპოდენტი თვლის, რომ ეს სახელწიფოს პრეროგატივაა. თითქმის ყველა რესპოდენტის მიდგომა ფინანსებთან დაკავშირებით ერთნაირია. მათი აზრით, ეს პრობლემა შეფერხებას ქმნის გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობისათვის. თუმცა, აქვე აღნიშნავენ, რომ დღევანდელი სიტუაცია (მაგ.,

ომი უკრაინაში, ს. ჟვანია), არ იძლევა იმის საშუალებას, რომ დაფინანსების დივერსიფიკაციაზე იზრუნონ ორგანიზაციებმა (გ. ანდღთულაძე, ს. ჟვანია და მ. მიქოიანი). მ. მიქოიანის (ინტევიუ #32) აზრით, დაფინანსების დივერსიფიკაციის ერთადერთ გზა ქრაუდფანდინგის ინსტიტუტის დანერგვაშია. საინტერესო მიდგომები დაფიქსირდა მესამე შეკითხვის მეოთხე ქვეკითხვაზე „სხვა". მ. მიქოიანი, თვლის „ორივე სექტორი – არასამთავრობო და სამთავრობო, უნდა შეიცვალოს, გახდეს ადექვატური, თუ გვინდა, რომ წარმატებული მონაწილეობა გვქონდეს გადაწყვეტილების მიღების პროცესში". ა. რუსეცკი მიესალმება ახალ კანონს გადაწყვეტილების მიღების შესახებ საზოგადოების მონაწილეობაზე, სადაც დეტალურად გაიწერება მონაწილეობის ეტაპები და დონეები. ს. ჟვანია (ინტერვიუ #31) და თ. თაველიძე (ინტევიუ #33) თვლიან, რომ წარმატებული მონაწილეობის ერთი-ერთი შემაფერხებელი მიზეზი არის ორგანიზაციებს შორის კოლაბორაციის ნაკლებობა. დაბოლოს, ს.ჟვანია თვლის, „რომ არ იყვნენ არასამთვრობო ორგანიზაციები სივრცე ნაცრისფერი იქნება".

ცხრილი 14. სამოქალაქო საზოგადოების/არასამთავრობო ორგანოზაციების ექსპერტების მიდგომები

#	სამოქალაქო საზოგადოების/ არასამთავრობო ორგანოზაციების ექსპერტები	არასამთვრობო ორგანიზაციების როლი გადაწყვეტილების მიღების პროცესში			ვინ უნდა უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა			პრობლემები, რომლებიც აფერხებენ საზოგადოების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში			
		მნიშვნ.	სუსტ.	უმნიშ.	არას.	სახ.	ერთ.	ფინან. წყარ.	კანომ.	გამჭ.	სხვა
i	ii	iii	iv	v	vi	vii	viii	ix	X	xi	xii
1	ალექსანდრე რუსეცკი, თბილისი		X		X			X	X	X	X
2	ასლან ჭანიძე, ბათუმი							X			
3	გია ანდღულაძე, ახალციხე	X				X		X		X	
4	სალომე ჟვანია, ზუგდიდი	X				X		X	X	X	X
5	მარი მიქოიანი, თბილისი		X			X		X			X
6	თამარ თაველიძე, თბილისი	X				X		X			X
7	კოტო ერისთავი, თბილისი					X				X	

ჯგუფი VI. გარემოსდაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენ-ლების მიდგომები (ცხრილი 15):

ორივე რესპოდენტის მიდგომა აბსოლუტურად იდენტურია. ისინი თვლიან რომ არასამთავრობო სექტორი პასიურია, არ აქვთ კოლაბორაცია. სახელმწიფოს მხრიდან დღეს სექტორს სრულყოფილი საკანონმდებლო სისტემა აქვს როგორც ეროვნულ, ასევე საერთშორისო დონეზე. მათი აზრით, გადაწყვეტილების მიღების პროცესი აბსოლუტურად გამჭირვალეა და ინიციატივები მონაწილეობისათვის უნდა არასამთავრობო სექტორიდან მოდიოდეს და სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მათი ჩართულობა (ინეტვიუ #35, 36).

ცხრილი 15. გარემოსდაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლების მიდგომები

#	გარემოსდაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები	არასამთვრობო ორგანიზაციების როლი გადაწყვეტილების მიღების პროცესში			ვინ უნდა უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა			პრობლემები, რომლებიც აფერხებენ საზოგადოების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში			
		მნიშვნ.	სუსტ.	უმნიშ.	არას.	სახ.	ერთ.	ფინან. წყარ.	კანომ.	გამჭ.	სხვა
i	ii	iii	iv	v	vi	vii	viii	ix	X	xi	xii
1	ნინო გოხელაშვილი, თბილისი		X			X					X
2	ლიკა ფხოველაშვილი, თბილისი		X			X					X

ჯგუფი VII. გარემოსდაცვისა და ბუნებრივი რესურსების საპარლამენტო კომიტეტეის წარმომადგენლების მიდგომები (ცხრილი 16):

ამ ჯგუფის რესპოდენტების მიდგომები საკანონმდებლო სისტემის გამჭირვა-ლობასთან მიმართებაში იდენტურია. მ. ბითაძემ (ინტერვიუ 37) და ხ. წილოსანმა (ინტევიუ #38) ინტერვიუში დეტალურად ისაუბრეს კომიტეტის ახალ მიდგომაზე „თეთრი და მწვანე“ წიგნების ევროპულ ინსტიტუტზე, რომელიც პირველად დაინერდა ახალი კანონის „კლიმატის ცვლილების შესახებ“ მიღებასთან მიმართებაში, რასაც მასიური საზოგადოებრივი კამპანია ახლავს თან. ხ. წილოსანი არასამთავრობო სექტორის პასიურობასა და არაპროფესიონალიზმზე საუბრობს, უფრო მეტიც მათ ჩართულობაში უფრო პოპულიზმს ხედავს, ვიდრე პროფესიონალიზს. ის პრობლემას ხედავს ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებს

შორის კოლაბორაციაშიც. „ჩვენი მხრიდან არასამთვრობო სექტორთნ თანამშრომლობის მზაობა არის“, თქვა ხ. წილოსანმა.

თავისი კოლეგებისაგან განსხვავებით, თავისებური მიდგომები აქვს სალომე სამადაშვილს. ის თვლის, რომ საკანონმდებლო სისტემა დასახვეწია, არასამთვრობო ორგანიზაციებს ფინანსური პრობლემები ხელს უშლის რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა მიიღონ; ასევე გადაწყვეტილების მიღების პროცესი არ არის გამჭირვალე.

ცხრილი 16. გარემოსდაცვისა და ბუნებრივი რესურსების საპარლამენტო კომიტეტების წარმომადგენლების მიდგომები

#	გარემოსდაცვისა და ბუნებრივი რესურსების საპარლამენტო კომიტეტეის წარმომადგენლების მიდგომები	არასამთვრობო ორგანიზაციების როლი გადაწყვეტილების მიღების პროცესში			ვინ უნდა უზრუნველყოს დაგაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა			პრობლემები , რმლებიც ხელს საზოგადოების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში			
		მნიშვნ.	სუსტ.	უმნიშ.	არას.	სახ.	ერთ.	ფინან. წყარ.	კანომ.	გამჭ.	სხვა
i	ii	iii	iv	v	vi	vii	viii	ix	X	xi	xii
1	მაია ბითაძე, თბილისი								X	X	
2	ხატია წილოსანი, თბილისი		X						X	X	X
3.	სალომე სამადაშვილი, თბილისი							X	X	X	

ჯგუფი VIII. საერთაშორისო და ადგილობრივი დონორების მიდგომები (ცხრილი 17):

ამ ჯგუფის ორი რესპოდენტის მიდგომები არ ემთხევა ერთმანეთს. თ. ბარბაქაძე (ინტერვიუ #40) ფიქრობს, რომ საკანონმდებლო სისტემა ძირითადად დამაკმაყოფილებელია, თუმცა უნდა მოხდეს ძველი კანონების განახლება, უმჯობესია თუ შეიქმნება ახალი კანონი საზოგადოების ჩართულობასთან დაკავშირებით დეტალური ჩართულობის მექანიზმებით. მისი ფონდი აფინანსებს გარემოსდაცვით ორგანიზაციებს სამი ქვეყნის მაშტაბით. პრობლემას ხედავს საზოგადოების ინფორმირების მიმართულებით და ფიქრობს რომ სამინისტრის შტატი არ ყოფნის. მეორე რესპოდენტი დაფინანსების ნაკლებობას მიაწერს ჩართულობის დაბალ დონეს და დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე ფიქრობს რომ ქრაუდფანდინგის იდეა ყველაზე უპრიანია(ინტევიუ #41).

ცხრილი 17. საერთაშორისო და ადგილობრივი დონორების მიდგომები

#	საერთაშორისო და ადგილობრივი დონორები	არასამთვრობო ორგანიზაციების როლი გადაწყვეტილების მიღების პროცესში			ვინ უნდა უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა			პრობლემები, რომლებიც აფერხებენ საზოგადოების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში			
		მნიშვნ.	სუსტ.	უმნიშ.	არას.	სახ.	ერთ.	ფინან. წყარ.	კანომ.	გამჭ.	სხვა
i	ii	iii	iv	v	vi	vii	viii	ix	X	xi	xii
1	თეა ბარბაქაძე, თბილისი		X			X			X	X	X
2	მარიამ მიროტაძე, თბილისი							X			

ჯგუფი IX. საერთაშორისო გარემოსდაცვითი ექსპერტების მიდგომები (ცხრილი 18):

მაგდა დოტმა (ინტერვიუ #42) აღნიშნა, რომ დაიკეთა რეგიონალური გარემოსდაცვითი ცენტრი, რომელიც ატარებდა კვლევებს გარემოსდაცვითი სექტორის ჩართულობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც მისი აზრით ძალიან მნიშვნელოვანია როგორც სექტორის შეფასებისთვის, ისე სექტორის მნიშვნელობის როლის გაზრდისათვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ა. ვალიხანივა გვიზიარებს საზოგადოების ჩართუობის საერთაშორისო გამოცდილებას, როდესაც დეველოპერმა პროექტის განხორციელების ადრეულ ეტაპზე

ადგილობრივი საზოგადოების ჩართულობა მოახდინა ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად, რამაც განაპირობა როგორც საზოგადოების ეფექტური მონაწილეობა, ისე პროექტის წარმატებული განხორციელება.

ცხრილი 18. საერთაშორისო გარემოსდაცვითი ექსპერტების მიდგომები

#	საერთაშორისო გარემოსდაცვითი ექსპერტები	არასამთავრობო ორგანიზაციების როლი გადაწყვეტილების მიღების პროცესში			ვინ უნდა უზრუნველყოს დაგაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა			პრობლემები, რომლებიც აფერხებენ საზოგადოების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში			
		მნიშვნ.	სუსტ.	უმნიშ.	არას.	სახ.	ერთ.	ფინან. წყარ.	კანომ.	გამჭ.	სხვა
i	ii	iii	iv	v	vi	vii	viii	ix	X	xi	xii
1	მაგდა დოტი, უნგრეთი										X
2	ალტინაი ვალიხანოვა, ჰოლანდია										X

ჯგუფი X. გარემოსდაცვითი ჟურნალისტების მიდგომები (ცხრილი 19):

ამ ჯგუფის ორივე რესპოდენტის მიდგომები დაემთხვა ერთმანეთს. ორივე რესპოდენტი თვლის რომ საკანონმდებლო სისტემა დასახვეწია, ლ. ბუთხუზი თვლის რომ ახალი კანონის შექმნას საზოგადოების მონაწილეობაზე აჯობებს არსებულ კანონებში შევიდეს ცვლილებები, ზუსტი ჩართულობის მექანიზმებით.

ორივე რესპოდენტი თვლის, რომ ფინანსების ნაკლებობა, რომელიც წლებთან ერთად მცირდება როგორც რაოდენობრივად, ისე ბიუჯეტურად (ინტევიუ #44) ასე აფერხებს საზოგადიების ჩართულობას.

მესამე შეკითხვის მეოთხე ქვეკითხვაზეც მსგავსი მიდგომები აქვთ რესპოდენტებს. ორივე რესპოდენტი თვლის, რომ მედიის როლი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ინფორმირებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია. სამწუხაროდ, ბ. ბენაშვილის რადიო-გადაცემა საზოგადოებრივი მაუწყებლობის პირველ რადიოში, ერთადერთი მედია სივრცეა, სადაც გარემოსდაცვითი პრობლემების გაშუქება და მსჯელობა ხდება. ლ. ბუთხუზი (ინტერვიუ #45) თვლის, რომ დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე სატელევიზიო კლიპების საშუალებით, საზოგადოების ინფორმირება ყველაზე ეფეტური საშუალებაა.

ცხრილი 19. გარემოსდაცვითი ჟურნალისტების მიდგომები

#	გარემოსდაცვითი ჟურნალისტების წარმომადგენლები	არასამთვრობო ორგანიზაციების როლი გადაწყვეტილების მიღების პროცესში			ვინ უნდა უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა			პრობლემები, რომლებიც აფერხებენ საზოგადოების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში			
		მნიშვნ.	სუსტ.	უმნიშ.	არას.	სახ.	ერთ.	ფინან. წყარ.	კანომ.	გამჭ.	სხვა
i	ii	iii	iv	v	vi	vii	viii	ix	X	xi	xii
1	ბარბარე ბენაშვილი, საზოგადოებრივი მაუწყებელი		X					X	X	X	X
2	ლევან ბუთხუზი, ტვ ფორმულა		X					X	X	X	X

ჯგუფი XI. ადგილობრივი კერძო სექტორის წარმომადგენლების მიდგომები (ცხრილი 20):

რესპოდენტის აზრით, გარემოსდაცვითი ორგანიზაციების როლი მნიშვნელოვანია, საკანონმდებლო ბაზა დახვეწილია ჩართულობისათვის, მთავრობა

უზრუნველყოფს ამ პროცესებს, ფინანსებიც საკმარისია. მისი აზრით, ადგილობრივი ბიზნესი და ბანკებიც მზად არიან თანამშრომლობასათვის. მისი კომენტარი „სხვა“ ქვეკითხვაზე არის ის, რომ წარმატებული ჩართულობისათვის არასამთავრობო სექტორი მჭიდროდ უნდა თანამშრომლობდეს სამთავრობო სექტორთან. მაგალითად მოჰყავს ტყის ახალ კოდექსზე მუშაობის პროცესი, როდესაც „მწვანე ალტერნატივამ“ წარმატებით ითანამშრომლა საკანონმდებლო ორგანოებთან (ინტერვიუ #46).

ცხრილი 20. ადგილობრივი კერძო სექტორის წარმომადგენლების მიდგომები

#	ადგილობრივი კერძო სექტორის წარმომადგენლები	არასამთვრობო ორგანიზაციების როლი გადაწყვეტილების მიღების პროცესში			ვინ უნდა უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა			პრობლემები, რომლებიც აფერხებენ საზოგადოების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში			
		მნიშვნ.	სუსტ.	უმნიშ.	არას.	სახ.	ერთ.	ფინან. წყარ.	კანომ.	გამჭ.	სხვა
i	ii	iii	iv	v	vi	vii	viii	ix	X	xi	xii
	ბესო აბაშიძე, თბილისი	X				X					X

ჯგუფი XII. გარემოსდაცვითი იურისტების წარმომადგენლების მიდგომები (ცხრილი 21):

ამ ჯგუფის რესპოდენტების აზრით, დღეს გარემოსდაცვითი ორგანიზაციების როლი გადაწყვეტილების მიღების პროცესში სუსტია. კ. ყალიჩავა (ინტერვიუ #48) ამას სექტორის არაპროსეიონალიზმში ხედავს. რესპოდენტების აზრი ემთხვევა ასევე მეორე შეკითხვის პასუხაც, როცა ორივე იურისტი ფიქრობს, რომ საკანონდებლო ბაზა აბსოლუტურად საკმარისია საზოგადოების ჩართულობისათვის, და ძირითად პრობლემად კ. ყალიჩავა მის აღსრულებაში ხედავს. ის ასევე ფიქრობს, რომ „გზშ დოკუმენტის მომზადების ხარისხი არის კულტურის ნაწილი – ანუ დეველოპერი თვითონ უნდა იყოს დაინტერესებული, რომ მაღალი დონის დოკუმენტი მოამზადოს, და ამისათვის ბევრი ფინანსები უნდა დახარჯოს“. მ.ბარბაქაძე(ინტერვიუ #47), ორგანიზაციებს შორის კოლაბორაციის სიმცირეზე საუბრობს და ახალი დაფინანსების წყაროებთან დაკავშირებით ფიქრობს, რომ მთავრობამ უნდა უზრუნველყოს ისეთი ფონდების შემოსვლა, რომლებიც დააფინანსებენ, როგორც

გარემოსდაცვით პროექტებს, ასევე უზრუნველყოფენ გადაწყვეტილების პროცესში გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ჩართულობას.

ცხრილი 21. გარემოსდაცვითი იურისტების მიდგომები

#	გარემოსდაცვითი იურისტების წარმომადგენლები	არასამთავრობო ორგანიზაციების როლი გადაწყვეტილების მიღების პროცესში			ვინ უნდა უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა			პრობლემები, რომლებიც აფერხებენ საზოგადოების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში			
		მნიშვნ.	სუსტ.	უმნიშ.	არას.	სახ.	ერთ.	ფინან. წყარ.	კანომ.	გამჭ.	სხვა
i	ii	iii	iv	v	vi	vii	viii	ix	X	xi	xii
1	მერაბ ბარბაქაძე, თბილისი		X			X		X			X
2	კობა ყალიჩავა, თბილისი		X			X					

ჯგუფი XIII. გარემოს ჯანდაცვის ექსპერტების მიდგომები (ცხრილი 22):

ქ.ჩიჩუას (ინტერვიუ #49) აზრით გარემოსდცავითი სექტორი სუსტია, და მათი როლიც ასევე სუსტია გადაწყვეტილების მიღების პროცესში. საჭიროა რომ სექტორი გაიზარდოს საზოგადოებასთან ერთდ. „ჩვენი საზოგადოების ყველაზე დიდი ნაკლია მოქალაქეობრივი ინიციატივების არ არსებობა, ანუ სახელმწიფო ვერ გრძნობს რომ იდეა მოდის ქვემოდან და ვერც საზოგადოება გრძნობს, რომ თუ დღეს არ დავრგეთ მილიონი ხე ხვალ სუნთქვა შეუძლებელი იქნება“, ამბობს რესპოდენტი. მისი აზრით, საკანონმდებლო ბაზა არასრულყოფილია, ყურადღებას ამახვილებს პარლამენტის რეგლამენტის კანონის დახვეწაზე, დაფინანსების წყაროების სიმცირეზე, გადაწყვეტილების პროცესის გაუმჭირვალობაზე და სუსტ კოლაბორაციაზე ორგანიზაციებს შორის.

ცხრილი 22. გარემოს ჯანდაცვის ექსპერტების მიდგომები

#	გარემოს ჯანდაცვის წარმომადგენლები	არასამთავრობო ორგანიზაციების როლი გადაწყვეტილების მიღების პროცესში			ვინ უნდა უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა			პრობლემები, რომლებიც აფერხებენ საზოგადოების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში			
		მნიშვნ.	სუსტ.	უმნიშ.	არას.	სახ.	ერთ.	ფინან. წყარ.	კანომ.	გამჭ.	სხვა

#	გარემოს ჯანდაცვის წარმომადგენლები	არასამთავრობო ორგანიზაციების როლი გადაწყვეტილების მიღების პროცესში			ვინ უნდა უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა			პრობლემები, რომლებიც აფერხებენ საზოგადოების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში			
i	ii	iii	iv	v	vi	vii	viii	ix	X	xi	xii
1	ქეთი ჩიჩუა, თბილისი		X			X		X	X	X	X

ჯგუფი XIV. ფინანსური ექსპერტების მიდგომები (ცხრილი 23):

ა. მიქელაძის (ინტერვიუ #50) აზრით, გარემოსდაცვითი ორგანიზაციების წარმატებულ ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში ფინანსები აფერხებს. სექტორის მიერ გამოყენებული ფინანსური ანგარიშები არის გამჭირვალე, საჭიროა წყაროების დივერსიფიკაცია (საწევროები, გრანტები, სერვისების მიწოდება კერძო სექტორისათვის). მისი აზრით, არასამთავრობო ორგანიზაციებს გამოცდილება და ცოდნა აკლიათ ორგანიზაციის ფინანსურ მართვაში, საჭიროა ტრენინგები ფინანსური მართვის მიმართულებით.

ცხრილი 23. ფინანსური ექსპერტების მიდგომები

#	ფინანსური ექსპეტრტების წარმომადგენლები	არასამთავრობო ორგანიზაციების როლი გადაწყვეტილების მიღების პროცესში			ვინ უნდა უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა			პრობლემები, რომლებიც აფერხებენ საზოგადოების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში			
		მნიშვნ.	სუსტ.	უმნიშ.	არას.	სახ.	ერთ.	ფინან. წყარ.	კანომ.	გამჭ.	სხვა
i	ii	iii	iv	v	vi	vii	viii	ix	X	xi	xii
1	ალექსანდრე მიქელაძე, თბილისი							X			

6.3. ჰიპოთეზების შეფასება

კვლევაში ჩართული გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საზოგადოების სხვადასვა ფენებთან ინტერვიუების შედეგად, რამდენიმე პრობლემა გამოვლინდა, რომლებიც გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში აფერხებენ საზოგადოების მონაწილეობას საქართველოში. ამის საფუძველზე, ოთხი ჰიპოთეზის ფორმულირება მოხდა. ჰიპოთეზების შეფასებით კი შესაძლო პასუხების მოძიება მოხდება არსებულ პრობლემებთან მიმართებაში (Chichua, 2022).

ჰიპოთეზა I: თვითდაფინანსება ეხმარება გარემოსდაცვით არასამთავრობო ორგანიზაციებს გაუმჯობესონ ფინანსური მდგომარეობა და გაზარდონ ჩართულობა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

პირველი ჰიპოთეზის ნაწილი მართალია, თუმცა ადვილი არ არის თვითდაფინანსების საქმიანობის გავლენის შეფასება თითოეული ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე, რადგანაც ბევრ სხვა ფაქტორს ასევე შეუძლია განსაზღვროს ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობა. მაგალითად, პერსონალს, შიდა მენეჯმენტს, ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობას, ორგანიზაციის საქმიანობის ტიპს და სხვ. (თავი 5).

საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციების უმეტესობა უცხოური გრანტებით არსებობს და მათი ფინანსური სტატუსი სტაბილური არ არის (იხ. 6.2.2). საქართველოში არსებული უცხოური ფონდებიდან/ორგანიზაციებიდან მხოლოდ EU, USAID და ADA აფინანსებენ არასამთავრობო გარემოსდაცვითი ორგანიზაციების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მათ მიერ დაფინანსებული იყო 15 პროექტი, 12 გარემოსდაცვითი მიმართულებით, ერთი განათლების და ორი საკანონმდებლო მიმართულებით. გარემოსდაცვითმა ორგანიზაციებმა თვითდაფინანსებით 10-ჯერ მიიღეს მონაწილეობა გარემოსდაცვოთი მიმართულებით და ორჯერ ქართული კერძო კომპანიის დახმარებით (ცხრილი 8, 9; დიაგრამა 1, 2).

CENN და **ნაკრესი** მაღალი აქტივობის (H) და კარგი ფინანსური მდგომარეობის არასამთავრობო ორგანიზაციები არიან. მათ ორივეს მხოლოდ ერთი დაფინანსების წყარო აქვთ – უცხოური გრანტები. **CENN**-მა ყველაზე ბევჯერ (7-ჯერ)

შეძლო გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა სამი სხვადასხვა მიმართულებით (დანართი 1, კითხვარი #7), ხოლო **ნაკრესმა** მხოლოდ ერთხელ.

საშუალო ფინანსური მდგომარეობით და მაღალი აქტივობით (H) გამოირჩევიან **მწვანე ალტერნატივა** და **საბუკო**. თუ მონაწილეობისათვის **მწვანე ალტერნატივას** უცხოური დაფინანსება ჰქონდა, **საბუკომ** ეს ჩართულობა დაფინანსების გარეშე განახორციელა. რაც შეეხება **ელკანას**, საშუალო ფინანსური და აქტივობის (M) დონით, მან გადაწყვეტილების მიღების პროცესში ორჯერ შეძლო ჩართულობა დაფინანსების გარეშე საკანონმდებლო დონზე (ცხრილი 5). არასტაბლილური ფინანსური სტატუსით და მაღალი აქტივობით (H) გამოირჩევა **გავიგუდეთ**. ორგანი0ზაციამ შეძლო დაფინანსების გარეშე გადაწყვეტილების მიღების პროცესში 5-ჯერ მონაწილეობა. საშუალო აქტოვობებით (M) **სპექტრმა** და **ჭაობმა** რამდენჯერმე მიიღეს მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში უცხოური და ადგილობრივი დაფინანსებით. რაც შეეხება დაბალი აქტივობის (L) მქონე ორგანიზაციებს **საქართველოს მწვანეებს** და **ტყიბულის განვითარების ფონდს,** მათაც შეძლეს ერთხელ ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. თუ **ტყიბულის განვითარების ფონდმა** შეძლო დაფინანსების მოზიდვა, საქართველოს მწვანეებმა დაფინანსების გარეშე შეძლეს. **საქართველოს მწვანეები** ერთადერთი ორგანიზაციაა 1200 წევრით და ორი ფინანსური წყაროთი – უცხოური დონორები და საწევროები (დანართი 1, კითხვარი #6).

ცალკე უნდა გამოიყოს რეგიონალური ორგანიზაცია **ლორე**, რომელმაც დაფინანსების მოპოვება ვერ შეძლო არა მხოლოდ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობისათვის, არამედ სხვა აქტივობების განსახოციელებლადაც. ორგანიზაციის სახელით, მისი ხელმძღვანელი რამდენიმე წელიწადი დაფინანსების გარეშე იყო ჩართული საკრებულოს საქმიანობაში გარემოსდცავითი მიმართულებით (დანართი 1, კითხვარი #11).

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კარგი ფინანსური მდგომარეობით და მაღალი აქტივობით, **CENN**-მა რამდენჯერმე შეძლო მონაწილეობა მიეღო გადაწყვეტილების პროცესში. იგივე სტატუსის მქონე **ნაკრესმა** მხოლოდ ერთხელ შეძლო ჩართულობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ორგანიზაციამ უნდა გაზარდოს აქტივობები და გადახედოს ორგანიზაციის შიდა მენეჯმენტს.

რაც შეეხება საშუალო და არასატბილური ფინანსური სტატუსის მქონე ორგანიზაციებს, მათ უნდა მოახდინონ ფინანსური წყაროების დივერსიფიკაცია. მაგალითად, გაყიდონ, ან შესთავაზონ სერვისები (როგორც ეს **ჭაობმა** შეძლო) როგორც სამთავრობო, ისე კერძო სექტორს. ეს სერვისები შეიძლება იყოს ტრენინგები, კვლევები და სხვ. (თ. მთვარელიძე, დანართი 2, ინტერვიუ #24).

გ. ძამუკაშვილი ფიქრობს, რომ უნდა არსებობდეს სახელმწიფო გრანტები (დანართი 2, ინტევიუ #21). ა. ტრაპაიძე (ინტერვიუ #15) კი არ მიესალმება სახელმწიფო გრანტების სისტემას. იგივე აზრს იზიარებს ირაკლი მაჭარაშვილიც (ინტერვიუ #20). მათი აზრით, ორგანიზაციები დაკარგავენ დამოუკიდებლობას. ქ. ცხაკაიას აზრით, ორგანიზაციების თვითდაფინანსებაზე გადასვლას აფერხებს კანონის „ქველმოქმედების შესახებ“ არარსებობა (დანართ 2, ინტერვიუ #8). სოციალური საწარმოების ინსტიტუტის განვითარებაზე საუბრობს ი. მაჭუტაძე (დანართი 2, ინტერვიუ #10). ი. მაჭარაშვილი თვლის, რომ არასამთავრობო სექტორს თვითონ საზოგადოება უნდა აფინანსებდეს, როგორც ევროპის ბევრ ქვეყანაში, მაგრამ ასევე დასძენს, რომ სანამ საქართველოში არ იქნება ძლიერი საშუალო ფენა, ეს მიდგომა არ იმუშავებს (დანართი 2, ინტერვიუ #20). თ. თაველიძე, გორის რეგიონალური ორგანიზაციიდან თვლის, რომ სოციალურ პრობლემებზე მომუშავე ორგანიზაციებს თვით სახელმწიფო უნდა აფინანსებდეს (დანართი 2, ინტერვიუ #33).

რეგიონალური ორგანიზაციების წარმომადგენლები ცალსახად აღნიშნავენ, რომ დღეს რეგიონალური ორგანიზაციები თვითდაფინანსებაზე ვერ გადავლენ, ასევე ვერ შეძლებენ ფინანსების დივერსიფიკაციასაც და დაფინანსების ერთადერთ წყაროდ უცხოურ დონორებს მოიაზრებენ (ინტერვიუ #30, 31). მარი მიქოიანი (დანართი 2, ინტერვიუ #32) დღეს საქართველოში ქრაუდფანდინგის ინსტიტუტს მოიაზრებს დაფინანსების ყველაზე შესაფერის წყაროდ. ძალიან საინტერესო გამოცდილებას გვიზიარებს ა. ჭანიძე (დანართი 2, ინტერვიუ #29) ბათუმიდან, როდესაც მისმა ორგანიზაციამ ადგილობრივ ბანკებთან და ბიზნესთან შეძლო საერთო „ენის“ გამონახვა და მცირე პროექტების დაფინანსება.

რაც შეეხება უცხოურ დაფინანსებებს, ბევრი ფონდი დაიკეტა, ამბობს მერაბ ბარბაქაძე და პირდაპირ ფინანსების არასაკმარის რაოდენობას უკავშირებს საზოგადოების არაეფექტურ ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში

(ინყეტვიუ #47). არსებული უცხოური ფონდები ყველა ორგანიზაციებისათვის არ არის ხელმისაწვდომი, ამბობს ქეთი ცხაკაია (ინტერვიუ #8, დანართი 2) და თვლის, რომ მილიონიანი ევროკავშირის დაფინანსებები რეგიონალური ორგანიზაციებისათვის არ არის ხელმისაწვდომი ევროკავშირის რეგულაციებიდან გამომდინარე, მცირე გრანტების კონკურსი (100.000 ევრო) კი ევროკავშირმა გააუქმა. ზოგი რესპოდენტი თვლის, რომ უცხოურ ფონდებს „თავისი ფავორიტი ორგანიზაციები“ ჰყავთ, რომლებიც მუდმივად ღებულობენ დაფინანსებებს (ინტერვიუ #13, 17). გარემოსდაცვითი საკითხები და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობა არ არის ფონდებისთვის პრიორიტეტული (დანართი 2, ინტერვიუ #23).

თ. მაღედანი თვლის, რომ გარდა გრანტებისა, აუცილებელია მოხალისეობის ინსტიტუტის აქტიურად გამოყენება (დანართი 2, ინტერვიუ #12).

ფინანსისტი ა. მიქელაძე (დანართი 2, ინტერვიუ #50), რომელმაც საფუძვლიანად შეისწავლა არასამთავრო ორგანიზაციების დაფინანსების წყაროები, თვლის, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს გამოცდილება აკლიათ და ცოდნა ორგანიზაციის ფინანსურ მართვაში – საჭიროა ტრენინგები ფინანსური მართვის მიმართულებით.

ქეთი წერეთელი (ინტერვიუ #16) აღნიშნავს „ფინანსები საკმარისი არასოდეს არის“, ხოლო ნინო ჩხობაძე ფიქრობს რომ „დაფინანსების გარეშეც უნდა მიიღონ გარემოსდაცვითმა ორგანიზაციებმა გადაწყვეტიოლების მიღების პროცესში მონაწილეობა“ (დანართი 2, ინტერვიუ #6).

გარემოსდაცვითმა ორგანიზაციებმა თავიანთი ორგანიზაციების სპეციფიკიდან გამომდინარე და ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიურ-პოლიტიკური სიტუაციის შესაბამისად უნდა მოახდინონ ფინანსური რესურსების სწორი მართვა, რაც, ერთის მხრივ, მათ წარმატებული ჩართულობის გარანტიაა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და, მეორეს მხრივ, უზრუველყოფს მათ ფიზიკურ არსებობასაც.

ჰიპოთეზა II: გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმატებული მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში პირდაპირ კავშირშია გარემოს-დაცვითი საკანონმდებლო სისტემის განვითარებასთან.

ეს ჰიპოთეზა ეფუძნება ჩტარებული ინტერვიუების შედეგებს (ცხრილი 10-23 და დანართი 2). 50 გამოკითხულიდან, აბსოლუტურმა უმრავლესობამ არასრულყოფილი საკანონმდებლო სისტემა მოიხსენია როგორც მთავარი დაბრკოლება საზოგადოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმატებული მონაწილეობისა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საქართველოში. საზოგადოებამ ვერ შეძლო ამ სფეროში წარმატებული ჩართულობა საქართველოს კანონმდებლობაში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო. ამან ასევე ბევრი პრობლემა შეუქმნა არასამთავრობო ორგანიზაციებს (იხ. 6.2.3).

ეროვნული და საერთაშორისო კანონები, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოების ჩართულობას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში დეტალურად არის განხილული მე-4 თავში.

ახალმა დამოუკიდებელმა საქართველომ შექმნა გარემოსდაცვითი კანონები, რომლებიც ითვალისწინებს გარკვეულ დებულებებს საზოგადოების მონაწილეობის შესახებ. საერთაშორისო ექპერტი რამაზ გოხელაშვილი თვლის, რომ 1996 წელს მიღებული კანონები დღეს ძალიან მოძველებულია – „ქვის ხანის“, და მათ არ გააჩნიათ მუშაობის ბერკეტები. მისი წუხილის ძირითად საგანს წარმოადგენს კანონი „დაცული ტერიტორიების შესახებ“ (დანართი 2, ინტერვიუ #22). ირაკლი შავგულიძე (დანართი 2, ინტერვიუ #1), თვლის, რომ კანონი „ბიომრავალფეროვნების შესახებ“ ასევე ძალიან მოძველებულია, მიუხედავად იმისა, რომ ნაკრესი ძალიან აქტიურად იყო ჩართული ახალი კანონის მომზადების პროეცესში, პროცესი ჯერ გაიწელა და მერე კანონპროექტი თაროზე შემოიდო განუსაზღვრელი ვადით. და ამატებს, რომ ბიომრავალფეროვნების სტრატეგიასაც ვადა გაუვიდა და არავინ ზრუნავს ამაზეც. ხ. სიჭინავა (დანართი 2, ინტერვიუ #3) თვლის, რომ საკანონმდებლო სისტემა დასახვეწია, რადგანაც ის არ ითვალისწინებს მონაწილეობის მექანიზმებს და ეტაპებს. მაგალითად. ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების ადრეულ ეტაპზე უნდა ხდებოდეს, თვლიან ე. შატბერაშვილი. ლ. კურდღელაშვილი და ი. მაჭარაშვილი (ინტერვიუ #4, 19, 20). ნინო ჩხობაძე (დანართი 2, ინტერვიუ #6)

ფიქრობს, რომ საკანონმდებლო სისტემა საზოგადოების ჩართულობისათვის არასაკმარისია. მისი აზრით, ორჰუსის კონვენციის „გაშლა“ უნდა მომხდარიყო ეროვნულ კანონმდებლობაში, რაც არ მოხდა. რეზო გეთიაშვილი (დანართი 2, ინტერვიუ #7), თვლის, რომ მიუხედავად ახალი ტყის კოდექსისა, მის დახვეწაზე მუშაობა უნდა გაგრძელდეს, და ასევე დაამატა, რომ აუცილებელია ენერგეტიკის პოლიტიკის დოკუმენტის მომზადებაც. ნუგზარ მელაძე ფიქრობს, რომ დღევანდელი საკანონმდებლო სისტემა ვერ უზრუნველყოფს საზოგადოების სრულყოფილ, ეფექტურ ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში (დანართი 2, ინტერვიუ #13). ი. მაჭარაშვილი აღნიშნავს „საზოგადოების სელექციურ“ ჩართულობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში და საკანონმდებლო სისტემის არასრულყოფილებაში ხედავს პრობლემას (დანართი 2, ინტერვიუ #20). ა. რუსეცკი თვლის, რომ საჭიროა შეიქმნას კანონი საზოგადოების მონაწილეობის შესახებ, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი მექანიზმი და ეტაპები მონაწილეობის (დანართი 2, ინტერვიუ #28). გ. ანდღულაძე თვლის რომ ვერანაირი კანონი და ჩასწორება ვერ უზრუნველყოფს საზოგადოების ჩართულობას, თუ პოლიტიკური ნება არ იქნება ამისათვის(ინტერვიუ # 30). ნ.ჭელიძე (ინტერვიუ#23) და ა. ტრაპაიძე (ინტერვიუ #15), საუბრობენ ორჰუსის კონვენციის ჩარჩოში საზოგადოების მიერ სასამართლო დავების არარსებობაზე გარემოსდაცვითი კუთხით. ორივე რესპოდენტი მიზეზად დაფინანსების არარსებობას ასახელებს (სასამართლო პროცესები არ არის უფასო საქართველოში). პარლამენტარი ხ. წილოსანი, სამინისტროს წარმომადგენლები ნ. გოხელაშვილი და ლ. ფხოველაშვილი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საკანონმდებლო სისტემა, როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო, აბსოლუტურად საკმარისია საზოგადოების ეფექტური ჩართულობისათვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მათი აზრით, საზოგადოება პასიურია და არ ყოფნის პროფესიონალიზმი ამისათვის (ინტევიუ #35, 36, 38). მაია ბითაძე, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების საპარლამენტო კომიტეტის თავჯდომარე, იზიარებს კოლეგების აზრს და დეტალურად საუბრობს კანონშემოქმედებითი პროცესის ახალ მოდელზე, რომელიც მთლიანად საზოგადოების ჩართულობაზეა აგებული (ინტერვიუ #37).

ლევან ბუთხუზი პრობლემას უფრო კანონის აღსრულებაში ხედავს (ინტერვიუ #45). იურისტი კობა ყალიჩავა ფიქრობს, რომ ახალ კოდექსში უნდა

მოხდეს გზშ და ნებართვების გამიჯვნა. გარდა ამისა ის პრობლემას ასევე უხარისხო გზშ-ს დოკუმენტების მომზადებაში ხედავს – „გზშ დოკუმენტის მომზადების ხარისხი არის კულტურის ნაწილი – ანუ დეველოპერი თვითონ უნდა იყოს დაინტერესებული მაღალი დონის დოკუმენტის მოამზადებაში, და ამისათვის უნდა დახარჯოს ბევრი ფინანსები“ (ინტერვიუ #48).

საზოგადოების მიერ მომზადებული კომენტარები/რეკომენდაციების გათვალისწინების ვალდებულებას ყველა კანონი არ ითვალისწინებს, ბუნდოვანია ასევე „არ გათვალისწინების მექანიზმიც“(ინტერვიუ #20).

დასასრულს, საქართველოს საკანონმდებლო ბაზამ უნდა უზრუნველყოს საზოგადოების მონაწილეობას ყველა სახის გადაწყვეტილების მიღებაში.

ჰიპოთეზა III: მჭიდრო კოლაბორაცია ორგანიზაციებს შორის არის საუკეთესი გზა არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეფექტური მონაწილეობისათვის.

მეორე ჰიპოთეზის მსგავსად, ეს ჰიპოთეზაც ინტერვიუების შედეგებს ემყარება (ცხრილი 10-23, დანართი 2). 50 გამოკითხულიდან ნახევარზე მეტმა უპასუხა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის კოლაბორაცია ძალიან სუსტია (ინტერვიუ #13, 22, 24, 31, 33, 38, 49).

სამწუხაროდ, ბოლო ათი წლის განმავლობაში, მხოლოდ ორი მაგალითი არსებობს გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის ეფექტური თანამშრომლობით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის (იხ. 6.2.3.). ეს ის შემთხვევაა, როდესაც **ნაკრესმა** და **მწვანე ალტერნატივამ** ერთობლივად შეძლეს „ზურმუხტის ქსელის“ სამი საიტის შექმნა. წარმატებულ კოლაბორაციაზე საუბრობენ ქეთი ცხაკაია და ზაზა გოჩელაშვილი, როდესაც „ტყიბულის გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმა“ შეიქმნა. მანანა ქოჩლაძე აღნიშნავს, რომ მისი ორგანიზაციის მიერ ვიწრო წრეში ხდება თანამშრომლობა (ინტერვიუ #2).

გ. ძამუკაშვილი პრობლემას იმაში ხედავს, რომ დღეს გარემოსდაცვითი ორგანიზაციები არ იცნობენ ერთმანეთს და ერთმანეთის საქმიანობას. 90-იან წლებში იყო საერთშორისო ორგანიზაცია ISAR, რომელიც რეგულარულად აწყობდა ორგანიზაციული განვითარების ტრენინგებს, სადაც ორგანიზაციების დაახლობა

ხდებოდა და ერთობლივი პროექტები იგეგმებოდა. გ. ძამუკაშვილი ასევე ეხება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გარემოსდაცვითი ორგანიზაციების პლატფორმასაც, თუმცა ფიქრობს, რომ ეს პლატფორმაც არ არის საკმარისი ეფექტური კოლაბორაციისათვის ორგანიზაციებს შორის (ინტერვიუ #21). ნინო ჩხობაძე, იზიარებს იგივე მიდგომას, და აღნიშნავს, რომ სწორედ ამ მიზნით შექმნა ონლაინ ფლატფორმა „საზოგადოებრივი გუშაგი", სადაც გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციები იკრიბებიან ყოველკვირეულად და ხდება ინფორნაციის გაცვლა, აზრთა შეჯერება და მსჯელობა სხვადასხვა გარემოსდაცვით პრობლემებზე (ინტერვიუ #6).

იგივე თემას აგრძელებს ქეთი ცხაკაია ქუთაისიდან, როდესაც ამბობს, რომ რეგიონის მასშტაბით ორგანიზაციები ფლობენ ინფორმაციას ერთმანეთის შესახებ, მაგრამ საქართველოს სხვა რეგიონებში რა ხდება არ იციან (ინტევიუ #8).

სალომე ჟვანია ზუგდიდან (ინტერვიუ #31) და თამარ თაველიძე (ინტერვიუ #33) გორიდან, ფიქრობენ რომ ორგანიზაციები ერთმანეთში კონკურენტებს ხედავენ.

არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის არაერთგვაროვანმა თანამშრომლობამ შეასუსტა გადაწყვეტილების მიღების პროცესი. არასამთავრობო ორგანიზაციების მჭიდრო თანამშრომლობის რამდენიმე მაგალითი სამწუხაროდ საკმარისი არ არის ეფექტური მონაწილეობისათვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში, უნდა მოხდეს მჭიდრო კოლაბორაცია გარემოსდაცვით არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის.

ჰიპოთეზა IV: გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალობა ხელს უწყობს საზოგადოების წარმატებულ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ეს ჰიპოთეზა ჭეშმარიტი ჩანს ლიტერატურის მიმოხილვისა და ინტერვიუების შედეგებზე დაყრდნობით (ცხრილი 10-23, დანართი 2).

მე-4 თავში დეტალურადაა აღწერილი ყველა ის საკანონდებლო ბაზა და ინსტრუმენტები, რამაც უნდა უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭირვალეობა.

მიმდინარე კვლევაში გამჭვირვალობის დაბალი დონე რესპოდენტთა თითქმის უმრავლესობამ დაასახელა როგორც საზოგადოების წარმატებული მონაწილეობის მთავარი დაბრკოლება (იხილე 6.2.3.).

რესპოდენტები ამბობენ, რომ ძალიან ხშირად დოკუმენტების გასაჯაროება გვიან ხდება, ჯერ მშენებლობა იწყება და მერე ხდება გზშ ანგარიშის მომზადება, ანდა გადაწყვეტილება მისი მიღების შემდეგ ქვეყნდება, რაც გადაწყვეტილების მიღების პროცესს ბუნდოვანს ხდის (ინტერვიუ #1, 4, 5).

მ. ქოჩლაძე თვლის, რომ ცუდად მუშაობს გარემოსდაცვითი განათლების ცენტრი, რომელიც საზოგადოებას დროულად არ აწვდის ინფორმაციას (ინტერვიუ #2). საწინააღმდეგო მოსაზრება აქვთ ცენტრის თანამშრომლებს (ინტრვიუ #35, 36) და ამბობენ, რომ მედიის ყველა ინსტრუმენტი აქვთ ჩართული საზოგადოების დროული და სრულფასოვანი ინფორმირებისათვის.

ნ. ჩხობაძე პრობლემას ხედავს ასევე იმაშიც, რომ ცალკე გარემოსდაცვის სამინისტრო არ არსებობს და მთავრობისთვის გარემოსდაცვითი პრობლემები პრიორიტეტული არ არის (ინტერვიუ #4).

რეზო გეთიაშვილი გადაწყვეტილების პროცესის გაუმჭირველობას უწყებათაშორის ინსტიტუტებს შორის არაკორდინირებულ თანამშრომლობას აბრალებს (ინტერვიუ #5).

რეგიონალური ორგანიზაციები ადგილობრივ საკრებულოებს ცუდ მუშაობაში და საზოგადოების არადროულ ინფორმირებაში ადანაშაულებენ (ინტერვიუ #8, 30, 31).

ი. მაჭუტაძე (ინტერვიუ # 10) თვლის, რომ გადაწყვეტილების მიმღებ პირებს არ გააჩნიათ ცოდნა გარემოსდაცვითი მიმართულებით. ხ. წილოსანი, ამბობს, რომ გარემოსდაცვით კომიტეტში არც ერთი დეპუტატი არ არის გარემოსდაცვითი განათლებით, და ფიქრობს, რომ არც დიდად საჭიროებენ პროფესიონალებს გუნდში, რადგანაც აქტიურად იყენებენ გარემოსდაცვით კონსულტანტებს, ექსპერტებს და მრჩეველების ინსტიტუტს (ინტერვიუ #38).

ანგარიშგება გადაწყვეტილების მიმღები ორგანოებიდან დაბალია, ამბობს თინათინ მაღედანი, რაც გადაწყვეტილების მიმღებ პროცესს არაგამჭირვალეს ხდის (ინტერვიუ # 12).

ნ. მელაძე თვლის რომ საზოგადოების ინფორმირება არ ხდება ისეთ დიდ პროექტებზე, როგორიცაა ჰესების მშენებლობა, გზშ დაბალ დონეზე კეთდება, და ზოგჯერ „სხვა ანგარიშებიდან გადაწერილი ვერსიებიც კი არსებობს“ (ინტერვიუ #13).

ქეთი წერეთელი ფიქრობს, რომ ძირითადად გადაწყვეტილების მიღების პროცესი გამჭირვალეა, თუმცა უკმაყოფილოა პროცესების გაუმჭირვალობით რაჭის ტყეების გასხვისებისა და ნამახვანთან დაკავშირებულ პროცესებით (ინტერვიუ #16).

ნანა მეფარიშვილი ამბობს, რომ ხშირად ინფორმაცია დახურულია, გადაწვეტილებას ჯერ მიიღებენ და მერე გამოაქვეყნებენ (ინტერვიუ #17).

ლადო კურდღელაშვილი ამბობს, რომ საზოგადოების ადრეულ ეტაპზე ჩართულობა, სწორი ინფორმირება განაპირობებს გადაწყვტილების მიღების პროცესის გამჭირვალობას; იგივე აზრს იზიარებს საერთაშორისო ექსპერტი ალტინაი ვაიხანოვაც (ინტერვიუ # 19, 43).

ი. მაჭარაშვილის (ინტერვიუ #21) აზრით, იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოების აზრი გათვალისწინებული არ არის, გადაწყვეილების მიღების პროცესში ამის დასაბუთებაც უნდა იყოს.

რამაზ გოხელაშვილი, თვით არასამთვრობო სექტორს ადანაშაულებს ქმედებების არაგამჭირვალეობაში, რაც ასევე გადაწყვეტილების მიღების პროცესზეც აისახება (ინტერვიუ #22). გოხელაშვილის აზრს ეთანხმება ნინო ჭელიძეც, რომელიც ამბობს რომ დღეს გვაქვს „ფსევდო სამოქალაქო საზოგადოება“, რომელიც პრობლემების გადაჭრაზე და გაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის ნაცვლად „ფულის კეთებით არის დაკავებული“(ინტერვიუ #23).

თამარ მთვარელიძე საზოგადოების პასიურობას გადაწყვეტოლების მიღების პროცესში ხსნის ნიჰილიზმით, რადგანაც საზოგადოება ფიქრობს, რომ მის აზრს მაინც არ გაითვალისწინებენ (ინტერვიუ #24).

ნატო კირვალიძე (ინტერვიუ #25) ფიქრობს, რომ გამჭირვალობისათვის საჭიროა თანამშრომლობა სამთავრობო სტრუქტურებთან, მედგარ ჭელიძის აზრით, სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს საზოგადოების ჩართულობას და საზოგადოებას პროფესიონალიზმი არ ჰყოფნის (ინტერვიუ #26). მარი მიქოიანის აზრით, საჭიროა ორივე სექტორი გახდეს ადექტვატური, რაც პირდაპირ კავშირშია გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭირვალობასთან (ინტერვიუ #32). ნატა ფერაძე თვლის, რომ საზოგადოება უნდა გაიზარდოს, გახდეს უფრო განათლებული, და რომ ზუსტად ასეთ საზოგადოებას შესწევს ძალა შეცვალოს გადაწყვეტილებები გამჭირვალედ

(ინტევიუ #27). ჟურნალისტები ბ. ბენაშვილი და ლ. ბუთხუზი მედიის ჩართულობის აუცილებლობაზე საუბრობენ (ინტერვიუ #44, 45).

კობა ყალიჩავა ფიქრობს რომ დღეს გარემოსდაცვითი სექტორი ძალიან სუსტია და მისი როლი გადაწყვეტილების მიღების პროცეში მნიშვნელოვანი არ არის. იგივე აზრს იზიარებენ სხვა რესპოდენტებიც (ინტერვიუ #3, 4, 21, 22, 25, 28, 48).

არასამთვრობო სექტორმა საზოგადიების ნდობა დაკარგა, მთავრობამ უნდა აღიაროს არასამთავრობო სექტორის როლი და უზრუნველყოს მისი ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში (ინტერვიუ #20).

საპარლამენტო რესპოდენტების მიდგომები საკანონმდებლო სისტემასა და გამჭირვალობასთან მიმართებაში, იდენტურია. მ. ბითაძე (ინტერვიუ 37) და ხ. წილოსანი (ინტევიუ #38) ინტერვიუში დეტალურად საუბრობენ კომიტეტის ახალ მიდგომაზე „თეთრი და მწვანე“ წიგნების ევროპულ ინსტიტუტზე, რომელიც პირველად დაინერდა ახალი კანონის „კლიმატის ცვლილების შესახებ“ მიღებასთან მიმართებაში, რასაც მასიური საზოგადოებრივი კამპანია ახლავს თან. ხ. წილოსანი არასამთავრობო სექტორის პასიურობასა და არაპროფესიონალიზმზე საუბრობს, უფრო მეტიც, მათ ჩართულობაში უფრო პოპულიზმს ხედავს, ვიდრე პროფესიონალიზს. „ჩვენი მხრიდან მზაობა არის არასამთვრობო სექტორთნ თანამშრომლობის“, ამბობს ხ. წილოსანი.

ქ. ჩიჩუა (ინტერვიუ #49) პარლამენტის რეგლამენტის კანონის დახვეწაზე ამახვილებს ყურადღებას, რამაც უნდა უზრუნველყოს კანონშემოქმედებითი პროცესის გაუმჭირვალობა და საზოგადოების ჩართულობა. იგივე პრობლემებზეა საუბარი ირაკლი მხეიძის პუბლიკაციაშიც (მხეიძე, 2020),

დასასრულს, უნდა აღინიშნოს, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალობის გარეშე, ქართული არასამთავრობო სექტორი და ზოგადად საზოგადოება ვერ მოახერხებს მონაწილეობაზე ზემოქმედების მოხდენას. გამჭვირვალობის მაღალი დონის მისაღწევად სამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა დახვეწონ და მერე დაიცვან კანონები, რომლებიც გამჭირვალობას უზრუნველყოფს.

დასკვნა

კვლევის შედეგების გაანალიზებით ჩამოყალიბდა ***ზოგადი ხედვა*** და ***კონკრეტული ქმედებები*** გარემოს დაცვის საკითხებში საზოგადოების მონაწილეობის გასაუმჯობესებლად.

ზოგადი ხედვა:

1. გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების რაოდენობა ბოლო ათ წელიწადში საგრძნობლად შემცირდა. მათ ასევე ბევრი პრობლემა აქვთ, რომელთაგან ერთ-ერთია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი ჩართულობის ნაკლებობა. საჭიროა გარემოსდაცვითი ორგანიზაციების გაძლიერება გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი ინტერნსიური ჩართულობის გზით.

2. გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების როლი ჯერ კიდევ არ არის აღიარებული სამთავრობო ინსტიტუტების მიერ, რაც გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭირვალობას აფერხებს. პარლამენტმა და მთავრობამ უნდა შეინარჩუნონ ურთიერთობა არასამთავრობო სექტორთან და უზრუნველყონ მათი სამართლებრივი მხარდაჭერა. ეს საკითხი ჯერ კიდევ შემდგომ განხილვას და განვითარებას საჭიროებს საქართველოში.

3. ბევრი გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაცია ფინანსური პრობლემის წინაშე დგას. უცხოური ინვესტიციების უმეტესობამ მხარი დაუჭირა არასამთავრობო ორგანიზაციების მოძრაობას, მაგრამ ეს დახმარება მხოლოდ შუალედური/დროებითი გამოსავალია, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციებს გადარჩენაში ემსახურება, სანამ ისინი არ შეუმუშავებ მათ ორგანიზაციებზე მორგებულ თვითდაფინანსების მექანიზმებს, ან არ მოახდენენ ფინანსური წყაროების დივერსიფიკაციას. ამიტომ, გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციები ფინანსურად უფრო დამოუკიდებელი და სტაბილური უნდა გახდნენ საქართველოში, რათა თავიანთ ძირითად მიზნებს მიაღწიონ და წარმატებით მიიღონ მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

კონკრეტული ქმედებები:

კონკრეტული ქმედებები ეფუძნებოდა ოთხ ჰიპოთეზას.

<u>პირველი ჰიპოთეზა</u> ითვალისწინებს გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას თვითდაფინანსების განვითარებით, რაც მათ შესაძლებლობას მისცემს ინტერნსიურად ჩაერთონ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. სამწუხაროდ, ამ ჰიპოთეზის მხოლოდ ნაწილია ჭეშმარიტი, მხოლოდ თვითდაფინანსება არ არის საკმარისი ამ მიზნის მისაღწევად. არასამთავრობო ორგანიზაციებს სჭირდებათ ასევე პერსონალის მენეჯმენტის განვითარება (ფუნქციების სათანადო განაწილება პერსონალსა და მოხალისეებს შორის), ფინანსური წყაროების დივერსიფიკაცია (საწევრო გადასახადები, სოციალური საწარმოები, სერვისების მიწოდება/გაყიდვა და ა.შ.) და ფინანსური წყაროების სათანადო განაწილება ორგანიზაციაში და მის გარეთ. ზოგადად, არასამთავრობო ორგანიზაციებს ორგანიზაციული მართვის მცირე გამოცდილება აქვთ. ასეთი ცოდნის მისაღებად მათ ესაჭიროებათ სპეციალური ტრენინგები, მაგალითად, ფინანსების მართვა და სხვ.

<u>მეორე ჰიპოთეზა</u> ამტკიცებს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმატებული მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში პირდაპირ კავშირშია საქართველოში გარემოსდაცვითი საკანონმდებლო სისტემის განვითარებასთან. ეს ჰიპოთეზა ჭეშმარიტია. ზოგადად, ყველა გამოკითხულ არასამთავრობო ორგანიზაციას შეექმნა პრობლემები გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობისას არასრულყოფილი გარემოსდაცვითი საკანონმდებლო სისტემის გამო. ამ სისტემის გაუმჯობესების შემთხვევაში სწრაფად გაიზრდება არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობის რაოდენობა და ხარისხი.

<u>მესამე ჰიპოთეზა</u> ხაზს უსვამს არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის ეფექტური თანამშრომლობის მნიშვნელობას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობის ხარისხისა და რაოდენობის დახვეწა/გაუმჯობესების მიზნით. ეს ჰიპოთეზა რეალურია. სამწუხაროდ, ბოლო წლებში, გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობის მხოლოდ რამდენიმე წარმატებული მაგალითი გვაქვს, მაგრამ ამ მაგალითებმაც შეიძლება წაახალისოს სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები უფრო ხშირად ითანამშრომლონ ერთმანეთთან. ამ სფეროში საერთაშორისო გამოცდილების

გაზიარება დაეხმარება ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებს ერთობლივად იმუშაონ და გააფართოვონ ცოდნა ამ კონკრეტული მიმართულებით.

<u>ბოლო ჰიპოთეზა</u> ხელს უწყობს როგორც სახელმწიფო ინსტიტუტებს, ისე არასამთავრობო სექტორს უზრუნველყონ გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალობა საქართველოში საზოგადოების წარმატებული მონაწილეობისათვის. ეს ჰიპოთეზა აბსოლუტურად მართალია. გამჭვირვალობის მაღალი დონე მიიღწევა ადექვატური საკანონმდებლო სისტემის შექმნით და სახელმწიფოს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციების როლის აღიარებითა და გააქტიურებით.

კვლევის შედეგების გაანალიზებითა და ჰიპოთეზების შეფასებით შეიძლება შეჯამდეს, რომ საზოგადოების ეფექტური მონაწილეობა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საქართველოში პირდაპირ კავშირშია გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების როლისა და მნიშვნელობის სრულ აღიარებაზე მთელი საზოგადოების მიერ. გარდა ამისა, არასამთავრობო სექტორმა უნდა უზრუნველყოს სტაბილური ფინანსური მდგომარეობა, რაც ასევე უზრუნველყოფს ეფექტურ ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, შეიძლება შეიქმნას ახალი მიდგომები არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, რათა მათ ეფექტურად მიიღონ მონაწილეობა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საქართველოში არსებული სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი მდგომარეობის შესაბამისად. თუმცა, ეს არის ახალი, შემდგომი გამოკვლევის თემა.

რეკომენდაციები:

სხვადასხვა დასკვნაზე დაყრდნობით, შემუშავდა რეკომენდაციები, რომლებიც დაეხმარება საქართველოს გარემოსდაცვით არასამთავრობო ორგანიზაციებს ეფექტურად ჩაერთონ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

<u>რეკომენდაცია I</u> :

არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა განსაზღვრონ თავიანთი როლი და მნიშვნელობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და შეიმუშაონ სტრატეგია, რომ უფრო მეტად აღიარებული გახდნენ ქართული საზოგადოების მიერ. არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა ითანამშრომლონ როგორც ერთმანეთთან, ისე სახელმწიფო ინსტიტუტებთან, განავითარონ გარემოსდაცვითი საკანონმდებლო სისტემა და ამ სისტემის ფარგლებში უფრო ეფექტურად იმოქმედონ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ეს კომპონენტები ნაწილობრივ აღიარებულია ქართული საზოგადოების მიერ და მომავალ განვითარებას საჭიროებს.

<u>რეკომენდაცია II</u>:

გარემოსდაცვითმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა მიაღწიონ ფინანსურ სტაბილურობას, რათა უზრუნველყონ წარმატებული მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც თვითდაფინანსების აქტივობების განვითარებითა და ფინანსური რესურსების დივერსიფიკაციითაა შესაძლებელი. არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ ცოდნა თვითდაფინანსების, საბაზრო ეკონომიკისა და ბიზნესის შესახებ, დაიწყონ თანამშრომლობა ადგილობრივ ბანკებთან, მცირე, საშუალო და დიდ ბიზნესთან.

<u>რეკომენდაცია III:</u>

საქარველოს მთავრობამ უნდა:

- გამიჯნოს გარემოსდაცვისა და სოფლის მეორნეობის სამინისტროები, როგორც ადრე იყო და გარემოს დაცვა პრიორიტეტული მიმართლება გახადოს, როგორც სოფლის მეურნეობაა დღეს;
- მოამზადოს ტრენინგების ციკლი გარემოსდაცვით საკითხებზე და უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიმღები პირების ჩართულობა ყველა დონეზე;

- გამოყოს სახელმწიფო გრანტები გარემოსდაცვითი პროექტების და საზოგადოების ჩართულობის უზრუნველსაყოფად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- მოიზიდოს ახალი უცხოური ფონდები, რომელებიც დააფინანსებენ გარემოსდაცვით პროექტებს და საზოგადოების ჩართულობას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

<u>რეკომენდაცია IV:</u>

საქართველოს პარლამენტმა უნდა უზრუნველყოს რეგლამენტის კანონში ცვლილებების შეტანა, რათა საზოგადოების ჩართულობის და აზრის/რეკომენდაციების დაფიქსირების მექანიზმი სხვადასხვა დონეზე იყოს ხელმისაწვდომი, გამჭირვალე და მარტივი საზოგადოებისათვის.

<u>რეკომენდაცია V:</u>

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტმა უზრუნველყოს 1996 წელს მიღებული კანონების განახლება/ახლის მიღება უკვე დამკვიდრებული ახალი მექანიზმის გამოყენებით.

<u>რეკომენდაცია VI:</u>

გარემოს დაცვისა და სოფლის მეორნეობის სამონოსტროსთან არსებულმა სპი „გარემოსდაცვითი განათლებისა და ინფორმაციის სააგენტომ“ დახვეწოს და განავითაროს არსებული მექანიზმები, რათა უზრუნველყოს საზოგადოების სრულფასოვანი ინფორმირება მისი ეფექტური ჩართულობისათვის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში როგორც თბილისში, ისე რეგიონებში (მაგ, სატელევიზიო კლიპების შექმნა).

<u>რეკომენდაცია VII:</u>

კერძო სექტორმა საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებით, მოახდინოს პროექტის განხორციელების მხარეს ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა ადრეულ ეტაპზე და ინტენსიური ინფორმირება პროექტის დაგეგმვის და განხორციელების შესახებ. დეველოპერის პირდაპირი მოვალეობა და ინტერესების სფეროში უნდა შედიოდეს გზშ ანგარიშის მაღალ დონეზე მომზადება და საზოგადიების აზრის გათვალისწინება მის დახვეწაში.

<u>რეკომენდაცია VIII:</u>

საქართველოში არსებულმა უცხოურმა ფონდებმა პრიორიტეტულ მიმართულებად გარემოს დაცვის საკითხები უნდა გახადონ. უნდა მოახდინონ ასევე საგრანტო განაცხადების დივერსიფიკაცია, რათა გრანტები ხელმისაწვდომი იყოს ყველა ზომისა და დონის ორგანიზაციებისათვის, როგორც თბილისში, ისე რეგიონებში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. არასამთავრობო ორგანიზაციების სამოქალაქო სექტორის შეფასება, (2019) აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი. თბილისი. https://ewmi-activism.org/wp-content/uploads/2020/01/%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%a5%e1%83%90%e1%83%a0%e1%83%97%e1%83%95%e1%83%94%e1%83%9a%e1%83%9d%e1%83%a1-%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%9b%e1%83%9d%e1%83%a5%e1%83%90%e1%83%9a%e1%83%90%e1%83%a5%e1%83%9d-%e1%83%a1%e1%83%94%e1%83%a5%e1%83%a2%e1%83%9d%e1%83%a0%e1%83%98%e1%83%a1-%e1%83%a8%e1%83%94%e1%83%a4%e1%83%90%e1%83%a1%e1%83%94%e1%83%91%e1%83%90-2019.pdf

2. საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფინანსური მდგრადობის მექანიზმები, (2011) OSGF. თბილისი. https://csogeorgia.org/storage/app/uploads/public/5cd/d15/d19/5cdd15d195b0b402816020.pdf

3. ბარბაქაძე მ. (2006), საქართველოს სატყეო სექტორის მარეგულირებელი კანონმდებლობის ანალიზი და რეკომენდაციები. თბილისი. 11-12. https://greenalt.org/app/uploads/2021/05/legal_analysis_forestry.pdf

4. ბითაძე მ. (2021), საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართალი. თბილისი. 82-210. https://biodivers-southcaucasus.org/uploads/files/archiv/+book_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9D%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%98%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98_to_print.pdf

5. ზუბაშვილი ნ. (2021), არაფორმალური სამოქალაქო ჯგუფების ჩართულობა ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. თბილისი. https://ge.boell.org/sites/default/files/2022-01/samokalako%20jgufebis%20chartuloba%20-%20kvleva.pdf

6. მხეიძე ი. (2020), საჯარო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობა - საერთაშორისო სტანდარტები, საზღვარგარეთის პრაქტიკა და საქართველოს რეალობა. თბილისი. https://asb.ge/storage/media/other/2022-11-01/4569eab0-59cd-11ed-b418-61b5633437e7.pdf

7. სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა, (2018) სამოქალაქო მოსახლეობის დამოკიდებულება საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ევროინტეგრაციისა და ბიზნესსკომპანიების მიმართ. ევროკავშირი და კონრად ადენაუერის ფონდი. თბილისი. https://csogeorgia.org/storage/app/uploads/public/5cd/c9b/bd1/5cdc9bbd109a9882421458.pdf

8. საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა, (2021). თბილისი. 20-22. https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/66

9. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, (2021). ორჰუსის კონვენციის მეექვსე ეროვნული ანგარიში. თბილისი. http://www.eiec.gov.ge/getattachment/NavMenu/Documents/Annual-Reports/%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%B0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%98-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90_VI-%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98.pdf.aspx

10. საქართველოს კონსტიტუცია, (1995). https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36

11. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, (2004). https://parliament.ge/legislation/reglament

12. სოციოლოგიური კვლევა თვითმმართველობის საზოგადოებასთან სიახლოვის მონიტორინგი, (2018) ევროკავშირი და კონრად ადენაუერის ფონდი. თბილისი. 12-13. https://www.asocireba.ge/files/Biliki-YRAU-LG-transparency-soc-research.pdf

13. ყალიჩავა კ. (2018) გარემოს დაცვის სამართალი. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. თბილისი. 186-419

14. წულაძე ლ. (2020) სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი. http://css.ge/wp-content/uploads/Tsuladze_Sociologiuri_Kvlevis_Tvisebrivi_Metodebi.pdf

15. Aarhus Convention (1998). Convention on access to information, public participation in decision making and access to justice in environmental matters.

16. Aarhus Centers (2022). https://aarhus.osce.org

17. Adams M., Blake S., Braun J., Cardona Y., Collins T., Dubay J., Elliott A., Epifanio A., Haile H., Robert Irving, Misner T., Nowak M., Price A., Richey I., Slager I., Coleman K. (2021). The Tapash Sustainable Forestry Collaborative: A Case Study on the Impact of Organizational Structure and Trust in Adaptive Governance, Case Studies in the Environment, 5 (1): 1425584, https://doi.org/10.1525/cse.2021.1425584)

18. A Guide to Environmental (2019).

19. Akerboom S., Craig R. K. (2022). How law structures public participation in environmental decision making: A comparative law approach. Environmental Policy and Governance, 32(3), pp.232–246

20. Antidze T. (2013). Public participation in environmental decision-making in Georgia: Current practice and recommendations for improvement, MS Thesis, CEU,p. 13, July,2013

21. Berg B., Lune H. (2012). Qualitative Research Methods for the Social Sciences (8th ed.). Boston: Pearson.

22. Bernard, H. R. (2006). Research Methods in Anthropology: Qualitative and Quantitative Approaches (4th ed.). Lanham: AltaMira Press.

23. Berry L.H., Koski J., Verkuijl C., Strambo C., Piggot G. (2019). Making space: how public participation shapes environmental decision-making. Stockholm Environment Institute. http://www.jstor.com/stable/resrep22993

24. Bryden D. (1997). Environmental rights in theory and practice. Minnesota Law Review 62: 163-228.

25. Business Insider Today (2023). https://www.businessinsider.ge

26. Canter L.W. (1995). Environmental Impact Assessment. 2nd ed. New York: McGraw-Hill.

27. Chichua M. (2022). Current trends of public partipication in the dnviromental Decision making process in Georgia. Proceedings of Tskhum-Abkhazian Academy of Sciences, 22, 118–126. https://doi.org/10.52340/ptaas.2022.22.12

28. Chichua M. (2023). Role and importance of public participation in the environmental decision making process in Georgia. Scientific and Theoretical Almanac Grani, 26(2), 55-60. https://doi.org/10.15421/172327

29. Chichua M., & Matchavariani L. (2024). Public voices in the environmental decision-making in Georgia. European Journal of Sustainable Development, 13(1), 356. https://doi.org/10.14207/ejsd.2024.v13n1p356

30. M. Chichua, L. Matchavariani (2024). Legal tools for public participation in the environmental decision making process. Case Study: Republic of Georgia as a developing country, International Journal of Research Publication and Reviews, Vol 5, no 1, pp 1170-1174, DOI: https://doi.org/10.55248/gengpi.5.0124.0208

31. Chompunth Ch. (2016). Role of Public in Environmental Impact Assessment in Thailand, Journal of GEOMATE, vol.12, pp.109-113

32. Chompunth Ch. (2020). Public Participation Practice within the Environmental and Health Impact Assessment System in Thailand, Journal of GEOMATE, Vol.19, pp. 137-144

33. Citizens' participation and transparency (2016). Closing the Gap. https://europeanmovement.eu/wp-content/uploads/2022/11/EMI_16_PolicyPosition_Transparency_17_Final_VIEW.pdf

34. Civil Society Organization Sustainabily Index (2019). https://csogeorgia.org/storage/app/uploads/public/5db/04a/b32/5db04ab32dc16282670453.pdf

35. Civil Society Organization Sustainabily Index (2020). https://csogeorgia.org/storage/app/uploads/public/5f7/458/009/5f74580093b8b081065590.pdf

36. Civil Society Organization Sustainabily Index (2021). https://csogeorgia.org/storage/app/uploads/public/614/b08/ef5/614b08ef51777459722815.pdf

37. CSO Meter (2021). Country report, 2021. https://csometer.info/sites/default/files/2022-08/2021%20Georgia%20CSO%20Meter%20Country%20Report%20ENG_1.pdf

37. CSO Meter Info, 2023, https://csometer.info/updates/belarus-new-legislation-increases-financial-support-civic-initiatives

38. Encyclopedia of Ecology (2019), 2nd edition, Elsevier B.V.

39. The Environmental Implementation Review, COUNTRY REPORT PORTUGAL, 2019, https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/746301a0-0ac2-11ea-8c1f-01aa75ed71a1/language-en/format-PDF/source-261564613

40. European Ombutsman (2023). Overview of responses to the European Ombudsman's public consultation on transparency and participation in EU decision-making related to the environment, pp.1-2

41. Finewood M.H., Holloman D.E., Luebke M.A., Leach S. (2023). The Bronx River and Environmental Justice Through the Lens of a Watershed, Case Studies in the Environment, 2023, 7 (1): 1824941, https://doi.org/10.1525/cse.2023.182494

42. Goodland R. (1990). Race to save the tropics: ecology and economics for a sustainable future. Washington, D.C.: Island Press. p. 12.

43. Golubović D. (2021). European Practices Related to Participation of NGOs in Policy Development, Expert Council on NGO Law, Council of Europe, pp. 1-27

44. Gundling, L. (1980). Public participation in environmental protection in trends in environmental policy and law. Berlin: Bothe M., Erich Schidt Verlag.

45. Hontelez J. (1998). Strengthening participatory democracy for sustainable development. Paper read at 4th Pan-European Conference of Environment Ministers, 23-25 June, Aarhus, Denmark.

46. Hastings A., Gross L. (2012). Encyclopedia of theoretical ecology. Berkeley, CA: University of California Press. p. 52.

47. Hyman-Hoffmeister B. (1999). Roads to Aarhus. [Szentendre]Hungary: The Regional Environmental Center.

48. Matchavariani L., Metreveli G., & Gulashvili Z., Assessment Scheme of Water-reservoirs Impact on Groundwater, Journal of GEOMATE, 2020, vol. 22, pp.110–117

49. Martus E. (2023). Building a Green State? Environmental Politics in Georgia, Eurasian Geography and Economics, pp.1-26

50. Maxwell, J. A. (2009). Designing a qualitative study. The Sage Handbook of Applied Social Research. Thousand Oaks, CA: Sage Publications, pp. 214-250.

51. Maxwell, J. A. (2013). Qualitative Research Design: An Interactive Approach. Thousand Oaks, CA: Sage Publications.

52. McKenney E. (2023). Applied Ecology. Creative Commons Attribution-NonCommercial-ShareAlike. https://ncstate.pressbooks.pub/appliedecology

53. Mikeladze A. (2021). Financial management role for NGOs, European Journal of Economics and Business Studies, 2021, Vol. 7, p.77-98

54. Miles M., Huberman, A. (1994). Qualitative Data Analysis: An Expended Sourcebook. London: SAGE

55. Miyagawa T., Olver C., Otsuka N., Abe H. (2021). Environmental Regeneration and Management in Partnership in the Northwest of England, Journal of GEOMATE, vol. 16, pp. 9-15

56. Müller S., Flacke J., Buchecker M. (2022). Participatory Mapping and Counter-Representations in Wind Energy Planning: A Radical Democracy Perspective, Case Studies in the Environment, 6 (1): 1561651, https://doi.org/10.1525/cse.2022.1561651

57. Moreno F. (1998). Western Europe. In Doors to Democracy. Current trends and practices in public participation in environmental decisionmaking in Western Europe, edited by The Regional Environmental Center, 11-40.

58. Nevett J. (2021). How green politics are changing Europe. BBC News. https://www.bbc.com/news/world-europe-58910712

59. Nkansah-Dwamena E. (2021). Plural Valuation of Land and Insights for Achieving Sustainable Outcomes in Large-Scale Land Acquisition Projects: The Case of Eco Energy Project in Bagamoyo District, Tanzania, Collections: Special Collection: Incorporating Plural Valuation of Nature into Environmental Decision-Making in the Global South, Case Studies in the Environment, 5 (1): 1327914, https://doi.org/10.1525/cse.2021.1327914

60. Nodia G. (1997). Political system in Georgia. Tbilisi: Caucasian Institute for Peace, Democracy and Development.

61. Open Budget Survey (2021). p.1

62. Ostapenko I., Bryantsev A. (2023). Theoretical Aspects of the Territorial-Functional Organization of Agro-ecotourism in Kazakhstan International Journal of GEOMATE, Vol. 25, Issue 109, pp.109-116

63. Patton, M.Q. (2002). Qualitative Research and Evaluation Methods. Thousand Oaks, CA: Sage.

64. Paturyan Y.J. (2021). Understanding Diversity of South Caucasus Civil Society, A Research Agenda for Civil Society, Edward Elgar Publishing, p.251

65. Petković B. (2020). Slovenia: New Government Restricts Rights of Environmental Groups. https://www.liberties.eu/en/stories/slovenia-new-government-restricts-access-to-public-participation-for-environmental-ngos/18637

66. Porter G., Brow J.W. (1991). Global environmental politics. Oxford: Westview Press.

67. Public Defender (2021). Alternative report on the status of implementation of the Aarhus convention, Public Defender (Ombudsmen) of Georgia, pp.1-9

68. Rio Declarion on Environemnt and Development (1992). https://www.un.org/en/development/desa/population/migration/generalassembly/docs/globalcompact/A_CONF.151_26_Vol.I_Declaration.pdf

69. Roberts R. (1980). Public participation in environmental protection in trends in environmental policy and law. Berlin: Bothe M., Erich Schidt Verlag.

70. Shensul S.L., Schensul J.J., & LeCompte M.D. (1999). Essential Ethnographic Methods: Observations, Interviews, and Questionnaires. Rowman Altamira, pp. 60-71

71. Stef N., Ashta A. (2023). Dynamics in environmental legislation, International Review of Law and Economics, Vol. 76, pp. 1-4

72. Sohrabizadeh S., Shafiei Moghaddam P., Nejati-Zarnaqi B., Yousefian S., Pirani D., Sahebi A. and Jahangiri, K. (2023). Challenges and Barriers to the Participation of Non-Governmental Organizations (NGOs) in Flood Management: A Qualitative Study from Iran, Disaster Medicine and Public Health Preparedness,17, pp.1-2

73. Synthesis report on the status of implementation of the convention (2021).

74. Suškevičs M., Ehrlich T., Peterson K., Hiiemäe O., Sepp K. (2023). Public Participation in Environmental Assessments in the EU: A Systematic Search and Qualitative Synthesis of Empirical Scientific Literature, Environmental Impact Assessment Review, Volume 98, article 106944, pp.1-2

75. Tiwari S., Schelly C., Sidortsov R., (2023). Legacies Matter: Exploring Social Acceptance of Pumped Storage Hydro in Michigan's Upper Peninsula, Case Studies in the Environment, 7 (1): 2004414, ttps://doi.org/10.1525/cse.2023.2004414

76. UNECE (1998). Aarhus Convention. https://unece.org/environment-policy/public-participation/aarhus-convention/introduction

77. UNECE (2005). Aarhus Convention. https://aarhusclearinghouse.unece.org/national-reports/reports

78. UNECE (2011). Statements. https://unece.org/DAM/env/pp/statements.05.11.htm

79. Wang X., Lo K. (2022). Civil Society, Environmental Litigation and Confucian Energy Justice: A case study of an Environmental NGO in China, Energy Research & Social Science, Volume 93, Article 102831, ISSN 2214-6296, pp.1-2

80. Wiesner D. (1995). The environmental impact assessment process - what it is and how to do one. Great Britain: Prism Press.

81. Wood C. (1995). Environmental impact assessment, A comparative review. London: Longman Scientific & Technical.

სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში გამოქვეყნებული პუბლიკაციები:

1. Chichua M. (2022). Current Trends of Public Partipication in the Enviromental Decision Making Process in Georgia. Proceedings of Tskhum-Abkhazian Academy of Sciences, 22, 118–126. https://doi.org/10.52340/ptaas.2022.22.12

2. Chichua M. (2023). Role and Importance of Public Participation in the Environmental Decision Making Process in Georgia. Scientific and Theoretical Almanac Grani, 26(2), 55-60. https://doi.org/10.15421/172327, Index Copernicus

3. Chichua, M. & Matchavariani L. (2024). Public Voices in the Environmental Decision-Making in Georgia. European Journal of Sustainable Development, 13(1), 356. https://doi.org/10.14207/ejsd.2024.v13n1p356, WoS, IF=1.

4. Chichua M., Matchavariani L. (2024). Legal Tools for Public Participation in the Environmental Decision-Making Process. Case Study: Republic of Georgia as a Developing Country, International Journal of Research Publication and Reviews, Vol 5, no 1, pp. 1170-1174, DOI: https://doi.org/10.55248/gengpi.5.0124.0208, IF=5.536

დანართი

დანართი 1

ცხრილი 4. კვლევაში მონაწილე მხარეები

#	კვლევაში მონაწილეები	მონაწილეობის ტიპი	მონაწილეთა რ-ბა /ინტერვიუს #/კითხვარის #
1	**გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანოზაციები**	**კითხვარი**	**12**
1.1	„ნაკრესი“, თბილისი		კითხვარი #1
1.2	მწვანე ალტერნატივა, თბილისი		კითხვარი #2
1.3	„მდგრადი ენერგიია და გარემო“, თბილისი		კითხვარი #3
1.4	„ელკანა“, თბილისი		კითხვარი #4
1.5	„საბუკო“, თბილისი		კითხვარი #5
1.6	“საქართველოს მწვანეები“, თბილისი		კითხვარი #6
1.7	CENN, თბილისი		კითხვარი #7
1.8	„სპექტრი“, ქუთაისი		კითხვარი #8
1.9	ტყიბულის რაიონის განვითარების ფონდი, ტყიბული		კითხვარი #9
1.10	„ჭაობი“, ქობულეთი		კითხვარი #10
1.11	„ლორე“, დმანისი		კითხვარი #11
1.12	„გავიგუდეთ“, რუსთავი		კითხვარი #12
2	**გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანოზაციების წარმომადგენლები:**	**ინტერვიუ**	**12**
2.1	ირაკლი შავგულიძე, „ნაკრესი“, თბილისი		ინტერვიუ #1
2.2	მანანა ქოჩლაძე, მწვანე ალტერნატივა, თბილისი		ინტერვიუ #2
2.3	ხათუნა სიჭინავა, „მდგრადი ენერგიია და გარემო“, თბილისი		ინტერვიუ #3
2.4	ელენე შატბერაშვილი, „ელკანა“, თბილისი		ინტერვიუ #4
2.5	თინათინ არველაძე, „საბუკო“, თბილისი		ინტერვიუ #5
2.6	ნინო ჩხობაძე, “საქართველოს მწვანეები“, თბილისი		ინტერვიუ #6
2.7	რეზო გეთიაშვილი, CENN, თბილისი		ინტერვიუ #7
2.8	ქეთი ცხაკაია, „სპექტრი“ , ქუთაისი		ინტერვიუ #8
2.9	ზაზა გოჩელაშვილი, ტყიბულის რაიონის განვითარების ფონდი, ტყიბული		ინტერვიუ #9
2.10	იზოლდა მაჭუტაძე, „ჭაობი“, ქობულეთი		ინტერვიუ #10
2.11	ჯონდო ადუაშვილი, „ლორე“, დმანისი		ინტერვიუ #11
2.12	თინათინ მაღედანი, „გავიგუდეთ“, რუსთავი		ინტერვიუ #12
3	**გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ექსპერტები:**	**ინტერვიუ**	**4**
3.1	ნუგზარ მელაძე, თბილისი		ინტერვიუ #13
3.2	ანა გაბრიაძე, თბილისი		ინტერვიუ #14
3.3	ანა ტრაპაიძე, თბილისი		ინტერვიუ #15
3.4	ქეთი წერეთელი, თბილისი		ინტერვიუ #16
4	**გარემოსდაცვითი მეცნიერები:**		**4**
4.1	ნანა მეფარიშვილი, თბილისი		ინტერვიუ #17
4.2	ილია ოსეფაშვილი, გერმანია		ინტერვიუ #18
4.3	ლადო კურდღელაშვილი, აშშ		ინტერვიუ #19
4.4	ირაკლი მაჭარაშვილი, თბილისი		ინტერვიუ #20
5	**გარემოსდაცვითი ექსპერტები და აქტივისტები:**		**7**
5.1	გიორგი ძამუკაშვილი, თბილისი		ინტერვიუ #21
5.2	რამაზ გოხელაშვილი, თბილისი		ინტერვიუ #22
5.3	ნინო ჭელიძე, თბილისი		ინტერვიუ #23

5.4	თამარ მთვარელიძე, თბილისი		ინტერვიუ #24
5.5	ნატო კირვალიძე, თბილისი		ინტერვიუ #25
5.6	მედგარ ჭელიძე, თბილისი		ინტერვიუ #26
5.7	ნატა ფერაძე, თბილისი		ინტერვიუ #27
6	**სამოქალაქო საზოგადოების/არასამთავრობო ორგანიზაციების ექსპერტები:**		**7**
6.1	ალექსანდრე რუსეცკი, თბილისი		ინტერვიუ #28
6.2	ასლან ჭანიძე, ბათუმი		ინტერვიუ #29
6.3	გია ანდღულაძე, ახალციხე		ინტერვიუ #30
6.4	სალომე ჟვანია, ზუგდიდი		ინტერვიუ #31
6.5	მარი მიქოიანი, თბილისი		ინტერვიუ #32
6. 6	თამარ თაველიძე, გორი		ინტერვიუ #33
6.7	კოტე ერისთავი, თბილისი		ინტერვიუ #34
7	**გარემოსდაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები:**		**2**
7.1	ნინო გოხელაშვილი, თბილისი		ინტერვიუ #35
7.2	ლიკა ფხოველაშვილი, თბილისი		ინტერვიუ #36
8	**გარემოსდაცვის და ბუნებრივი რესურსების საპარლამენტო კომიტეტის წარმომადგენლები:**		**3**
8.1	მაია ბითაძე, თბილისი		ინტერვიუ #37
8.2	ხატია წილოსანი, თბილისი		ინტერვიუ #38
8.3	სალომე სამადაშვილი, თბილისი		ინტერვიუ #39
9	**საერთაშორისო/ადგილობრივი დონორები:**		**2**
9.1	თეა ბარბაქაძე, კავკასიის ბუნების ფონდი, თბილისი		ინტერვიუ #40
9.2	მარიამ მიროტაძე, ქრაუდფანდინგი, თბილისი		ინტერვიუ #41
10	**საერთაშორისო გარემოსდაცვითი ექსპერტები:**		**2**
10.1	მადგა დოტი, უნგრეთი		ინტერვიუ #42
10.2	ალტინაი ვალიხანოვა, ჰოლანდია		ინტერვიუ #43
11	**გარემოსდაცვითი ჟურნალისტები:**		**2**
11.1	ბარბარე ბენაშვილი, საზოგადოებრივი მაუწყებელი, თბილისი		ინტერვიუ #44
11.2	ლევან ბუთხუზი, ტვ ფორმულა, თბილისი		ინტერვიუ #45
12	**ადგილობრივი კერძო სექტორის წარმომადგენლები:**		**1**
12.1	ბესო აბაშიძე, თბილისი		ინტერვიუ #46
13	**გარემოსდაცვითი იურისტები:**		**2**
13.1	მერაბ ბარბაქაძე, თბილისი		ინტერვიუ #47
13.2	კობა ყალიჩავა, თბილისი		ინტერვიუ #48
14	**გარემოს ჯანდაცვის ექსპერტები:**		**1**
14.1	ქეთი ჩიჩუა, თბილისი		ინტერვიუ #49
15	**ფინანსური ექსპერტები:**		**1**
15.1	ალექსანდრე მიქელაძე, თბილისი		ინტერვიუ #50
	კითხვარში მონაწილე ორგანიზაცია		**12**
	ინტევიუში მონაწილე		**50**

კითხვარი 1.

1. რა ეწოდება თქვენს ორგანიზაციას?

2. მიიღო თუ არა თქვენმა ორგანიზაციამ მონაწილეობა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში?

3. საკონტაქტო პირი, ტელეფონი, ელ.ფოსტა

კითხვარი 2.

1. რა ჰქვია თქვენს ორგანიზაციას და როდის დარეგისტრირდა?

2. გაქვთ თუ არა Facebook, Instagram, web გვერდები?

3. ორგანიზაციის ოფისი:
   3.1. საკუთარი
   3.2. ქირაობთ

4. მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია

5. საკონტაქო პირი

6. თქვენი ორგანიზაციის მისია

7. რამდენი წევრია თქვენს ორგანიზაციაში?

8. მოიყვანოთ თქვენი ორგანიზაციის მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის წარმატებული მაგალითები და რომელმა ფონდმა/ორგანიზაციამ გადაფინანსათ?

9. გთხოვთ, შეაფასოთ თქვენი ორგანიზაციის საქმიანობა შემდეგი შკალის მიხედვით: ძლიერი: 3, საშუალო: 2, დაბალი: 1, არარსებობს: 0

   ა) გარემოს დაცვა;
   ბ) მედია;
   გ) გარემოსდაცვითი კამპანია;
   დ) გარემოსდაცვითი განათლება;
   ე) გარემოსდაცვითი მენეჯმენტი;
   ვ) გარემოსდაცვითი გამოცემები/პუბლიკაციები;
   ზ) მონიტორინგი;
   თ) იურიდიული;
   ი) გზშ;
   კ) კონსერვაცია.

10. გთხოვთ, შეაფასოთ თქვენი ორგანიზაციის აქტივობის დონე შემდეგი კრიტერიუმებით: H (მაღალი) = 20 - 30; M (საშუალო) = 15 - 20; L (დაბალი) = 10 - 15.

11. ფინანსური მონაცემები:

12. 1. გთხოვთ, აირჩიოთ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი, რომელიც საუკეთესოდ აღწერს თქვენი ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას:

ა) კარგი;

ბ) საშუალო;

გ) არასტაბილური.

12.2. გთხოვთ, აირჩიოთ თქვენი ორგანიზაციის დაფინანსების წყაროები:

ა) თვითდაფინანსება;

ბ) უცხოური გრანტები;

გ) სახელმწიფო გრანტები;

დ) კერძო შემოწირულობა;

ე) საწევრო გადასახადი;

ვ) სხვა.

კითხვარი #1. არასამთავრობო ორგანიზაცია „ნაკრესი“

1. რა ჰქვია თქვენს ორგანიზაციას და როდის დარეგისტრირდა?
სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი „ნაკრესი, 1991 წელს

2. გაქვთ თუ არა Facebook, Instagram, web გვერდები?
https://www.nacres.org, https://www.facebook.com/nacres.org

3. ორგანიზაციის ოფისი:

3.1. საკუთარი

3.2. ქირაობთ

4. მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია: თბილისი, ლარსის შეს. 3, ტელეფონი: 0322 53 71 25, 0322 53 71 24, ,ელ. ფოსტა: administrator@nacres.org

5. საკონტაქო პირი: ირაკლი შავგულიძე

6. თქვენი ორგანიზაციის მისია
ცენტრის მისიაა ქვეყნის ბიომრავალფეროვნების დაცვის, შენარჩუნებისა და აღდგენის ხელშეწყობა; მისი საქმიანობა ეფუძნება სამეცნიერო კვლევებს და ხორციელდება საქართველოს რეგიონებში ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების წახალისებას, მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას და ბუნების დაცვით საქმიანობაში მათ ინტენსიურ ჩართულობას.

7. რამდენი წევრია თქვენს ორგანიზაციაში? 14

8. მოიყვანოთ თქვენი ორგანიზაციის მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის წარმატებული მაგალითები და რომელმა ფონდმა/ ორგანიზაციამ დაგაფინანსათ?
2017 წელს, EU დაფინანსებით „ზურმუხტის ქსელის საიტები“ (სამი საიტი) შეიქმნა. პროექტი რაღაც ეტაპზე შეჩერდა, მაგრამ, არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივის“ ჩართულობით მოხდა პროექტის განხორციელება. ეს იყო სამი სხვადასხვა მხარის - სამთავრობო, არასამთვრობო და საერთშორისო ორგანიზაციის (დაფინანსებით) წარმატებული კოლაბორაცია და მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

9. გთხოვთ, შეაფასოთ თქვენი ორგანიზაციის საქმიანობა შემდეგი შკალის მიხედვით: მაღალი: 3, საშუალო: 2, დაბალი: 1, არ არსებობს: 0

ა) გარემოს დაცვა - 3
ბ) მედია - 1
გ) გარემოსდაცვითი კამპანია - 3
დ) გარემოსდაცვითი განათლება - 1
ე) გარემოსდაცვითი მენეჯმენტი - 0
ვ) გარემოსდაცვითი გამოცემები/პუბლიკაციები - 3
ზ) მონიტორინგი - 3

თ) იურიდიული - 3

ი) გზშ - 1

კ) კონსერვაცია - 3

10. გთხოვთ, შეაფასოთ თქვენი ორგანიზაციის აქტივობის დონე შემდეგი კრიტერიუმებით:

H (მაღალი) = 20 - 30; M (საშუალო) = 15 - 20; L (დაბალი) = 10 - 15.

H (მაღალი) = 21

11. ფინანსური მონაცემები:

11. 1.გთხოვთ, აირჩიოთ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი, რომელიც საუკეთესოდ აღწერს თქვენი ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას:

ა) კარგი;

ბ) საშუალო;

გ) არასტაბილური.

11.2. გთხოვთ, აირჩიოთ თქვენი ორგანიზაციის დაფინანსების წყაროები:

ა) თვითდაფინანსება;

ბ) უცხოური გრანტები;

გ) სახელმწიფო გრანტები;

დ) კერძო შემოწირულობა;

ე) საწევრო გადასახადი;

ვ) სხვა.

კითხვარი #2. არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივა“

1. რა ჰქვია თქვენს ორგანიზაციას და როდის დარეგისტრირდა?

არასამთავრობო არაკომერციული ორგანიზაცია, ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა" დარეგისტრირდა 2000 წელს.

2. გაქვთ თუ არა Facebook, Instagram, web გვერდები?
https://greenalt.org, https://www.facebook.com/greenalt

3. ორგანიზაციის ოფისი:
3.1. საკუთარი
3.2. ქირაობთ

4. მისამართი და საკოტაქტო ინფორმაცია:
თბილისი, ფალიაშვილის ქუჩა 39ბ, ტელ: 593 44 94 29, ელ.ფოსტა:
greenalt@greenalt.org
5. საკონტაქო პირი

მანანა ქოჩლაძე

6. თქვენი ორგანიზაციის მისია

ჩვენი ორგანიზაცია მიზნად ისახავს მდგრადი განვითარებისათვის ეკონომიკური და პოლიტიკური საფუძვლების შექმნის ხელშეწყობას; გარემოსდაცვით საქმიანობაში შესაბამისი სამთავრობო უწყებების, ბიზნესის წარმომადგენლების, სამეცნიერო ორგანიზაციებისა და ცალკეული პირების ჩართვის მხარდაჭერას; მდგრადი განვითარების, გარემოს კონსერვაციისა და აღდგენის ხელშემწყობი ფართო სოციალური ალიანსების შექმნას; ადგილობრივ ან ეროვნულ დონეზე ლობირების გზით გარემოსდაცვითი და სოციალური თვალსაზრისით დესტრუქციული პოლიტიკისა და პროექტების შეცვლას ან შეჩერებას და მისაღები ალტერნატივების ხელშეწყობას.

7. რამდენი წევრია თქვენს ორგანიზაციაში?
11

8. მოიყვანოთ თქვენი ორგანიზაციის მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის წარმატებული მაგალითები და რომელმა ფონდმა/ორგანიზაციამ დაგაფინანსათ?

2017 წელს, „ზურმუხტის ქსელის საიტები“ (სამი საიტი) შეიქმნა EU დაფინანსებით. პროექტი, რომელიც სხვადასხა მიზეზების გამო, რაღაც ეტაპზე შეჩერდა, ჩვენი ორგანიზაციის - „მწვანე ალტერნატივის“ ჩართულობით განხორციელდა „ნაკრესთან“ ერთად. ეს იყო სამი სხვადასხვა მხარის - სამთავრობო, არასამთვრობო და

საერთშორისო ორგანიზაციის წარმატებული თანამშრომლობა, რამაც უზრუნველყო მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ქეთი ცხაკაიას აზრით გარემოსდაცვით საკითხებს საქართველოში არსებული დონორები ძნელად აფინანსებენ. ადრე ევროკავშირს ჰქონდა მცირე გრანტების(100.000$) პროგრამა, რაც რეგიონალური ორგანიზაციებისათვის იყო ხელმისაწვდომი, სამწუხაროდ ეს პროგრამა აღარ არსებობს და მილიონიანი პროგრამების ჯერ მომზადება (რთული და მძიმე აპლიკაცია) და მერე კონკურსში გამარჯვება უჭირთ რეგიონის არასამთავრობო ორგანიზაციებს. არასამთავრობო გარემოსდაცვითი ორგანიზაციების დიდი ნაწილი არსებობს უცხოური დონორების დაფინანასების წყალობით. თვითდაფინანსება არის გამოსავალი და საშუალება რომ ორგანიზაციას ჰქონდეს სტაბილური შემოსავალი და მიიღოს მონაწილეობა

გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ქ.ცხაკაია, გამოსავალს ხედავს სახელმწიფო გრანტებში, და მაგალითად მოჰყავს აშშ ყოფნის დროს მიღებული გამოცდილება, როდესაც არასამთავრობო ორგანიზაციები სერვისების მიმწოდებლები არიან სახელმწიფოსათვის. ქ.ცხაკაია ასევე აღნიშნავს, რომ თვითდაფინანსებაზე გადასვლას ასევე აფერხებს კანონი "ქველმოქმედების შესახებ" არ არსებობის გამო. მისი აზრით არ იქნებოდა ურიგო, თუ არასამთავრობო ორგანოზაციები მიიღებდნენ მონაწილეობას ირიბად(სხვა ორგანიზაციებთად ერთად კოლაბორაციაში) სახელმწიფო ტენდერებში. რაც შეეხება საკანონმდებლო ბაზას, ქ.ცხაკაიას აზრით, თითქოს კანონები როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო ითვალისწინებს საზოგადოების სრულ ინფორმირებას და ჩართულობას, მაგრამ მაინც ბევრი პრობლემა იჩენს თავს არასრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის გამო, კერძოდ, მისი აზრით ინფორმაციის მიწოდების დივერსიფიცირება უნდა ხდებოდეს, კომენტარები ხშირად არ არის მიღებული მხედველობაში, რეგიონალური არასამთავრობო ორგანიზაციებს ხშირად არ აქვთ წვდომა განსახორციელებელ პროექტებზე, არ ფლობენ ინფორმაციას, ჩართულობა საზოგადოების მწირია, თავის მხრივ ხშირ შემთხვევაში საზოგადოებამ არ იცის თავისი კანონიერი უფლებები და მათი გამოყენება. ერთადერთი სადაც ადგილობრივი თვითმართველობა ძალიან აქტიურობს და საზოგადოებაც არის ჩართული - ეს არის ბიუჯეტირების პროცესი. ქ.ცხაკაია ასევე აღნიშნავს გადაწყვეტილების მიღების პროცესის არაგამჭირვალეობას, კერძოდ როდის და რატომ მიიღეს ესა თუ ის გადაწვეტილება გაუგებარია. საჭიროა რომ ადგილობრივმა საკრებულოებმა უფრო მეტი იმუშავონ ამ მიმართულებით. გადაწყვეტილების მიღების პროცესის წარმატებულ წარმართვაში იგი ხედავს თბილისის და სხვა რეგიონების არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობას, თუ მაგ. იმერეთის რეგიონის არასამთავრობო ორგანიზაციებს აქვთ სისტემატიური ურთიერთობა (თვეში ერთხელ), აქვთ მესინჯერ-ჯგუფი, თბილისის და სხვა რეგიონის ორგანიზაციებზე ინფორმაცია და შესაძლო პარტნიორობა არა აქვთ. ქ.ცხაკაიას აზრით გადაწყვეტილების მიღების პროცესი არასამთავრობო და სამთავრო სექტორებმა თანაბრად უნდა უზრუნველყონ, რადგანაც ორივე მხარე დაინტერესებულია დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნაში. მისი აზრით დღეს იმერეთში არასამთავრობო სექტორი უფრო აქტიურია, ვიდრე ხალხის მიერ არჩეული საკრებულო და მათი როლიც ბევრად მნიშნელოვანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ვიდრე ადრე იყო. რაც შეეხება ნამახვანის პროექტს, მისი აზრით პროექტი იყო ცუდად მომზადებული. ასეთი ზომის ჰესის მშენებლობა და სარგებელი მისი ამუშავებიდან არ იყო ადექვატური, მისი აზრით გაცილებით უმჯობესი იქნებოდა, რომ გუმათჰესის რეაბილიტაციაზე ეზრუნათ. იგი მცირე ჰესების მშენებლობის მომხრეა, რადგანაც მათ მიერ მიყენებული ზარალი გარემოსთვის ბევრად ნაკლებია. ქ.ცხაკაიას აზრით, საქართველოსნაირ პატარა ქვეყანაში უმჯობესია ალტერნატიული ენერგიის წყაროების პროექტების განვითარებაზე იზრუნოს სახელმწიფომ.

წარმატებულ მაგალითად მოჰყავს გორთან ქარის ენერგიის პროექტის წარმატებით განხორციელება.

ინტერვიუ #9. ზაზა გოჩელაშვილი, აღმასრულებელი დირექტორი, არასამთავრობო ორგანიზაცია - ტყიბულის რაიონის განვითარების ფონდი

ზ.გოჩელაშვილის აზრით, არასამთავრობო ორგანიზაციებს აქვთ არასტაბილური ფინანსური გარემო. ამიტომაც სექტორის დღეს ძლიერი არ არის, შესაბამისად მათი როლიც გადაწყვეტილების მიღების პროცესში სუსტია და დროა რომ ორგანიზაციები გადავიდნენ თვითდაფინანსებაზე. ყველაზე უპრიანი იქნება და შესაბამისი დღევანდელ სიტუაციაში „სერვისების გაყიდვა", იმის და მიხედვით თუ რომელ ორგანიზაციას რა მიმართულების რესურსი გააჩნია. ის ასევე არ გამორიცხავს სახელმწიფო გრანტების სისტემას. ზ. გოჩელაშვილის აზრით, არასამთვრობო ორგანიზაციებს შორის არის პარტნიორობის ნაკლებობა. ის კარგად იცნობს რეგიონალურ ორგანიზაციებს, და არ იცნობს საქართველოს მასშტაბით თუ რას საქმიანობენ სხვა ორგანიზაციები. მისი აზრით, გადაწყვეტილების მიმღებები არიან სახელმწიფო ორგანოები, ინიციატივა უნდა მოდიოდეს არასამთავრობო სექტორიდან, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილება იდეალურ შემთხვევაში ერთობლივად უნდა ხდებოდეს.

ინტერვიუ #10. იზოლდა მაჭუტაძე, ხელმძღვანელი, არასამთვრობო ორგანიზაცია - ველური ბუნების დაცვის საზოგადოება „ჭაობი"

ი. მაჭუტაძის აზრით მთავრობის პრიორიტეტი უნდა იყოს არასამთავრობო ორგანი-ზაციების გათვითცნობიერება და ჩართულობა. მისი აზრით გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა არ იციან ეკოლოგია და არ ფლობენ გარემოსდაცვის ინტრუმენტებს. ეკოლოგიის საფუძვლების სწავლა უნდა იწყებოდეს საბავშვო ბაღიდან, ისწავლებოდეს სკოლებში, და უმაღლესს სასწავლებლებშიც. ეკო-განათლება უნდა გახდეს პრიორიტეტული, თუ გვინდა მივაღწიოთ წარმატებულ გადაწყვეტილების მიღების პროცესს. მისი აზრით გადაწყვეტილების მიღების წარმატებულ პროცესს ხელს უშლის ასევე ორგანიზაციების არასტაბილური ფინანსური სტატუსი. რესპოდენტი აბსოლუტურად დარწმუნებულია, რომ სექტორი თვითდაფინანსებაზე უნდა გადავიდეს და ჰქონდეს დივერსიფიცირებული ფინანსური წყაროები. მისი აზრით ყველაზე უპრიანი დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე არის სოციალური საწარმობის და კერძო სექტორის დაკვეთბის მოდელები. მაგალითი მოჰყავს, როცა მისმა ორგანიზაციამ მიიღო კერძო დაკვეთები, და ერთობლივად სახელმწიფო სტრუქტურებთან თანმშრომლობით (ეკონომიკის სამინისტრო და პარლამენტი) დამტკიცდა არაერთი პროექტი. ი. მაჭუტაძის აზრით არასამთვრობო ორგანიზაციები უნდა იყოს დაკომპლექტებული პროფესიონალებით, რომელებსაც შეეძლებათ თავიანთი სერვისების გაყიდვა. მისი აზრით გადაწყვეტილების მიღების პროცესი არ არის გამჭირვალე და მოჰყავს მაგალითები ნამახვანის ჰესის, რაჭის ტყის გასხვისების, ყულევის ტერმინალის და

ანაკლიის პორტის მშენებლობების. სექტორი არ არის ძლიერი, თუმცა ზემოთ აღწერილმა პროექტებმა მოახდინა სექტორის კოლაბორაცია და თავისი ძალის დემონსტრაცია. ი. მაჭუტაძის აზრით მთავრობა უნდა იყოს დაინტერესებული რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართული იყოს არასამთვრობო სექტორი.

ინტერვიუ #11. ჯონდო ადუაშვილი, არასამთავრობო ორგანიზაცია „ლორე“, თავჯდომარე

“20 პროექტი განვახორციელე, 2012 წლიდან ძალიან შემცირდა დაფინანსება”, ამბობს რესპოდენტი. ეხლახანს გაირა ტრენინგი და ფიქრობს რომ სოციალური საწარმოები უნდა შექმნას, სერვისის მომწოდებელი უნდა გახდეს რომ ორგანიზაციასაც მოახმაროს სახსრები. თანამშრომლობს სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, როგორიცაა CENN და „ელკანა. იყო ადგილორბივ დონეზე გამგეობის მრჩეველთა საბჭოს წევრიც(2014-2018), მაგრამ ფიქრობს რომ გადაწყვეტოლების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობა ზედაპირულია. თუმცა არის გამონაკლისებიც, მაგალითად „ელკანასთან“ ერთად გაკეთდა სოფლისთვის საირიგაციო სისტემა, მერე გაფუჭდა ეს სისტემა. ახალმა დმანისის მერმა ყურად იღო სოფელ ჯავახის მოსახლეობის გასაჭირი და გაარემონტა სარწყავი არხი. რომელიც დღესაც მუშაობს(2005-2007წწ.). გაეროს განვითარების პროექტის დაფინანსებით, განხორციელდა „დმანისის განვითარების გეგმა“ ,ე.წ. პირველი პასპორტი, 2008-2009 წწ. CENN ერთად, პროექტი „ეროზიის რისკების შემცირება ტყის განაშენიანების გზით“, 2011-2012. ოფისი, „ელკანას“ დაფინანსებით გარემონტდა, საკუთარია. არის შემთხვევები როცა მიზნობრივი პროექტიები უნდა განხორციელდეს მოსახლეობასაც ეკითხებიან თუ რა სჭირდებათ. მაგრამ პროცესი მაინც არ არის ბოლომდე ეფექტური და გამჭირვალე, დაფინანსებაც არ არის იმდენი რამდენიც იყო ადრე. რესპოდენტის აზრით ორგანიზაციას ძალიან გაუჭირდა დაფინანასების წყაროების მოძიება, მიუხედავ დიდ სურვილისა და მონდომებისა. ეს გახდა ძირითადად იმის მიზეზი რომ ორგანიზაციამ შეწყვიტა ფუნქციონირება 2018 წელს.

ინტერვიუ #12. თინათინ მაღედანი, „გავიგუდეთ“

„გავიგუდეთ“ არის სამოქალაქო მოძრაობა, რომელიც 2018 წლის გაზაფხულზე დაიწყო და მხოლოდ 2020 წელს დარეგისტრდა როგორც ორგანიზაცია. ორგანი-ზაციის შექმნის მიზანია რუსთავში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესება. კერძოდ, კი: გარემოსდაცვითი და ატმოსფერული ჰაერის დაცვის მიმართულებით საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესება; ქალაქ რუსთავში და საქართველოს მასშტაბით საწარმოების მიერ გამოწვეული გარემოს დაბინძურების და მისი შედეგების შემცირება; ქალაქ რუსთავში ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა; გარემოს დაცვის მნიშვნელობისა და ამ სფეროში არსებული პრობლემების შესახებ ცნობიერების ამაღლება; ქალაქ რუსთავში სამოქალაქო აქტივიზმის და სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაზრდა; ორგანიზაციის მიმდინარე და განხორციელებული პროექტები მოიცავს:

- კლიმატის ცვლილება და ადგილობრივი ქმედებები, დონორი - „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა“, 2021.

- ვიცავთ უფლებას სუფთა ჰაერზე, დონორი - European Endowment for Democracy (EED), 2021;

- ვაჩუქოთ რუსთავს ჟანგბადი, დონორი - ერთობლივად დაფინანასდა რამოდენიმე ორგანიზაციის და ფონდის მიერ, 2020;

- ჰაერის დაბინძრება რუსთავში, დონორი - ბიოლოს ფონდი, 2020

- ბრძოლა ჰაერის დაბინძურების წინააღმდეგ რუსთავში, დონორი - East-West Management Institute, 2020

თ. მაღედანის აზრით, არასამთავრობო ორგანიზაციებს, მათი ორგანიზაციის ჩათვლით არა აქვთ სტაბილური ფინანსური მდგომარეობა, ფინანსები არ არის დივერსიფიცირებული. გარდა გრანტებისა, მისი აზრით აუცილებელი მოხალისეობის ინსტიტუტის აქტიურად გამოყენება. მისი აზრით არ არიან ფონდები რომელთათვისაც გარემოსდაცვის საკითხები იყოს პრიორიტეტული, ასევე საქართველოში არსებულ საელჩოებისათვისაც. მისი აზრით დაფინანსების სისტემას აუარესებს კორონა და ომი უკრაინაში. უმეტესი არასამთავრობო ორგანიზაციები არსებობენ პროექტიდან პროექტამდე. მისი ორაგანიზაცია მეგობრობს „მწვანე ალტერნეტივასთან“, საბუკოსთან. ხვდებიან ერთამენთს, აზრებს უზიარებენ და სხვა. მისი აზრით საკანონდებლო ბაზა საზოგადოების ჩართულობის შესახებ არის დასახვეწი, ახალი კანონების შექმნა საჭირო არ არის. თ. მაღედანის აზრით, გადაწყვეტილების მიღების პროცესი გამჭირვალე არ არის, ანგარიშვალდებულობა გადაწყვეტილების მიმღები ორგანოებიდან დაბალია. რადგანაც შეხვედრები პარლამენტში ან სამინისტროებში ტარდება სამუშაო დროს, ბევრი საზოგადოების წარმომადგენელი ვერ ესწრება, დიდი სურვილიც რომ ჰქონდეს. რესპოდენტის აზრით გარემოსდაცვითი ორგანიზაციები დღეს ცოტაა, გარემოსდაცვითი პრობლემები კი ძალიან ბევრია. მისი აზრით თანამშრომლობა, ერთობლივად მომზადებული დოკუმენტები ან საკანონმდებლო ცვლილებები უფრო ეფექტური იქნება. მისი აზრით, ყველაზე დიდი გარემოსდაცვითი პრობლემები, ისეთი ფართომაშტაბიანი პროექტების განხორციელებას მოჰყვება ხოლმე, როგორიცაა ჰესების მშენებლობაა, სადაც საზოგადოების ჩართულობა მაქსიმალურად უნდა ხდებოდეს და სამწუხაროდ ეს ჩათულობა დღეს გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ არის მნიშვნელოვანი. ორგანიზაციებს არ აქვთ კოლაბორაციები, სექტორი არ არის სუსტი, მაგრამ არც ძლიერი. სამწუხაროდ ეფექტურ მონაწილეობას კარგი დაფინანასება სჭირდება, რაც არ არის. მისი აზრით აუცილებელია მედია კამპანიების ჩატარება, რომ მოხდეს საზოგადოების გათვითცნობიერება და მაქსიმალურად ჩართვა. მაგალითად მოჰყავს სტატიების სერიები ჟურნალ „ნეშიონალ გეოგრაფიკში“. სამწუხაროდ არ მაუწყებლობს რადიო „მწვანე ტალღა“, არ არის ტვ გადაცემები ამ საკითხებზე. მან ასევე გაამახვილა ყურადღება ჰაერის დაბინძურების დიდ პრობლემაზე ქალაქ რუსთავში. მისი აზრით, ძლიერი დამბინძურებელი საწარმობის დაკეტვა არ არის გამოსავალი, რადგანაც იქ მომუშავე პერსონალი

დარჩება „მშიერი, და რას მოუკლავს ეს ადამიანი შიმშილს თუ დაბინძურებულ ჰაერს არა აქვს მნიშვნელობა“. საჭიროა სხვა მიდგომების დანერგვა. თ. აღედანი გეგმავს აქტიურად ითანამშრომლოს კერძო სექტორთან. თავდაპირველად ისინი ძალიან აგრესიულად იყვნენ გამსჭვალული მათ მიმართ, თუმცა სიტუაცია „რბილდება“ და „დამბინძურებლებმა“ დაიწყეს ფილტრების დაყენება.

ინტერვიუ #13. ნუგზარ მელაძე, დირექტორი, არასამთავრობო ორგანიზაცია „კავშირი მწვანე დედამიწა“, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი განახლებადი ენერგიების მიმართულებით

გარემოსდაცვითი სამოქალაქო სექტორი არსებობს, მაგრამ ძალიან დასუსტებულია, მისი როლი გადაწყვეტილების მიღების პროცესში უმნიშვენელოა. რატომ? რადგანაც არ არის დაფინანსებები. ყველა არასამთავრობო ორგანიზაცის უწერია წესდებაში რომ დაფინანსების წყარო უნდა იყოს დივერსიფიცირებული - საწევრო შენატანები, შემოწირულობები, მაგრამ საქართველოს მოსახლეობა იმდენად დაბალშემოსავლიანი რომ მსგავსი ქმედებები ამ ეტაპზე გამორიცხულია. ადრე იყო სახელმწიფო გრანტები არასამთავრობო სექტორისათვის და ეხლა არ არსებობს, მაგალითად არის მხოლოდ რუსთაველის ფონდი და მისი ბიუჯეტიც ძალიან მწირია იმისათვის რომ დააფინანსოს არასამთავრობო სექტორი. არსებულ ფონდებს თავისი ფავორიტი ორგანიზაციები ჰყავს და მხოლოდ იმათ აფინანსებენ. რაც შეეხება საკანონდებლო ბაზას დიდი არეულობაა, ძალიან ხშირად ხდება არსებულ კანონებში ცვლილებისა და დამატებების შეტანა ისე რომ მხოლოდ მოგვაინებით იგებ ამის შესახებ. არსებული საკანონმდებლო ბაზა ვერ უზრუნველყოფს საზოგადოების სრულფასოვან და ეფექტურ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ეს ხდება არა მარტო გარემოსდცავით სფეროში, არამედ ყველა სფეროში. გადაწყვეტილების მიღების პროცესი არ არის გამჭირვალე. ინფორმაციის გავრცელება არ ხდება, ან ხდება ის რომ არავინ არაფერი იცის. რაც შეეხება ჰესების მშენებლობას, გზშ კეთდება ძალიან დაბალ დონეზე, ვგულისხმობ რომ არასრულფასოვანია, ზოდი არაადექვატური ნაწილია და ზოგიც გადაწერილი სხვა გზშ ანგარიშებიდან. აქაც საკანონმდებლო დონეზეა დასარეგუილირებელი პროცესი - არსებული საკანონმდებლო ბაზა ვერ უზრუნველყოფს პრაქტიკაში საზოგადოების ჩართულობას გზშ განხორციელების ყველა ეტაპზე. ჩართულობის აუცილებლობა და ინფორმაციის გავრცელება უნდა იყოს კანონით სავალდებულო ქმედება გაწერილი ზუსტად და ეტაპობრივად, რაც სახელმწიფოს მოვალეობაა. არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის არ არსებობს კოლაბორაციაც, არასამთვროგო ორგანიზაციები არ ფლობენ ინფორმციას ერთმანეთის საქმიანობის შესახებ. ესეც განაპირობებს რომ საზოგადოების ინფორმირება და ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ არის ეფექტური.

ინტერვიუ #14. ანა გაბრიაძე, არასამთავრობო ორგანიზაცია „უსაფრთხო სივრცე“, დამფუძნებელი

საქართველოს მოსახლეობა ისეთი ღარიბია რომ გარემოსდაცვითი პრობლემები მისთვის არ არის პირველხარისხოვანი. არავინ იცის თბილისის გარემოსდცვითი პრობლემები. მისი აზრით საჭიროა გარემოსდაცვით პრობლემებზე მეტი საუბარი მედიაში, ამისათვის განათლებულმა ადამიანებმა უნდა ისაუბრონ, პროფესიონალებმა, ვის სიტყვასაც აქვს გავლენა და ძალა. მაგალითად პატრიარქმა შეკრიბა თავისი ნათლულები და 600 ძირი კიპარისი დარგეს. „ეკოლოგია იდეოლოგიის დონეზე უნდა იყოს აყვანილი", ამბობს რესპოდენტი. მას და მის ორგანიზაციას აქვს სამართლებრივი დავები გარემოსდაცვის საკითხებზე. მან და მისმა მომხრეებმა შეუნარჩუნეს თბილისს დიღმის ტყე-პარკი. იმისათვის საზოგაოდების მონაწილეობა გარემოსდცვის საკითხებში იყოს ეფექტური საჭიროა სახელმწიფოსთან დიალოგი, ყოველთვის მოიძებენბა ისეთი ადამიანი ან ადამიანების ჯგუფი რომელებიც გარემოსდაცვის პრობლემებს საზოგადოების საჭიროებებს ჩაწვდებიან, მხოლოდ ამ გზით შესაძლებელია წარმატების მიღწევა.

ინტერვიუ #15. ანა ტრაპაიძე, აქტივისტი, გარემოსდამცველი

ა.ტრაპაიძის აზრით არსებული საკანონმდებლო ბაზა თითქოს დამაკმაყოფილებელია, მაგრამ არსებობს აღსრულების პრობლემა - არ მუშაობს როგორც ვერტიკალი, ასევე ჰორიზონტალური სისტემა. უწყებებს შორის არ არის დიალოგი, ფუნქციები და მოვალეობები ისეა გადანაწილებული, რომ თვითონაც სამთვრობო სტრუქტურებმა არ იციან რომელი რგოლი რას აკეთებს. ვერტიკალში - ქვემოდან ზემოთ არ ხდება ინფორმაციის მიწოდება, და ზემოდანაც არ არის ნება. გარდა ამისა ის, პრობლემას ხედავს ლიცენზირების გაცემის, მონიტორინგის და კანონის აღსრულების დროსაც ამ მიმართულებით. სახელმწიფო უწყებები ერთმანეთს „აბრალებენ" ან სხვა უწყების კომპეტენციაზე გადააქვთ პასუხილმგებლობა. გადაწყვეტილების პროცესი არ არის გამჭირვალე ამიტომაც. ფინანსების ნაკლებობას ასახელებს ერთ-ერთ ხელშემშლელ ფაქტორად, რათა მოხდეს საზოგადოების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მისი აზრით უნდა მოხდეს ქველმოქმედების წახალისება - ანუ ის გადასახადები რასაც ჩვენ ვიხდით სახელმწიფომ დაუბრუნოს მოქალაქეებს რათა საზოგადოებამ მიიღოს მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ა. ტრაპაიძე არ მიესალმება სახელმწიფო გრანტების სისტემას, მისი აზრით ამ შემთხვევაში ადგილი ექნება ნეპოტიზმს და ტენდენციურობას. დღეს საქართველოში არსებულ დონორებს ჰყავთ თავიანთი ფავორიტი ორგანიზაციები, რომელებიც რეგულარულად იღებენ გრანტებს, მაგრამ მათი განხორციელებული პროექტები არის ზედაპირული და პოპულისტური. არასამთვრობო ორგანიზაციებს შორის, მისი აზრით, არის მეგობრული დამოკიდებულება, უფრო მეტიც - სოლიდარობა, მაგრამ იმის გამო რომ ამ ორგანიზაციებს ჰყავთ პატარა სტაფი, ვერ ახერხებენ კოლაბორაციას და ფინანსების მოძიებაც ძნელია ასეთი პროექტებისათვის. ა.ტრაპაიძეს მაგალითად მოჰყავს საქმე ნარჩენების მართვასთნ დაკავშირებით, როდესაც არა ერთი გაფრთხილების, შეხვედრის და მოთხოვნის შედეგად მერიამ არ მიიღო ზომები, მან

პირადად მიმართა სასამართლოს. პროცესი სამი წელი მიმდინარეობს, გამოიცვალა არაერთი მოსამართლე. ამ დროის განმავლობაში ხეები გახმა და სერიოზული ზიანი მიადგა გარემოს. მისი ეს ინდივიდუალური პროექტი დააფინანსა ფონდმა „ღია საზოგადოება საქართველომ“. ჩემს შეკითხვაზე, ხომ არ აჯობებდა ეს პროექტი არასამთვრო ორგანიზაციის ფარგლებში გაეკეთებინა, მიპასუხა რომ არა. მისი აზრით არასამთავრო ორგანიზაციის სტრუქრურა და სისტემა ძალიან მოუქნელია, ანუ ორგანიზაციის სჭირდება დარეგისტრირება, ბუღალტერი და სხვა თანამშრომელები, რაც დიდ ფინანსებთან არის დაკავშირებული.

ინტერვიუ #16. ქეთი წერეთელი, პროექტის მენეჯერი, რეკ-კავკასია

ქ. წერეთელმა მოიყვანა რამდენიმე მაგალითი, როცა მათი ორგანიზაცია მჭიდროდ თანამშრომლობს სახელმწიფოსთან, კერძოდ სოფლის მეორნეობისა და გარემოს-დაცვის სამონისტროსთან, მათ რამდენიმე პროექტი განახორციელეს მთავრობასთან ერთად, კერძოდ „მიწათსარგებლობის გეგმა“,“ საძოვრების მართვის გეგმა“, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონისათვის შემუშავდა. რეკის წარმო-მადგენლები პროექტის საწყის ეტაპზე შეხვდნენ მოსახლეობას, ჰკითხეს მათ თუ როგორ უნდოდათ რომ ეს გეგმა გამხორციელებულიყო. რესპოდენტის აზრით წარმატებული მაგალითები ზუსტად ადრეულ ეტაპზე საზოგადოების გათვითცნო-ბიერების კამპანიის გამო მოხდა. ქ.წერეთელი თვლის რომ საკანონდებლო ბაზა სავსებით საკმარისია ამისათვის. რაც შეეხება კოლაბორაციას, მათ მიერ ორგანი-ზებულ შეხვედრებზე ყოველთვის მოდიან ორგანიზაციები, რადგაც ზუსტად და სწორ მენეჯმენტს აკეთებენ და იცინ ვინ დაპატიჟონ ამა თუ იმ კონკრეტული პრობლემის გადასაჭრელად. გამჭირვალედ ხდება მისი აზრით გადაწყვეტილების მიღება, ამაში მას სოციალური ქსელები ეხმარება. თუმცა აღნიშნა ტყეების გასხვი-სების პროცესის გაუმჭირვალობა. დაამატა რომ ნამახვანთან დაკავშირებული პრობლემებიც იმით იყო განპირობები რომ თავიდანვე მოსახლეობა არ იყო ზუსტად ინფორმირებული იმ სარგებლის და შესაძლო გარემოსდაცვითი პრობლემების შესახებ. რაც შეეხება ფინანსებს ქ.წერეთელმა აღნიშნა რომ „ფინანსები არასოდეს არ არის საკმარისი“.

ინტერვიუ #17. ნანა მეფარიშილი, ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, გარემოსდაცვის ექპერტი

რესპოდენტის აზრით გარემოსდაცვითი სამოქალაქო სექტორი მეტ-ნაკლებად არსებობს დღეს საქართველოში და მათი როლიც უმნიშვნელოა. საკანონმდებლო ბაზა, რომელიც უნდა უზრუველოყოფდეს დიდი ჰესების მშენებლობისას გარემოს-დაცვის საკითხებს და საზოგადოების მონაწილეობას - არ ითვალისწინებს. სამწუხა-როდ „კანონი გარემოსდაცვის შესახებ“ მოძველებულია და საჭიროებს განახლებას. თითქოს ყველა პროექტი ითვალისწინებს გზშ პროცედურას, მაგრამ ხარისხი სხვადა-სხვაა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია პასუხიმგებლობა რომელიც უნდა აიღონ გზშ-ზე მომუშავე ექსპერტებმა არ არსებობს. არასამთავრობო გარემისდაცვით

ორგანიზაციებს შორის არის კოლაბორაცია, რომელიც არც ისე ძლიერია. გადაწყვეტილების მიღების პროცესი არ არის გამჭირვალე, ხშირ შემთხვევაში ინფორმაცია პოსტ-ფაქტუმ ქვეყნდება და ხშირ შემთხვევაში ინფორმაცია დახურულია ან კონფიდენციალურია. აუცილებელია რომ სამოქალაქო სექტორი და მთავრობა, კერძო სექტორთან ერთად ძალიან ადრეულ ეტაპზე ახდენდეს საზოდაგოების/მოსახლეობის ინფორმირებას მომავალ/დაგეგმილ აქტივობაზე. სახელმწიფო ხშირ შემთხვევაში ვერ აცნობიერებს რომ საზოგადოება კარგად არის მომზადებული და დასაბუთებაც გააჩნია მომავალი აქტივობების შესახებ. როცა სახელმწიფო ეუბნება "რომ აგიხსნით, მერე მიხვდებით" საზოგადოებას აღიზიანებს, რადგანაც ხშირ შემთხვევაში საზოგადოებამ იცის პასუხიც და სარგებელიც და თუ არ უნდა დაგეგმილი აქტივობა, ისიც იცის და ასაბუთებს თუ რატომ არ უნდა. რაც შეეხება ნამახვამს და ჰუდონის ჰესების მშენებლობას, იმ სახით და იმ ტიპის პროექტი რომელიც იყო წარმოდგენილი არ უნდა განხორციელებულიყო. გზშ იყო ძალიან ცუდად გაკეთებული, და საჭირო იყო დამატებითი შესაწავლები და ხარისხიანი და საფუძლიანი კვლევა. რაც შეეხება დაფინანსების წყაროებს, დონორებს ჰყავთ თავისი „ფავორიტი" არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ხშირ შემთხევეაში არ არის გარემოსდაცვითი ორგანიზაციები, მორგებული არიან და იციან თუ როგორ მოამზადონ საპროექტო განაცხადი და იგებენ გრანტებს იმ პირობით რომ „მერე ავიყვანთ ექპერტებს და ისინი იმუშავებ" და როცა საქმე გაფუჭდება, მერე უხმობენ ექპერტებს და ასწორებენ. სამოქალაქო სექტორს რომლიც გარემოსდაცვით სფეროში მუშაობს აკლია პროფესიონალიზი, თანამედროვე ტექნოლოგიებს და მიდგომებს რომ იცნობდეს. აუცილებელი გადაწყვეტოელბის მიმღები პირების გადამზადება იმ მიმართოელებებით რომელ სფეროშიც უნდა მიიღონ გადაწყვეტილება. აუცილებელია სამივე სექტორის მჭიდრო თანამშრომლობა რათა ეფექტური იყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესი. სამწუხაროდ, არასამთავრობო სექტორმა დაკარგა ნდობა საზოგადოების და სამწუხაროდ მას ეძახიან „გრანტებზე მონადირე სექტორს" და ასევე ეს სექტორიც გახდა პოპულისტური. ხშირ შემთხვევაში არასამთავრობო სექტორის მიერ განხორციელებული პროექტები არის დილეტანტური, როგორც მოხდა „თბოიზოლაციისა" და „მზის კოლექტორების„ პროექტების შემთხვევაში, როცა მოსახლეობა ერთმანეთს ეუბნებოდა „არ დააყენოთ არ ვარგაო", არა და სწორი ინსტალაციის შემთხვევაში ძალიან კარგადაც იმუშავებდა ეს სისტემები.

ინტერვიუ #18. ილია ოსეფაშვილი, დოქტორი, WWF -კავკასიის ტყის პროგრამის ყოფილი კოორდინატორი, საერთშორისო ექსპერტი ტყის მენეჯმენტის საკითხებში, მკვლევარი, გერმანია

ი. ოსეფაშვილის აზრით, საზოგადოების მონაწილეობა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესშია აუცილებელია. ძალიან მნიშვნელოვანი რომ ისეთი არასამთვრობო ორგანიზაციები იყვნენ ჩართულები, რომელსაც საზოგადოება ენდობა. სამწუხაროდ, არიან ორგანიზაციები, რომლებიც მხოლოდ გრანტის მიღებით არიან დაინტერესებული. ინიციატივა შეიძლება მოდიოს როგორც მთავრობიდან

ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებიდან. უმჯობესია რომ ინიციატივა მოდიოდეს გადაწყვეტილების მიმღები რგოლიდან, რადგან ეს მისი კანონიერი მოვალეობაა, და თუ ამ ინიციატივით არ მოხდება მანიპულირება.

ინტერვიუ #19. ლადო კურდღელაშვილი, დოქტორი, დელავერის უნივერსიტეტის ყოფილი პროფესორი, მკვლევარი, საერთაშორისო ექსპერტი ენერგეტიკის საკითხებში, აშშ

ლ. კურდღელაშვილი ამბობს რომ საქართველოს გააჩნია ძალიან დიდი ჰიდრო რესურსები, რომლის მხოლოდ 20%-ია ათვისებული, როდესაც შვეიცარიაში ეს რიცხი 80% ტოლია. დიდი ჰესების მშენებლობის დროს აუცილებლად უნდა მოხდეს პროექტის შეფასება - მისი განხორციელებით მოტანილი დადებითი და უარყოფითი მხარეების შეფასება, და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდეს პროექტის განხორციელება. მისი აზრით ალტერნატიული ენერგიის წყაროების განვითარებას საქართველოში (ქარი და მზე) აქვს დიდი პოტენციალი. თუმცა ყველაფერს აქვს თავისი დადებითი და ყარყოფითი მხარეები აქვს. მაგალითად ქარის ენერგიის გამომუშავების დროს თუ ქარი არ არის - მისგან გამომუშავებული ენერგიაც არ არის, ასევეა მზის ენერგიაც. რაც შეეხება ჰესებით გამომუშავებულ ენერგიას - ის უწყვეტად გამომუშავდება, და მისი შენახვაც შესაძლებელია. ჰიდრო ელ.სადგურების მშენებლობის დროს ძალიან მნიშვნელოვანია მოსახლეობის გათვითცნობიერება და ჩართულობა. საქართველო არ არის დიდი ქვეყანა, ის მთაგორიანია, და ჰესების მშენებლობა ხშირ შემთხვევაში მოითხოვს დიდი ტერიტორიების დატბორვას. ამას ხშირ შემთხვევაში ეწირება მოსახლეობის კერძო საკუთრება, ასევე ძალიან სენსიტიურია სასაფლაოების საკითხი, რასაც თან სდევს ადამიანების უფლებების შელახვაც. ამიტომ მსგავსი საკითხების თავიდან ასაცილებლად სახელმწიფომ უნდა სერიოზულად დაგეგმოს პროცესები. კერძოდ, შეარჩიოს ისეთი კერძო კომპანია, რომელიც პროექტის განხორციელების პირველი დღიდანვე მჭიდროდ ითანამშრომლებს ადგილობრივ მოსახლეობასთან. საზოგადოების ჩართულობაზე პასუხი მოეთხოვება სახელმწიფოს. ზუსტად განუმარტავს მას თუ რა მოგება!! ექნება ადგილობრივ მოსახლეობას დაგეგმილი პროექტიდან. რა სოცილურ ბენეფიტებს მიიღებს მოსახლეობა - ახალი გზების, ბაღების, სკოლების, საავადმყოფიების, და სხვა სახით. ასევე მიოხმარს თუ არა ადგილობრივი მოსახლეობა ელ.ენერგიას შეღავათიანი ტარიფით? მთავრობამ ასევე უნდა უძრუნველყოს მიმდინარე პროექტის განსახორციელებლად დაგეგმილი ხარისხიანი გზშ ანგარიშის მომზადება და მისი შემდგომი მონიტორინგი, რადგანაც ყოველივე ამას სახელმწიფოს ავალდებულებს კანონი. მაგალითად მოჰყავს დაგეგმილი ნამახვამის ჰესის მშენებლობა და მთავრობის მიერ დაშვებული შეცდომები, როცა საზოგადოების სრულფასოვანი ჩართულობა არ იყო გათვალისწინებული.

ინტერვიუ #20. ირაკლი მაჭარაშილი, დოქტორი, მკვლევარი, გარემოსდაცველი

ი.მაჭარაშვილის აზრით, საკანონმდებლო ბაზა არ არის სრულყოფილი რათა საზოგადოებამ მიიღოს მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მაგალითად, მისი აზრით ბევრი ტიპის გადაწყვეტილების მიღება ხდება საზოგადოების მონაწილეობის გარეშე და პოსტ-ფაქტუმ ხდება გაჟღერება გადაწყვეტილების. ის ასევე ამატებს რომ საბოლოო გადაწყვეტილების გამოქვეყნებაც კი არ ხდება ხშირ შემთხვევაში. კანონის ინტერპრეტაცია გადაწყვეტილების მიღებისას ხდება არასწორად, მაგალითად, კანონპროექტის განხილვა ხდება საზოგადოების სელექციური მონაწილეობით და მის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. მეორე მაგალითი მოჰყავს ი.მაჭავარიანს, როცა იჯარით ტერიტორიების გაცემა ხდება, სახელმწიფოს მიაჩნია რომ საჯარო აუქციონი ნიშნავს საზოგადოების მონაწილეობას. სინამდვილეში, კი საზოგადოების ჩართულობა უნდა ხდებოდეს აუქციონი უნდა ჩატარდეს თუ არა იმ პროცესში - ანუ უნდა გაიყიდოს/ გაიცეს იჯარით ტერიტორია თუ არა. მისი აზრით საჯარო აუქციონი არ ნიშნავს რომ საზოგადოება ღებულობს მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. საზოგადოების მიერ მიწოდებული რეკომენდაციები სახელმწიფო ორგანოებმა ან უნდა მიიღონ ან დამაჯერებელი დასაბუთება უნდა ჰქონდეთ თუ რატომ არ მიიღეს. ნორმატიული აქტები, რომლებიც კანონის ამოქმედების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია, მათი მიღება ისე ხდება რომ არ მონაწილეობს საზოგადოება. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს საზოგადოების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რასაც არ აკეთებს. ი. მაჭარაშვილის აზრით თვითდაფინანსებაზე არასამთავრობო ორგანიზაციები ისედაც არიან - მაგალითად, უცხოური გრანტების მოზიდვა. რაც შეეხება შემოწირულობას და საწევროებს, იბეგრება, რადგანაც არ არსებობს გამართული საკანონმდებლო ბაზა. სოციალური საწარმოებიდან შემოსავალი მცირეა და 2-3% შეადგენს. სახელმწიფო გრანტები, მისი აზრით არასამთავრობო ორგანიზაციებს დააკარგინებს დამოუკიდებლობას. მდიდარ და განვითარებულ ქვეყნებში არასამთავრობო სექტორს თვით მოსახლეობა აფინანსებს, მაგალითად დიდ ბრიტანეთში და ჰოლანდიაში. მისი აზრით სანამ ქვეყანაში არ იქნება ძლიერი საშუალო ფენა შემოწირულობებზე ლაპარაკი ზედმეტია. ი.მაჭარაშვილი, თვლის რომ კოლაბორაცია გარემოსდაცვით ორგანოებს შორის გარკვეულწილად არის. ორგანიზაციებს ყველას თავისი ფილოსოფია და ეთიკა აქვს. მსგავსი მიზნების მქონე ორგანიზაციები ერთამენთს კონკურენტებად აღიქვამენ. იდეის გარშემო კონკურენტი ორგანიზაციების გაერთიანება უნდა ხდებოდეს, რაც ხშირად არ ხდება. საზოგადოების მონაწილეობაში გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ი.მაჭარაშვილი ძირითად თვლის პოლიტიკური ნების არ არსებობას. მისი აზრით გარემოსდაცვის სამინისტრო დღეს ასრულებს ბუფერის როლს გარემოსდაცვით არასამთავრობო ორგანიზაციებს და ეკონომიკის სამინისტროს შორის. ამას ემატება რომ თვით გარემოს დაცვა არ არის სახელმწიფოს პრიორიტეტი. სახელმწიფოს გარემოს დაცვა და გარემოსდაცვითი ორგანიზაციები მაშინ ახსენდება როცა „ცარიელი ადგილი“ ჩნდება ამა თუ იმ ტიპის პროექტის არ განხორციელების დროს, მაგალითად ჰესების მშენებლობა და

წიაღისეულის მოპოვება. მან ასევე აღნიშნა, რომ სახელმწიფო გარემოსდაცვით ორგანიზაციებს აღიქვამს არა როგორც პარტნიორებს, არამედ როგორც მეტოქეებს. იდეულური გადაწყვეტილება ხდება ერთობლივად, და სახელმწიფო უნდა იყოს დაინტერესებული იმაში რომ გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციები იყვნენ ჩართულები, ამისათვის კი პოლიტიკური ნება უნდა იყოს. აქედან გამომდინარე გადაწყვეტილების მიღების პროცესიც არ არის გამჭირვალე.

ინტერვიუ #21. გიორგი ძამუკაშვილი, წყლის გლობალური პარტნიორობა - CACENA, თავჯდომარე

გ.ძამუკაშვილის აზრით საკანონმდებლო ბაზა საკმარისია, მაგრამ საჭიროა ის მოვიდეს შესაბამისობაში ევროკავშირის კანონმდებლობასთან, ეს პროცესი უკვე დაწყებულია, და დრო არის საჭიროა რომ საბოლოოდ დასრულდეს. თუმცა მისი აზრით ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს, რომ კანონი არ ითვალისწინებს საზოგადოების ჩართულობის ეტაპებს, კერძოდ პროექტის დაგეგმარების პროცე-სამდე, ანუ ძალიან ადრეულ ეტაპზე. მისი აზრით არასამთავრობო გარემოსდაცვითი ორგანიზაციები არ იცნობენ ერთმანეთის საქმიანობას. 90-იან წლებში როცა არასამთვრობო სექტორი იდგამდა ფეხს, საერთაშორისო ორგანიზაცია ISAR ატარებდა რეგულარურად ტრენინგებს სხვადასხვა საკითხებზე და ორგანიზაციის წარმომადგენლებს ჰქონდათ საშუალება უკეთ გაეცნოთ ერთმანეთი, დაეგეგმათ საერთო პროექტები და ერთობლივად მიეღოთ მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. გარემოსდაცვითი ორგანიზაციების შეხვერებს ატარებს ნინო ჩხობაძე, საქართველოს მწვანეების ლიდერი ონ-ლაინ, ეს ორგანიზაციები ასევე გააერთიანა აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალო ფორუმმაც, მაგრამ სამწუხაროდ ეს არ არის საკმარისი წარმატებითი თანამშრომლობისათვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში. გ. ძამუკაშვილი ფინანსების არ არსებობასაც ასახელებს. მისი აზრით, დონორები არ მუშაობენ ორგანიზაციებთან, მათ ჰყავთ „საყვარელი ორგანიზაციები“, რომლებიც რეგულარულად იღებენ გრანტებს. მისი აზრით რადგანაც არასამთავრო სექტორიც ღებულობს მონაწილეობას სახელმწიფო ბიუჯეტის შევსებაში, იხდის გადასახადებს, საჭიროა მთავრობაც ეხმარებოდეს სექტორს, კერძოდ სახელმწიფო ბიუჯეტის 1% ხმარდებოდეს არასამთავრობო სექტორის საქმიანობას. მისი აზრით სახელმწიფომაც უნდა იგრძნოს პასუხიმგებლობა, და აღიაროს არასამთავრობო სექტორის როლი და მნიშვნელობა სწორი და სრულყოფილი გადაწყვეტილების მიღებაში და ასევე გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭირვალობაც უნდა უზრუნველყოს. ფინანსური მდგრადობის მისაღწევად რესპოდენტი ფიქრობს რომ საჭიროა არასამთავრობო სექტორმა შექმნას სოციალური საწარმოები და მოგებული თანხით განახორციელოს თავისი მიზნები. მისი აზრით საწევროები ძალიან მიზერული თანხაა რომ ორგანიზაციამ ფინანსური სტაბილურიობა შეინარჩუნოს. მისი აზრით გადაწყვეტილების მიღება უნდა ხდებოდეს ერთობლივად, კონსესუსის პრინციპით. თუმცა, გ.ძამუკაშვილი აღნიშვანს რომ ხშირად არასამთავრობო სექტორს არ ყოფნის გამოცდილება, კომპეტენცია რომ

მიიღოს სწორი გადაწყვეტილება ან გადაჭარბებულად ესმის მისი როლი. მისი აზრით ტოტალიტარიზმის ბრალია, როცა სახელმწიფო ბოლომდე „არ ღებულობს არასამთავრობო სექტორს“ გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ამიტომაც მათი როლი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ძალიან სუსტია.

ინტერვიუ #22. რამაზ გოხელაშვილი, ველური ბუნებისა და დაცული ტერიტორიების საერთაშორისო ექსპერტი

საკანონმდებლო ბაზა ძალიან მოძველებულია(„ქვის ხანის“ - რ.გ.). არა აქვს ბერკეტები. 1996 წელს იქნა მიღებული კანონი „დაცული ტერიტორიების“ შესახებ. სამოქალაქო საზოგადოება არ არსებობს, საზოგადოებას არა აქვს ნდობა სამოქალაქო საზოგადოების, არ არსებობს თუნდაც ერთი გარემოსდაცვითი ორგანიზაცია რომლის ქმედებები არის გამჭირვალე. გადაწყვეტილების პროცესი არ არის გამჭირვალე, არ იცის არაფერი გარემოსდაცვითი ორგანიზაციების თანამშრომლობაზე. კანონი დაც.ტერიტოერიების შესახებ არ ითვალისწინებს ვალდებულებას მოსახლეობის ჩართლობაზე პროექტის დაგეგმარების დონეზე. განსაკუთრებით მთიან რეგიონებში, სადაც არ იყვნენ ტრადიციულად თავად-აზნაურობა და თემი იყო თავისუფალი. გარდა ამისა არ არის დანერგილი პრაქტიკა, როცა მოსახლეობა იღებს სარგებელს რესურსების მოხმარებიდან, მაგალითად როგორც ევროპაში, თუ მოსახლობის მახლობლად არის ტყე და მისი გაქირავებით ფილმის გადამღებ ჯგუფზე, შემოსავლის ნაწილი ხმარდება ტყის რეაბილიტაციას და ნაწილი გარშემო მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ პრობლემებს. რაც შეეხება ორჰუსის კონვენციას, რეალობაში არ მუშაობს. საზოგადოების ჩართულობის დაბალი დონე განპიროვნებულია მისი არაინფორმაციულობით ან ფორმალური მონაწილეობით, მაგალითად, რამდენიმე კაცს მიიყვანენ შეხვედრაზე, იმათმაც არ იციან რა იქნება და მერე დგებიან რეალობის წინაშე. გამოსავალია ახალი კანონები, ან არსებულის ჩასწორება, ოღონდა ისე რომ პროფესიონალმა ეკოლოგებმა მიიღონ მონაწილეობა. მოსახლოებას აქვს სოციალური, გადაუწყვეტელი პრობლემები და ბიზნესი გარემოსდაცვითი პრობლემებით ნაკლებად ინტერესდება - ეს არის მსოფლიო ტენდენცია. გამოსავალი - ელ.მანქანები, გამონაბოლქვის შემცირება და ასეთი პროექტების დაფინანსება - „ეკომეგობრული“ პროექტების, ან ისეთი მდიდარი და გავლენიანი ადამიანებების დაინტერესება როგორიცაა ილონ მასკი. ენჯეობს არა აქვთ ნდობა, მთავარია ამ ნდობის აღდგენა. მაგალითად, კანონი არ ითვალისწინებს, დაცულ ტერიტორიებზე შესვლა არ არის ფასიანი, მხოლოდ ზოგიერთ მათგანში, მაგალითად კანიონებში, და ფული მიდის დაც.ტერიტორიების სააგენტოს ბიუჯეტში და მერე ნაწილდება, ანუ არ ხმარდება ახლომახლო მცხოვრებ მოსახლეობას და მის სოციალურ პრობლემებს. „ნამახვანიც არ უნდა დაეხურათ, რადგანაც უნდა მომხდარიყო კარგი შეფასება ამ პროექტის, პროფესიონალი ეკოლოგები არ ჰყავთ, თორემ რაჭაში მდინერეებზე ჰესებს მეტი ზიანი აქვთ გარემოზე ვიდრე ნამახვანს ექნებოდა“, ამბობს რესპოდენტი.

ინტერვიუ #23. ნინო ჭელიძე, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, გარემოსდამცველი

„ხალხს იმდენი სოციალური პრობლემა აწუხებს რომ გარემოსდაცვის საკითხებით ნაკლებად ინტერესდება. ბიზნესი რომელიც ახორციელებს პროექტებს არ არის დაინტერესებილი საზოგადოების მონაწილეობით, გათვითცნოებიერებით, გზშ კეთდება ზედაპირულად, ორჰუსი მუშაობს მხოლოდ ეკო-განათლების მიმართულებით, არ არსებობს გარემოსდაცვის სამინისტრო, გადაწყვეტილების პროცესი არ არის გამჭირვალე და საზოგადოების როლიც ძალიან სუსტია. მიუხედავად იმისა რომ ორჰუსის კონვენცია ითვალისწინებს სასამართლოში წასვლას, არავინ არ წასულა სასამართლოში და გამოუყენებია ეს კონვენცია. არ არის პოპულარული გარემოსდაცვითი საკითხები, არსებული ფონდები არ აფინანსებენ გარემოსდაცვით პროექტებს, საზოგადოებაში არის აბსოლუტური ნიჰილიზმი - არ არსებობს სამოქალაქო საზოგადოება და ნდობა გარემოსდაცვითი ენჯეობის მიმართ, სუფევს ეგზისტენციალური ვაკუუმი. სახელმწიფო ვალის მოხდის მიზნით აკეთებს მოსმენებს, არა და ეს მისი პირდაპირი კანონიერი მოვალეობაა, რომ უზრუნველყოს საზოგადოების ჩართულობა ყველა დონეზე. დღეს გავქვს „ფსევდო სამოქალაქო საზოგადოება“, რომლებიც ვითომ რაღაც იდეისთვის იბრძვიან, სინამდვილეში ფულის კეთებაა მხოლოდ. იაპონიამ უარი თქვა კიოტოს პროტოკოლზე და დაიწყო ქვანახშირის გამოყენება. გამოსავალი: სწორი პრ კამპანიები-გადაცემები, ფილმები, რადიო, ტვ ანუ საზოგადოების გათვითცნობიერების კამპანიები გარემოსდცავის პრობლემებზე და არსებულ გარემოს მდგომარეობაზე, ამბობს რესპოდენტი.

ინტერვიუ #24. თამარ მთვარელიძე, გეოგრაფიის მეცნიერებათა მაგისტრი, გარემოს-დაცვითი მეციერებებისა და პოლიტიკის მაგისტრი, გარემოსდაცვის ექსპერტი, მკვლევარი

თამარ მთვარელიძეს აზრით საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის არ არის ნდობა. სახელმწიფო ფიქრობს რომ საზოგადოების მონაწილეობა არის „თავს მოხვეული ვალდებულობა“. საზოგადოება არ არის დარწმუნებული რომ მისი მოსაზრება/კომენტარი იქნება მიღებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში. სახელწიფომ ამ მიმართულებით უნდა დახვეწოს ან შეიმუშაოს სხვა მექანიზმი/ კანონი საზოგადოების ეფექტური მონაწილეობისათვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში. რესპოდენტის აზრით უმჯობესია რომ დოკუმენტაციის ელ.ვერსია ხელმისაწვდომი იყოს და მონაწილეობა ხდებოდეს ელექტრონულად, ანუ გადაწყვე-ტილების მიღების პროცესში მონაწილეობა ხდებოდეს ონლაინ და გამჭირვალედ, რაც დღეს არ ხდება. სიტუაცია გაცილებით უფრო რთულად არის რეგიონებში, სადაც საზოგადოება და არასამთავრობო ორგანიზაციები „მორიდებულად იქცევიან“. რეგიონებში, სადაც ყველა-ყველას იცნობს, ნათესავი ან ახლობელია უჭირთ არასამ-თავრობო ორგანიზაციებს და საზოგადოებას „კრიტიკული მიგდომები“ ჰქონდეთ. საჭიროა სამოქალაქო სექტორის გაძლიერება რეგიონებში, ამბობს რესპოდენტი. თამარ მთვარელიძის აზრით, საქართველოში არ არსებობს საზოგადოების

მონაწილეობის ტრადიაცია. ეს ტრადიცია კი უნდა დამკვიდრდეს და ამაში სახელმწიფოს როლი გადამწყვეტია. სახელწიფომ უნდა იზრუნოს, რომ საზოგადოების მონაწილიობა იყოს სავალდებულო ნებისმიერი პროექტის თუ პროგრამის განხორციელების ადრეულ ეტაპზე კი არა, არამედ იდეიის დონეზე. იდეა უნდა იყოს განხილული და შეჯერებული საზოგადოებასთან, რომელიც ყველაზე მეტად არის დაინტერესებული მომავალი პროექტის/პროგრამის განხორციელებით. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ ისეთ მდგომარეობას, როგორც ხუდინისა და ნამახვანის პროექტების დროს იყო, ამბობს თ.მთვარელიძე. რესპოდენტი თვლის რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის არ არის საკმარისი კოლაბორაცია. რესპოდენტი ასევე თვლის რომ კოლაბორაცია უნდა იყოს სამივე სექტორს(სამთავრობო, არასამთავრობო და ბიზნესს) შორისაც რათა საზოდაგეობის მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში იყოს ეფექტური. მ.მთვარელიძე ასევე შეეხო არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსების წყაროებსაც. მისი აზრით ორგანიზაციებმა უნდა მოახდინონ დაფინანასების წყაროების დივერსიფიკაცია, არ უნდა იყვნენ დამოკიდებული მხოლოდ უცხოურ დაფინანსებაზე, არამედ დანერგონ ალტერნატიული გზები, მაგალითად საწევრო დაგასახადების სისტემა, სერვისების მომწოდებლები, ანუ გახდნენ სოციალური საწარმოები. ბოლოს, რესპოდენტმა დაამატა, რომ ბიზნესი უნდა თავისუფლდებოდეს გადასახადებისაგან ქველმოქმედებისათვის, რაც დამატებით სტიმულს შეუქმნის კერძო სექტორს ქველმოქმედებისათვის და საზოგადოებას მოქმედებისათვის.

ინტერვიუ #25. ნატო კირვალიძე, გარემოსდამცველი

„გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადეობის წარმატებული მონაწილეობისათვის აუცილებელია სახელმწიფოსთან მჭიდრო კოლაბორაცია. ეს ეხება როგორც საკანონმდებლო ბაზის შექმნას ასევე ყველა სხვა საკითს. საზოგადოებამ უნდა მიაწოდოს გადაწყვეტილების მიღების პროცესს ინფორმაცია თუ რა სჭირდება საზოგადოებას, რა არის პრობლემა. სხვა შემთხვევაში წარმატებული გმპ არ იქნება. დღეს სამწუხაროდ სექტორი სუსტია. ჰესების მშენებლობას და ამ პროცესში საზოგადოების ჩართულობას რაც შეეხება, არ არსებობს ენერგო-სტრატეგია, რომელიც საზოგადოების უშუალო მონაწილეობით უნდა შეიქმნას, არ მომხდარა ზუსტი შეფასება თუ რამდენად სჭირდება საქართველოს ამდენი ჰესი. გადაწყვეტილებებიც იყო მიღებული არაგამჭირვალედ“, ამბობს რესპოდენტი. ნატო კირვალიძე მუშაობდა 2015 წელს თბილისის მერიის გარემოსდაცვის სამსახურში, და მისი უშუალო მონაწილეობით შეიქმნა „თბილისის გარემოსდაცვითი სტრატეგია 2015-2020“. სტრატეგია დაამტკიცა თბილისის საკრებულომ, ნ.კილვალიძემ ეს დოკუმენტი მიაწოდა არასამთავრობო სექტორს კომენტარებისა და შენიშვნებისათვის, მაგრამ, არავინ შეეხმიანა. ამ დოკუმენტს დღეს ვადა გაუვიდა და ფიქრობს აუცილებელი მისი აღდგენა, რათა თბილისში მიმდინარე პროექტებისათვის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა იყოს ეფექტური.

ინტერვიუ #26. მედგარ ჭელიძე, არასამთვრობო ორგანიზაცია „მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის“ დამფუძნებელი, გარემოსდაცვის ექსპერტი

რესპოდენტის აზრით, 10 წლის წინ დაიწყო სამოქალაქო სექტორის დაშლა. მ.ჭელიძის აზრით, არასთავრობო გარემოსდცვითი სექტორი იყოფა სამ ნაწილად, ერთი არის კარგად ორგანიზებული, ფინანსურად ძლიერი და ნაკლებად კომპეტენტური, მეორე ცუდად ორგანიზებული და კომპეტენტური და მესამე საერთაშორისო გარემოსდცვითი ორგანიზაციები, რომლებიც აკეთებენ რეალურ საქმეებს და ფინანსურადაც მდგრადები არიან. სამწუხაროდ მათი რაოდენობა ძალიან ცოტაა. დღეს ფინანსები განაპირობებს ყველაფერს და დაფინანსებებისათვის ბრძოლა მიდის. საკანონმდებლო ბაზა საზოგადეობის მონაწილეობისათვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში არის საკმარისი, მაგრამ სრულყოფილი არ არის. ზედაპირულია, კანონით უნდა იყოს უზრუნველყოფილი ძალიან ადრეულ ეტაპზე საზოგადოების და მოსახლეობის ინფორმირება, სწორედ ამ პროცესების არასწორად/ცუდად მართვამ განაპირობა ნამახვანის და ხუდონის პროექტების ჩავარდნა. არსებული გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციები ხშირად ადვოკატირების ფორმატით იყენებენ პროცესებს და დასამთავრებლად არ ჰყოფნით პროფესიონალიზმი და თანმიმდევრულობა. რესპოდენტის აზრით, ნებისმიერი პროექტის განხორციელებისას სამივე სექტორი უნდა იყოს თანაბრად ჩართული და მათი ინტერესების სფერო უნდა იყოს ერთიანი - საზოგადოების გათვითცნო-ბირებაზე, მათ სურვილებსა და რეკომენდაციებზე დაფუძნებული. „ამის გარდა სახელმწიფო არ არის მზად რომ საზოგადოების სრული ჩართულობა უზრუნველყოს გადაწყვეტიელბის მიღების პროცესში, ხოლო არასამთავრობო სექტორს არ ჰყოფნის პროფესიონალიზმი“, აღნიშნავს რესპოდენტი. მისი აზრით, წაგებული რჩება საზოგადოება/მოსახლეობა. მ.ჭელიძე ფიქრობს, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესი გამჭირვალე არ არის, მაგალითად მოჰყავს ჰესების პროექტები და ტყეების გასხვისების შემთხვევა. რაც შეეხება ნდობას მოსახლეობის არასამთავრობო სექტორის მიმართ არაერთგვაროვანია, ზოდი ენდობა, და ზოგი არა.

ინტერვიუ #27. ნატა ფერაძე , გარემოსდამცველი, აქტივისტი

მისი აზრით საკანონმდებლო ბაზა არ არის საკმარისი საზოგადოების ჩართულობისათვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში. შეხვედრებზე მიწვევები და ინფორმირება საზოგადიების ხდება საერთაშორისო დონერების მოთხოვნით და ატარებს „ბუტაფორიულ“ ხასიათს. აუცილებელია ცალკე არსებობდეს კანონი საზოგადოების მონაწილობის შესახებ, მისი პროცედურებით და აღსრულების მექანიზმებით - საზოგადოების ჩართულობა უნდა იყოს სავალდებულო. პროცესი არ არის გამჭირვალე, არავინ იცის თუ რას აკეთებენ სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული აიპ-ები და სიპ-ები. საზოგადოება იმდენად ჩართულია სოციალური პრობლემების მოგვარებაში რომ გარემოსდაცვის პრობლემებისათვის არ სცალია, აქედან გამომდინარე მისი როლიც გადაწყვეტილების მიღების პროცესში ძალიან

სუსტია. საქართველო განვითარებადი ქვეყანაა, და როგორც ყველა მსგავსი ქყვეყანა ნაკლებად ინტერესდება გარემოსდაცვითი საკითხებით. როგორც კი ეკონომიურად მოძლიერდება, საზოგადოება დაიწყებს ზრუნვას გარემოზე, მაგრამ უკვე გვიან იქნება. „2012-2013 წლებში, ჯერ კიდევ არსებობდა საშუალო ფენა, როდესაც ვაკის პარკის თემებზე იყო აქტიურად საუბრები, სწორედ ამ ფენებისაგან შეიქმნა აქტივისტების ჯგუფი, საზღვარგარეთ მიღებული განათლებით, რომელთა დახმარებით და უშაუალო მონაწილეობით მოგვარდა ვაკის პარკის პრობლემა“, აღნიშნა რესპოდენტმა. სახელმწიფო ყველანაირად ცდილობს უკან დასწიოს და არ წარმოაჩინოს გარემოსდავითი პრობლემები. დაფინანსება ცოტაა. საჭიროა საინფორმაციო კამპანიები თუ როგორია გარემოს მდგომარება დღეს, რა გავლენას ახდენს დღეს ადამიანი გარემოზე და პირიქით, საჭიროა მაღალი ხარისხის რეკლამა, ფილმები, გადაცემები და მოსახლეობის მასიური ინფორმირება, ხარისხიანი ინფორმირება - პრ კამპანიები.

ინტერვიუ #28. ალექსანდრე რუსეცკი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, კავკასიის რეგიონალური უსაფრთხოების ინსტიტუტის დირექტორი

ა.რუსეცკის აზრით, პირველ რიგში უნდა მოხდეს გამიჯვნა სამოქალაქო საზოგადოებასა და არასამთავრობო სექტორს შორის. „ვაშლი ხილია, მაგრამ ყველა ხილი ვაშლი არ არის“. მისი აზრით ზურა ჟვანის სიკვდილის შემდეგ საქართველოს „მწვანე“ ორგანიზაციები ვერ ასრულებენ თავიანთ ფუნქციებს და მათი როლი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ძალიან სუსტია. ე. შევარდნაძის დროს საერთაშორისო დონორები დიდ ანგარიშს უწევდნენ არასამთვრობო სექტორს. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ არასამთავრობო სექტორის ძალიან დიდმა ნაწილმა სამთავრობო სექტორში გადაინაცვლა. მოხდა სამოქალაქო სექტორის საკადრო გამოფიტვა. სამოქალაქო სექტორმა სერიოზული დარტყმა მიიღო და დაიწყო კრიზისი. მისი აზრით, ამ პერიოდში მოხდა სამოქალაქო სექტორის სამთავრობო სექტორთან გაიგივება. „ოცნების“ მთავრობაში მოსვლის შემდეგ მოხდა არასამთავრობო ორგანიზაციების დაყოფა „კარგ“ და „ცუდ“ ორგანიზაციებად. ე.შევადნაძის დროს გადაწყვეტილების მიღება ხდებოდა ჰორიზონტალურად, მ. სააკაშვილის დროს გაჩნდა საკონსულტაციო ფორმატი, ეხლა სასურველი პიროვნებების „ამოღება“ ხდება სამოქალაქო სექტორიდან სამთავრობოში და ამით ხდება სამოქალაქო სექტორის სრული განადგურება. ამას ემატება ის გარემოებაც, რომ გადაწყვეტილების მიღება ხდება არაგამჭირვალედ. მისი აზრით დღეს არასამთავრობო ორგანიზაციები გრანტებზე არიან დამოკიდებული, მათ არ შესწევთ უნარი ფინანსური წყაროების დივერსიფიკაციისათვის. მისი აზრით გადაწყვეტილების პროცესი არ არის გამჭირვალე. საკანონმდებლო ბაზა სუსტია და საჭიროა ცალკე კანონის შექმნა საზოგადოების მონაწილეობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი მონაწილეობის ეტაპები. ა.რუსეცკის აზრით

აუცილებელია გადაწყვეტილების მიღების პროცესში მეცნიერების მონაწილეობა საკანონმდებლო ბაზით იყოს განტკიცებული.

ინტერვიუ #29. ასლან ჭანიძე, თავჯდომარე, არასამთვრობო ორგანიზაცია „თავისუფალ ჟურნალისტთა სახლი“, ბათუმი

რესპოდენტი თვლის რომ დაფინანასების წყაროები არასამთვრობო ორგანიზაციები-სათვის არ მცირდება ერთი დონორი მიდის, მეორე მოდის. არიან ასევე ისეთი საერთაშორისო ფონდები, რომელთა ოფისები არ არის საქართველოში, მაგრამ აფინანსებენ პროექტებს საქართველოსთვის. მისი აზრით დღეს მოთხოვნები და კრიტერიუმებია გაზრდილი და გართულებული დონორების მხრიდან, ამიტომაც გრანტის მოპოვებაც გართულდა, რაც ადრე არ იყო. რაც შეეხება სოციალურ საწარმოებს, ეს იდეა მას ძალიან მოსწონს, მაგრამ ისევ საკანონმდებლო სისტემაა ამ მიმართულებით დასახვეწი, და რაც ასევე ართულებს არასამთვრობო სექტორის მიერ ასეთი საწარმოების მართვას. ა.ჭანიძემ თავისი ორგანიზაციის მაგალითზე ისაუბრა, თუ როგორი უნდა იყოს არასამთავრობო ორგანიზაციის დაფინანსების წყაროები. მისი აზრით ორგანიზაციის ხელმძღვანელმა უნდა იზრუნოს ფინანსების დივერსი-ფიკაციაზე. დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე ძალიან ძნელია გქონდეს დაფინანსები მხოლოდ ერთი წყარო - უცხოური გრანტები, ამბობს იგი. რეგიონა-ლური ორგანიზაციები ხშირ შემთხვევაში არიან დიდი ორგანიზაციების ქოლგა პროექტების ნაწილი, სადაც დაფინანსების წილი რეგიონალურ ორგანიზაციებზე არ არის დიდი. თუმცა რესპოდენტის აზრით, ეს მცირე თანხებიც კი ძალიან მნიშვნე-ლოვანია და ორგანიზაციის სხვადასხვა საჭიროებებს ხმარდება. ა.ჭანიძეს აქვს დანერგილი მოხალისეობის ინსტიტუტი. წარმატებული მოხალისეები უკვე პროექტის მენეჯმენტშიც ღებულობენ მონაწილეობას. ის აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ ბიზნესთანაც, გამზადებული საპროექტო იდეებით მიდის მათთან შესახვედრად და ღებულობს დაფინანსებას. მაგალითად მოჰყავს, ადგილობრივი ბიზნესის მიერ დაფინანსებული საზაფხულო ბანაკები მაღალმთიანი აჭარის სოფლებიდან სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის. რესპოდენტი ასევე წარმატებულად თანამშრომლობს ადგილობრივ ბანკებთან. მაგალითად მოჰყავს საახალწლოდ სოციალურად დაუცველი მოხუცებისათვის საჩუქრების შეძენის პროექტი, რომელიც ტერა ბანკმა დააფინანსა. მის ორგანიზაციას ბათუმის მერიისგანაც მიუღია დაფინანსება სხვადასხვა პროექტების განსახორციელებლად. თავისუფალ ჟურნალიტთა სახლს, ასევე აქვს ფონდი, სადაც ყოველი თვის ბოლოს თანამშრომლები დებენ 10 ლარს. ფონდის თანხები ასევე ხმარდება სოციალურ პროექტებს. დაფინანასების ახალ-ახალი და სხვადსხვა წყაროების მოძიება არის არასამთვრობო ორგანიზაციების მუდმივი საზრუნავი, ამბობს რესპოდენტი. ბევრი ორგანიზაცია და მისი ხელმძღვანელი ვერ „აგვარებს“ დაფინანსების პრობლემებს და წყვეტს ფუნქციონირებას.

ინტერვიუ #30. გია ანდღულაძე, ხელმძღვანელი, არასამთავრობო ორგანიზაცია "დემოკრატ მესხთა კავშირი", ახალციხე

გ.ანდღულაძის აზრით 90-იან წლებთან შედარებით, დღეს არასამთავრობო ორგანიზაციების რაოდენობა შემცირებულია. იმ პერიოდის ბუმმა ჩაიარა, ბევრმა ორგანიზაციამ ვერ მოიძია შესაბამისი სახსრები და ცარიელ ინთუზიაზმზე პროექტების განხორციელება დიდხანს ვერ შეძლეს. თუმცა, მისი აზრით ახალი და კარგი ორგანიზაციების შექმნის პროცესი გრძელდება. სექტორს აქვს თვისი ძალა, წონა და მათი როლიც მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების დროს. არის ისიც, რომ ვიღაც ორგანიზაციები მართლაც „უფუჭებენ" სახელს ამ სექტორს, მაგრამ საბედნიეროდ ისეთი ორგანიზაციების რაოდენობა, ვინც კარგ საქმეს აკეთებს უფრო მეტია. გ.ანდღულაძე თვლის, რომ კანონი ავალდებულებს გადაწყვეტილების მიმღებ ინსტიტუციებს რომ ჩართონ საზოგადოება გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მაგრამ სამწუხაროდ არ აკეთებენ ამას. მაგალითად მოჰყავს, კანონი თვითმართველობის შესახებ (რომელიც მოსწონს!) და სადაც საჯარო შეხვედრის დღის წესრიგი, ადგილი და დრო ერთი კვირით ადრე უნდა გამოქვეყნდეს. მისი პრაქტიკის დროს ეს კანონი არ სრულდება და როგორც ყოველთვის 2 დღით ადრე ქვეყნდება განცხადება. ახალციხის მუნიციპალიტეტიდან გამოთხოვნილი ინფორმაციის მხოლოდ 30%-ით ხდება დაკმაყოფილება, ასევე პრობლემურია თვით გადაწყვეტილების მიღების პროცესიც - რომელიც არაგამჭირვალეა. მისი აზრით არასამთავრობო ორგანიზაციებს აქვთ კოლაბორაცია. ის ამბობს რომ იცნობს ყველა ორგანიზაციას ვინც სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მუშაობს და არა მარტო. გ.ანდღულაძე ფიქრობს არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა ეძიონ დაფინანასების სხვადასხვა წყაროები, მაგრამ დღევანდელი მდგომარეობით თვლის არანაირი მიდგომა არ იმუშავებს საერთაშორისო დაფინანსების გარდა. ის თვლის რომ ვერც კერძო სექტორის, ვერც სახელმწიფო დაფინანსება იმუშავებს, რადგან ეს შეიძლება გახდეს გავლენების და ნეპოტიზმის კერა. ის გამოსავალს ვერც სოციალური საწარმოების შექმნაში ხედავს და მოჰყავს მისთვის ცნობილი მაგალითები, როდესაც არასამთვრობო სექტორის მიერ შეიქმნმა ორი სოციალური საწამო(კაფე და სამკერვალო), რომლებმაც მხოლოდ ცოტა ხანი იმუშავა. ის ასევე გამოსავალს ვერ ხედავს ახალი კანონების („ქველმოქმედების" და „საზ. მონაწილეობის" შესახებ ზოგადი კანონის) შექმნაში. მისი აზრით საზოგადოების ჩართულობა უნდა მოდიოდეს სახელმწიფოდან, რადგან სახელმწიფო უნდა იყოს ამაში დაინტერესებული, ხოლო გადაწყვეტილება უნდა იყოს მიღებული კონსესუსის გზით, თუ გვინდა რომ ის წარმატებული იყოს.

ინტერვიუ #31. სალომე ჟვანია, ახალგაზრდული პროგრამების კოორდინატორი, არასამთავრობო ორგანიზაცია „ათინათი", ზუგდიდი

ს. ჟვანიას აზრით გადაწყვეტილების მიღების პროცესი არ არის გამჭირვალე. არასამთავრობო ორგანიზაციებს არ ეპატიჟებიან განხილვებზე, ეშინიათ არასამთავრობო

ორგანიზაციების პროტესტის, არა და კანონით მოეთხოვებათ. აზრის გამოთქმასაც და კომენტარის გაკეთებასაც აზრია არ აქვს რადგანაც არავინ ღებულობს მხედველობაში, საკანონმდებლო ბაზა სუსტია ამისათვის. თუმცა ისიც უნდა ითქვას რომ არასამთავრობო ორგანიზაციებიც პასიურობენ, შესაძლებელია იმის გამოც რომ მათი აზრის გათვალისწინება არ ხდება. მისი აზრით არასამთავრობო სექტორი დღეს ძალიან ძლიერია, მათ შეუძლიათ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა, აზრის დაფიქსირება და საზოგადოებრი აზრის შეცვლაც!!!. ორგანიზაციებს შორის არ არის კოლაბორაცია, რადგანაც ეშინიათ კონკურენციის. მისი აზრით დღევანდელ სიტუაციაში თვითდაფინანსებაზე ვერ გადავლენ რეგიონალური ორგანიზაციები. სიტუაციას ისიც ამძიმებს რომ უკრაინაში ომია. ს. ჟვანიას აზრით არასარამთავრო ორგანიზაციები მოქნილები არიან, რადგანაც ერგებიან პრობლემას, დონორის მოთხოვნას. „რომ არ იყვნენ არასამთვრობო ორგანიზაციები სივრცე იქნება ნაცრისფერი“, ამბობს ს.ჟვანია.

ინტერვიუ #32. მარი მიქოიანი, აღმასრულებელი დირექტორი, არასამთავრობო ორგანიზაცია "Generation I"

მ.მიქოიანის აზრით, გადაწყვეტილების მიღების პროცესი არ არ გამჭირვალე, რადგანაც ამის პოლიტიკური ნება არ არსებობს. არიან არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებსაც ირჩევს მთავრობა, ისინი არიან ჩართულები და დანარჩენები რჩებიან მიღმა. მისი აზრით არის პლატფორმები, სადაც ხდება აზრთა მიმოცვლა, არიან პარტნიორები, მაგრამ ერთობლივად გადაწყვეტილების მიღების პროცეში ჩართულობა არ ხდება. სამწუხაროდ არ ხდება საზოგადოების აზრის გათვალისწინება გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ამიტომაც მათი როლიც სუსტია. მისი აზრით წარმატებული ჩართულობა დამოკიდებულია ფინანსურ მდგრადობაზეც. თვითდაფინანსებაზე გადასვლა მისი აზრით აუცილებელია, მაგრამ დღეს ამის გაკეთების ბერკეტებს ვერ ხედავს. მ. მიქოიანი ფიქრობს, რომ ახალი კანონების მიღება(ქველმოქმედებაზე და ზოგადად საზოგადოების ჩართულობაზე) ვერ შეცვლის/გააუმჯობესებს არასამთავრო სექტორის ფინანსურ მდგომარეობას. იგი ასევე ვერ ხედავს გრძელვადიან პერსპექტივაში სოციალური საწარმოებებიდან მიღებულ მოგებას დიდი რაოდენობით, მიუხედავად იმისა რომ მოჰყავს წარმატებული სოციალური საწარმოების მაგალითები (სალომე კუსიანი). მ.მიქოიანი თვლის რომ არასამთავროგო ორგანიზაციების საქმიანობა არ უნდა ფინანასდებოდეს სახელმწიფოს მიერ, რადგან ამ დროს ორგანიზაციები კარგავენ დამოუკიდებლობას. მისი აზრით სახელმწიფო უნდა აფინანასებდეს სოციალურ პროგრამებს. მას მოსწონს ქრაუდფანდინგის ინსტიტუტი, როდესაც პროექტის იდეა თავსდება https://fundraiser.ge საზოგადოება აფინანსებს. და კიდევ დაამატა, რომ „ორივე სექტორი - არასამთავრობო და სამთავრობო, უნდა შეიცვალოს, გახდეს ადექვატური, თუ გვინდა რომ წარმატებული მონაწილეობა გვქონდეს გადაწყვეტილების მიღების პროცესში“.

ინტერვიუ #33. თამარ თაველიძე, ახალგაზრდული პროგრამების ოფიცერი, კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრი, გორი

თ. თაველიძის აზრით, საზოგადოების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების ყველა ეტაპზე უნდა ხდებოდეს, დიდი მნიშვნელობა აქვს პროექტის დაგეგმვის ეტაპზე საზოგადოების ჩართულობას. დღეს საქართველოში სოციალური მიმართულების არასამთვრობო ორგანიზაციები ბევრ კარგ საქმეს აკეთებენ, რასაც სახელმწიფო ვერ ახერხებს და მათი როლიც ამ მიმართებაში მნიშვნელოვანია. მისი აზრით არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის კოლაბორაცია არ არის, რაც განპირობებულია ძირითადად კონკურენციის გამო. წარმატებილი ჩართულობის ერთ-ერთ პრობლემად მიაჩნია ფინანსური წყაროების დივერციფიკაცია. თ. თაველიძის აზრით საჭიროა ორგანიზაციებმა ეძებონ თვითდაფინანსების წყაროები. ეს შეიძლება იყოს როგორც კარგად განვითარებული სოციალური საწარმო, ასევე სახელმწიფო გრანტები. თუმცა, სოციალური საწარმოს მართვა, იგივეა რაც ბიზნესის მართვა. მართო ერთდროულად არასამთვრობო ორგანიზაცია და ასევე სოციალური საწარმო, საკმაოდ რთულია. მისი აზრით სახელმწიფო არ უნდა აღიქვამდეს არასამთავრობო სექტორს როგორც „მტერს“, არამედ უნდა ხედავდეს მასში პარტნიორს, თუ სურს რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესი იყოს წარმატებული. „სახელმწიფო უნდა აფინანსებდეს სოციალური საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებს როგორც ეს ხდება ჩვენი ორგანიზაციის მაგალითზე“, ამბობს თ.თაველიძე.

ინტერვიუ #34. კოტე ერისთვი, არასამთვრობო სექტორის ექსპერტი, სამართლის დოქტორი, მკვლევარი

კ.ერისთავმა ისაუბრა ნამახვანის ჰესის მშენებლობაზე. მისი აზრით, ამ პროექტის განხორციელებით მთავრობა აჟღერებდა ორ მომენტს: პირველი რომ საქართველო აღარ იქნება დამოკიდებული რუსეთის ელ.მატარებლებზე და მეორე გაიტანს ელ.ენერგიას ექსპორტზე და ბიუჯეტს შეავსებს. რესპოდენტის აზრით, საქართველო რუსეთიდან იღებს მხოლოდ საერთო საჭიროების 2-3% ელ.ენერგიას, ანუ ისედაც დამოუკიდებელია. რაც შეეხება, ექსპორტზე გატანას, მწარმოებელი არ აძლევს საქართველოს ელ.ენერგიას დაბალი ტარიფით, ანუ ამ ტარიფით მისი გატანა არ არის მომგებიანი საქართველოსთვის და სხვა მომხმარებლებისათვის. რჩება კიდევ ერთი ვარიანტი, რაზეც მთავრობა არ საუბრობს. 800 მლნ ინვესტიცია, რომელიც უნდა შემოსულიყო ქვეყანაში ემსახურება სავალალო მდგომარეობაში მყოფ ქართულ ეკონომიკას და სავალუტო კურსის გამყარებას. მისი აზრით, საზოგადოებასთან კომუნიკაციის ნაკლებობა, ინფორმირებულობა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობა სახელმწიფოს პრეროგატივაა, რაზეც არაგამჭირვალე გადაწყვეტილების მიღების პროცესიც მეტყველებს.

ინტერვიუ #35. ნინო გოხელაშვილი, საქართველოში ორჰუსის კონვენციის ეროვნული პასუხისმგებელი პირი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ნ.გოხელაშვილის აზრით საკანონმდებლო ბაზა საზოგადოების ჩართულობისათვის როგორც ეროვნულ ასევე საერთაშორისო დონეზე აბსოლუტურად დამაკმაყოფილებელია. მისი აზრით საზოგადოება და არასამთავროგო ორგანიზაციებს აქვთ აბსოლუტური ხელმისაწვდომობა ყველა ტიპის ინფორმაციაზე, საინფორმაციო ცენტრი უზრუნველყოფს ასევე ყველა სახის ინფორმაციის გავრცელებას, აწყობს ღია შეხვედრებს და საზოგადოების კომენტარები და მიდგომები ყოველთვის გათვალისწინებულია გადაწყვეტილების მიღების პროცესში. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს რა თქმა უნდა სახელმწიფო ორგანოები, მაგრამ ინიცირება უნდა მოდიოდეს საზოგადოებიდან. სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს საზოგადოების ტრანსპორტირებას როცა საჯარო განხილვები იმართება განსახორიციელებლი პროექტის ადგილას რეგიონში. მისი აზრით საზოგადოება და არასამთავრობო ორგანიზაციები უფრო მეტად უნდა იყვნენ დაინტერესებულები და ჩართულები გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მათი აქტიურობა გადამწყვეტია ამ პროცესში.

ინტერვიუ #36. ლიკა ფხოველიშვილი, გარემოს საინფორმაციო სამსახურის უფროსი, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ლ.ფხოველიშვის აზრით, საკანონმდებლო ბაზა, როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო, აბსოლუტურად საკმარისია საზოგადოების წარმატებული მონაწილეობისათვის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ცენტრი სისტემატიურად ატარებს ტრენინგებს საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტბში ისეთ საკითხებზე როგორიცაა კლიმატის ცვლილება, ტყის რესურსების მდგრადი გამოყენება, და სხვა. საზოგადოების გათვითცნობიერების კამპანიებში აქტიურად არიან ჩართულები ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოები-საკრებულოები. ინფორმაციის მიწოდება ხდება რეგულარულად სხვადასხვა საშუალებებით - ინერნეტით, გაზეთებით როგორც თბილისში ასევე რეგიონებში. ინფორმაციის მიღების და ხელმისაწვდომობის პრობლება არ არსებობს. მისი აზრით გადაწყვეტილების მიღების პროცესი არის გამჭირვალე. ლ. ფხოველიშვილის აზრით, არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის დაბალი კოლაბორაცია მათი დაბალი აქტიურობიდან გამომდინარეობს. ხშირი შეხვედრები სხვადასხვა დონეზე, როგორც დედაქალაქში, ასევე რეგიონებში აძლებს არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს უკეთ გაინცნონ ერთმანეთის საქმიანობა, და ცენტრიდან დამოუკიდებლად ითანამშრომლონ, რათა გააძლიერონ მათი როლი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც დღეს სუსტია. შეკითხვაზე თუ ვინ უნდა უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესი, მან განაცხადა

რომ საჭიროა არასამთავრობო სექტორის მეტი აქტიურობა და სავარაუდოდ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ.

ინტერვიუ #37. მაია ბითაძე, გარემოსდაცვის და ბუნებრივი რესურსების საპარლამენტო კომიტეტის თავჯდომარე

მ.ბითაძემ ინტერვიუში დეტალურად ილაპარაკა ახალ ინიციატივაზე. მან აღნიშნა, რომ პარლამენტის გარემოსდაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის კომიტეტი 2023 წლიდან აქტიურად მუშაობს კლიმატის ცვლილების კანონის მიღებაზე. შეიქმნა მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო. ამ პროცესების ჩარჩოში, კომიტეტმა პირველად დაიწყო კანონშემოქმედებითი პროცესის ახალი მიდგომის განხორციელება, რაც მოიცავდა „მწვანე და თეთრი წიგნების“ შემუშავების მექანიზმების დანერგვას. მან განაცხადა, რომ კომიტეტმა წლის დასაწყისში საჯაროდ გამოაქვეყნა კლიმატის ცვლილების კანონის „მწვანე წიგნი“, რომელიც წარმოადგენდა ერთგვარ საკონსულტაციო დოკუმენტს, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფისგან შეხედულებებისა და მოსაზრებების წარდგენის მიზნით. ამავდროულად გაიმართა ფართო საკონსულტაციო შეხვედრები თელავში, ქუთაისსა და თბილისში. საბოლოოდ, საჯარო კონსულტაციების შედეგად მიღებული პოზიციების ანალიზისა და შეჯერების საფუძველზე შეიმუშავეს „თეთრი წიგნი“, რომელშიც გათვალიწინებულია სამოქალაქო საზოგადოების მიერ წარმოდგენილი წინადადებები. „თეთრი წიგნი“ კლიმატთან დაკავშირებულ თითოეულ მნიშვნელოვან საკითხზე გვთავაზობს წინადადებას კანონში გასათვალისწინებლად და მოიცავს იმ პრინციპებს, რომელთა საფუძველზეც კლიმატის ცვლილების კანონი უნდა შემუშავდეს. კანონპროექტის საბოლოო ვარიანტის შემუშავებამდე კი გაიმართება „თეთრი წიგნის“ საჯარო განხილვები, რათა საბოლოოდ იმ პრინციპებზე მოხდეს შეჯერება, რომლებიც კლიმატის ცვლილების კანონში უნდა აისახოს.

ინტერვიუ #38. ხატია წილოსანი, გარემოსდაცვის და ბუნებრივი რესურსების საპარლამენტო კომიტეტის თავჯდომარის მოადგილე

ხ.წილოსანის აზრით, დღეს საკანონმდებლო ბაზა საზოგადოების მონაწილეობისათვის აბსოლუტურად საკმარისია, მეტიც, ევროპაში მეორე ადგილზე ვართ გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მხრივ(პირველ ადგილზეა შვედეთი). მისი აზრით პრობლემა უფრო აღსრულებაშია, ვიდრე თვით კანონებში. მისი აზრით, კანონების ამუშავება ხდება ნორმატიულ აქტებით და საზოგადოების ჩართულობა ამ მიმართულებით მისასალმებელია და მარტივიც არის, ვიდრე კანონებში შესწორებების შეტანა. მისი აზრით, დღეს ჰესების მშენებლობაზე კარგის თქმა ცუდ ტონად ითვლება. ის ფიქრობს, რომ საჭიროა ამ საკითზე უფრო დეტალური შეხვედრები და დასაბუთებები. მან ასევე ისაუბრა ახალ ინიციატივაზე „თეთრ და მწვანე წიგნებზე“ და ამ მექანიზმის დამკვიდრებაზე საქართველოში, რაც ევროკავშირის ქვეყნებისათვის უკვე ტრადიციათ არის ქცეული. მან ასევე აღნიშნა, რომ კომიტეტის არც ერთი წევრი არ არის ეკოლოგი ან გარემოსდაცვის სპეციალისტი, ასევეა კომიტეტის

აპარატშიც. ამ ნიშას ექსპერთა საბჭოები ავსებენ. მისი აზრით, პროფესიონალი ეკოლოგებით და გარემოსდამცველებით უნდა იყოს დაკომპლექტებული კომიტეტის აპარატი, რადგანაც პარლამენტის წევრები მიდიან-მოდიან და აპარატი რჩება. მისი აზრით ინიციატივები ქვემოდან უნდა მოდიოდეს. რესპოდენტი ფიქრობს, რომ დღეს არასამთავრობო სექტორი ძალიან პასიურია, პარლამენტის ვებ.გვერდზე არის ნიშა და არ იდება კომენტარები. შეკითხვაზე თუ რატომ არ პასუხობენ წერილობით არასამთვრობო სექტორის წარმომადგენლებს, ხ.წილოსანმა თქვა „მოგვწერონ და პასუხსაც წერილობით მიიღებენო“. რესპოდენტის აზრით გარემოსდაცვით სექტორს აკლია პროფესიონალიზმი, იგი ჯანსაღი და პროფესიონალური ოპენირების სისტემის მომხრეა. ხ.წილოსანის აზრით, დღეს არასამთვრობო სექტორი უფრო პოპულისტურია და გარკვეული პოლიტიკური პარტიის/ების ინტერესებს გამოხატავს. რაც შეეხება არასამთვრობო სექტორის დაფინანსების წყაროებს, მისი აზრით დროთა განმავლობაში მცირდება. კოლაბორაციაც არ არის საკმარისი ორგანიზაციებს შორის. „ჩვენი მხრიდან მზაობა არის არასამთვრობო სექტორთნ თანამშრომლობის“, თქვა რესპოდენტმა.

ინტერვიუ #39. სალომე სამადაშვილი, პარლამენტის წევრი, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების საპარლამენტო კომიტეტი

ს. სამადაშვილმა ინტერვიუში ისაბრა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტზე, რომელიც ითვალისწინებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის უფლებას საკანონმდებლო ინიციატივის, საკანონმდებლო წინადა-დებისა და პეტიციის წარდგენისას.

საქართველოს პარლამენტს აქვს შექმნილი სპეციალური ვებ-გვერდი - https://esignature.parliament.ge, სადაც საზოგადოების წარმომადგენლებს/მოქალაქეებს შეუძლიათ ელექტრონულად მოაწერონ ხელი საკანონმდებლო ინიციატივას ან წარადგინონ პეტიციები. საკანონმდებლო ინიციატივაზე ხელის მოწერა ასევე შესაძლებელია პირადად, სპეციალურად დადგენილი ფორმების საშუალებით.

რესპოდენტმა ასევე აღნიშნა, რომ საკანონმდებლო ინიციატივა უნდა იყოს წარმოდ-გენილი როგორც კანონპროექტის (რეგლამენტის 127-ე მუხლი) სახით საინიციატივო ჯგუფის (არანაკლებ 5 წევრის შემადგენლობით) მიერ. ეს ჯგუფი უნდა დარეგისტრირდეს პარლამენტში, წარადგინოს სასურველი კანონპროექტი და მხოლოდ ამის შემდეგ პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი გადასცემს საინიციატივო ჯგუფს სარეგისტრაციო მოწმობას. მხოლოდ ამის შემდეგ კანონპროექტი პარლამენტის ვებ-გვერდზე განთავსდება. პარლამენტი არანაკლებ 25 000 ამომრჩევლის ინიციატივით წარდგენილ კანონპროექტს განიხილავს კანონპროექტის განხილვისათვის რეგლამენტით დადგენილი წესით.

საკანონმდებლო წინადადების წარდგენის უფლება აქვთ: საქართველოს მოქალაქეებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, კანონით დადგენილი წესით საქართველოში რეგისტრირებულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ გაერთიანებებს, სხვა იურიდიულ პირებს. „საკანონმდებლო წინადადების წარდგენის ინსტიტუტი

ძალზედ პროგრესული და დემოკრატიული ინსტრუმენტია გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობისათვის. იგი შესაძლებლობას იძლევა ნებისმიერმა მოქალაქემ, თუ დაინტერესებულმა ჯგუფმა პარლამენტს გაუზიაროს საკუთარი ხედვა საკანონმდებლო ცვლილებებისა თუ ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტის შესახებ. მეტიც, წინადადება განიხილება პარლამენტის ბიუროს სხდომაზე და მასზე მსჯელობენ საპარლამენტო კომიტეტები. თუ წინადადება ცნობილი იქნება მიზანშეწონილად, ის თავისუფლად შესაძლებელია იქცეს კანონად“, განაცხადა ს. სამადაშვილმა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, განაცხადა ს. სამადაშვილმა, არის მოქალაქეთა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართვისა და მონაწილეობითი დემოკრატიისათვის პარლამენტისათვის პეტიციის წარდგენის უფლება. პეტიციის განაცხადი წერილობით ან/და ელექტრონულად წარედგინება პარლამენტის თავმჯდომარეს. პეტიციის ელექტრონულად წარსადგენად პირი ავსებს და კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ადასტურებს პარლამენტის ვებ-გვერდზე განთავსებულ, ელექტრონული პეტიციის ფორმას. პეტიციის ინსტრუმენტი სამართლებრივად საკმაოდ გამართულია.

თავისი კოლეგებისაგან განსხვავებით, სალომე სამადაშვილი თვლის, რომ საკანონმდებლო სისტემა დასახვეწია, არასამთვრობო ორგანიზაციებს ფინანსური პრობლემები ხელს უშლის რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა მიიღონ. ასევე ფიქრობს, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესი არ არის გამჭირვალე.

ინტერვიუ #40. თეა ბარბაქაძე, კავკასიის ბუნების ფონდი, ეროვნული დირექტორი

ეს არის გერმანული ფონდი, რომელიც მუშაობს სამხრეთ კავკასიის სამ ქვეყანაში და ეხმარება სახელმწიფოს დაცული ტერიტორიების ეფექტურ მართვაში, ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფაში. „საზოგადოების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ფილოსოფიურია“, ამბობს იგი. მისი აზრით საკანონმდებლო სისტემა დაცული ტერიტორიების შესახებ არ ზღუდავს საზოგადოებას, არც სახელმწიფო, მაგრამ მისი აზრით თვითონ საზოგადოება არ არის მზად ამისათვის. მისი აზრით სამოქალაქო გარემოსდაცვითი საზოგადოება მზარდია, თუმცა ამ ეტაპზე მათი როლი და გავლენა მაინც სუსტია გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. თუმცა აქვე დასძინა, რომ კანონები, რომელებიც 1996 წელს შეიქმნა საჭიროებენ ძირეულ განახლებას. გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭირვალობაზე საუბრობს რომ 2006 წლის მერე სიტუაცია ბევრად გაუმჯობესდა, თუმცა უკეთესი შეიძლება იყოს. ახლახანს ტყეების გასხვისების თემასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ მისი ფონდიც კი არ იყო ამის შესახებ ინფორმირებული, მიუხედავდ იმისა რომ სამინისტრომ ამ თემასთან დაკავშრებით ოფიციალური განაცხადები და სატენდერო მასალები გამოაქვეყნა. რესპოდენტის აზრით სახელმწიფო პირველ რიგში ადგილობრივ თემს უნდა აყენებდეს საქმის კურსში. მისი აზრით სასურველია

რომ გარემოსდაცვის სამინისტრო და სოფლის მეურნეობის სამინისტრო იყოს ცალ-ცალკე, მითუმეტეს რომ საქართველო აგრალური მიმართულებით უნდა განვითარდეს, რაც კოვიდის პეროდში კარგად გამოჩნდა. ის არ თვლის რომ სამინისტროში არსებული აიპ-ები კონკურენციას უწევენ „გარე არასამთავროებს“, მაგალითად მოჰყავს აიპ-გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების სააგენტო, სადაც ადამიანური რესურსების სერიოზული დეფიციტია, აქედან გამომდინარე საზოგადოების გათვითცნობიერების კამპანიას ისინი სრულად ვერ ფარავენ და საჭიროა „გარე ენჯეოების“ ჩართულობა. რესპოდენტის აზრით აუცილებელია ცალკე კანონი არსებობდეს საზოგადოების მონაწილეობის შესახებ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შესახებ, სადაც პროცედურები და მათი აღსრულება იქნება გაწერილი თანმიმდევრულად. მისი ფონდი აფინანსებს პატარა რეგიონალურ/ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც კარგად არიან გათვითცნობიერებული ადგილობრივი პრობლემების და გადაწყვეტის გზებზე. მისი აზრით კოლაბორაცია ენჯეობს შორის სუსტია, ისინი ერთმანეთს უფრო კონკურენტებად აღიქვამენ, ვიდრე პარტნიორებად. სამოქალაქო საზოგადოება იზრდება, უფრო მეტად იციან თავისი უფლებები, კანონები და უფრო მეტად აფიქსირებენ თავიანთ პოზიციებს.

ინტერვიუ #41. მარიამ მიროტაძე, დირექტორი, საქართევლოს ქრაუდფანდინგის ასოციაცია

მ.მიროტაძე ფიქრობს რომ ქრაუდფანდინგის იდეა არის ალტერნატიული დაფინანსების წყარო არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის. მათი ორგანიზაციის მიზანია რომ სახელმწიფო დონეზე მოხდეს ამ იდეის აღიარება და საკანონმდებლო დონეზე განმტკიცება. მ.მიროტაძის აზრით, კანონი ქველმოქმედების შესახებ ვერ შეცვლის სიტუაციას, გარდა იმ შემთხვევისა თუ ჩაიდება ქრაუდფანდინგის იდეა. ქრაუდფანდინგის იდეა იმაში მდგომარეობს რომ იდეის გარშემო ხდება თანხების მოძიება. მ.მიროტაძე ამბობს რომ ეს პრაქტიკა აპრობირებულია აშშ და ევროპაში. ამ პრინციპით საქართველოში უკვე მუშაობს „ჩართე“ და „სუპერგმირი“.

ინტერვიუ #42. მაგდა დოტი, რეგიონალური გარემოსდაცვითი ცენტრის ყოფილი დირექტორი, საერთაშორისო გარემოსდაცვითი ექსპერტი საზოგადოების ჩართულობის მიმართულებით

მ.დოტმა აღნიშნა, რომ “Doors to Democracy” სერიის შემდეგ აღარ გაუკეთებიათ ასეთი ყოვლისმომცველი შედარებითი მიმოხილვები. „ჩვენ უფრო მეტად ვიმუშავეთ ორჰუსის კონვენციის რატიფიკაციისა და იმპლემენტაციის მხარდაჭერაზე, შემდეგ კი პროტოკოლის Pollutant Release and Transfer Register (PRTR) შესახებ. მოგვიანებით ჩვენ უფრო მეტად გავამახვილეთ ყურადღება კონვენციის სხვადასხვა მიდგომების გამოყენებაზე და სხვადასხვა სფეროებში, როგორიცაა წყლის მენეჯმენტი,

ბირთვული საკითხები და ა.შ. შემუშავდა სტრატეგიები ორჰუსის კონვენციის განსახორციელებლად ბალკანეთის ქვეყნებში და იყო შესაძლებლობების განვითარების პროექტები. განხორციელდა ხელისუფლების, სამოქალაქო საზოგადოებისა და სასამართლო სისტემისთვის, რომელიც მოიცავდა ტრენინგებს, სახელმძღვანელოებს, საგრანტო პროგრამას სსო-ებისთვის. ზოგიერთ ამ პროექტში ჩვენ მოვამზადეთ ქვეყნის შეფასებები ან სასწავლო მოდულები, რომლებიც მოიცავდა ქვეყნის სიტუაციის აღწერას. ეს ძირითადად მიზნად ისახავდა დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებს (SECTOR პროექტი 2006-2010) და EECCA-ს ზოგიერთ ქვეყანას (ბელორუსია, მოლდოვა, STREAM პროექტი, 2011-2014) და კიდევ ერთი პროექტი, მოგვიანებით, ასევე უკრაინაში. ჩვენ გვქონდა ორჰუსთან დაკავშირებული ერთი პროექტი დაფინანსებული ევროკავშირის TACIS პროგრამის მიერ, რომელიც დასრულდა 2004 წელს და მოიცავდა კავკასიის რეგიონს. მოგვიანებით ჩვენს მიერ ამ პროექტში მომზადებული სახელმძღვანელოები ადაპტირებული იქნა ცენტრალური აზიისთვის სხვა პროექტში, რომელიც განხორციელდა სხვების მიერ. ჩვენ გვქონდა ბევრი პროექტი ამ ათწლეულების განმავლობაში და მე ვიყავი REC-ში 2012 წლამდე, როგორც თანამშრომელი და შემდეგ ვმუშაობდი მათთან კონსულტანტად 2018 წლამდე. მე დღემდე ვმუშაობ ამ საკითხებზე და ვმონაწილეობ ორჰუსის კონვენციასთან დაკავშირებულ პროცესებში საერთაშორისო დონეზე, ვესწრები სამუშაო ჯგუფს. შეხვედრები, სამუშაო ჯგუფის შეხვედრები, მონაწილეობა ახალ ინიციატივებში (მაგ. სწრაფი რეაგირების მექანიზმი, გარემოს დამცველები, ახალი ტექნოლოგიების სფეროები, მარგინალიზებული ჯგუფების ჩართულობა და ა.შ.), როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია, გუტას გარემოსდაცვითი სამართლის ასოციაციასთან ერთად. ასევე, ჩართული ვიყავი ესკაზუს შეთანხმების შემუშავებასა და განხორციელებაში ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის რეგიონში, რომელიც ორჰუსის კონვენციის მსგავსია. სამწუხაროდ, როგორც მოგეხსენებათ, REC ბოლო დროს ვერ ახერხენდა სრულფასოვან ფუნქციონირებას და დაიხურა. REC ვებ გვერდი აღარ ფუნქციონირებს. ჩემი აზრით ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი კვლევების ჩატარება, როგორც სექტორის შეფასებისათვის, ასევე სექტორის მნიშვნელობის როლის გაზრდისათვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში. “, აღნიშნა მ.დოტმა.

ინტერვიუ #43. ალტინაი ვალიხანოვა, გარემოსდაცვითი მეცნიერებებისა და პოლიტიკის მაგისტრი, საერთაშორისო გარემოსდაცვითი ექსპერტი, ჰოლანდია

რესპოდენტმა მაგალითად მოიყვანა ვიეტნამში ქარის სადგურის მშენებლობა უცხოური ინვესტიიცით. სადაც პროექტის განხორციელებმდე იყო შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობასთან, სადაც ხაზგასმით იყო ჩამოყალიბებული კომპენსაციების და სოციალური სარგებლის სიდიდე და სახე. კერძოდ, ადგილობრივმა მოსახლეობამ უნდა იცოდეს გაუკეთებენ თუ არა გზას, აუშენებენ თუ არა საბავშვო ბაღს და სხვა. იქნება თუ არა ფულადი კომპენსაციები თუ სხვა სახის კომპენსაცია. თუმცა მოგვიანებით, უკვე მშენებლობის პროცესშიც იყო სხვადასხვა სახის კომპენსაციებზე ლაპარაკი, და ეს დეველოპერმა მოაგვარა, და უნდა მოაგვარის

კიდევაც. მისი აზრით ქარის და მზის სადგურების მშენებლობის პროექტების განხორციელების დროს გარემოსდაცვითი პრობლემიც ნაკლებია და საზოგადოების ჩართულობაც ადვილია. ა.ვალიხანოვას აზრით, საზოგადოების ჩართულობა და სხვა გარემოსდაცვითი პროცედურები განხორციელდა ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად.

ინტერვიუ #44. ბარბარე ბენაშვილი, საზოგადოებრი მაუწყებელი, პირველი რადიო, გადაცემა „ეკო-აგრო-მეტრი“

ბარბარე ბენაშვილს მიჰყავს გადაცემა პირველ რადიოზე სახელწოდებით „ეკო-აგრო-მეტრი“. გადაცემა გადის ეთერში კვირაში ორჯერ, 30წთ. გადაცემა ფარავს როგორც აგრალურ, ასევე ეკოლოგიურ საკითხებს. ბ. ბენაშილის თქმით, რომელსაც წლების განმავლობაშ მიჰყავდა რადიო გადაცემა ეკოლოგიურ საკითხებზე თვლის რომ 30წთ. თუნდაც კვირაში ორჯერ საკმარისი არ არის ეკოლოგიური პრობლემების განსახილ-ველად, რადგანაც, როგორც რესპოდენტმა აღნიშნა ეს არის ერთადერთი მედია გადაცემა ამ საკითხზე ქართულ სივრცეში. ბ. ბენაშვილის აზრით, მედიის როლი საზოგადოების გათვითცნობიერების მიმართულებით უმნიშვნელოვანესია. იმისათვის რომ საზოგადოებამ სწორი და დროული გადაწყვეტილება მიიღოს უნდა იყოს კარგად გათვითცნობიერებული იმ დაგეგმილი პროექტების, პროგრამების შესახემ რაც მისი საცხოვრებელად, სამეზობლოდ ან თუნდაც ქვეყნის მასშტაბით უნდა განხორციელდეს. მისი აზრით, საზოგადოების ჩართულობა უნდა მოხდეს პროექტის განხორციელების ძალიან ადრეულ სტადიაზე. რესპოდენტს მიაჩნია, რომ საზოგადოების წარმატებული მონაწილეობისათვის დღეს არსებული საკანომდებლო ბაზა არ არის საკმარისი. 90 წლებიდან როცა საქართველოში გაჩნდნენ პირველი გარემოსდაცვითი ორგანიზაციები მხოლოდ ათი წელი იარსებეს, უმეტესობა აღარ ფუნქციონირებს, დარჩენილ ორგანიზაციებს არა აქვთ ერთმანეთთან მჭიდრო კოლაბორაცია და ალბათ ესეც უშლის ხელს მათ წარმატებულ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. რესპოდენტმა ისიც აღნიშნა, რომ დღეს გადაწყვეტილების მიღების პროცესი არ არის გამჭირვალე. ბ. ბენაშვილის აზრით უნდა არსებობდეს მიზნობრივი პროექტები და მათ განსახორციელებლად გრანტები. დღეს არსებული საერთაშორისო ფონდები ძალიან ცოტა გარემოსდაცვით პროექტებს /პროგრამებს აფინანსებენ. დაფინანსების წყაროები ბოლო წლებში კლებულობს როგორც რაოდენობრივად ასევე ბიუჯეტურად. აქედან გამომდინარე, არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის იმატა კონკურენციამაც. რესპოდენტი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ძალიან ბევრი პრობლემა დაგროვდა გარემოსდაცვის მიმართულებით, რომელიც გადაუდებელ რეაგირებას საჭიროებენ და ამ პროცესში სამოქალაქო საზოგადოების როლი უმნიშვნელოვანესია და საჭიროა მათი როლის გაზრდა.

ინტერვიუ #45. ლევან ბუთხუზი, გარემოსდამცველი, ტელეწამყვანი

ლ. ბუთხუზის აზრით საკანონმდებლო ბაზა საკმარისია საზოგადოების მონაწილეობისათვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში, საკანონმდებლო ბაზა ჰარმონიზაციაშია ევროკავშირის საკანონმდებლო ბაზასთან და მოთხოვნებთან. პრობლემა იმაშია რომ არ ხდება აღსრულება - არ არის გაწერილი დეტალურად პროცედურები. რესპონდენტი ფიქრობს რომ დამოუკიდებლად კანონი საზოგადოების მონაწილეობისათვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში ზოგადად არ არის მიზანშეწონილი, რადგანაც თითოეული მიმართლება-გარემოსდაცვა, ადამიანის უფლებები და სხვა ძალიან სპეციფიკურია, ამიტომ აჯობებს რომ არსებულ გარემოსდაცვით კანონმდებლობაში გაიწეროს პროცედურები და მოხდეს მერე მათი აღსრულება, მაგალითად, აღსრულების მექანიზმი სასამართლოს მიმართულებით. გადაწყვეტილების მიღების პროცესი არ არის გამჭირვალე, ამბობს რესპოდენტი. არის შემთხვევები, როცა სადღაც იბეჭდება ან წინა დღეს ხდება ინფორმაციის გავრცელება. საზოგადოება ვერ/არ ღებულობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობას. უნდა არსებობდეს ვალდებულება რომ სხვა გზით ხდებოდეს ინფორმაციის გავრცელება, მაგალითად ტვ კლიპებით. ლ.ბუთხუზის აზრით უნდა იყოს პოლიტიკური ნება ამისათვის. რესპოდენტის აზრით, საქართველოში მიმდინარე პროცესები გარემოსდაცვის კუთხით დამოკიდებულია პარტნიორ ქვეყნებში მიმდინარე პროცესებზე. იმისა და მიხედვით თუ რომელი პარტია მოდის ქვეყნის სათავეში აშშ-ში, მათი გარემოსდაცვითი ინტერესებიც განსხვავებულია. მაგალითად, დემოკრატებისათვის გარემოსდაცვის პრობლემები აქტუალურია, და დაფინანსებიც არის მაგ მიმართლებით. რესპუბლიკელები უპირატესობას ანიჭებენ ადამიანის უფლებებს და დაფინანსებებიც მაგ მიმართულებით არის. ევროპაშიც ანალოგიური სიტუაციაა. ჰოლანდია აფინანსებს ადამიანის უფლებებს და გენდერულ მიმართლებას, როცა შვედეთს აქვს გარემოსდაცვითი მიმართულება პრიორიტეტული. საქართველოში არიან ისეთი არასამთავრობო ორგანიზაციები რომლებიც ძალიან მჭიდროდ თანამშრომლობენ მთავრობასთან, ასევე ხდება მსხვილ ფონდებთნ მიმართებაშიც. გარდა გარე პრობლემებისა რესპოდენტი პრობლემებს თვით ორგანიზაციების შიგნითაც ხედავს. მისი აზრით არ შეიძლება ორგანიზაციის ხელმძღვანელი „წლების განმავლობაში იყოს“ ერთი და იგივე პირი, ანუ ეს პოზიცია სამსახურივით ჰქონდეს. გადაწყვეტილების მიღების პროცესში წარმატებული მონაწილობისათვის აუცილებელია მმართველი რგოლის ცვლა, ანუ ახალი იდეების და ადამიანების მოზიდვა. ამ მიმართულებით არასამთავრობო სექტორს ბევრი აქვს სამუშაო, რომ მისი როლი მნიშვნელოვანი გახდეს, რაც დღეს არ არის.

ინტერვიუ #46. ბესო აბაშიძე, შპს „გი-ელ მენეჯმენტი“, დამფუძნებელი

ბ.აბაშიძე თვლის რომ სამოქალაქო გარემოსდაცვითი სექტორი არსებობს, მოსახლეობას მათი ნდობა გააჩნია კიდევაც და მათი როლი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია. მისი კომპანია ახორციელებს ეკო-აუდიტს და რეკომენდაციებს იძლევა. ის თავად მუშაობდა გარემოსდაცვის სამინისტროში და მისი უშუალო ჩართულობით დაიხვეწა გარემოსდაცვითი კანონმდებლობა,

რომელიც აბსოლუტურად საკმარისია საზოგადოების მონაწილეობისათვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში. სახელმწიფო ვალდებულია განსაზღვროს რა ფორმით და გზით გააკეთებს მოსახლეობის გათვითცნობიერების კამპანიას. არასამთავრობო სექტორიც მომზადებული უნდა იყოს სათანადოდ-მათი ჩარევა უნდა იყოს პროფესიონალური და კომპეტენტური. აქ ორივე მხარე თანაბრად განაპირობებს წარმატებულ მონაწილეობას. მაგალითად მოჰყავს წარსულიდან, ტყის კოდექსთან დაკავშრებით წარმატებული თანამშრომლობა არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივასთან". რესპოდენტს ასევე მიაჩნია რომ გადაწყვეტილების პროცესიც გამჭირვალეა, და არ ეთანხმება იმ აზრს რომ ტყეების გასხვისების პროცესი შესაძლოა მომხდარიყო ტყეების ინვენტარიზაციის გარეშე. მისი აზრით საუკეთესო შედეგი მაშინ მიიღწევა როდესავ არასამთავრობო სექტორი მჭიდროდ თანამშრომლობს სახელმწიფოსთან. როდესაც არასამთვრობო სექტორს არ მოსწონს გადაწყვეტილება ამა თუ იმ გარემოსდაცვით პროექტზე აუცილებლად უნდა ჰქონდეს ალტერნატიული გზა/მიდგომა პრობლემის გადასაჭრელად. ჯიუტად რაღაცის კატეგორიულად აკრძალვა ან დაგეგმილი პროექტის განხორციელების ჩაშლა არგუმენტების გარეშე არ მიაჩნია მიზანშეწონილად. მისი აზრით ყველაზე უწყინარ და „გარემოსადმი მეგობრულ" პროექტებსაც შეუძლიათ ზიანი მიაყენონ გარემოს, მაგ. ქარის და მზის ენერგიის დანადგარები. რაც შეეხება დაფინანსებებს, მისი აზრით, აბსოლუტურად საკმარისა, და არა მარტო საერთაშორისო ფონდები, არამედ ბანკები და კერძო კომპანიებიც მზად არიან საინტერესო გარემოსდაცვითი პროექტები დააფინანსონ.

ინტერვიუ #47: მერაბ ბარბაქაძე, გარემოსდაცვითი სამართლის ექსპერტი

საკანონმდებლო ბაზა არის აბსოლუტურად საკმარისი საზოგადოების მონაწილეობისათვის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ბოლო წლებში გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციები შემცირდა იმის გამო რომ დაფინანსების წყაროები აღარ არის. რეკმა შეწყვიტა ფუნქციონირება საქართველოში, არსებული ფონდებიც ძალიან იშვიათად თუ დააფინანსებენ გარემოსდცვით პროექტებს. ცალკე კანონი საზოგადოების მონაწილეობაზე გარემოსდაცვით გადაწყვეტილების პროცესში არ არის საჭირო, ახალი კოდექსი და ორჰუსის კონვენცია სავსებით საკმარისია. არა მგონია კარგი იდეა იყოს სახელმწიფო დაფინანსება, ადგილი ექნება ინტერესთა კონფლიქტს, ამას აჯობებს სახელმწიფომ მოიზიდოს ისეთი საერთაშორისო ფონდები რომლებიც დააფინანსებენ გარემოსდაცვით პროექტებს, მაგალითად ერვოსაბჭოსთან კონსულტაციების შედეგად გაიზარდოს დაფინანსება გარემოსდაცვით სფეროში. იყო ბევრი ძალიან საინტერესო ორგანიზაციები, რომელთა უმრავლესობა აღარ ფუნქციონირებს. როდესაც რამე დიდი მშენებლობა ან პროექტია უნდა მოხდეს საზოგადოების გათვითცნობიერების კამპანია, ანუ რესპოდენტი პრობლემას ხედავს საზოგადოების ნაკლებად გათვითცნობიერებაში, რაც ეკო-ენჯეოებმა უნდა გააკეთონ. ეკო-ენჯეოების რაოდენობა ბოლო დროს საკმაოდ შემცირდა, რესპოდენტის აზრით ვინც

დარჩნენ, მათი აქტიურობა არ არის საკმარისი, არ არის კონსოლიდაცია. „თუ მოითხოვ ინფორმაციას მოგცემენ, და თუ მოინდომე ყველაგან დაგასწრებენ, ანუ პროცესი გამჭირვალეა“, აღნიშნა მ.ბარბაქაძემ

ინტერვიუ #48. კობა ყალიჩავა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

კ. ყალიჩავას აზრით, საკანონმდებლო სისტემა დამაკმაყოფილებელი საზოგადოების მონაწილობისათვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ის პრობლემას ხედავს ახალი კოდექსში სადაც გაერთიანებულია გზშ და ნებართვის გაცემა. მისი აზრით უნდა მოხდეს ცვლილების შეტანა და გაიმიჯნოს ეს ორი მიდგომა ერთმანეთისაგან. გარდა ამისა მისი აზრით სერიოზული პრობლემაა კანონში ლიცენზირების შესახებ, რომელიც საზოგადოების ჩართულობას არ ითვალისწინებს სრულად - ანუ არ ეწყობა საჯარო განხილვები. „კარგი კანონი ერთი მხარეა და მისი აღსრულება მეორე მხარე, ზუსტად ამას მოელის ჩვენგან ევროკავშირი“, ამბობს კ.ყალიჩავა, და ამატებს „გზშ დოკუმენტის მომზადების ხარისხი არის კულტურის ნაწილი - ანუ დეველოპერი თვითონ უნდა იყოს დაინტერესებული რომ მაღალი დონის დოკუმენტი მოამზადოს, და ამისათვის უნდა დახარჯოს ბევრი ფინანსები“. თავის მხრივ სახელმწიფო ვალდებულია და დაინტერესებულიც უნდა იყოს, როგორც გადაწყვეტილების მიმღები ორგანო, ხელი შეუწყოს საზოგადოების ჩართულობას წარმატებული გადაწყვეტილების მისაღებად. მისი აზრით დღეს საქართველოში, არასამთავრობო გარემოსდაცვითი ორგანიზაციები ძალიან სუსტია, მათ არ ჰყოფნით კომპეტენცია(მაგალითად, ორჰუსის კონვენციით მონიჭებული უფლება რომ გარემოსდაცვით საკითხებზე შესაძლებელია სასამართლოში წასვლა), ფინანსები, ნება და მათი ჩართულობა/საქმიანობა მხოლოდ ხმაურიანი აქციებით შემოიფარ-გლება. „მათი ფუნქცია უნდა იყოს „watch dog”, ანუ აკონტროლონ და უზრუნველყონ ამ პროცესების სწორად წარმართვა“, ამბობს კ.ყალიჩავა

ინტერვიუ #49. ქეთი ჩიჩუა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, არასამთავრობო ორგანიზაცია „პროფ-ეკო დენტის“ დამფუძნებელი, ევროპის უნივერსიტეტის ლექტორი, გარემოსდაცვითი ჯანმრთელობის ექსპერტი

სამოქალაო საზოგადოება ძალიან სუსტადაა განვითრებული. არიან ერთეული პირები რომელთაც აქვთ სამოქალაქო პასუხიმგებლობა, ცალმხრივი პროცესია და სახელმწიფო უნდა ზრდიდეს სამოქალაქო პასუხიმგებლობის მქონე პირებს. საფუძველი ჩაყრილია, მაგრამ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. აი მაგალითად უფრო და უფრო მეტი ადამიანები დადიან არჩევნებზე. კანონმორჩილი ადამიანების რაოდენობა გაიზარდა, კოლექტიური აზროვნების პრინციპი არსებობს. 90 წლების ბუმმა გადაიარა, როცა იყო ბევრი გარემოსდაცვითი ორგანიზაციები, თუმცა მათი ბუმის დროსაც არაფერი არ შეიქმნა ღირებული, როგორც გაჩნდნენ, ისე გაქრნენ. „ჩვენი საზოგადოების ყველაზე დიდი ნაკლია მოქალაქეობრივი ინიციატივების არ არსებობა, ანუ სახელმწიფო ვერ გრძნობს რომ იდეა მოდის ქვემოდან და

საზოგადოება ვერ გრძნობს, რომ თუ დღეს არ დავრგეთ მილიონი ხე ხვალ სუნთქვა შეუძლებელი იქნება“, ამბობს რესპოდენტი. მისი აზრით, დაბალი ინიციატივა გააჩნია საზოგადობას, ანუ არ აქვს გათვითცნობიერებული, არ გააჩნია ზუსტი ინფორმაცია იმ გარემოს მდგომარეობის შესახებ სადაც ცხოვრობს. ენჯეობი, რომლებიც დარჩნენ გაურკვევი საქმიანობით არის დაკავებული, ან ჩვენამდე მათი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია არ მოდის. საკანონმდებლო ბაზა თითქოს არსებობს, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს საზოგადოების მონაწილეობას, მაგრამ არ მუშაობს. მე ვფიქრობ რომ უნდა არსებობდეს ცალკე კანონი საზოგადოების მონაწილეობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, და არა მარტო გარემოსდაცვის საკითხებზე. კანონი „პარლამენტის რეგლამენტის“ შესახებ მოითხოვს სერიოზულ ცვლილებებს საზოგადოების ჩართულობის მიმართულებით კანონშემოქმედებით პროცესში. არამარტო საკანონმდებლო, ყველა ეტაპზე გადაწყვეტილების მიღების პროცესი ბუნდოვანია. კოლაბორაციაც არ არსებობს ენჯეობს შორის, რათა მოიზიდონ მეწარმეები, არ ხდება საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, ლობირების მექანიზმიც სუსტია სახელმწიფოში და დაფინანსების ნაკლებობაა. სამოქალაქო საზოგადოებამ უნდა უზრუნველყოს რომ საზოგადოებამ ის ტოტი არ მოჭრას რომელზეც ყველა ვსხედვართ. საჭიროა არსებობდეს ცალკე კანონი საზოგადოების მონაწილეობის შესახებ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, სადაც გაწერილი იქნება თანმიმდევრულად პროცედურები საზოგადოების ჩართულობის. და ბოლოს, სახელმწიფომ უნდა აღიაროს არასამთავრობო სექტორის როლი და მნიშვნელობა და უზრუნველყოს მათი მაქსიმალური ჩრთულობა.

ინტერვიუ #50. ალექსანდრე მიქელაძე, ფინანსისტი, კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესს სკოლის ასოცირებული პროფესორი

ა.მიქელაძე არასამთავრობო ორგანიზაციების ფინანსური საკითხებით მას შემდეგ დაინტერესდა რაც საზოგადოებაში გაჩნდა სტერეოტიპი რომ არასამთავრობო სექტორის ფინანსები არ არის გამჭირვალე. კვლევა რომელიც მან ჩაატარა და მოგვიანებით სტატიაც გამოაქვეყნა, აბათილებს ამ მიდგომას. არასამთავრობო ორგანოზაციები იხდიან გადასახადებს, ატარებენ ფინანსურ აუდიტს ყოველწლიურად და აუდიტის შედეგები არის გამჭირვალე და ხელმისაწვდომი. მისი აზრით არასამთავრობო სექტორს არსებობისათვის და სტაბილური ფინანსური მდგომარეობისათვის სჭირდება ფინანსების დივერსიფიკაცია და თვითდაფინანასების მექნიზმების ამოქმედება. მისი აზრით არასამთავრობო სექტორი უნდა თანამშრომლობდეს კერძო სექტორთან, აწოდებდეს მას სერვისს და მოგებას ამ თანამშრომლობიდან ახმარდეს მის საქმიანობას. იგი არ მიესალმება სამთავრობო გრანტების სისტემა, რადგანაც მისი აზრით ეს სენსიტიური მომენტია, არასამთავრობო ორგანიზაცია კარგავს დამოუკიდებლობას და ხდება მიკერძოებული. მისი აზრით არასამთავრობო ორგანიზაციებს აკლით გამოცდილება და ცოდნა ორგანიზაციის ფინანსურ მართვაში, საჭიროა ტრენინგები ფინანსური მართვის მიმართულებით. ფინანსების

სწორი მართვის წარმატებულ მაგალითად მოჰყავს არასამთავრობო ორგანიზაცია „საბუკო“, სადაც ორგანიზაციის ფინანსური წყაროებია: საწევროები, უცხოეური გრანტები და წარმატებული თანამშრომლობა კერძო სექტორთან. მისი აზრით თვითდაფინანსების სისტემის ამუშავება განაპირობებს ორგანიზაციულ მდგრადობას, დამოუკიდებლობას და წარმატებულ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ცხრილი 3. ინფორმაცია კვლევაში მონაწილე გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ

#	ორგანოზაციის სახელწოდება	რეგ-ის წელი	მისია	საქმიანობის სფეროები	მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია	საკოტაქტო პირი
1	სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი ნაკრესი (NACRES)	1991	ცენტრის მისიაა ქვეყნის ბიომრავალფეროვნების დაცვის, შენარჩუნებისა და აღდგენის ხელშეწყობა; მისი საქმიანობა ეფუძნება სამეცნიერო კვლევებს და ხორციელდება საქართველოს რეგიონებში ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების წახალისების, მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებისა და ბუნების დაცვით საქმიანობაში მათი ინტენსიური ჩართვის საშუალებით.	გარემოს დაცვა, მედია, გარემოსდაცვითი კამპანია, გარემოსდაცვითი განათლება, გარემოსდაცვითი მენეჯმენტი, გარემოსდაცვითი გამოცემები/ პუბლიკაციები, მონიტორინგი, იურიდიული, გზშ, კონსერვაცია	თბილისი, ლარსის შეს.#3. ტელეფონი: 0322 53 71 25 0322 53 71 24 ვებგვერდი: http://www.nacres.org/home/ https://www.facebook.com/nacres.org ელ. ფოსტა: administrator@nacres.org	ირაკლი შავგულიძე
2	ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"	2000	ჩვენი ორგანიზაცია მიზნად ისახავს მდგრადი განვითარებისათვის ეკონომიკური და პოლიტი-კური საფუძვლების შექმნის ხელშეწყობას; გარემოსდაცვით საქმიანობაში შესაბამისი სამთავრობო უწყებების, ბიზნესის წარმომად-გენლების, სამეცნიერო ორგანიზაციებისა და ცალკეული პირების ჩართვის მხარდაჭერას; მდგრადი განვითარების, გარემოს კონსერვაციისა და აღდგენის ხელშემწყობი ფართო სოციალური ალიანსების შექმნას; ადგილობრივ ან ეროვნულ დონეზე ლობირების გზით გარემოსდაცვითი და სოციალური თვალსაზრისით დესტრუქციული პოლიტიკისა და პროექტების შეცვლას ან შეჩერებას და მისაღები ალტერნატივების ხელშეწყობას.	გარემოს დაცვა, გარემოსდაცვითი კამპანია, გარემოსდაცვითი განათლება, გარემოსდაცვითი მენეჯმენტი, გარემოსდაცვითი გამოცემები/პუბლიკაციები, მონიტორინგი, იურიდიული, გზშ	თბილისი, ფალიაშვილის #39ბ ტელეფონი: 593 44 94 29 ვებგვერდი: https://greenalt.org ელ. ფოსტა: greenalt@greenalt.org	მანანა ქოჩლაძე
3	ექსპერტთა კავშირი „მდგრადი ენერგია და გარემო“	2014	მდგრადი ენერგეტიკული პროექტების განვითარების მხარდაჭერა; ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერგიის წყაროების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით სასწავლო პროგრამების ჩატარება; კვლევებსა და სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობა; მდგრადი ენერგეტიკის სამოქმედო გეგმის შემუშავება; ენერგეტიკული აუდიტის მომზადება და შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისა და მონიტორინგის მხარდაჭერა; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების	გარემოს დაცვა, გარემოსდაცვითი კამპანია, გარემოსდაცვითი მენეჯმენტი, მონიტორინგი, იურიდიული, გზშ	თბილისი, ბარნოვის ქ. N 30, infouesee@uesee.org ტელ: +995 599 56 71 78 www.uesee.org	ხათუნა სიჭინავა

			სამინისტროსთან თანამშრომლობა ენერგოეფექტურობისა და გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მომზადებაში; შენობების სერტიფიცირება და კლასის მინიჭება ენერგეტიკული აუდიტის შედეგების საფუძველზე; ენერგოეფექტურობისა და გარემოზე ზემოქმედების მიმართულებით კონფერენციებისა და სემინარების მომზადება და ამ საკითხებთან დაკავშირებული პუბლიკაციების გამოქვეყნება;			
4	ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“	1994	მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და გარემოს დაცვას სიცოცხლისუნარიანი (მდგრადი) ბიომეურნეობების განვითარებისა და სოფლად მოსახლეობის თვითაქტივობის გაზრდის გზით.	გარემოს დაცვა, გარემოსდაცვითი კამპანია, გარემოსდაცვითი განათლება, გარემოსდაცვითი მენეჯმენტი, გარემოსდაცვითი გამოცემები/პუბლიკაციები, იურიდიული, კონსერვაცია	თბილისი, გაზაფხულის ქ. #61 ტელეფონი: 0 322 53 64 87 ვებგვერდი: https://www.elkana.org.ge ელ. ფოსტა: biofarm@elkana.org.ge director@elkana.org.ge	ელენე შატბერაშვილი
5	საზოგადოება ბუნების კონსერვაციისთვის - საბუკო	2014	საბუკოს მისიაა ველური ბუნებისა და ჰაბიტატების დაცვა, კონსერვაცია და აღდგენა საქართველოში; საზოგადოების მიერ ბუნების დაფასების გაზრდა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების წახალისება.	გარემოს დაცვა, მედია, გარემოსდაცვითი კამპანია გარემოსდაცვითი განათლება, გარემოსდაცვითი მენეჯმენტი, გარემოსდაცვითი გამოცემები/პუბლიკაციები, მონიტორინგი, იურიდიული, კონსერვაცია	თბილისი, ვანო სარაჯიშვილის 3ა, 032 290 74 93, office@sabuko.org https://www.sabuko.org https://www.facebook.com/sabuko.org?locale=ka_GE	თინათინ არველაძე
6	საქართველოს მწვანეთა მოძრაობა	1989	1. საზოგადოებაში მდგრადი განვითარების პრინციპების დანერგვა და სოციალური სამართლიანობის დამკვიდრება; 2. ბუნებრივი რესურსების მდგრადი რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფა და გარემოს დეგრადაციის შეჩერება; 3. ადამიანის და საზოგადოების უფლებების დაცვა და გადაწყვიტელების მიღების პროცესში მათი მონაწილეობის უზრუნველყოფა; 4. კულტურული მემკვიდრეობისა და ტრადიციების მრავალფეროვნების დაცვა და შენარჩუნება; 5. დედამიწაზე მიმდინარე ნეგატიური გლობალური ცვლილებების წინააღმდეგ კაცობრიობის ძალისხმევაში აქტიური თანამონაწილეობა;	გარემოს დაცვა, გარემოსდაცვითი კამპანია, გარემოსდაცვითი გამოცემები/პუბლიკაციები,	თბილისი, პეკინის #10, მე-2 სადარბაზო, მე-2 სართული ტელეფონი: 0 322 30 62 21 ვებგვერდი: https://cutt.ly/RWPDVEY ელ. ფოსტა: info@greens.ge	ნინო ჩხობაძე

7	კავკასიის გარემოს დაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი – CENN	1998	სამხრეთ კავკასიის მასშტაბით ადგილობრივ თემებთან, მთავრობებთსა და ბიზნესსექტორთან თანამშრომლობა ჯანსაღი გარემოსთვის მდგრადი გადაწყვეტილებების შესამუშავებლად	გარემოს დაცვა, მედია, გარემოსდაცვითი კამპანია, გარემოსდაცვითი განათლება გარემოსდაცვითი მენეჯმენტი, გარემოსდაცვითი გამოცემები/პუბლიკაციები, მონიტორინგი, იურიდიული	თბილისი, ბეთლემის ქ. #27 ტელეფონი: 0 322 75 19 03 ვებგვერდი: http://www.cenn.org ელ. ფოსტა: info@cenn.org	რეზო გეთიაშვილი
8	იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი "სპექტრი"	1997	ორგანიზაციის მიზანია ხელი შეუწყოს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას საქართველოში, მონაწილეობა მიიღოს სოციალურ-ეკონომიკური და გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრაში ადგილობრივ დონეზე. მზად ვართ ვიმუშაოთ დაინტერესებულ მხარეებთან, რათა ხელი შევუწყოთ პარტნიორობას და ერთად ვიმუშაოთ მდგრადი მომავლის უზრუნველსაყოფად.	გარემოს დაცვა, მედია, გარემოსდაცვითი კამპანია, გარემოსდაცვითი განათლება, გარემოსდაცვითი მენეჯმენტი, გარემოსდაცვითი გამოცემები/პუბლიკაციები, მონიტორინგი, გზშ	ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირი 98, spectri@gmail.com ტელ: +995599570516 https://spectri.org.ge https://www.facebook.com/spectriGE	ქეთი ცხაკაია
9	ტყიბულის განვითრების ფონდი	2006	ჩვენი ხედვა ტყიბულისთვის არის აყვავებული საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მათთვის მდგრადი სოციალური და ეკონომიკური შესაძლებლობების შეთავაზებით და სადაც ახალგაზრდებს აქვთ პოზიტიური ცვლილებების მართვის უფლება. ერთად, ჩვენ წარმოვადგენთ ქალაქს, რომელიც მოიცავს ინოვაციას, ქმნის მდგრად დასაქმებას და ზრდის მისი ახალგაზრდობის პოტენციალს.	გარემოსდაცვითი კამპანია გარემოსდაცვითი განათლება გარემოსდაცვითი მენეჯმენტი მონიტორინგი	ტყიბული 4300, 20/18 გელათის ქუჩა, ტელ: 595 90 77 55, tddf2006@gmail.com tddf.wordpress.com https://www.facebook.com/TDDFund	ზაზა გოჩელაშვილი
10	ველური ბუნების დაცვის საზოგადოება „ჭაობი“	2002	ველური ბუნების დაცვა და კონსერვაცია და ცნობიარების ამაღლება	გარემოს დაცვა, მედია, გარემოსდაცვითი კამპანია, გარემოსდაცვითი განათლება, გარემოსდაცვითი მენეჯმენტი, გარემოსდაცვითი გამოცემები/ პუბლიკაციები, მონიტორინგი, იურიდიული, კონსერვაცია	ქობულეთი, ბაგრატიონის ქ. # 2ა ტელეფონი: (+995) 593 30 39 57 ელ. ფოსტა: lazikaizo@gmail.com https://www.facebook.com/profile.php ?id=100075704866367	იზოლდა მაჭუტაძე
11	ასოციაცია "ლორე"	2009	სოფლის მეურნეობის გავნითრების ხელსეწყობა, სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარება, ახალგაზრდული და ბავშვთა უფლებების დაცვა, გარემოსდაცვის მენეჯმენტი და მონიტორინგი	გარემოს დაცვა და გარემოს მონიტორინგი	დმანისი, 9 აპრილის ქ. 5 ტელეფონი: 599 42 62 39 ელ. ფოსტა: dmanisi.lore@gmail.com	ჯონდო ადუაშვილი
12	სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ“	2018	რუსთავში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესება.	გარემოს დაცვა, გარემოსდაცვითი კამპანია, გარემოსდაცვითი განათლება, გარემოსდაცვითი მენეჯმენტი, მონიტორინგი, იურიდიული, გზშ	რუსთავი, დავით გარეჯის ქ. #12/42 ტელეფონი: 577 29 22 47 ვებგვერდი: https://bit.ly/2PbnEgQ ელ.ფოსტა: gavigudet@protonmail.com https://gavigudet.org	თინათინ მაღედანი